მნათობი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

(200) 3006
114
1934

9

შინაარსი

ლექსები

ი. ზრიშაშვილი
ვ. ბაფრინდაშვილი
ილო მოსაშვილი
ირაკლი აბაშიძე
ერიხ მიუზამი
ი. ვ. ვიოტე
გიორგი შატბერაშვილი
ბრიგოლ აბაშიძე

პროზა

კ. გამსახურდია
კოტე ხიმშიაშვილი
შალვა სოსლანი
ლევ. მეტრეველი
ე. პოლუმოორდვინოვი

ფირდოუსის 1000 წლისთავი

ალ. ბარამიძე
ფირდოუსი
იური მარრი

მწერალთა საკავშირო ყრილობა

ნ. ბუხარინი

ბიბლიოგრაფია

მიხეილ ჯავახიშვილი
ა. ბ.
ბ. ხავთასი

1 9 3 4

პროლეტარიებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მნათობი

სრულიად საქართველოს საბჭოთა
მწერლების კავშირის ყოველთვიური
სალიტერატურო, სახელოვნო და საზო-
გადოებრივ-საპოლიტიკო ჟურნალი

59417
1551

9

Тбилисский Комитет
Библиотека
имел при ЦК ВКП (б)

წელიწადი მეთერთმეტე

საქართველოს
პარლამენტის
ეროვნული
ბიბლიოთეკა

სახელგაცი 1934 ტფილისი

პ./მგ. რედაქტორი: **გიორგი ყურულაშვილი**

სარედაქციო კოლეგია: ლევან ასათიანი (პ/მგ. მდივანი)
ირაკლი აბაშიძე
ნოე ჯორბენაძე
ნიკო ლორთქიფანიძე
კონსტ. ლორთქიფანიძე
გრ. მუშიშვილი
შალვა რადიანი
გალაქტიონ ტაბიძე
ტიციან ტაბიძე
პანტელეიმონ ჩხიკვაძე
დემნა შენგელაია
ლეო ქიაჩელი

რედაქციის მისამართი: ტფილისი, მაჩაბლის ქ. № 13. ტელ. № 3—55—25.
ეგნ. ნინოშვილის სახელ. მწერალთა სასახლე.

კანტორის მისამართი: ტფილისი, აღმასკომის ქ. № 7, პერიოდსექტორი.

მთავლ. რწმ. № ა — 2116. შეკვეთის № 670. ტირაჟი 4000

სახელგამის პირველი სტამბა. პლეხანოვის პროსპექტი № 91.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ი. გრიშაშვილი

პეტერგოფის შადრევნები

„აბავნი პეტრე ღოფისა სრა სახლთა
და ბაღჩა-ბაღთანი... რომელი ვიხილე
ის აღვსწერე და რომელი არა დაუტევე“...

ლენინგრ. საჯ. ბიბლ. ხელთ. № 26.

1

აქ ყველაფერი ცეკვავს და შუშპრობს
მზე და ჰაერი — ერთად ნარევი;
მაგრამ ამ ბაღში ყველაზე უფრო
შადრევნებია გადასარევი.

არც ერთი კუთხე არ გამიშვია
ყველა წავარნა ბალღივით მზრდიდა,
მაგრამ შადრევნებს, მართლაც, იშვიათს,
ვერ გავექეცი ვერც ერთი გზიდან:

ყველგან, სადაც კი ვჭვრეტდი სანახებს,
ეს შადრევნები მომდევდნენ ფრქვევით,
თითქოს ასი მზე ეკიდოს ხეებს
და სხივს ისროდეს მიწიდან ზევით.

2

და გამახსენდა აქ გარსევანი
გადმოხვეწილი საქართველოდან,
რომელიც წლობით, ვით შადრევანი,
ეკატერინეს დასტურს ელოდდა.

ან კიდევ: ბალი, სტუმართა გროვა,
ჭარვის ვარაყი, დეზთა ზაური,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

აგერ დანტესი და გონჩაროვა,
მუსიკა, ცეკვა, ქათინაური.

და გრიგალივით ნავარდობს წყვილი,
მათი სურნელი შორს მიაქვს ნიავს, —
ვინ იფიქრებდა, დანტესის ღილი
აიცილებდა პუშკინის ტყვიას!

3

მაგრამ არ მინდა აუკინძველად
ჩემი ლექსები იქცეს ჩრდილებად.
მე რას დავეძებ, ვინ იყო ძველად,
ვის ჰქონდა ბედის დამორჩილება.

მე მხოლოდ მინდა შევსვა სურნელი
ამ მიწის წვენის — ამ მტევნებისა —
რომ მეც შევიგრძნო ხელი მზრუნველი
ცაში დაკიდულ შადრევნებისა;

რომ ჩემს გონებას მძლეს, სანატორიონს
ჩარჩეს ეს ბაღი, ეს სრა-სასახლე
და ჩემს ლექსებში გადაიმტვრიოს
შემოქმედების ახალი სახრე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

კონსტანტინე გამსახურდია

მთვარის მოტაცება*)

XV. ჯიხვის ყანწები

ნადიმი უკვე დაწყებულიყო, როცა თარაშ ემხვარ სეფაში შემოვიდა. ლუკაია წინასწარ დაითანხმა სეფაში შემოყოლოდა, მის გვერდით დამჯდარიყო. სეფაში შესულმა უკან მიიხედა: ლუკაიკ ველარ ნახა.

თარაშმა თამარის და კაროლინას შორის მოსძებნა ადგილი. თამარს მხარმარცხნივ ძაბული უჯდა, ძაბულის — არზაყან. თარაშ ემხვარის შემოსვლისას აფხაზური წესისამებრ იქ დამსწრე აფხაზები ფეხზე წამოსცვივდნენ. ჩალმაზმა მხოლოდ წარბები ზეასწია და საკმაოდ არათავაზიანი მზერა შეაგება მისალმებისას. თამადად თვითონ გვანჯ აფაქიძე დაჯდგარიყო.

ოქრონეტარი სიტყვები იფრქვევოდა მისი პირისაგან.

„ნამდვილი ლაზი, სახალხო ტრიბუნი და ორატორი დადგებოდა გვანჯ აფაქიძე თავის დროზე რომ ეზრუნა ამ საქმისათვის“. უჩურჩულა თარაშ ემხვარმა კაროლინას.

ეს დიპლომატისა და ამოდმოუბარი ორატორის ტიპი ალბად კოლხეთის მეფის მალასის დროიდან მოდისო.

მართლაც და იშვიათის ოსტატობით ენამზეობდა გვანჯ აფაქიძე. უთუოდ დიდი დარბაისლური თავაზიანობის გამოჩენა სჭიროდა მას განსაკუთრებით ისეთ შემთხვევაში, როცა იგი ამ მხარეში ცნობილ კომუნისტებს ეხებოდა. ჯერ კიდევ შესავალი სადღეგრძელოების მომსმენიც უთუოდ ასე დაასკვნიდა: ამ ქვეყნად საზრუნავი გამოლეულაო და თხა და მგელი ერთად საბალახოდ მიუშვიათო.

შარიდან ალშიბაიასთვის ბეჭის დათლა მიენდო თამადას. იგი უსიამოდ ასრულებდა ამ მოვალეობას და საერთოდ ფრიად მოწყენილი იყო. (ყოველი ყბედი მოიწყენს ხოლმე, როცა მას თამადად, ორატორად ან თავმჯდომარედ არ აირჩევენ).

---

*) იხ. მნათობი № 7 — 8.

არზაყან ძაბულის ართობდა, საჭმელს სთავაზობდა, თამარი მოწყენილი იჯდა. ნაძალადევად იღიმებოდა. თვალის უპეების ჩრდილი დამუქებოდა, თმა გასწეწოდა, ყურსქვემოდ გადმოვარდნილი ... გასჩეჩოდა. ცატას სჭამდა. უფრო ნაკლებად ლაპარაკობდა. წელში მოდრეკილიყო ოდნავ. თარაშს შემჩნეული ჰქონდა: როცა თამარი უქეიფოდ იყო, პაწია, სულ მთლად პაწია ულვაშები და სირმისდარი ბუსუსები უფრო თვალსაჩინოდ მოუჩანდა ლოყაზე.

თარაშ ემხვარმა ქალებს გადააავლო თვალი. ახალგაზრდანი ფეხზე მდგარნი ემსახურებოდნენ სტუმრებს. დამსხდართა შორის ერთი სავსებით ქერა, თვალმშვენიერი მარშანიას ქალი იჯდა, ისეთი, რომლის მსგავსს იშვიათად შეხვდება კაცი ჩვენს ქვეყანაში. იგი ძლიერ აგონებდა თარაშ ემხვარს იტალიური ქერა მადონების სერიას. მაგრამ თვალთა სილურჯე მისი ოდნავ განსხვავდებოდა იმ ღია ცისფერ თვალების ელვისგან. ლომბარდიის, რაინის მხარის, და შოტლანდიის ქალებს რომ სჩვევიათ ხოლმე.

სუფრის ბოლოს ერთი გალელი მეგრელი დამა იჯდა, წვრილთვალიანი, მკერდგავსილი, მხრებმორგვალებული. მსახურთა შორის სამი აბაშელი გოგონა ბრწყინავდა. უბრალოდ, ღარიბულად ეცვათ სამივეს. მათ შორის უფროსს, ნუშისებრ თვალებიან გოგონას მარჯვენა ხელი მის გვერდით მდგარ ჭორფლიან, მწითურ წალწულისთვის დაედო მხარზე. ფრჩხილები მოვლილი არ ჰქონდა, მაგრამ უთუოდ უკეთესი ხელები არც ჯიოტოს და არც რაფაელის მადონებს არ ექნებოდათ.

მწითური მკერდსავსე სჩანდა, თეძო განიერი. ეს იყო მხოლოდ ჭორფლი უჩრდილავდა ფაქიზსა და სალუქ სახეს. სუფრის თავში, თამადის უკან წითელი ღვინით სავსე სურა ეჭირა გვანჯ აფაქიძის უმცროს ქალს ზესნას. მას ოდნავ მოყვითანო სახე ჰქონდა. ისეთი როგორიც არა ერთხელ შეგხვდებათ სუბტროპიკულ ქვეყნებში. ნიკაპი ოდნავ გაყოფილი ჰქონდა ზესნას. მიუხედავად ამისა, იგი ხვავრიელ კახურ შემოდგომასა ჰგავდა, სწორედ იმ დროში, როცა ყურძენი, ლეღვი და ატამი მომწიფდება ვენახებში და ჩაფებიდან თქრიალით გადმოდის ბადაგი. სუფრის ბოლოს ოთხი ქალწული იდგა, ტანაშოლტილი, განიერთვალებიანი, გრძელსახსრიანი, წარბებმომშვილდული, ეტყობოდათ ნათესავები უნდა ყოფილიყვნენ. ისინი ძლიერ წააგავდნენ ერთ პარტიას ანგელოსებისას უბისის ფრესკების სერიიდან. უმაღლესს და უფროსს მათთაგანს ხალები ჰქონდა, როგორც მარჯვენა, ისე მარცხენა ლოყაზე და ერთიც შუბლზე. ეს ხალები განსაკუთრებულის ეშხით ანთებდა მის სახეს. კაროლინამ გამოიკითხა: ქარდავას ქალები აღმოჩნდნენ.

ვაჟები მათზე უფრო მოეწონა თარაშ ემხვარს. ერთ ლუხუმელ აფხაზს მისჩერებოდა წარამარა, ჩვიდმეტი წლის ვაჟკაცს, იშვიათად მოხდენილსა და პირმშვენიერს.

„იოსებ ყოვლად მშვენიერს არა ჰგავს?“

ეკითხება თარაშ კაროლინას, თანაც იცინის.

ლუხუმელი აბხაზი წარამარა დაბორიალებდა სუფრიან ეზოში, მოხუცების ხელის დაქნევას, თამადის წამისყოფას, რომელიმე სტუმრის ჭირვეულობას აყოლილი.

იგი შველივით დარბოდა ჩოხის ბალთებ ზეაკეცილი. მის მოძრაობაში იმდენი სიმსუბუქე და გრაცია მჟღავნდებოდა, რომ ყოველი ქალი ინატრებდა ეთეროვნებას სხეულის მისისას. მოლალურისფერი ახალოხი ეცვა ამ ჭაბუკს და ლურჯი ჩოხა. სპილოსძვლის ვადიანი სატევარი მუხლის თავამდის სწვდებოდა ტანმორჩილს.

კაროლინამაც მიაქცია ამ ვაჟს ყურადღება. სახუმროდ „მურილიოს ბიჭი“ შეარქვა მას, თუმცა ამ „მურილიოს ბიჭს“, მისდა სამწუხაროდ ევროპელისათვის ძნელად გასატეხი აბხაზური სახელი რქმევოდა.

ამ ბიჭს ან ალფრედო უნდა ერქვას, ან ჯაკობო, ან ჯიოვანი, ამტკიცებდა კაროლინა.

„მურილიოს ბიჭის“ გვერდით წარამარა დარბოდა მხარბეჭიანი, მალალკისერიანი, მეგრელი ვაჟკაცი, რომელსაც ჯვებეს უძახოდა თამადა. ჯვებეს სწრაფი ფიარულისას განიერ შუბლზე უტოკავდა ჭარბად ჩამოლვარული ქერა კულულები. თავის ძალოვანი მხარმკლავების, გრძელი ფეხების და საერთოდ მდევური აღნაგობის მიუხედავად, უაღრესად ბალღური სახე ჰქონდა. სიკეთით სავსე დიდრონი ცისფერი თვალები და წვრილი ნიკაპი, ბალღური ტუჩები. თაგვისფერი ჩოხა ეცვა ჯვებეს და კომშისფერი ახალოხი. ახალუხის საყელო დამოკლებოდა, და შესაძლოა იგი ნათხოვარიც ყოფილიყო. (სამი ღილი გაეწყვიტა მაგარსა და მაღალ კისერს).

მწვადებს არიგებდა რუხვჩოხიანი ჭალარა მეგრელი. ოდნავ თმაშეერცხლილი და ახოვანი. მას კუროკამეჩსავით ძლიერი ქედი ჰქონდა. უზომოდ განიერი ბეჭები ძლივს ეტეოდნენ მის გაცრეცილ ჩოხაში. თმა შეერცხლოდა სავსებით, შეყრილ შავ წარბებამდის ჩამოსული. მტუტისფერი წვერი მოსავდა და მოშავო ულვაში. მას ისეთი სათნო და შშვიდი გამომეტყველება ჰქონდა, ხმალამოღებული მტერიც შეტოკდებოდა მის დანახვაზე. კაროლინამ ბევრი იცინა, იმის გამო, რომ ამ ვეება ვაჟკაცს. თურმე ხუტუს უძახდნენ. უფრო მეტად გაიოცა, როცა გაიგო, რომ ეს დარბაისელი ხუტუ, თურმე მეთევზე ყოფილიყო. ეს კი ყირამალა აყენებსო იმ თეორიას, ვითომდაც პროფესია გავლენას ახდენდესო ადამიანზე.

კაროლინამ თარაშის ყურადღება მიაქცია მათ გასწვრივ სუფრის ბოლოში მჯდარ ტფილისელ ცრაქტორისტზე; მას ფისის ფერი თმები ჰქონდა და მზეში გარუჯული სახე. ყოველ სასმისის ხელში აღებისას ფეხზე დგებოდა, მუხის კუნძივით დასკვნილი დევკაცი. ლაღი, სწორი. შუბლი

ამშვენებდა მას, გორგასლანის შვილდივით გადრეკილი შავი წარბები. უბრალო მწვანე ბლუზა ეცვა, მაგრამ მაინც თვალსაჩინო იყო მისი იშვიათი ტანწყობილება. ქართველი ვაჟკაცის უდრეკელობა ეტყობოდა მის ენერგიულ ნიკაპისა და ღაწვების ირგვლივ.

ტფილისელი ტრაქტორისტები სოსოს უძახოდნენ მას.

„მე მუდამ სანანებელი დამრჩება მხატვარი რომ ვერ გამოვედი, ამ ტიპებს ახლავე გადავიტანდიო ტილოზე". — ეუბნებოდა თარაშ კაროლინას.

„მე თქვენ გარწმუნებთ, არც კათოლიკე მისსიონერების, არც შევალიე გამბას და არც გაგარინის ალბომების ქართული ტიპები მათთან არარად გამოჩნდებოდა".

თამადამ ბრძანა და იმ ჭაბუკმა, რომელსაც სოსოს უძახოდნენ ტფილისელები, გრძელი კახური მრავალჟამიერ წამოიწყო. ოციოდე კაცი მღეროდა მათთან ერთად და მთელი სეფა სდუმდა, გულმოდგინეთ ისმენდა მათ ღულუნს. და ეს ხმა ისეთის გუგუნით დადიოდა მთელ სეფაში, როგორც ასკაციანი ხოროს გალობა ჭურებჩადგმულ ქართულ ტაძრებში.

ახლა აფხაზებმა დაიწყეს დაკოდილის სიმღერა, ტკბილი, საოცარი და ამოდსასმენი. დადუმდენ აფხაზები და კეისრული დაჰქუხეს კოდორელმა ოდიშარებმა, მაღალი, პათეთიური და საზეიმო.

დალაი დალაი მხედრებო,

დალაი დალაი". მღეროდენ ტფილისელი ტრაქტორისტები.

„ერთ რამეს ვამჩნევ მე, როგორც არა ქართველი, ამბობდა კაროლინა. იტალიის გარდა, მთელს ევროპაში წოდებრივი სხვაობა ეტყობა ხალხის ჯილაგსაც. მაგალითად, გერმანელი გლეხები, რომელთაც თუნდაც სამი თაობის წინად პროფესია შეუცვლიათ, მაინც განირჩევიან განაზებულ გერმანელ ბარონებისაგან. ასევეა ინლგისსა და სკანდინავიაში".

„ამ ამბავს ორიოდე საუკუნის წინად არქანჯელო ლამბერტიმაც მიაქცია ყურადღება კეთილო ფრაუ". ეუბნება თარაშ ემხვარ.

„თუმცა, მე არ ვიტყოდი, თითქოს რაფინირებული სილამაზე ეგზომ კარგი იყოს ნაციისათვის. თქვენ კიდევაც მოგიხდებოდათ ფლანდრული ტლანქი ჯილაგის აღრევა თქვენს ძველსა და გაფაქიზებულ სისხლში". ესა სთქვა კაროლინამ და ღვინო მოსვა, ჭიქა არ დაუდგამს ისე შეხედა თარაშ ემხვარს, თითქოს პირველად ხედავდესო, ისე ათვალიერებდა მის თავის ქალას.

თამადა ლაპარაკობდა, თარაში დადუმდა.

„არა მგონია ეს მარტოოდენ კლიმატიური პირობებით აიხსნებოდეს". განაგრძობდა კაროლინა.

„არამც და არამც, კეთილო ფრაუ. აქ უდიდეს როლს თამაშობდა ალბად ჩვენი პლასტიური ხელოვნება. თქვენ ალბათ იცით, იტალიისა და საფრანგეთის შემდეგ საქართველოს და სომხეთის ფრესკული მხატვრობა უდიდესია მთელს ქრისტიანულ სამყაროში.

ევროპულ ხელოვნებათმცოდნეობა სავსებით არ იცნობს მცხეთის, ატენის, ვარძიის, ზარზმის, ბეთანიის, ქაშუეთის, გელათის, ლანდის, ბედიის, ილორის, ხობის, საფარის, სვანეთის და აფხაზეთის ხელოვნებას. ფრესკებს. საშუალო საუკუნოში ხელოვნება რელიგიის ხიზანი იყო. ხალხი საუკუნოების განმავლობაში შესცქეროდა ფერწერის უდიდეს ოსტატების მიერ შესრულებულ ფიგურებს. უეჭველია ეს ყოველივე ქვეშეცნეული ვიზიონერობის ძალით ზეგავლენას ახდენდა ჩვენი ხალხის ტიპიზაციაზე. საუკუნოების მანძილზე მიჰყავდათ ფეხმძიმე ქალები ამ მშვენიერი მადონების საჭვრეტად. და აქ კი ქრისტეანული ღმერთის ნაცვლად ხელოვანი ახდენდა ზედგავლენას.

ეს ამბავი ანტიურმა ერებმაც იცოდნენ უთუოდ.

კიპრის ერთმა მახინჯმა ტირანმა აიძულა თავისი ცოლი სქესობრივი სიახლოვის წუთებში ბერძნულ ქანდაკებებისათვის ემზირა. ამგზით ულამაზესი ბავშვები აყოლა თურმე. ტალმუდში მოთხრობილია: ვინმე რაბი იოჰანე ქრისტემდის 2.000 წლის წინად, უბრძანებდა თურმე ებრაელ დედებს, ქმრებთან დაწოლამდის აბანო მიეღოთ. რაბი იოჰან ულამაზესი მოხუცი ყოფილა თურმე იმდროინდელი იერუსალიმში და იგი **აბანოს** კარებთან დაჯდებოდა, აიძულებდა დიდხანს ემზირათ მისთვის. ამგზითო, სწერია ტალმუდში ისრაელ დედებს ულამაზესი ბალღები ებადებოდათო".

კაროლინამ გადაიკისკისა. თამარმა შეხედა. სიცილის მიზეზი ჰკითხა. შემდეგ თავათაც მიუგდო ყური თარაშის ნათხრობს.

„დიდი, დიდი ზედგავლენა ჰქონდა ძველბერძნეთა თაობების ფიზიკურ აღნაგობაზე საბერძნეთის მოედნებზე აღმართულ ქანდაკებებს, ფიდიასი და პრაქსიტელესი თუ თავად უძეოდ გადაგებულან, სამაგიეროდ ვიზიონერული ძალით ქმნიდნენ თავიანთ ნაციის ფიზიკურ მშვენებას. ესპანეთსა და იტალიაში მოგზაურობის დროს მე თავათ შემინიშნავს: მანდაური ქალები და ბავშვები ზედმიწევნით ჰგვანან იმავე ერების ფერწერის დიდოსტატების ფიგურებს.

ნეაპოლში, ფლორენციაში, ვერონაში, ვენეციაში და პერუჯიაში ქუჩებში შეხვდები ისეთ ქალებსა და ბავშვებს. ასე გეგონებათ რაფაელის და ჯიოტოს ფრესკებიდან ჩამოსულანო".

თარაშის საუბართ ჩალმაზმა და არზაყანმაც მიაქციეს ყურადღება. ისინი თამარის საშუალებით იგებდნენ თუ რას ამბობდა თარაში. თამარს გერმანული საუბარი კარგად არ ესმოდა, მით უმეტეს, როცა იგი გაბმით მიმდინარეობდა. (თამარმა შენიშნა: ერთგვარ უხერხულობას ბადებდა თარაშის კაროლინას მხრივ უცხო ენაზე ლაპარაკი). მათ მაგიერ ბოდიშობდა. კაროლინამ არც ქართული და არც აფხაზური კარგად არ იცისო და ამიტომაც თარაში იძულებულია უცხოურად ელაპარაკოსო.

თამადამ უმცირეს ჭიქებიდან დაიწყო, უკვე ჩაის ჭიქები, ჯამები და ჭინჭილები ჩამოატარეს; აზარფეშებმა ჩამოიარეს და მოზვრის ყანწები მიჰყვა მათ. მოთავდნენ მოზვრის ყანწები. ახლა ერთი უფროსელი ჯიხვის რქა „მურილიოს ბიჭს“ მოჰქონდა, ხოლო მეორე ზესნას, გვანჯ აფაქიძის ქალს. თარაშ ემხვარს მოართვა ზესნამ ეს გაშავებული ჯიხვის რქა, ხოლო „მურილიოს ბიჭმა“ ჩალმაზს.

ჩალმაზი საერთოდ ერიდებოდა სმას. თამადა მას ზოგავდა, მაგრამ ეს ჯიხვი არლანის ოჯახის ფუძის სადღეგრძელო უნდა ყოფილიყო. ჩალმაზს უმძიმდა უარის თქმა, მით უმეტეს, იგი გრძნობდა: არენბა არლანი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა მას ამ ქორწილში. თავათ არლანს არც ფუძე სწამდა, აღარც სადღეგრძელო, ამიტომაც ადგა და სთხოვა თამადას ეს ერთი ჯიხვი ეპატიებიათ ჩალმაზისათვის.

თამადა გაჯიქდა, მაგრამ ერთი კი დაიქადნა დედის სულს გეფიცები, ისეთ სადღეგრძელოს მოვიგონებ, ეს ჯიხვი ცერის ფრჩხილებზე დაგაკვრევინოთო.

ჩალმაზმა გულარხეინად ჩაიცინა. არზაყანს მიუბრუნდა, ვისი სადღეგრძელო უნდა მოიგონოსო ამ ნათავადარმა რომ ჩალმაზს ეს ჯიხვი დააცლევინოსო. არზაყანს თავათ გამოცლილი არა ჰქონდა ეს ყანწი, გულით უნდოდა ჩალმაზს დაელია. მაგრამ არ მიეძალა და როცა ჩალმაზმა უარი სთქვა, მანაც არ მიიღო ეს ყანწი.

მეორე ყანწი თარაშ ემხვარს მიაწოდა ზესნამ. იუარა თარაშმა, მაგრამ თამარიცა და კაროლინაც აუხირდნენ: უთუოდ გამოეცალა.

თარაშმა დასცალა და როცა დაჯდა, ისეთი რყევა შეიცნო, როგორიც ნოემბრის ღამეს გამოეცადა ბისკაიას ყურეში გავლისას და ასე ეგონა, თითქოს მის გარშემო ტრიალებდა ეს უშველებელი სეფაც, ეს თამადაც, ეს მაყრებიცა და მდადეებიც. მას ჭირის ოფლი გამოუვიდა შუბლზე, წამსვე აფხაზურ მარილს აჯიკას წასწვდა და ხმელი ლავაშის ღეჭვა დაიწყო.

არც კაროლინას ესაუბრებოდა, არც თამარისათვის მიუხედავს, ცალი ხელი ძირს დაუშვა და მაგრად მოებღაუჭა სკამს. ასე იჯდა მცირე ხანს და ყურს უგდებდა ტკბილსა და საოცარ მეგრულ სიმღერას.

„ჭოფილ ვორექ,
თოკილ ვორექ,
სი ქოულ ბატა,
მადომტალენქო?
გურს გენია მონტებული
ვაგომტალენქო“.

იწყებდა სუფრის მეორე მხარეზე ანგელოსისპირიანი ზესნა აფაქიძის ასული. და ღვინის, თუთუნის და ხმაურობის ბურანში წასული თარაშ

ემხვარ მიჰყავდა ამ სიმღერას, ბორკილებით შეკოჭილ ვაჟკაცის მიერ გამოთქმულს, იმ ბნელ დროებისაკენ, როცა თავისუფლების მოყვარულთა და წარჩინებულთა ცოლებთან გამიჯნურებულ რაინდებს ხანჯლურებს უყრიდნენ ხელფეხში.

მღეროდა ზესნა აფაქიძე...

ისე ამოდ გაეღო მარწყვივით წითელი პირი ზესნას. თარაშის გულში აწკრიალდა ანალოგიის მძებნელი აზრი: სად ენახა მას ასე მშვენიერად გახსნილი ბავშვური ბაგე მწიფე ქაწულისა? ლუკას კრანახის ანგელოსების სერიიდან იყო ეს, თუ რომელიმე ქართული ფრესკიდან?

და როცა ეს სიმღერა გათავდა, სეფის ბოლოში

„მცხეთაში ოქროს კუბო სდგას,
ანთია კელაპტარიო“...

წამოიწყო სოსომ — ტფილისელმა ტრაქტორისტმა და ვაჟკაცური მგრგვინავი ხმით დასძახეს ტფილისელმა შოფერებმა.

თამადამ კიდევ ორიოდე მსუბუქი ფიალა ჩამოატარებინა ზესნას და „მურილიოს ბიჭს“.

გვანჯ აფაქიძეს კახურის ცხუნვარება წაჰკიდებოდა სახეზე. სავსებით გახუნებული ახალოხი ეცვა, მაგრამ ქეიფში შევიდა თუ არა, გალამაზდა, დამშვენდა მოხუცი.

იდგა ხშირნაოჭებიანი ბებერი როკი, თავის მდევური აღნაგობით აქეზებდა, ღვინის შეჯიბრში იწვევდა ახალგაზრდებს.

„დედოფალი სადღაა ნეტავი?
გადაუჩურჩულა კაროლინამ თამარს.
„რა გვიან გაგახსენდა დედოფალი!“
იცინოდა თამარი.

თანაც განუმარტავდა დედოფალს აფხაზური წესისამებრ სეფაში ყოფნის ნება არა აქვსო, იგი ახლა თავის საამხაროს კუთხეში დგასო და პირისსანახავად მოსულთა მოლოდინშიაო.

„ეს ჩვეულება კიდევ არ მოუშლიათ აფხაზებს??
იკითხა კაროლინამ.

დარბაისლურად წამოდგა გვანჯ აფაქიძე. თავი მოიკატუნა, ერთი ბნელი, გაუნათლებელი კაცი ვარო, ბევრი ჭკუა არ მეკითხებაო, ზოგიერთი შლეგს მეძახისო, მაგრამ არც ისე ბრმა ვარო, გემის ანძა ისლის ღერისაგან ვერ გავარჩიოთო, არც ისე ყრუ ვარო, ლომის ბღავილი კატის კნავილში რომ ამერიოსო.

ამგვარსა და სხვა ამნაირს ამბობდა კიდევ მრავალს, მიკიბულ-მოკიბულად ლაპარაკობდა ბნელმეტყველების გაქნილი ოსტატი. და ენა ჰქონ-

და ლაზურ დიალექტიკაში გამოცდილ აფაქიძეს ისეთი ამო. ასე იტყოდით: მის სასმენად წყალნიც დადგებიანო.

ასე ლაპარაკობდა ფეხზე მდგარი თამადა, ხელშე [illegible] ჯიხვის ყანწი ეჭირა. სიმღერები შესწყდა, მცირედი ჩქამიც არ [illegible] ბაზში. ყველა გაოცებული უსმენდა. არავინ იცოდა; ვისი სადღეგრძელო უნდა ყოფილიყო, ასეთი ბნელი და გრძელი წინასიტყვით წამოწყებული.

მე არა მგონიაო, დაასკვნა თამადამ, ამ სეფაში თუნდაც ერთი კაციც რომ ერიოსო ისეთი შლეგი, რომ ეს სადღეგრძელო არ დალიოსო. თანაც არზაყანისა და ჩალმაზისაკენ გააპარა ირიბი მზერა.

სტალინის სახელის ხსენებისას სრული სიჩუმე ჩამოვარდა სეფაში. ტფილისელმა სოსომ და შოფერებმა კახური გრძელი მრავალჟამიერ დაჰქუხეს. ზესნას და „მურილიოს ბიჭს“ სავსე ყანწები დაჰქონდათ კიდემდის გავსილი.

თარაშს ჯერ კიდევ მხარი შეწყობილი არა ჰქონდა კახურისათვის, ამადაც ასე უცებ მოსწყვიტა მას წელი იმ პირველმა ჯიხვმა.

ხედავდა: ძალიან უხერხული იქნებოდა მისთვის, სტალინის სადღეგრძელოს არდალევა. გული ერეოდა, თავბრუ ესხმოდა. არავის შეუმჩნევია თუ რა სარჩული ჰქონდა ამ წუთში თამადის მიერ სტალინის სადღეგრძელოს წამოწყებას.

ცხადია: გვანჯ აფაქიძეს სტალინისადმი პატივისცემა და სიყვარული ერთი წუთითაც არ გაუვლია გულში. იგი მართლაც კარგად არჩევდა ურთიერთისაგან: „ისლის ღერსა და გემის ანძას“: ისიც იცოდა, რომ სწორედ სტალინის წყალობით აუწერეს მას სახლკარი და ხვალ-ზეგ თავის ფეოდალურ სასახლიდან ძველ, დანგრეულ საშინაყმოში გადააგდებდენ.

მიზეზი აქ სხვა იყო: მას გადაწყვეტილი ჰქონდა: რათაც არ დაჯდომოდა, არზაყანი დაეთრო. ქორწილის დაწყებამდის მან შუაკაცები მიუგზავნა არზაყანს: არაბია მიეყიდნა მისი სიძისათვის.

განაგონი მაქვსო: აგვისტოდან ინსტიტუტში შესვლას აპირებო ტფილისში, ცხენს თუ შეელევი, ჩვენ მოგვყიდეო.

არზაყანს გულმა რეჩხი უყო. ახლა კი მიხვდა, თუ რატომ მოსდევდა გვანჯ აფაქიძე არაბიას ასე გამალებული დოლის წინა დღეს? რად ათაბირებდა მას: „ცხენი ფეთიანია და გაგაფუჭებსო“. არზაყანმა თავაზიანი უარი შეუთვალა და უნდოდა იმ წუთშივე გასცლოდა იქაურობას, მაგრამ თამარმა არ დაანება, სხვა არა იყოს რა ნათლია ჩემია და პატივი ეცო მოხუცებულს ამბობდა თამარი.

ჰაზარტიანი ნათავადარი მაინც არ ისვენებდა. იცოდა: არზაყანი სვამდა, მაგრამ ჩალმაზის ერიდებოდა. ჩალმაზს სმა არ შეეძლო, ერთი ჯიხვის ყანწი და ათიოდე თასი კისერს მოსტეხდა. მერმე?..

მერმე... გვასალიას ბიჭი ამრეზილი იყო მასზედ. გვანჯ აფაქიძემ დაანანუსა ჯოტო, გვასალიას ბიჭი: ღვინოში შეიყოლიე, აფხაზური დუელი — „ხინტკირია“ ვათამაშოთო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თამარს, თავის ნათლულს ხელს წაავლებდა გვანჯ აფაქიძე. მთვრალი არზაყან თამარის ეშხით თავს გამოიდებდა, გვასალიას ბიჭი სატევრის წვეტის ორიოდე გოჯს შეუშვებდა მარცხენა ძუძუს ქვეშ.

მერმე, არაბიას უთუოდ მოიცილებდა კაც ზვამბაია, თავის შვილის უბოროტესს დემონს.

ამ სეფიდან ფხიზელს არავის გაუშვებდა გვანჯ აფაქიძე და მრუდე და მართალი ურთიერთში აირეოდა.

ქვეყანამ იცოდა: აფხაზურ ქორწილში რომ სიკვდილი ხშირი სტუმარია და ასე გამორწყული ჰქონდა გვანჯ აფაქიძეს ყოველივე წინასწარ.

თამადამ წამუყო და ჯიხვის ყანწი მარცხნიდან მარჯვნით შემოატარეს, ასე რომ უკანასკნელნი ჩალმაზი, არზაყანი და თარაშ ემხვარი დარჩნენ. მთლად უკანასკნელი თარაშ ემხვარი იყო, რადგან თარაშის შემდეგ ვილაც მარშანიას ქალი იჯდა თამადის გვერდით. ყველა უხმოდ და რიდით სვამდა ამ სადღეგრძელოს.

ჩალმაზს ვინ შესწამებდა სტალინისადმი სიძულვილს? მაგრამ არ იამა, ამ მელაძუამ სტალინის სახელი რად ახსენაო? არ დაელია არ იქნებოდა. ადგა, უსიტყვოდ გამოსცალა ჯიხვი არზაყან ზვამბაიას გადაულოცა. აზრაყანს გაეხარდა ჩალმაზმა რომ უსიტყვოდ დალია, თავათაც დიდი და ფაქიზი გრძნობით ამოსწურა, მარცხენა ცერის ნეკზე დააკაკუნა გადმობრუნებული ყანწის საპირეთი და თარაშ ემხვარს გადაულოცა.

თარაშ ემხვარ ზეწამოიჭრა, მცირეოდენი მოსვა, სავსებით გაწითლდა, მეტი ალარ შემიძლიაო, მოიბოდიშა და ჯიხვის ყანწი მორიდებულად დაუბრუნა „ანგელოსისპირიან“ ზესნას.

ყველამ იცოდა: თარაშ ემხვარ ჯეროვანად რომ ვერა სვამდა, რადგანაც უცხოურ ღვინოებს იყო ჩვეული.

ისიც ხომ ცნობილია: ვისაც კახური ღვინო ხანგრძლივად არ უსვამს ზედიზედ, იგი გაბმით ვერ დალევს კახურს.

ჩალმაზი თავათ ღვინის ამბავში ჩახედული არ იყო, მან სულ სხვა სარჩული გამოსძებნა თავის გუნებაში. იგი დარწმუნებული იყო: თარაშ ემხვარმა შეგნებულად არ დალიაო სტალინის სადღეგრძელო.

უკვე მთვრალი იყო ჩალმაზი, გაჭირვეულდა და აიჩემა:

„მე ხომ გეუბნებოდი ეგ შენი ძმობილი დიდი არამზადა ვინმეა მეთქი“. ძაბულიმაც გაიგონა ეს, შეეშინდა, ვაი თუ ჩალმაზი უარესად გაჭირვეულდეს და ამალამვე ჩხუბი აუტეხოსო თარაშ ემხვარს; უნდოდა არზაყან გაეფრთხილებინა, მაგრამ სიტყვა ენის წვერზე დაიჭირა. გაახსენდა: არზაყან რომ საშინლად იჭვნეულობდა თარაშ ემხვარის მიმართ.

როგორც ყოველი ევროპელი ქალი, კაროლინაც ცნობისა და ცოდნის მოყვარე იყო ფრიად.

სტალინის სახელის ხსენებამ სულ სხვა მხრივ მიმართა მისი გულისყური.

„წაიკითხეთ, ჰერ ემხვარ, ეუბნება იგი თარაშს „ფრანკფურტერ ცაიტუნგში“ ფელეტონები რომ იყო ამასწინად სტალინის შესახებ?“

„წავიკითხე, Mir ist vallkommen gleichgültig, was dlie europäischen Flachköpfe über ihn swätzen (ჩემთვის სულერთია ევროპელი პრტყელთავიანები თუ რას როშავენ). მანდ ბევრი სისულელე სწერია, უფრო მეტი ჟურნალისტური ზღაპარი. ევროპელმა ჟურნალისტებმა ბევრიც რომ იჭორავონ, ერთი რამ ცხადია: ევროპის ვერც დასავლეთი, ვერც აღმოსავლეთი ამჟამად სტალინზე უფრო დიდკაცს ვერ მისცემს ისტორიას“.

„ლუდვიგის ინტერვიუს გამო რას იტყვით?“

„რა აზრი აქვს სტალინის პეტრე დიდთან შედარებას?! ეს იგივეა: დევის ტანი კაცის მკლავით რომ გაზომო. გულწრფელად გითხრათ, მე უხერხულად მივიჩნევდი ამ აზრების საჯაროთ გამოთქმას, რადგან ამჟამად ეგზომ ძლიერი კაცის ქებას უცილოდ ახლავს ერთგვარი პანეგირიკის სუნი.

„Aber wollen wir abwarten was wird!.. *)

„ეს სულერთია ბოლოს და ბოლოს. შამილი ყეტონებს ურიგებდაო თურმე თავის მიურიდებს: ვისაც ომის შედეგები წინასწარ დააფიქრებს, იგი უთუოდ ლაჩარიაო, ზედწერებულა.

ისიც სიცრუეა, თითქოს თოფზარბაზნის მოგონების შემდეგ ვაჟკაცობას გასვლოდეს ყავლი. არც ერთ საუკუნეს ისე არ სჭირვებია გმირული პათოსი, როგორც ჩვენსას. რა უყოთ, რომ სტალინს, ცეზარის, ნაპოლეონის და სააკაძის დარად ხმალი არა ჰკიდია, იგი უხმლო გმირია თავათ ხმალივით ზეამოწვდილი“.

„მე მგონია, ნაპოლეონს ბევრ რამეში წააგავს სტალინი. შენიშნა კაროლინამ და გაფცქვნილი ნარინჯი მიაწოდა თარაშ ემხვარს.

ეს უცილოა: უფროსი ოდენობა ემრწემესით უნდა განიზომოს. ისინი უფრო მეტად ანტიპოდებია. ალექსანდრეს, ცეზარს და ნაპოლეონს გადამეტებული თეატრალობა ახასიათებდათ. როგორ გითხრათ.

Eine gewisse Koketterie vor dem Pöbel. **)

კერძოდ ნაპოლეონს ფრიად მოსწონდა პომპოზური პარადები, ტაულერის რაუტები, ლამაზი ქალების ანტაუჟარი, გულზე ხელების დაკრეფა, დემონიური თვალების ბრიალი... მუდამ ცხენზე იჯდა და ხმლის ვადაზე

*) ვნახოთ, რა მოხდება.

**) განსაზღვრული კოკეტობა ბრბოს წინაშე.

ხელის წავლება უყვარდა. წარმოუდგენელი რამაა ხრმლიანი, ან გულზე ხელდაჭდობილი სტალინი ჰამლეტურ პოზაში".

„ვგონებ ეს ასეა, მას პოზები არა სჩვევია". შენიშნა კაროლინამ.

„ნაპოლეონი მთლად პოზა იყო, მასში უთუოდ ძალადებული ფრანგულ-იტალიური ქარაფშუტური ყოყლოჩინობა. ამას მათივე პოეტებიც ახსენებენ ხშირად.

ბონაპარტე რევოლუციის შემდეგ აღორძინებული ევროპული წვრილი ბურჟუაზიის ღმერთი იყო. მაშინდელ ევროპაში მრავალმილლიონიანი პატარა ბონაპარტები ზიმზიმებდნენ. ყოველი ასეთი პატარა ბონაპარტე დიდ ბონაპარტეს ბაძავდა. პოზაში, ომახიანობაში, ჩაცმულობაში. და მას ბაძავდენ არა მარტო მისი მარშლები, არამედ მთელი ევროპის მეფეების, ჰერცოგების, თავადების და პრინცების ლეგეონები. სწორედ ისინი, ვისაც — „მემკვიდრეობის ვირებს" უწოდებდა იგი.

კაცმა რომ სთქვას, ეს სწორი იყო. ატომისტური თეორიითაც, ყოველი დიდი ორგანიზმი მირიად მცირე სხეულებისაგან შემდგარა მუდამ-ჟამს.

სტალინის ფრენჩს, მის კეპის, მის ჩექმებს, მის ჩიბუხს, დიდის სიყვარულით ატარებს არა მარტო ყოველი ცეკას მდივანი, არამედ ყოველი რაიკომის მდივანი, ყოველი მუშა და ყოველი შოფერი. ეგერ პატარა ჩალმაზი რომ ზის, იგიც პატარა სტალინია თავის კუთხეში; იგი ძლიერ ენერგიული, მშრომელი ვაჟია, მას მართლაც „პატარა სტალინს" უწოდებენ თურმე".

ჩალმაზს ჯიხვის ყანწის გამოცლის შემდეგ ცალი ყური თარაშ ემხვარისაკენ ეჭირა. მას გერმანელი არ ესმოდა, მაგრამ შენიშნა: სტალინს წარამარა ახსენებდნენ.

თარაშ ემხვარმა სტალინის სადღეგრძელო რომ არ დალია, მისთვის ცხადი იყო: ვილაც გერმანელი ქალი და „ნათავადარი" ემხვარი კეთილად არ ახსენებდნენ პარტიის ბელადს. იგი მთვრალი იყო. ბუნებით თავდაჭერილს სული კბილით ეჭირა და როცა მისი გვარიც ახსენა თარაშ ემხვარმა, ჩალმაზი სავსებით დარწმუნდა, რომ ისინი მასაც აძაგებდნენ და მის საყვარელ ბელადსაც. ჩალმაზი აენთო. მღელვარების განსაფანტავად მცირეოდენი ღვინო მოსვა.

„ნაპოლეონში გალური ყოყლოჩინობა ზომაზე მეტი იყო, განაგრძო თარაშმა. ჩვენებური ვაჟკაცობის წესია: ხამს ვაჟკაცი ისევე არ იმჩნევდეს თავის ვაჟკაცობას, როგორც ლამაზი დიაცი, თავის მშვენებას. ნაპოლეონის ომები ლაიპციგში, იენაში, შარლერუასა და ბოროდინოში თეატრალურ ილლუმინაციებს წააგავდა. სტალინი მთელი ქვეყნისგან დაფარულად იხდის ალბად ამათზე უმძიმესს ომებს მარტივად მორთულ გენსეკის ოთახში. ჯერ ჩვენ სავსებით ვერ დავინახავთ მის სი-

დიდეს, რადგან ბევრი რამ არ ვიცით. ან ვის შუძლია მყინვარის სიდიადის შენიშვნა, უკეთუ ახლოს მიეჭრა მას?!"

„თქვენ როგორ გგონიათ ჰერ ემხვარ, ქართველები უფუფლ იამაყებენ მისი სახელით?"

„მე ვფიქრობ, კეთილო ფრაუ, ჭკვათამყოფელნი ქართველთა შორის, უთუოდ ამაყობენ კიდევაც რომ ის ქართველი კაცია.

პატარა ერებს დიდი ცივილიზაციური ტექნიკის მოცემა აროდეს შესძლებიათ. მათ ეს შესძლებიათ მუდამ: პოლიტიკის დიდი თავკაცების, დიდი სარდლების და პოეტების მოცემა. მე დარწმუნებული ვარ, ვერც ერთი მრავალრიცხოვანი ერი ჰომერს, ალექსანდრეს და პლატონს ვერ მოგვცემდა.

მე თქვენ გაჩვენეთ ამას წინად ფრანგი ჯვაროსნების ცნობები თამარის შესახებ. თამარს დიდზე დიდი სახელი ჰქონდა წინა აზიაში. არც თამარს, არც დავით აღმაშენებელს და არც ერეკლეს სტალინის ოდენა სახელი არ მოუხვეჭიათ.

„კი მაგრამ... და კაროლინამ ვერ მოასწრო წინადადების გათავება. თამადამ მყუდროება მოითხოვა, შარდინ ალშიბაიას მისცა სიტყვა. შარდინმა დიდხანს იბრძოლა, შემდეგ სიტყვა მიუგდეს და მოყვა შარდინ ალშიბაია გაუთავებელ ალილუიას. მას არ ესმოდა, რომ დიდკაცის ქებაც ვერ გამოისყიდის უნიჭო ლაპარაკს. და არც ის გაეგებოდა რომ ისეთი ბრძენნიც არიან ამ ქვეყნად, რომელთაც არც ბრძნული რამ უთქვამთ ოდესმე, არც გაუკეთებიათ, მაგრამ ბრძენის სახელი მოუხვეჭნიათ, რადგანაც თავიანთ სისულელის გამხელას დუმილს არჩევენ მუდამ.

„ერთი დიდი კაცი მთელს ერს უდრის ხანდახან. და ისტორიაში ისეთი მომენტიც დგება, რომ იმ კაცის გამარჯვებაზე ჰკიდია მთელი ერის პრესიტჟი". განაგრძო თარაშმა.

„ვგონებ ჰიტლერი და მუსოლინი თუ შეედრებიან სტალინს?"

„მუსსოლინი ახალგაზრდობაში უფრო მეტად ჰქუხდა. ცუდია, როცა ახალგაზრდობაში მომეტებულის ქუხილით გამოდის კაცი. ფორტისიმოთი დამწყები, პიანისიმოთი რომ გაათავებს.

ჰიტლერი?? იცით კეთილო ფრაუ, არკი გამიჯავრდეთ და გულწრფელად გეტყოდით: თქვენ, გერმანელებს პოლიტიკოსებში ბედი არა გქონიათ. თქვენი მამაცი მხედრების ხრმალით მონაგარს თქვენივე პოლიტიკოსების კალამი ანიავებდა მუდამ. მოლტკეს მონაგები, ბისმარკმა თავის რევანშის პოლიტიკაში წააგო, გინდენბურგისა და მაკენზენის შემონახული, შესაძლოა ჰიტლერმა მისცეს ნიავქარს. სწორედ ჰიტლერის გამო უნდა მოგახსენოთ: არც ის ვარგა, როცა პოლიტიკოსი პოეტსავით ორატორობს, ხოლო პოეტი პოლიტიკოსსავით ქადაგებს".

სამწუხაროდ მე მწერალი არ გახლავართ, მაგრამ ყველანაირ ესთეტის თვალით შევცქერი. თუმცა უნდა გამოგიტყდეთ მე მძაგს კიდევაც ხელობით პოეტები და ხელობით ესთეტები.

ადამიანზე უფრო უცნაური, მაღალი და მშვენიერი [illegible] ამ უცნაურ მიწაზე. მე პირადად ყველგან ორ რამეს ვაფასებ: ძლიერებას და მშვენიერებას. ძლიერი არ შეიძლება მშვენიერი არ იქნეს. ნაპოლეონმა ხრმლით დაიპყრო გერმანეთი, უუშესანიშნავესი ლექსები სწორედ გერმანელებმა უძღვნეს ბონაპარტეს. დიდი კაცისთვის თვალყურის დევნება ბუნების სტიქიონის მზერასავით საამურია. ჩვენ რომ შეგვეძლოს ვულკანის ერუპციას, ან სხვა პლანეტების მეწყერებს უვნებლად ვუმზიროთ, თანაც ვიცოდეთ, ეს ჩვენ ვერას გვავნებს, გაგიხარიათ ეს დიდი სეირი იქნებოდა. ის გრიგალები, რომელიც სტალინმა აღძრა, ყოველ ჩვენგანს ეხება, უცილოდ. ზოგს ცეცხლის თქეში ანადგურებს, ზოგსაც ვეება ბელტები ეცემა, ზოგი ისრისება, ზოგი ნადგურდება, ამიტომაც მრავალთაგან მრავალს მისი ეშინია, მრავალზე უმრავლესს უყვარს იგი.

ამას წინად მისი 50 წლის იუბილე რომ გაიმართა, ალბად რომის პაპმ ათასგზის ჯვარს გადასცა ეს „ანტექტრისტე", კენტერბერიისა და კელნის ქორეპისკოპოსებმა მრავალგზის შეაჩვენეს იგი უთუოდ. და მის სახელის ხსენებაზე ყოველდღე ზანზარებენ ევროპის და ამერიკის მეფეების, ბანკირების, ნავთის, ნახშირის, პურის და ოქროს მაგნატების ვილლების ფანჯრები".

XVI. ნილაბი თეთრი და ნილაბი წითელი

სტალინის სადღეგრძელოთი შეჰკოჭა და გააერთიანა თამადამ სუფრა. თამადა გველივით ბრძენი იყო, იცოდა: რაიმე ფრიად სერიოზული მოსაწყენია ხანგრძლივად, თვალი ჩაუკრა გვასალიას ბიჭს და ცეკვა დაიწყეს. გამოვიდა პირმშვენიერი ზესნა, გაშალა მკლავები და დაფარფატდა წრეში. ცეკვავდა ზესნა და მისი მარწყვისფერი პირი ღიმილს გაეხლიჩა უცნაურს.

დარიალებდა ზესნა მოჯადოებულ წრეში, აღეზიანებდა ვაჟკაცებს თეძოების სისავსით და გათქვირული მკერდის ნელი შეტოკებითაც. მაშინ ჯოტომ გვასალიას ბიჭმა ხელი წაავლო ჯვებეს, თაგვისფერ ჩოხიანს. გაშალა თავისი დევკაცური მკლავები ჯვებემ, და გაუსვა გრძელი და წვრილი ფეხები, ჯერ იყო და ლეგა ძერასავით მისდევდა გოგვით მიმავალ ანგელოსისპირიან ზესნას. მაგრამ ზესნა გაურბოდა ცეკვისაგან — ოდნავ წამოწითლებული, კეკლუცად, კოკეტურად განზე იწეოდა, მივრბივარ, მივჰქრივარ ველარ დამეწევიო.

აიმღვრეოდა ვაჟკაცი და გახელდებოდა, [illegible] ზესნას ანგელოსისპირიანს. დაეწეოდა, გეგონათ ხელს [illegible] მოკრძალებულად

საქართველოს [illegible]

შეხედავდა და მაშინ ზესნა გაინაბებოდა როგორც ბერის ბალანჭებში მომხვდარი ონაგა. ცოტა ხანს ცეკვავდა მის სიახლოვეს და შეძდეგ ძარდად გაუძვრებოდა აწეულ მკლავ ქვეშ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაწითლდა უარესად ზესნა, როცა ტაშმა დაიგრიალა ბოგვლივ და ცეკვის მოთავებისას ხელი ჩამოართვა ჯვეგემ.

ერთმა უნიათო წყვილმა კიდევ ჩამოუარა.

საზოგადოებას მოსწყინდა.

ახლა თამარს შეუჩნდა გვასალიას ბიჭი. არზაყან ამრეზილი შესცქეროდა გვასალიას ბიჭს, რადგან იგი ძალიან ახლოს მიეჭრა თამარს. სახე სახესთან მიუტანა, მკლავზე ხელი წაავლო, ისიც შეამჩნია არზაყანმა თუ როგორ გაუწითლდა მაჯა თამარს, გვასალიას ბიჭის მიერ ხელწასავლები. თამარ უარზე იდგა, მთელი სუფრა ამჩნევდა მოწყენას შერვაშიძის ქალს, ამიტომაც მთელი სეფა ეკვედრებოდა: ეცეკვნა. შოფერები ჭიქებს აჩხრიალებდნენ, ვაჟები და ქალები ტაშს უკრავდნენ.

ადგა თამადა, მივიდა, შუბლზე აკოცა თავის ნათლულს. ეკვედრა, ეხვეწა. მამა დააფიცა, ხერიპსი საყვარელი ძმა. თამარ უარზე იყო, ემუდარებოდა ნათლიას: თავი მტკივა ნუ მაცეკვებო, მაგრამ თამადა არ მოეშვა და რა შენიშნა ნამეტნავად გაჯიქდა თამარი,

დედა შენის ჯახანას სულს გაფიცებ იცეკვეო.

ადგა შერვაშიძის ქალი და შეიქნა ტაშის გრიალი. მეტაშეთა შორის მრავალი იყო შერვაშიძეების ნაყმევი, რომელთაც ამ გვარის ხსენებაც სძაგდათ, მაგრამ მაინც ტაშს უკრავდნენ აღტაცებულნი.

გამოვიდა თამარი მშვიდი და მწყაზარი. შეეფიარა წრე მთვარეულსავით ფერგამკრთალმა. ცეკვავდა, ტანკენარი თამარი. ელამუნებოდენ მის ქალწულურ თეძოებს ულოსავით დაგრეხილი მძიმე ნაწნავები.

დაგოგავდა კაბის ქუბებს ქვეშ ორი, პაწია მტრედის ხუნდი. ნელნელა შედიოდა ცეკვის ჰაზარტში ქალი.

არის ერთი ფრესკა მცხეთის ტაძარში, სამაიას მოცეკვავე ქალები ჰქვია იმ ფრესკას.

იმ ქალთა შორის ერთია ქართულად თავდახურული, მაღალი შინდისფერ ქოშებიანი. თავი ოდნავ ზეაწეული აქვს და თვალებზე მცირე რამ ბლონდი აქვს აკრული, ისეთი როგორიც ვენეციელ ქალებს საშუალო საუკუნეში ნიღაბის ნაცვლად სჩვევოდათ. იმ შინდისფერ ქოშებიან ქალს ჰგავდა თამარი როდესაც თავს ზეასწევდა, წამწამებს დახრიდა და ჩრდილი ადგებოდა მოცეკვავეს თვალებზე. შორიდან უთუოდ ეგონებოდა მომზერალს: თითქოს ნიღაბად ბლონდი რამ აქვსო.

წრეს უვლიდა თამარი თითქოს ოცნებას აჰყოლიაო და ბედის საძებრად მიდისო თვალახვეული. და ისე სუბუქად სწევდა ზევით ხელს, თითქოს ხელები კი არა, ფრთები გამოსხმიაო და ეს ეთეროვანი სხეული დაჰქროდა, დარიალებდა წრეში, ბურანში გართულ მთავრეულსავით.

შეუფაკლდა ოდნავ გამკრთალი ღაწვები. აჩქარდა რიტმი, ფარფატით, რიალით დაჰქროდა თითქოს ვნებისგან თავბრუ დაესხა.

ახლა ონდავ შეანელა ცეკვა, თითქოს ვიღაცას შეაქცინა ბალი. ზეასწია გრძელი და ხშირი წამწამები, მიაშტერა სივრცეს ხლვისფერი თვალები. იღიმოდა ისეთი ბავშვური ღიმილით, თითქოს არც კი იცისო რომ ბალლი აღარ არის და ყველას ისეთი შთაბეჭდილება ჰქონდა: თავათ ღიმილს შეუსხამსო ხოცი და დაფარფატებსო ღიმილი საქორწინო სეფაში. არავინ გამოდიოდა მასთან საცეკვავოდ, თითქოს ვერავინ ბედავდა მასთან გატოლებას.

სილამაზეს დიდებულს ხანდახან სჩვევია: შიშის მომგვრელი ზედგავლენის მოხდენა. მხოლოდ თავხედი არ ეკრძალება მას ასეთ წუთებში. (ამიტომაც ულამაზესი უმამაცესს კი არა, უთავხედესს შეხვდება ხოლმე).

გვასალიას ბიჭი ქალაქში ნათრევი იყო, რა ნახა მოკრძალებული ვაჟკაცები დაფრთხნენო, ადგა და თავათ გაუწოდა თათი ლომის კერძს. ადგა და თავათ დაიწყო ცეკვა.

გვასალიას ბიჭს ნახანჯლარით დამახინჯებული და ისედაც მოკლე ნიკაპი ჰქონდა, კაპუეტსავით მოდრეკილი ცხვირი, ხორბლის ფერი, წვრილი თვალები. ოდნავ მოხრილი იყო წელში და ცეკვის დროს ისე იგრიხებოდა, მართლაც მიმინოს ჰგავდა, ისეთ წუთებში, როცა მიმინო მწყერს წამოეწევა, მზადაა ჰაერში მალაყა გააკეთოს და ქვევიდან ამოჰკრას ზემავალს ჭანგები.

და მისდევდა გვასალიას ბიჭი წრეში მორიალე თამარს.

ბიწიერებას სჩვევია ასე: გამოუდგება უბიწოს ურცხვად, რათა თავათაც მოეცხოს რამე. ხელები ძირს დაუშვა თამარმა და ცეკვით წაგოგდა განზე. ისევ აღმართა მარჯვენა ზევით. სიზმარივით ხელში შემოადნა კავალერს. გახელებული მიჰქროდა გვასალიას ბიჭი, წაერთოო თითქოს გონების ძალი. წამოეწია დასასრულ და ასე იტყოდით: მკერდში ჩაიკრავს და არ მოეშვებაო.

შესდგა თამარი და ცეკვავდა მორცხვად თავდახრილი და უცებ ასწია თავი და გაუსწორა მშვიდი მზერა კავალერს.

შესცქეროდა, უღიმოდა მწყაზარი.

ეს ასე სჩვევია ხანდახან სილამაზეს, როგორც მზეს უშუროს და მადლითმოსილს. (თანაბრად უღიმის იგი ღირსეულსა და უღირსს, კეთილოვანს, უზადოს, უზომოდ წაბილწულს). და აჰა ერთ წუთში მზერა აარიდა ჭაბუკს. თითქოს შეიცნოო იდუმალი სიმრუშე მისი. ტორტმანით, ფარფატით, ტაატით, გაფრინდა, გაცქრიალდა და შორიშორს დაიწყო ცეკვა. ისევ გამოუდგა გვასალიას ბიჭი. (ისევ წამოეწია ხოხობს ფრთამალი ქორი) და მერმე სულ ახლოს, გულმკერდთან მიეჭრა, მთვრალი და მრუში თვალებით უმზერდა უბიწო ძუძუმკერდს.

არზაყანს ბრაზისგან სახე აერია. ძაბულიმ ეს შეამჩნია, შეამჩნია, არ კი შეიმჩნია. კაროლინა და თარაშიც გამალებული თვალს ადევნებდნენ, თარაშიც ღელავდა, მაგრამ თავს იკავებდა, პაპიროზს სწევდა ზალიმალ. შეეშინდა ერთბაშად: დუმილმა არ გამთქვასო, ლეკურის ცეკვაზე დაუწყო საუბარი კაროლინას.

ვერც ერთი ევროპელი ქალი ლეკურს და უზუნდარას ვერ იცეკვებსო. ეს უკანასკნელნი მენუეტსა და ვალსებზე უფრო რომანტიულნი არისო. ფოქსტროტი, ტანგო და „დათვური ცეკვა“ ევროპის სნობისტური კულტურის ნაშხეფიაო.

„ამ მთის ნადირი ხარ
იმ მთისა მშველი,
მინდვრიდან მოდიხარ
ნამცივნი, სველი“.

მღეროდნენ ტფილისელი ტრაქტორისტები.

ახლა ფერხული იცეკვეს ჯვარელმა ალანიებმა. ხელები ხელებზე წაავლეს ერთმანეთს. ფეხები როკავდნენ უცნაურ რიტმს აყოლილნი. ერთი ჰყივოდა, წინამძღოლობდა სამეულს. შედრკებოდა წელში გაზნექილი, მუხლის თავს დასცემდა ხანდახან მიწაზე, ხანაც ირიბად გაიწვდიდა ცალფეხს, შეტორტმანებოდა, უკანალს დაჰკრავდა სოხანეს. შეტოკდებოდენ სამნივე მყისვე, დაიწყებდენ აღტყინებულ როკვას. და ასე ერთ ადგილზე როკავდნენ ექსტაზში შესულნი.

და თარაშ ემხვარის ფიქრი მყისვე იმ ბნელ დროს ეწვია, როცა ცოცხალნი წარმართნი როკვით სთელავდენ მკვდარს.

აკვირდებოდა თარაშ ემხვარ ნაბდის ბაჭიჭებიან ფეხების როკვას და ეს ბეწვიანი ფეხები მდევებისას მოაგონებდნენ.

გვასალიას ბიჭი კაროლინას დაადგა თავზე. თავის ჩიქორთულა რუსულით რაღაცას ეჩურჩულებოდა. ვნებით აღრეული თვალებით დეკოლტეში ჩასცქეროდა, მკლავებზე ელაციცებოდა.

თარაშს შეეცოდა თამარი, მდუმარედ, მოწყენილად მჯდარი. ერიდებოდა საზოგადოებაში თამართან გამოლაპარაკებას, მაგრამ მთვრალი იყო და წესი დაარღვია.

„რათ სდუმხარ ასე, ნუ თუ ვერ ამჩნევ, რომ ეს უხერხულია საზოგადოებაში?“

„მე საზოგადოების აზრს ნაკლებად ვუწევ ანგარიშს. თავი მტკივა რა ვქნა?!“

„ადექი, გავიაროთ ცაცხვებისაკენ“.

„როგორ ცაცხვებისაკენ?..

„ილორის ეკლესიის ცაცხვებისაკენ“.

„რას ამბობ თარაშ, ახლა აქედან რომ ავდგეთ, რას იტყვიან?“

„მე შენ გარწმუნებ მაგ ხალხის აზრს, იმ ცაცხვებისთვის ერთხელ თვალის შევლება სჯობია“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თამარმა იგრძნო პირუკმობაში დაიჭირეს.

გაიტრუნა და წამწამები ძირს დაუშვა. საკუთარ ბალიშზე დაჯერდა, მუხლის თავზე დაწყობილთ. თარაში კი გაებუტა და დადუმდა. თამადამ გვასალიას ბიჭი დასაქმა.

თარაშმა მოურიდებლად მკლავზე ხელი წაავლო კაროლინას და თამარის გასაგონად ეუბნება:

„ნუ თუ არ დაიქანცეთ? ავდგეთ, გავისეირნოთ, ეზოში მშვენიერი მოლია და მთვარიანი ღამე“.

„Gern“ *) მიუგო კაროლინამ და სუფრიდან ადგა.

„ეგებ თამარიც წამოვიდეს?“ წაილაპარაკა კაროლინამ და თამარს გადახედა. თამარი სდუმდა და თარაშმა დაასწრო: მე მას ვთხოვე და უარი სთქვაო.

თამარმა ეს გაიგონა, თავი ძირს დაჰხარა, ისეთი შთაბეჭდილება შეექმნოდა მაცქერალს, თითქოს წინდებს ისწორებსო. თამარს ონდავ აუჭრელდა თვალი, თითქოს სახსრები მოეშალაო, მერმე შუბლზე გადაისვა გაცივებული ხელი და როცა წელი გამართა, იგრძნო: წელი ეტკინა უზომოდ და სკამის ზურგს მიეყრდნო და დიდხანს, დიდხანს იჯდა ასე გარინდებული. არზაყანმა ეს შენიშნა, მაგრამ არა უთხრა რა და რიგს გარეშე დალია ჭიქაში დარჩენილი ღვინო.

თარაშ და კაროლინა დიდხანს მიდიოდენ ხმის ამოუღებლად. თარაში გრძნობდა კაროლინას ფაფუკი სხეულის სიახლოვეს. იგი ღელავდა და არას ამბობდა. მიდიოდენ ორას წლოვან ცაცხვების ჩრდილს ქვეშ და ამ ჩრდილიან არეში მიმავალი თარაში ამჩნევდა; მიწაზე მოხატული ნაქსოვ-სდარი ფოთლების ჩრდილები ინძრეოდა და მას ისეთი გრძნობა ჰქონდა, თითქოს მიწა ტორტმანობდა მის ფეხებ ქვეშ.

რომელიღაც ფრინველმა გაიფრთხიალა ცაცხვის შტოებში.

„თქვენ ძლიერ სასტიკად ექცევით თამარს“. ეუბნება კაროლინა თარაშ ემხვარს.

„?? სასტიკად?

„არა, გამოტყდით. მე თვალყურს გადევნებთ. ცოდვაა თქვენებური ქალი. თქვენ ტირანები ხართ, სულერთია მამა იქნებით. საქმრო თუ ქმარი. თქვენ არ იცით რა მოითხოვოთ ქალისგან, თუ თავისუფალი ქცევა გამოიჩინა, კახპაოო იტყვით, თუ თავი შეიკავა, პურიტანი ხარო, და თქვენ გავიწყდებათ, რომ თქვენი ქალები ორ ცეცხლშუა არიან, აგერ ორიოდე ნაბიჯზე ჩადრია და ჰარემი. თქვენ უკიდურესი აზიელის და ევროპელის კაპრიზები ურთერთში აერული გაქვთ. როცა ქალი საყვარლად გინდათ,

*) სიამოვნებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მისგან თავისუფალ ქცევას მოითხოვთ, როცა მას ცოლად გაიყვანთ, მერმე აზიურ კარჩაკეტილობას“.

„რატომ ამბობთ ამას ფრაუ?“

„აბა რად არ წამოიყვანეთ ახლა თამარი?“

„გინდოდათ წამომეყვანა?“... ეს უთხრა და სახე სახესთან მიუტანა თარაშმა.

„არა, ჩემთვის სულ ერთია, მაგრამ შევატყვე: მას უნდოდა ჩვენთან წამოსვლა“.

„მე მას ვთხოვე და უარი სთქვა“.

„მან უარი სთქვა მარტოკა წამოსულიყო თქვენთან“.

თარაშ ემხვარს შერცხვა, როცა ამხილეს... ორივენი დადუმდნენ და მაშინ თარაშ ემხვარმა ახლოს, ძალიან ახლოს მიიხუტა კაროლინას მთრთოლვარე ტანი და ასე მიმავალნი სუროიან გალავანს მიადგნენ სუროთი დაბამბულს. უარეს გარს და ერთ ადგილას მიაგნეს კარის მაგვარ არეს. კაროლინამ ფეხი ვერ ააწვდინა ნანგრევის ფუძეს. თარაშმა ხელში აიტაცა და ზედშესვა. თავათ ისკუპა. გალმა მოექცა და ისევ აიტაცა ხელში კაროლინა. გულზე მიიკრა მისი ჩაქვირითებული მკერდი და ასე ატარა, ვიდრე უშველებელ ლოდს არ მიაგნო ხავსიანს. ზედ დააწვინა კაროლინა.

და გაზაფხულის ღამის სურნელებით გაბრუებულნი დიდხანს იწვნენ და კოცნიდნენ ურთიერთს.

ნამრუდისფერი ცა ზედეხურა ილორის მდუმარე სილუეტს, ამ უშველებელ კიპაროსებს, მითიურ შავ შანდლების დარად ეკლესიის გარშემო დადგმულს. ერთ მათგანს დააკვირდა თარაში. შუაში გახლეჩოდა წვეტი, ასე ალანძულიყო ცად, უზარმაზარი რქაი სატანისა. და ერთიც გრიგალს დაერისხა, სინორჩიდანვე დაგრაგნილიყო მიწისპირის გასწვრივ და დაღვარჭნილი, დაგრეხილი ტანი აეყარა ცაში.

შესცქეროდა თარაშ ემხვარ ამ ცას, ამ გუმბათს, ამ გუნდას ხეებს, როგორც კი კოცნისგან იჯერებდა გულს. და როცა ვნება დაცხრა, თარაშმა თავი გადაუწია კაროლინას ილორის კუპრისფრად გაშავებულ ლანდისაკენ მიახედა.

აკოცა ტუჩებში და ეუბნება: ათასი წელი გადმოგვცქერისო ამ გუმბათიდან.

ასე უთხრა კაროლინას, მერმე ილორის შავ სილუეტს შეხედა, კიდევ შეხედა და კიდევ აკოცა კაროლინას.

*

* *

თავმოდრეკილი იჯდა დამარტოებული თამარი. შეეშინდა: არ შემეჩნესო მოწყენა. ზესნა მოიხმო, უსაზმნო საუბარი დაუწყო.

არზაყან ზედიზედ სცლიდა კვლავ შემობრუნებულ ბოთლებს, ხიკვებს, ჭინჭილებს და ჩაის ჭიქებს.

ჯერ იყო და გაეხარდა არზაყანს, თარაშ ემხვარ რომ გაბედავ. უნდოდა ამდგარიყო. გვერდს მოჯდომოდა თამარს, მაგრამ ცალკერძ ძაბულისა ერიდებოდა, ცალკერძ ჩალმაზისა. ამასობაში გვასალიას ბიჭი მიეჭრა და ზესნას ამოუდგა გვერდით. ხან ზესნას ელაციცებოდა, ხან კიდევ თამარს. ზესნა სუფრის ბოლოში გაიხმო ვიღაც თმაჭალარა მანდილოსანმა, გვასალიას ბიჭმა იდროვა, გვერდით მიუჯდა თამარს. თამარს არ იამა, მაგრამ თავი შეიკავა. ხედავდა არზაყან თუ როგორ მთვრალი იყო გვასალიას ბიჭი, იგი თავს ვერ იკავებდა და დაუცხრომლად ელაციცებოდა თამარს. ტუჩპირი მის ყურთან მიჰქონდა, იდუმალად ეჩურჩულებოდა. თამარი განზე იწევდა. გვასალიას ბიჭი მაინც არა სცხრებოდა. ისევ მოიხმო თამარმა ზესნა. თავი მტკივა, სადმე მომასვენეო. წავიდა თამარი და სტუმრებიც აიშალნენ.

*
* *

გვანჯ აფაქიძემ მკლავში ხელი წაავლო გვასალიას ბიჭს. გარედ გაიყვანა თუ არა, მიიხედ მოიხედა ირგვლივ. მთვარე ანათებდა დაცვარულ მოლს.

„უნდა გითხრა რამე“... ეს უთხრა და ცაცხვის ძირს ჩამოჯდნენ ნამორზე.

„რა იყო ძია გვანჯ?“

„მოგეწონა ბიჭო?“

„ვიზე ამბობ ძია გვანჯ?“

„ვითომ არ იცი შენმა გაგლეჯამ“.

„ოო... თამარი? მირონის გოგოა, მიუგო ქალაქურად გვასალიას ბიჭმა, ეშმაკს მივყიდი მაგისთვის სულს“.

„ჩემი ნათლული გახლავს“.

„მერმე რა?“

„მერმე და ახლა შენზეა საქმე. სატევარს მაგრად უნდა მოუჭირო ვადაში ხელი“.

„თუ მარტო ესაა, არაფერია, მე ისედაც მწყუროდა არზაყანის სისხლი ძია გვანჯ, მაგას შევჭამ, მაგ ლორის დასმულს“.

ორივენი სდუმდნენ მცირე ხანს.

მამალმა იყივლა მახლობლად.

ფიქრში წასული გვანჯ აფაქიძე შეაკრთო ამ ხმამ. თითქოს ლომის ლრიალი შემოესმაო მოულოდნელი.

„ადე, ჩვენს საქმეს ვეწიოთ“.

სეფაში შესულებმა მოცეკვავეთა წრე გაიარეს. ახლა ხინტკირია უნდა ვათამაშოთო აიჩემა გვანჯ აფაქიძემ. ძაბული არ შორდებოდა არ-

ზაყანს. იცოდა მას ჭირვეულება სჩვეოდა სიმთვრალეში. ჩალმასზაც არად აგდებდა ასეთ წუთებში. ღვინო დავლიოთო კიდევ, ეხვეწებოდა ჩალმაზს. და ჰკოცნიდა ტუჩებში. ცუდ გუნებაზე ვარო, ღვინო მაქ ეთო.

გვასალიას ბიჭმა მასრები ამოიღო. თეთრი და [illegible] შავი ვისაც შეხვდეს იმას შევუხვიოთო თვალები.

ჯვებეს ერგო პირველი შავი.

ჯვებეს თვალი შეუხვიეს და ფარიკაობის დროს გვასალიას ბიჭმა განზრახ გააგდო ხელიდან სატევარი. ახლა ჯოტოს აუხვიეს თვალი.

წილის ყრა არ მინდა, ვინც ვაჟკაცია, თვალახვეულს მეფარიკაოსო, ყვიროდა თვალახვეული ჯოტო გვასალია.

არზაყან ძაბულის გვერდით იდგა. შეხედა გვასალიას ბიჭს და ხმამაღლა ჩაილაპარაკა: თავპირახვეული უფრო ლამაზი ყოფილაო ჯოტო.

ჯოტომ ეს გაიგონა, არზაყანის ხმა შეიცნო.

„ბიჭი ხაო და გამოხვალ არზაყან. თვალახვეული შეგებმებიო. ასე იქადნოდა.

არზაყანმა ძაბულის მკლავი შეუშვა. ჯვებესთან მივიდა, უკითხავად ამოაძრო სატევარი და წრე გაარღვია. გვანჯ აფაქიძე ჩალმაზს მიეჭრა: მთვრალია დაუშალეთ, ნუ ფარიკაობსო. ჩალმაზი სდუმდა უზომოდ ამრეზილი.

ახლა არზაყანთან მივიდა: მე თუ გიყვარდე სატევარს ხელი უშვიო.

არზაყანმა უკმეხად შეუბღვირა. თვალი ამიხვიეთო, მრისხანედ უბრძანა. გვანჯმა ფრიად გახაწყენი სახე მიიღო, მოატანინა ჯვებეს თავისი შინდისფერი ჩაბალახი და მაგრად აუხვია თვალები არზაყანს.

გვასალიას ბიჭს თეთრი აბრეშუმის ჩაბალახით ჰქონდა ახვეული თვალი, ასე რომ იგი ოდნავად ხედავდა თუ როგორ მოძრაობდა წითელნილაბიანის ლანდი. წითელნილაბიანი და თეთრნილაბიანი ბრმებსავით დაბორიალებდნენ წრეში.

თეთრნილაბიანს სატევარი ჯერაც არ ამოეღო, ხელში მასრები ეჭირა და არიკრიკებდა. წითელნილაბიანი ხმას მისდევდა სატევარამოწვდილი. ძაბულიმ ვეღარ შესძლო ამ ამბის ყურება. მოისაზრა: თამარს გავაღვიძებ, ეგებ თამარმა გააწყოსო რამე.

ბევრი ეძია არზაყანმა ჯოტო და მერმე პირდაპირ გაეშურა მისკენ მდუმარე ლანდი. ჯოტო ხედავდა მომავალ არზაყანს და უცებ გადაყარა მასრები და სატევარი იძრო.

შეებნენ ურთერთს ჯოტო და არზაყან.

სატევრების წვეტები აწკრიალდნენ, (როგორც უეცრად გახმიანებული ძველთაძველი მტრობა,) კენტი და ლუწი, კენტი და ლუწი.

კენტი, კენტი.

ლუწი...

წკრიალებდნენ სატევრები, ელავდნენ ჰაერში.

თეთრი და წითელი ნიღაბი ეძებდნენ შემთხვევას ახლოს მიჭრილიყვნენ ურთიერთთან. გვანჯ აფაქიძეს უშველებელი, ბრჭყალებიანი სატევარი ეჭირა ხელში და მეფისტოფელსავით დაბობღავდა წრეში.

შედრკა გვასალიას ბიჭი, აარიდა პირი წითელნიღაბიანს, ნელნელა დაიხია უკან. ამოიძრო გვანჯმა მასრები, ხელში მიაჩეჩა გვასალიას და ისევ დაიწყო მასრების რიკრიკი. არზაყან ოდნავ ტორტმანობდა სიარულისას, მაგრამ მაინც გაცხარებული დაეძებდა მოპირდაპირეს. სიკვდილის სუნი დატრიალდა სეფაში.

ისევ სეფის კუთხეში მიიმწყვდია არზაყანმა ჯოტო გვასალია. ისევ გადაჰყარა გვასალიამ მასრები და ისევ გააშიშვლა თავისი სატევარი. ელავდნენ, წკრიალებდნენ სატევრები და გვასალის ბიჭი ხუდავდა თავის გამსჭვირვალე ჩაბალახიდან, თუ როგორ მოიწევდა მისკენ წითელნიღაბიანი არზაყან.

მოეცარა ხელი არზაყანს, რადგან ისე მძლავრად შემოჰკრა გვასალიას ბიჭმა, კინაღამ ხელიდან არ გაუვარდა სატევარი. მაშინ მოაგონდა არზაყანს თუ როგორ ეციგლიგებოდა იგი თამარს წელან და ბრაზმორეულმა კვლავ მიიტანა იერიში. დაწინაურდა გვასალიას ბიჭი, მაგრამ ისევ უკუაქცია იგი არზაყანმა, ახლა თავათ შეუტია, თავათ გადავიდა იერიშზე არზაყან.

აენთო ბრაზისგან ჯოტო, მოიგონა, რომ სწორედ ამ წითელჩაბალახიანმა შეიპყრო იგი შარშანწინ. ორი ნაბიჯი წინ გადმოდგა ზედიზედ ჯოტომ და მისი სატევარი არზაყანის ხანჯლის ვადამდის მისწვდა. და სეფაში მოგროვილი ხალხი ზარების ხმამ ააზიმზიმა.

იდროვა ჩალამაზმა ამ აურზაურით, წრე გაარღვია, მიეჭრა არზაყანს და ძალით მოჰხადა ჩაბალახი.

რეკავდნენ ილორის ზარებს, სეფა მთვრალი ხალხით იყო გავსილი, ყველას ასე ეგონა: ცეცხლი გაჩენილაო სადღაც.

არლანი ყველაზე გამჭრიახი აღმოჩნდა. მან „მურილიოს ბიჭი“ მოიხმო. ილორის კომკავშირის რაიკომის მდივანი ცავა ახმობინა და დიდხანს ეჩურჩულებოდა სეფის კუთხეში ცავას.

ჯოტო გვასალიას ბიჭი დაწრიალებდა სეფაში, ამაოდ ეძებდა თამარ შერვაშიძეს. როცა დარწმუნდა, რომ იგი უკვე ქალების ოთახში იქნებოდა გასული, ზესნა აფაქიძის ქალს დაუწყო ძებნა.

XVII. ქვესკნელის გულგულები

იდგა ილორის ჩამოლამებულ სამრეკლოს თავს ქვეშ ლუკაია ლაბახუა. რეკავდა, გასცქეროდა ზღვისკენ გაჭრილ ხმას ზარისას; თითქოს ხმა როდი ყოფილიყო ეს, არამედ უზარმაზარი შავფრთიანი ფრინველი.

გრუხუნით მიჰქროდა ილორის დიდი ზარის გრიალი სივრცეში.

ბარბაცით, ტორტმანით, ბუბუნით, მიგელავდა მთვრალი, თავაწყვეტილი დევი, ხევსა და ხევს შორის, გახმიანებული. იარა ასე ფიქროს მიგორავსო დანჯღრეული რონოდა და ერთბაშად დაბრუნდა [illegible]

კიდევ მოზიდა თოკი ლუკაია ლაბახუამ. მეორე უფრო ძლიერი აღმოჩნდა, არ ელოდაო თითქოს ეს ზარი შემოკვრას, აზანზარდა და გაიღო ბოლოს სავსებით დანჯღრეული ჟღარუნი.

შესდგა მცირეხანს ლუკაია, გადახედა ეკლესიის ეზოს, იდგნენ უზარმაზარი გამხმარი ცაცხვები, დევების ჩონჩხების დარად, კაცს ეგონებოდა, დამხობიაო ათასრქიან სატანას მოლიბრო ციონი.

თეთრლეგო ღრუბლებს წარეგრაგნა ცა, აქა იქ კიანთობდნენ ვარსკვლავები.

ქვეყანა ღამის მკერდს მიხუტებოდა, მრუმე, უსახო და არასმთქმელი.

შეინაცვლა ხელი ლუკაია ლაბახუამ, გაუყარა მკლავები თოკებს, დააწყვილა დიდი და უმრწემესი ზარი, ორივენი აზუზუნდნენ ერთად და დაიგრუხუნეს გაზაფხულის მეხისადარად.

ახლა მესამეს შემოჰკრა ლუკაიამ, მესამემ უფრო კრიალი ხმა გამოსცა, წკრიალით, რიალით, ფრიალით მოედო მძინარე ველს და გაჰკმინდა ანაზდეულად ხმა, თითქოს ვილაცამ ნიკაპში ამოჰკრაო ხელი.

მერმე დაძმობილდა სამივე ზარა, როგორც სამი ძმა ქართული ზღაპრისა, დევების სამუსრად ცხრა მთას გადაღმა გაჭრილი.

აიშვეს თავი პატარა ზარებმაც, (როგორც ხმაწვრილა მადევრებმა, როდესაც ჯერ მარეკებს მოჰყავდა თოკით და როცა ნადირი შეიგულეს ტყისპირად, აუშვეს, მიუსიეს გაქცეულ ტყიურს).

გაიშლიგინა ზარების ერთობლივმა ჟღარუნმა ჭანდრების, ცაცხვების ნეშოში, გადაუქროლეს მძინარე სოფელს: გადეფინა მკერდზე მთვლემარე ზღვას ზარების ერთობრივი ეხო. რეკავდა მთვრალი ლუკაია ლაბახუა, თავათაც არ იცოდა თუ ვისთვის რეკავდა და სდრეკდა ცადაქმნილს და აზანზარებდა ზარების ჯარების რახრახი, რაზრაზი. . . . . .

ბუბუნით, გრიალით, წკრიალით, ვიშვიშით სწეწავდნენ ღამეს მრისხანე ზარები.

არ მოსულიყო ამ ქვეყნად სინათლე ნეტავი, სიცოცხლე ღამეს ჰყოლოდა უბეში...

ასე ერჩივნა ლუკაია ლაბახუას.

ამიტომაც ბორგავდა.

როკავდა.

რეკავდა.

აქ გაიარა მისმა სიჭაბუკემ, ამ ცაცხვებისა და ჭანდრების ჩრდილში.

ილორში ცხოვრება მოაგონდა, მოსაწყენი და გრძელი, როგორც თორმეტი სახარების კითხვა ვნების კვირაში.

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ახლა ოქუმი...
დეკანოზის ჭირვეულობა...
გინება...
ლანძღვა და ფეხების ფხანა...
ოჰ, ცაო მაღალო,
ოჰ, მრუმე ღამევ,
წყეულიმც იყავ
ხანგრძლივო სიცოცხლევ!
და კრული სიბერე, სხვის სახლში სიბერე...
დაცინვა...
გვემა...
ნარჩენი ულუფა...
ოჰ, ცაო მაღალო,
ოჰ, მრუმე ღამევ,
წყეულიმც იყავ
ხანგრძლივო სიცოცხლევ!

ეეხთო მის გულში შურისგების გრძნობა. მაგრამ ვიზე იძიოს მერმე ძან შური?

ეს ქვეყანაო, ფიქრობდა ლუკაია, არ ღირებულაო ნივრის ნაჭურცვენად.

ღმერთიო?

რა ღმერთი? დაცლილი ეჩვენა ეს უცნაური მიწაცა და ზღვისფერი ცაც.

რეკავდა, როკავდა ლუკაია ლაბახუა, რადგანაც ლხენა გამოლეოლა ამ ქვეყნად. არც არვის უყვარდა. არც არვინ აფასებდა და მეწყერს წაელო მისი წილი მიწის ნაჭერი. ყველასათვის უცხო და მიუსაფარი, იდგა და რეკავდა სამრეკლოს ბნელ თაღს ქვეშ.

ოჰ, ცაო მაღალო,
ოჰ, მრუმე ღამევ,
წყეულიმც იყავ
ხანგრძლივო სიცოცხლევ!

ამ სიტყვებს უთუოდ ამოიკითხავდით ილორის ზარების უკანასკნელ ჟღარუნში.

ცა ჯერ ქედანის ფერი გახდა, მერმე ნელა, სულ ნელა გაერია ქედანის ფერს თეთრლეგო, მერმე აღმოსავლეთისაკენ ოდნავ შეწითლდა და ცა ისეთი გახდა, როგორც ნავთგარეული წყალი.

აივსო ილორის ეკლესიის ეზო კომკავშირლების ლანდებით. ერთმა დაუსტვინა და სამრეკლოს მოაშურეს მყისვე.

მთვრალი ლუკაია განაგრძობდა რეკვას. მაგრამ როგორც კი იგრძნო ახალგაზრდობის შემოსევა, თოკებს ხელი შეუშვა და დაიწყო ხითხითი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავდაპირველად ისე იცინოდა ლუკაია, თითქოს საფანტი გადააბნიესო უეცრად სარკეზე. მერმე მუცელზე ხელები შემოირტყა, წელში მოიკაკვა და მორთო ხარხარი...

კომკავშირლები მოედვნენ სამრეკლოს და ლუკაია უეცრად ჩაბოდა ზღვისაკენ.

და მერმე აცოცდნენ ახალგაზრდები სამრეკლოს ზეთავზე. ჯერ ილორის დიდ ზარას შემოაჭრეს თოკი.

რახრახით, გრუხუნით წამოვიდა ეს უზარმაზარი მუზარადი. დაეცა სამრეკლოს ქვიტკირის ძგიდეზე, აღრიალდა როგორც დაჭრილი მდევი და მერმე ბუბუნით დაეცა მიწაზე.

შემდეგ მეორე ზარა დაუშვეს ძირს, მეორეს მესამე და მეოთხე მოჰყვა და დილამდის ისმოდა მთელ სოფელში თუ როგორ ღმუოდნენ, ზმოდნენ ღრიალებდნენ ილორის ზარები. ისინი ბზრიალით მოჰქროდნენ ჯერ ჰაერში და მერმე შემკრთალი ბღავილით, ჟღრიალით ეცემოდნენ მიწაზე და კიდევ ცოტა ხან ისმოდა მათი საწყალობელი ხმა, თითქოს ათასეული წლების დანარეკს ინანიებენო.

გამოფარფატდნენ სამრეკლოს თაღებიდან ურიცხვი მღამიობები, ლიცლიცით მოედვნენ ეკლესიის ეზოს, ისინი საშინელის სისწრაფით დაფარფატობდნენ ეკლესიის გარშემო, ასე იტყოდით: უკანასკნელ ლიტონიას უვლიანო და ასე გრძელდებოდა ამ ბნელეთის ბულბულების ფერხული ილორის უძველესს ტაძრის გარშემო. ვიდრემდის მზე არ ამოვიდა და ღამურები ღამეს თან არ გააყოლა.

*
* *

თარაშმა გვანჯ აფაქიძის სახლამდე მიაცილა კაროლინა. კაროლინა ეეედრა: აწი ძილისათვის უნდა იფიქროო. თარაშს ჯერ კიდევ არ გამონელებოდა ღვინო. არ ბარბაცებდა, მაგრამ სხეულზე ღვინის მხურვალება შემონთებოდა, თითქოს სისხლი ველარ ეტევაო ძარღვებში. უნდოდა გაქცევა, ან ცხენის ჭენება, ან არა და გასულიყო ზღვაში და ცურვით შეჭრილიყო შუაგულში.

ზღვისკენ გაიხედა: მთვარე ჯერაც არ დამცხრალიყო, თეთრი ფაიფურისდარი ღრუბლის ნაკუწები ელავდნენ აქა იქ და შორს. ზღვის კიდეზე მებადურების აფრები მკვდრეთით აღმდგარ ელეაზარსავით მიმოდიოდნენ. (ჯერ იყო, ეს აფრები პირამიდებს ჰგავნდნენ შორეულ უდაბნოში უცხო რამ სხივთა თამაშით სახე ნაცვალი. მერმე კი ისინი შესუდრულ სულებს დაემსგავსნენ და გაუჩინარდნენ).

ილორის ეკლესიის ეზოში მობრუნებულს ძალი ოაის დაესხა უეცარი. იარა საფლავის ლოდებსა და ძეგლებს შორის და იმავე ხავსიან ლოდზე წამოწვა, სადაც ერთი საათის წინ კაროლინასთან ნებივრობდა.

ზარების ხმამ გამოაღვიძა თარაშ ემხვარ. იგი უსიტყვოდ მიხვდა: ეს ლუკაია უნდა ყოფილიყო. მოძრავ გოჯილასა ჰგავდა, სამრეკლოს თაღებს ქვეშ მდგარი ლუკაიას ლანდი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თარაშ ემხვარის ფიქრი შორეთს გადაჰყვა ზარების ჟღარუნს და ისევ ჩასთვლიმა. როცა კომკავშირლებმა დიდი ზარი ძირს დაუშვეს, იგი შეკრთა, თავი წამოჰყო, მაგრამ ისევ გაინაბა. ამ აურზაურში ერთი რამ შენიშნა თარაშ ემხვარმა: როცა ილორის ზარები ლეღვის უზარმაზარ ფოთლებსავით ძირს ჩამობერტყეს, ეკლესიის ეზოში მორიალე მღამიობებსა და ზღვის მერცხლებს პატარა, მომწვანო ჩიტი თან გაჰყვა სამრეკლოს გუმბათიდან, მომწვანო კი არა, ნამრუდისფერი ჩიტი...

მღამიობები ჯერ კიდევ ეკლესიის ეზოში დარიალებდნენ, ხოლო ნამრუდისფერმა ჩიტმა ახლად თვალახელილ ზღვას მიაშურა და გაფრინდა შორს.

XVIII. ლოჩრების ნადიმი

ბაბუა ტარიელ თავის ოთახში დაბორიალებდა, ველარც ჯდებოდა, ველარც წვებოდა, ველარც დგებოდა. კაროლინას ოთახსა და თავის საწოლს შორის დადიოდა, რადგან პატარა თათიას ყივანა ხველა შეჰყროდა.

სწყვეტლიდა ბაბუა ტარიელ კაროლინას, ბალღი რად დასტოვაო. თავისთავს აგინებდა, ქორწილში რად გავუშვიო, მაგრამ უფრო მეტად ხერიპსს აძაგებდა: ხერიპს რა მამაკაციაო. ცოლს მაგარი ლაგამი თუ არ ამოდევი, უთუოდ ოჯახს დაგიქცევსო. ჯერ უცხო ქალი რა მოსაყვანი იყოო, მერმე განათლებული. საერთოდ ქალმა იმდენი უნდა იცოდეს როგორმე სახლი არ დაგიწვასო, სხვა დანარჩენი სისულელეაო. თამარსაც აძაგებდა, იმ დაწყევლილ ემხვარს რომ გადაეკიდა მას შემდეგ გული საგულეს აღარა აქვსო. ემხვარებს შერვაშიძეების სისხლი მართებთო. ქალი სისხლის მოლალატეაო, ქალი ქვეყანაზე რა გასაჩენი იყოო, სისხლად ქცეულიყო თამარი ის მერჩიაო. იწყევლებოდა, ღმერთს გმობდა ხუცესი. და ასკეცი კრულვით სწყევლიდა ლუკაიას.

ეს ფიქრები ისე ზიმზიმებდნენ მის გულში, როგორც ბუდედამდულრული კრაზანები.

ხან წამლების კარადასთან მივიდოდა, დიდხანს ეძებდა ბრომის შუშას. ხან ისევ კაროლინას ოთახში შეეხეტებოდა, პატარა თათიას დახედავდა. მსახურს დაშას შეუკურთხებდა. ხანაც სასტუმროში გავიდოდა, თავის ყალიონს ეძებდა ამაოდ.

დაეძებს ყალიონს ბაბუა ტარიელ სწყევლის თავის სიბერეს, მახსოვრობის წართმევას.

უმწეოდ, უპატრონოდ დასტოვეს ბაბუა ტარიელ და ყველა შემოეცალა.

პატარა თათიას მყივანა ხველა რომ არ დამართოდა, ალბათ თათიაც ადგებოდა და მეზობლისას წაყვებოდა რუსის გოგოს დაშას. და სავსებით მარტოდ მარტო უნდა დარჩენილიყო ბაბუა ტარიელ ბასილია სახლში და ამ წარმონადგენმა მარტოკა დარჩენამ მას ისე აუჩქროლა გული, თითქოს მართლაც არავინ ყოფილიყო მის მეტი სახლში და მართლაც მეზობლისას წასულიყვნენ დაშაც და თათიაც.

და ერთ წუთში დადუმდა ბაბუა ტარიელ. ყალიონი ნახა, მაგრამ ის უკვე აღარ იცოდა, ეს ამბავი მან წარმოიდგინა თუ მართლაც მოხდა.

შუბლზე ჭირის ოფლი გამოუვიდა ბაბუა ტარიელს, მუხლებში სისუსტე იგრძნო, იქვე სარჩულშემოხეულ ძველ სავარძელში ჩაიკეცა და მორთო ძახილი: „დაშაااااა!“

არსაიდან ისმოდა პასუხი. გულში უმიზეზოდ გახმიანებული იჭვი გაიზარდა, ცეცხლებრ შემოეგზნო გულზე მარტობა და ჭირვეულ ბალღსავით კვლავ დაიძახა: „დაშაااა“.

ეს უკანასკნელი დაძახება მდუღარეში ჩავარდნილ კაცის ყვირილს უფრო წააგავდა.

უძახოდა ბაბუა ტარიელ დაშას, მაგრამ თავათაც არ იცოდა, თუ რათ უნდოდა ეს დაშა?

ბრაზობდა ბაბუა ტარიელ, აგინებდა კაროლინას: ეს რუსის გომბიო რად მოათრიაო, მე ჩემი ზეხაია უნდა ჩამომეყვანაო კოდორიდან და მან ეს დაშა აიჩემაო. შესაძლოა ეს დაშა იმადაც უნდოდეს, ეგებ საყვარლებისაგან ბარათები მოჰქონდესო დაშას.

დაშა არაყს სვამსო.

დაშა კახპაიაო, დაშა ენამრავალიაო და ლანძღავდა თავის გულში ბაბუა ტარიელ დაშას, მის დაუდევრობას, ლოთობას, მრუშობას და დაშას მომყვანს და „გადმომრეკს“ კაროლინას, „ლემენცებსაც“ გადასწევდა „ჯილაგ-გასაწყვეტს“.

ხელდებოდა ბაბუა ტარიელ და უძახოდა დაშას ღონემიხდილი.

ბოლოს როგორც იქნა დაშაც გამოჩნდა. მას ილლიამდე წაეკარწახებინა მკლავები. ოფლში გაღვარული იდგა ბაბუა ტარიელ დაშას წინაშე და აქ მოხდა საშინელი სცენა.

ბაბუა ტარიელს რუსული არ ესმოდა, ხოლო დაშას „პურის“, „წყალისა“ და „მოდი“ „წადის“ მეტი არაფერი გაეგებოდა.

ბაბუა ტარიელს ისე მოეკიდა ბრაზი დაშას დანახვაზე, სულ დაავიწყდა თუ რისთვის იხმო.

დაშა ეკითხებოდა: რა უნდაო ბატონს.

ბაბუა ტარიელის თვალი დაშას შიშველ მკლავებს მისწვდა, ეს გულშკერდი რომ მოგიღეტია საცურავად ხომ არ ემზადებიო, ეგებ უეცრად სტუმარი მოვიდესო და მაშინ რას იზამო.

ამგვარსა და სხვა მრავალს ეუბნებოდა და ლანძღავდა დაშას. თანაც ფეხს უბაკუნებდა, შინდის ყავარჯენით ემუქრებოდა.

წადი, წადიო უყვიროდა: და როგორც კი დაშა წასვლას დაპირებდა, ისევ მობრუნდიო უბრძანებდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბოლოს დაშა მოთმინებიდან გამოიყვანა და ატირებული ქალი თაციას ოთახში შევარდა.

ადგა მაჯაგანით ბაბუა ტარიელ. ძლივს აითრია წელი, ოთახის კარი მაგრად გადარაზა, თავის ფსალმუნს ხელი წამოავლო, პირდაპირ წაიქცა შავ სავარძელზე და ცნობილი ადგილის კითხვა დაიწყო.

„და უცხოეთაგან: იცავ: მონაი: შენი: არა: თუ: მეუფლენ“...

ფურცლავდა ბაბუა ტარიელ ფსალმუნის ჩალისფერად გამოხუნებულ ფურცლებს და დაიწყო თავისი საყვარელი სტრიქონები: „მიწყალე: მე: ღმერთო: რამეთუ დამთრგუნა: მე: კაცმან: მარადღე: ბრძოლითა: მაჭირვა: მე: დამთრგუნეს: მე მტერთა: ჩემთა მარადღე: რამეთუ: მრავალ არიან: რომელნი: მბრძვანან მე“...

ვერც ამ სტრიქონებმა გაუქრვეს ბრაზი. ფურცლავდა ბაბუა ტარიელ თავის ფსალმუნს. ხელები უკანკალებდა, ფურცლავდა, ფურცლავდა, მთლად აერია გვერდები, გამოუცვივდა ისლის ღერები, რომლითაც ფსალმუნი დანიშნული ჰქონდა. ახლა იმ ტიალმა ცრემლმა დანამა სათვალე. მოიხსნა სათვალე ბაბუა ტარიელმა და გასწმინდა, ისევ გაიკეთა, ისევ დაიწყო ფურცვლა და აქ კი შეასვენა თვალი:

„ღმერთო ჩემო ჰყვენ იგინი ვითარცა ურმის თვალი, და ვითარცა ლერწამი წინაშე პირსა ქარისასა: და ვითარცა ცეცხლმან რა მოწვნის მალანარნი და ვითარცა ალმან: რომელმაც შეწვნის მთანი: ეგრე სდევნნე იგინი წიაქარითა და რისხვითა შენითა შეაძრწუნე იგინი“.

და ამ „იგინის“ ქვეშ ყველას გულისხმობდა იგი: თარაშ ემხვარს, კაროლინას, დაშას, ბოლშევიკებს, ლუკაიას და თვით თამარსაც. ჯერ იყო და უმწეო ბრაზს გაებზარა მისი ხმა. მერმე ფსალმუნის ალოგიურმა სიტყვებმა, ოდნავ მოალბეს მისი გული, შეუნელდა ბრაზი და საკუთარ ხმის გამგონე ბაბუა ტარიელს თავათვე შეეცოდა თავისივე თავი.

კითხულობდა ბაბუა ტარიელ ფსალმუნს, არც კი გაეგებოდა თუ რას კითხულობდა და მისი დაბეჟილი ხმა, უფრო მტირალისას მოგაგონებდათ, ან ისეთი კაცისას, რომელსაც ცრემლები ყელთან მობჯენია.

და მართლაც ცრემლი დაძრულიყო ბაბუა ტარიელის გაწითლებულ თვალთაგან და მის მწითურ წამწამებზე კიანთობდა ცრემლი.

ხომ ზეცის ცვარსავით რბილია ცრემლი, ვერცხლის წყალსავით მოვარვარე და მოციგლიგე, რბილია ცრემლი, თავათაც არბილებს ადამიანს ბრაზმორეულსა და გულგანაწყენს. მაგრამ ხანდახან მოზღვავებულნი ცრემლი გახრჩობს და გულს გიღადრავს.

ასე ახრჩობდა ცრემლი ბაბუა ტარიელს. და ვინ იცის: თუ რამდენ ხანს გაგრძელდებოდა ეს ამბავი, კედლის საათს ოთხჯერ რომ არ დაერეკნა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოთხჯერ დარეკაო? გაახსენდა ბაბუა ტარიელს რომ ოჩამჩირის მატარებელი დიდი ხნის მოსული იქნებოდა უკვე.

მაშ ლუკაია კიდევ არ მობრუნებულა ილორიდან? ეგების მობრუნდა კიდეც ლუკაია. მაგრამ მას ფეხებზე ჰკიდია როგორც სჩანს ოჯახი და აღარც ის ახსოვს, რომ ძროხებსა და ცხენს წყალი მაინც უნდა დაალევინოს, შემოენთო ისევე ბრაზი ბაბუა ტარიელს, ბრომი გადმოიღო, ძლივს დაასხა კოვზზე, ხელები უკანკალებდა, მაგრამ მაინც გაივსო კოვზი... ისევ წამოავლო ხელი შინდის ყავარჯენს და სამზადისაკენ გაემართა ბაბუა ტარიელ.

აქ კი საზარელი ამბავი დაუხვდა ხუცესს. სამზადის კარი ღია დარჩენოდა დაშას, ძაღლს საღომე ჭანური წამოექცია და ღომის ქერქს სჭამდა. ბაბუა ტარიელის ყვირილმა დააფრთხო ბედშავი, უკუიქცა, ჭანურის სახელური კისერზე ჩამოენცო, ასე დაბორიალებდა კარგა ხანს სამზადში ძაღლი. მერმე სარძევე ქილას ეძგერა, ქილა დაიმსხვრა; დილას ჩაყენებული რძე სოხანეზე დაიქცა. უარესად შემკრთალი ცხოველი წყლის კოკებს შორის გაეხირა. ეძგერა ჭანური კარდალი კოკებს და ორივე წამოიქცა, წყალმა იხუვლა, რძეს შეუერთდა და ბაბუა ტარიელის ფოსტლებს მოეჭრა.

ბაბუა ტარიელმა ფეხის გადანაცვლება ვეღარ შესძლო, ფეხი დაუსველდა.

ფეხი დამისველდაო? უარესად აღშფოთდა ბაბუა ტარიელ.

კერასთან წამოეწია შავ ძაღლს და შინდის ჯოხი უთავაზა. ძაღლს ფაფხური ესმოდა, მაგრამ ბაბუა ტარიელს ვეღარ ხედავდა „ჭანური“ ნიღაბით პირშებურვილი. გამწარებული ძაღლი კარის ალაგს მიაწყდა, ჭანური ვეღარ გადაათრია ზღურბლზე და ისე მაგრად მიეხალა სვეტს, ჭანური კარდალი შუაში გაიპო.

უბედურება ამით არ მოთავებულა, ახლა თაროებზე გასულმა ქათმებმა შეჰქმნეს ვიშვიში. ვიდრემდის ბაბუა ტარიელ შავ ძაღლთან ბრძოლაში იყო გართული, ქათმებმა თავს უშველეს და თაროებს შეეხიზნენ. ზოგმაც სხვენის ლასტებზე მოასწრო აფრენა. ახლა ქათმებს მიადგა ბაბუა ტარიელ. შინდის ჯოხს ურტყამდა კედელს, ქათმები უარესად ფრთხებოდნენ, კაკანებდნენ, თაროდან თაროზე გადადიოდნენ... ერთმა ფეტვის მარცვლებით სავსე ქოთანი გადმოაგდო თაროდან, მეორე ზაფრანის კონებს ეძგერა კუთხის კაჩხაზე დაკიდულს. გაიწეწა შარშანდელი ზაფრანის ჭუჩუჩები, რიალით ძირს წამოვიდა მხმარი ფურცლების ნამუსრევი, სამზადი მტვრითა და ნამუსრევით აივსო. ყველა აუტყდა ბაბუ• ტა-

რიელს, მაგრამ მაინც გულმოდგინეთ ებრძოდა ქათმებს და ყვიროდა: დაშა... დაშაო...

ერთმა ქათამმა მთლად მასხრად აიგდო ბაბუა ტარიელ. ჯაჭვის ფერმა, ქოჩორა დედალმა. იგი არც შინდის ჯოხს შეეპუვა, არც ბაბუა ტარიელს, ზედ ცხვირწინ დაგოგავდა თაროზე. სხვები უფრო მოკრძალებულად მოიქცნენ, რა დაინახეს ბაბუა ტარიელ მოდისო, ადგნენ და თხილის ლასტებზე შეფრინდნენ. იქ დაგოგავდნენ ქათმები, კაკანებდნენ, ქაქანებდნენ... ხორხოცებდა წითელი მამალი, დეზებიან გენერალსავით დაბაჯბაჯებდა მჭვარტლით გამურულ ლასტებზე. უხვად აყრიდა მჭვარტლს ბაბუა ტარიელის მოტვლეპილ თავს. ისეთი ქაქანი, რაკრაკი და ვიშვიში გამართეს ქათმებმა სამზადაში, ასე იტყოდით: მელია შემძვრალაო საქათმეში.

იმ ჯაჭვისფერმა ქათამმა მთლად გააცოფა ბაბუა ტარიელ. თითქოს ბაბუა ტარიელის გახელება დაუქადნიაო, აუჩქარებლად დაბაჯბაჯებდა თაროზე. ჩასუქებულ ბურჟუაზიულ დამასავით ძლივს მიითრევდა უკანალს. თავს განზე მიდრეკდა დამცინავი მზერით, გადმოსცქეროდა ბაბუა ტარიელს, აპარპალებდა თავის წვრილსა და ფეტვისფერ თვალებს. და ასე ეგონა ბაბუა ტარიელს, უბოროტესი სატანა ჩასვლიაო იმ დედალს გვამში და დასცინისო ძველი ცხენოსანი მლვდლის სიბერესა და დავრდომილებას.

აიღო მაშინ ბაბუა ტარიელმა დამსხვრეულ კოკების გვერდით გდებული პრტყელი ქვა, კოკების სარქველად ნახმარი და ესროლა ჯაჭვისფერ ქათამს.

ქვის სროლა გამიბედაო? აკრიახდა თავმოყვარე კნეინასავით გაზულუქებული დედალი, და თხილის ლასტს მიაშურა. უარესად დამფრთხალი ქათმები აზვავდნენ და გადაეყარა ბაბუა ტარიელის მელოტ თავს, მის გრძელსა და პატრიარქალურ წვერებს მჭვარტლის შავი და ულევი მტვერი.

აქ კი თავისი სრული უმწეობა შეიცნო ბაბუა ტარიელმა. ეს იყო მხოლოდ მან არ იცოდა რომ მთელი სახე, წარბები, ულვაშები, ღაწვები და წვერები, სავსებით შავად შემურვოდა მჭვარტლისაგან. მიანება თავი გამარჯვებული რიხით მოკაკანე ქათმებს, სამზადის კარი გამოიხურა, რათა ხელახლად არ შეპარულიყო შავი ძაღლი და ახლა ბოსელსა და თავლას მიაშურა.

როცა ბაბუა ტარიელ სამზადიდან გამოვიდა, სარეცხებით დატვირთული დაშა სასახლის კიბეზე ჩამოდიოდა. მიუახლოვდა დაშა ბაბუა ტარიელს და მჭვარტლში ამოგინგლილი მოხუცი რომ დაინახა, (დაშა ცრუმორწმუნე დედაკაცი იყო) შეკრთა, შეჩერდა, ასე ეგონა მოჩვენება მოდისო შავნილაბიანი და რა შეიცნო ვინც იყო, სარეცხები გაუცვივდა

ხელიდან, ჰისტერიული ხარხარი ასტეხა და ისევ სასახლისაკენ მოჰ-კურცხლა. ბაბუა ტარიელმა ეს შენიშნა.

რა აცინებსო ამ გადარეულ დედაკაცს? მთელი ქვეყანა გადარია და ეს რუსის გომბიო რომ შეიშალოს, რა საკვირველიაო. გაიფიქრა და ბოსელს მიაშურა.

ბოსელში ძროხები ზმუოდნენ მშიერი. ბოსლის კარი ღია დაეტოვებინა დაშას და ხბოები გამშრალ ჯიქნებს სძიძგნიდნენ. კიდევ ერთხელ დასწყევლა ბაბუა ტარიელმა „ის გადარეული ლუკაია“ , თავლისაკენ გაემართა, თავლაში უარესი ამბავი დაუხვდა.

ცხენი მოკლედ მიბმული დაეტოვებინა „უხანო ლუკაიას“ და ფიცარსა ღრღნიდა დამშეული. ხოლო უკანა კარიდან ღორები შემოცვენილიყვნენ, მისდგომოდნენ ქერის ტომრებს, ტომრები დაეგლიჯათ ეშვებით ტახებს, ქერი ეჭამნათ უზომოდ, ხოლო რასაც დინგით ვერ მორეოდნენ, ფეხებით დაეჯეკნათ და კურკლით წაებილწათ.

დედა ღორი გაოხრებულ ქერის ნამუსრევში ჩაწოლილიყო, სჯიჯგნიდა, სჭამდა და ღრუტუნებდა შაბიაბანისფერ ტალახში ამოგინგლული. ისე უზომოდ გამძღარიყო ყოველი მათგანი, ბაბუა ტარიელის დანახვაზე, არც ერთს არ უგრძვნია რაიმე დანაშაული. ეს იყო მხოლოდ: დედა ღორმა იჭვნეულად შეხედა ბაბუა ტარიელს თავის წვრილი, ღორული თვალებით და ოდნავ, სულ ოდნავ გააქნია ასო ჲ-სავით მოდრეკილი კუდი.

მთლად გადარია ბაბუა ტარიელ „ამ არამზადა, ყაჩაღი ღორების უსვინდისობამ“ და ისევ „უხანო ლუკაია ლაბახუას“ მისწვდა, დაგმო ის დღე და საათი, როცა მამა მისმა აფაქიძისაგან გამოისყიდა იგი.

ინატრა: ნეტავ მაჰაჯირებს წაეყვანათო ლუკაია ლაბახუა ტრაპიზონში და იქ თუნდაც ძაღლის ლეკვებზე გადაეცვალათო.

მიხვდა ბაბუა ტარიელ რომ აღარც ტომრები ივარგებდა ამიერიდან, აღარც მიწაზე დარჩენილი ქერის ნამუსრევი, ამიტომაც გულარეული გაეცალა ღორების ნადიმს.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვ. გაფრინდაშვილი

მკვლელობა თეატრის შესახვევში

ზემოდან, ჩემი ქუჩის დალმართით,
მორბოდა კაცი თმააბურდული.
გავარდა თოფი და ტყვია მარდი
მას დაეწია როგორც შურდული.

ის ჩემს ფანჯრებს ქვეშ დაეცა მკვდარი,
როგორც პუშკინის „ანჩარში“ მონა.
მაყურებელთა შეგროვდა ჯარი.
თავი სისხლიან ძილში მეგონა.

ხელში ეჭირა ნიშანი რაღაც,
ვით საიდუმლო და სურნელება.
აჩნდა პერანგზე მას სისხლი დაღად,
როგორც სიკვდილის საშინელება.

თითქოს მოჰქროდა ჩემთან მთრთოლვარე,
რომ გადმოეცა განძი დიადი,
მაგრამ წაიქცა ქუჩაში — გარეთ,
და იმის თვალებს ფარავს წყვდიადი.

ასე მგონია, რომ ჩემს კარებთან
პირქვე დაემხო ჩემივე ბედი.
და იმ გასროლილ ტყვიის ზარებთან
დაიმსხვრა მთელი ყოფნის იმედი.

ნეტა ვიცოდე — რისი თქმა სურდა,
რა ჩაიტანა მან სამარეში?
ჩვენი შეხვედრა დემონს შეშურდა,
კვლავ დაგვაყენა ბედის გარეშე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მე არ მიმიძღვის ბრალი და მაინც
ვგრძნობ დანაშაულს მსხვერპლის წინაშე:
ღია კარებით ვერ დავხვდი რაინდს,
ვერ შევეგებე მას ჩემს ბინაში.

სასწრაფო ეტლით ის გააქანეს.
სახლის წინ დარჩა შავ სისხლის გუბე.
და ვეკითხები ერთ ვარსკვლავს მწვანეს:
— ნუ თუ იმ ვაჟთან მეც დავილუპე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

კოტე ხიმშიაშვილი

ღამე

ძიძამ ერთხელ კიდევ გადაავლო თვალი ოთახს და კარები გაიხურა. საბავშვო სახლში შესწყდა ჟრიამული. ჩაბნელებულ დერეფანში უკანასკნელად გაიარეს ფრთხილი ნაბიჯებით. ვეებერთელა შენობა გაყუჩდა და მხოლოდ დასაძინებელ ოთახებში ისმოდა სიზმრებისაგან აღელვებულ ბავშვების ხშირი სუნთქვა. კედლების გასწვრივ ჩამწკრივებულ სუფთა საწოლებში წყნარად ეძინათ პატარებს.

მათ ოთახში ყველაფერი ყვავილებით იყო მორთული: რკინის ტახტებიც, სკამებიც, ფანჯრის ჩარჩოებიც და კარის სახელურიც კი. ბავშვებს ყოველდღე მოჰქონდათ ყვითელი ბაიის, ყაყაჩოს და მინდვრის სხვა ყვავილების აუარებელი კონები და მით მოსავდენ ავეჯს. ყვავილის მტვერი ეყრებოდა და სვრიდა ზეწრებსა და ბალიშის პირებს. ამის გამო ძიძა ჯავრობდა, მაგრამ პატარების საწოლ ოთახში ყვავილებს მანამდის ვერა სპობდა, სანამ ზამთრის სუსხი გარეთ არ დასჩაგრავდა და არ დააჭკნობდა.

ყველას ეძინა. ბაცი ფერის საზაფხულო საბნები ზოგს გადაეხდოდა და ჩვილი სხეულის ნაწილები გაუბედავად მოსჩანდა ტილოს ზეწარზე გაშხლართული.

ელნათურის სინათლე თითქოს გვერდს უვლიდა თეთრ ბალიშებზე მისვენებულ ნორჩ სახეებს, რომ მშვიდი ძილი არ შეეშალა მათთვის და კირით შეფეთქილ კედლებზე აჩენდა ლოგინისგან შექმნილს მთების მინამგვან ჩრდილებს.

ღამის პეპელა დაძველებული ფრთებით დაფრინავდა ნათურის გარშემო, ალბათ უნდოდა თავბრუდამხვევი ტრიალით მოქანცულიყო და უძილობა გაეტეხა.

საწოლებზე დამაგრებულს ახლად მოწყვეტილ ბაიებს კვერცხის გულივით ყვითელი გვირგვინები შეეკრათ და ვინ გაიგონებდა, თორემ იქნებ ისინიც ყმაწვილებივით ფშვინავდენ. გიჟმაჟ თვალებზე ტკბილად ჩახვეულიყვნენ გრძელი წამწამები.

ყაყაჩოს თვალჭყეტია წითელი ფურცლებიც მიმქრალიყვნენ და შავი ხელები ისე გაზრდოდათ, რომ გამეფებულ ძილისთვის ხელი შეეწყოთ.

რომელიღაც ხვრელიდან შემომძვრალ ნიავს ძილი მოეჩრევოდა, გამჭვირვალე კაბით უხილავად სკამზე ჩამომჯდარიყო და ჩაეთვლიმა.

ერთ კუთხეში ოქროთ მბზინავი ხუჭუჭთმიანი თავი წამოიწია და გარშემო მიმოიხედა.

ახლად გაცნობილ ამხანაგებს ეძინათ და სიზმრებში გართული ოთახიც სდუმდა.

ლილიმ ისევ მისდო ხუჭუჭა თავი ბალიშზე. ის ამ დილით მოიყვანა მამიდამ და თვითონ თვალცრემლიანი ჩუმათ გაიპარა, რათა ბავშვი ტირილით არ დასდევნებოდა.

სამი წლის ლილის არ შეეძლო მიმხვდარიყო რა უბედურება დაატყდა და ყმაწვილების ჟივილხივილით სავსე სახლში მთელი დღე მხიარულად გაატარა ტოლებთან თამაშში. იმდენი საინტერესო და ახალი რამ იყო ლილისთვის ირგვლივ, რომ დროც არა ჰქონდა თავის მახლობელი ვინმე მოეგონებია აქ. ყველაფერი ახარებდა მას და უბედურად კი არა, პირიქით, ბედნიერად აგრძნობინებდა თავს; უხაროდა ლილის, რომ სადილის დროს დიდი კოვზი მისცეს და არა ისეთი პატარა, რომელსაც შინ აძლევდენ და ლილი ამის გამო ყოველთვის ნაწყენი რჩებოდა; უხაროდა, რომ აქ ერთად მღეროდენ და ცეკვავდენ, რომ გარშემო ამდენი ბავშვები იყო და ყველა მზად იყო სათამაშოდ და მას არავინ უშლიდა, რამდენიც უნდოდა, იმდენს ხმაურობდა. უხაროდა, რომ გულზე წითელი ვარსკვლავი მიუკრეს და ახალი სახელიც კი დაარქვეს: ოქტომბრელი!.. უხაროდა, რომ ლურჯი წინსაფარი ჩააცვეს და ეზოში მეგობრებთან ერთად ქვიშის გორა დააყენა და მერე ისევ დაანგრია; კიდევ ბევრი, ძალიან ბევრი რამ უხაროდა ლილის. ის ძალიან დატვირთული იყო ახალი შთაბეჭდილებებით, როცა ძილის დრო მოვიდა.

ახლა კი დაღლილ გონებას აღარ სურდა ამ შთაბეჭდილებების გადამუშავება, ის დასვენებას ითხოვდა... და თითქოს, როცა შესწყდა ხმამაღალი ლაპარაკი, სიმღერა, სირბილი, როიალის კლავიშებზე თითების უწესრიგოდ ბარტყუნი, კარების განუწყვეტელი ჭრიალი, და როცა სახლში სიჩუმემ დაისადგურა, დღევანდელმა შთაბეჭდილებამაც დღის სინათლესთან ერთად ფერები დაჰკარგეს და ლილის ბუნდოვანი მეხსიერება დაუახლოვდა.

გოგონამ გვერდი იბრუნა და ისე მიაშტერდა უფარდო სარკმელს.

ფანჯრებს იქით მინდვრებზე ბნელი ღამე იწვა.

დიდი ცხოველია ალბათ ის, მოვა და დაჰფარავს ყველაფერს. მოვა და ადამიანები სახლებში იმალებიან. გაიხედავ სარკმელში — არაფერი სჩანს: ღამე მოჰყუდებია მინებს შავი ზურგით. მოვიდა ღამე და, გინდა თუ არა, უნდა დაიძინო; გარეთ ვეღარ გახვალ, გეტყვიან: ღამეა, იქ არ შეიძლებაო. დაგაძინებენ და როცა გაიღვიძებ, ღამე უკვე წასულია. ვერც მის

მოსვლას და ვერც გაპარვას ვერ იგებს ლილი; საღამოს ნელ-ნელა ჩამოდგება ბინდი და მერე ამბობენ: აი ღამე მოვიდაო.

წევს მწვანე მინდვრებზე ღამე, შავი ზურგით მიჯყუდებია ფანჯრის მინებს და ყველაფერს ჰფარავს.

ბავშვების სიზმრებით სავსე ოთახი სდუმს. პატარა ლილი მოუსვენრად ტრიალებს ლოგინში და საბნის ზემოდან იყურება.

ის სწუხს. რატომ? პასუხს ვერ მოგცემსთ, რადგან ამ წუხილს არც ერთი ჩამოყალიბებული მიზეზი არა აქვს. ლილის არც სშია და არც სწყურია, მან საკმაოდ სჭამა ამ საღამოს; არც ცივა ლილის, საბანი თბილია და გარედან ზაფხულის წყნარი ღამე შავი ზურგით მიჰყუდებია სარკმელს.

მაშ რა მოუვიდა ლილის, რომ ჰბორგავს და ისე ფართოდ ახელს თვალებს, თითქოს ძალით უნდოდეს განდევნოს მშვიდი ძილი, რომელსაც ასე შეუპყრია სხვა ბავშვები?

ის წამოჯდება და ხელებით დაეყრდნობა თეთრ ბალიშს. მთელი ოთახი ღრმა ძილშია. ბავშვებთან ერთად ეძინათ რკინის ცივ საწოლებს, ეძინათ თეთრად შეღებილ კედლებს, ეძინათ საწოლის თავებზე დამაგრებულ მინდვრის ყვავილებს და ელექტროსანათურიც კი უციმციმო ბჟუტვით მისცემოდა თვალღია თავდავიწყებას.

არ ეძინა მხოლოდ ლილის. ვერც დაიძინებს ლილი. ეს საბანი უცხოა მისთვის; ბალიშზე თავს დასდებს ლილი და მას რაღაც აკლია; ამოიღებს პატარა მკლავებს ლილი, და რაღაცას ეძებს, მაგრამ ვერ პოულობს, და ვერ ისვენებს; თვალებს დახუჭავს ლილი და ყურს მიუგდებს — მას არ ესმის თბილი სუნთქვა... მის თმაში არ თამაშობენ თბილი თითები და ტკბილი ნანა არ უხმობს სმენას ძილისაკენ... რატომ არა მღერის დედა?..

ლილი თვალებს ახელს და თავის გვერდზე ბალიშს უყურებს... სად არის დედა?..

და ლილი წამოჯდება ძილმორეული, მაგრამ გაფართოებული და გაჯიუტებული თვალებით შეჰყურებს გარინდებულ ოთახს და ისევ ეკითხება თავის თავს — სად არის დედა?..

რატომ არ ხვდება ლილის პატარა თითები დედის ძუძუებს? რად არ უთბობს ლილის ლოყას დედის სუნთქვა? რას გაჩუმდა დედა, რატომ არ უმღერის ლილის? ჩვეულებრივ დაძინების დროს გვერდზე რომ მოუწვებოდა ხოლმე, ახლა რად არა სჩანს? სად არის დედა? რა იქნა დედა?! რისთვის არ მოდის დედა?!.

შეწუხდა ლილი. მძიმე რაღაც დააწვა მის არსებას და მოსვენებას არ აძლევს. ვერა, ვერ დაიძინებს ლილი... დედა უნდა მოვიდეს მასთან, ნანა უნდა უმღეროს და მხოლოდ მაშინ დაიძინებს ლილი... მან ასწია თავი, მილეული თვალებით შეჰხედა კარებს და ნელი ხმით დაიძახა:

— დედა!..

ისე დაიძახა, თითქოს მეორე ოთახში გაიგონებდენ. არავინ გასცა ხმა. ლილი უფრო წამოიწია და ოდნავ ხმამაღლა განიმეორა:

— დედა!..

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძახილი პატარა საწოლს არ განშორებია, შემოეხვია მას და ისევ განამეორებინა რამოდენიმეჯერ, მაგრამ ახლა უკვე ჩურჩულით და ცრემლშეგუგებული, ათრთოლებული ტუჩებით:

დედა!.. დედა!..

ყელზე თითქოს მარწუხი შემოეჭირა ლილის, შეუგუბა სული, დაუპრანჭა პირსახე, გული შეუკუმშა და თვალებიდან ჩქარჩქარა წამოუვიდა ცხელი მწვავე ცრემლები, გაფითრებულ ლოყებზე წყლიან კვალს რომ სტოვებდენ.

მის სხეულში სადღაც ღრმად, გაურკვევლად დაისადგურა ნაღვლიანმა გრძნობამ, რომ მისი დედა არასოდეს აღარ მოვა მასთან და აღარ დაამშვიდებს, აღარ დააწყნარებს, აღარ დააძინებს პატარა ლილის შეშფოთებულ სულს.

მიძინებულ ოთახში გაუბედავად გაისმა უნუგეშო და უსუსური არსების ტირილი.

სტიროდა ისე, რომ მისი ტირილი არვის ესაყვედურებოდა, და მხოლოდ ბალიშის ნაკეცები ლბებოდა ნაღვლით სავსე პატარა ცრემლებით.

სტიროდა მასში ბუნების ინსტიქტი, შეუგნებლად გრძნობდა, რომ არსებობისთვის ბრძოლაში სუსტს უდროოდ მოსცილდა მზრუნველი ხელი.

სტიროდა და ბავშვური გულუბრყვილობით ითხოვდა დედას.

ჩვილი ხელები ვედრებით გაეშვირა კარებისკენ და ოქროსფერი კულულები უცახცახებდა შეკავებული ქვითინით.

ოჰ, რა იქნება რომ დედა მოვიდოდეს! მისი დედიკო რომ მოეფერებოდეს ლილის, ნანას უმღეროდეს!.. არ მოდის, არ მოვა... და ლილი ბალიშს ეხუტება და ამაოდ ეძებს მშობლის თბილ უბეს...

დერეფანში ლენა გამოვიდა. მას დაუგვიანდა შინ დაბრუნება — დასასვენებელი დღეა და დილიდან მუშაობს სოფელში უჯრედის დავალებით. პატარეების საწოლ ოთახიდან ჩუმი ტირილი გაიგონა. ტირილი სევდიანი იყო და ალბათ არავის უპირებდა მწუხარების გაზიარებას. ლენა მიხვდა, რომ ეს რომელიმე ახალმოყვანილი ბავშვი იქნებოდა და გაემართა იქითკენ.

მორიგე ძიძას უთუოდ ჩაეძინებოდა და ამიტომ არ მიუქცევია ყურადღება ბავშვისათვის.

გაპრიალებულმა იატაკმა მსუბუქი ნაბიჯების ქვეშ გაიჭრიალა.

ლილიმ ასწია თავი და ცრემლიანი თვალებით შეჰხედა ახალ მოსულს... არა, ეს დედა არ არის... ეს ვიღაც ახალგაზრდა ქერა ქალია...

— რატომ სტირი გენაცვალე?..

ლენა საწოლზე ჩამოჯდა და ალერსით აკოცა ცრემლიან ლოყაზე. მას მოაგონდა საკუთარი ბავშვობა. ლენას არ ახსოვდა როდის მიაბარეს საბავშვო სახლში. პატარაობიდანვე აღიზარდა აქ და, მიუხედავად ამ მზრდელებისა და მასწავლებლების მზრუნველობისა, ბევრჯერ ახსოვდა აი ასეთი ბოლმით სავსე უნუგეშო ტირილი, რომელსაც ვერ გაუზიარებ ვერავის, რომელსაც ვერ შეიგრძნობს ვერავინ, თუ თვითონ არ გამოუცდია საშინელი მარტოობა ობოლი ბავშვის, შავი ზოლივით რომ გაგყვება მთელს შენს ცხოვრებაში. ის დააკვირდა გოგონას სასოწარკვეთილს და არეულს ლამაზ ჩვილ სახეს, შეებრალა ძალიან, ოქროსთმიანი თავი მკლავზე გადაიწვინა, უფრო მიიახლოვა და ანგარიშმიუცემლად აჩურჩულდა:

— სუ, ნუ სტირი გენაცვალე... ნუ სტირი, მეც აღარა მყავს დედა... ვინ გაგვიმშრალებს ცრემლებს, ვინ დაგვაყვავებს ამხანაგებისაგან ნაწყენს, ღამღამობით ვინ გაგვისწორებს ფხიზელი ხელით საბანს, ვინ გაგვიშინჯავს სათუთი ხელით სიცხიან შუბლს... ვინ დააყურებს მძინარე სუნთქვას, ვის გაუმხელთ ჩვენს შიშსა და სიხარულს, ვიღა იქნება ქალწულის პირველი მესაიდუმლე... ვინ, ვიღა შეგვეგებება ხელგაშლილი, ვისღა მიეყრდნობით მკერდზე ისეთი ნდობით, ვიღა ადევნებს თვალს ჩვენს ყოველ მოძარობას. უკან აღარა ვგრძნობთ მძლავრ კედელსავით დედის სიყვარულს. ყველას რომ სძულდე, მაინც იცი, რომ დედას უყვარხარ და ეს ძალას გმატებს... ნუ სტირი გენაცვალე, მას ველარ დააბრუნებ. მეგობარი ეძებე, შეიყვარე და შენც შეგიყვარებენ.. მაშინ აღარ იგრძნობ ასეთ მარტოობას... ნუ სტირი გენაცვალე, მეც შენსავით ობოლი ვარ და შენთანა ვარ, აი ჩვენ ერთმანეთს შევეჩვევით, ერთმანეთი შგვიყვარდება და მერე აღარ ვიტირებთ ხოლმე.

ლენა გაჩუმდა. შორეულის გახსენებამ ქარისგან დაფლეთილ ჩაკუპრულ ლრუბელივით ჩაუქროლა და მის სახეზე ჩრდილები დასტოვა. თვითონაც არ იცოდა რას ამბობდა, კინაღამ თვითონაც არ ატირდა ამ საბრალო არსების ცქერით.

ლილიც რატომღაც გაყუჩდა. ის ყურს უგდებდა აღელვებულ სიტყვებს და უფრო მიგნებით ხვდებოდა მათ შინაარსს, ვიდრე ისმენდა. ამ უცხო ქალის ალერსში რაღაც მახლობელი იგრძნო. მისი გული გაათბო ჩუმმა თანაგრძნობამ.

ის ნელნელა დაწყნარდა, თავი ქალს მისდო მკლავზე და ალერსიან ჩურჩულში თვალები დახუჭა, ბურანში წასულს უკვე ეგონა, რომ ეს დედის თბილი სუნთქვა ესმოდა ყურთან და ნორჩ ტუჩებზე ბედნიერი ღიმილი გამოკრთა.

ახლა მთელს ოთახს ეძინა. კირით შეფეთქილი კედლებიც, თეთრი ქსოვილებით მოფენილი საწოლებიც, ჩვილი სახეებიც, ელექტრონათურიც და მინდვრის ყვავილებიც სიზმრების ჰაეროვან სამეფოში დასცურავდენ.

ლენა დაჰყურებდა ბავშვს და ფიქრობდა იმაზე, რაც უკვე კარგა ხანია გადაწყვეტილი ჰქონდა — წელს საშუალო სასწავლებელს ამთავრებდა და დამოუკიდებელ ცხოვრებას იწყებდა. განზრახვა ჰქონდა მთელი თავისი სიცოცხლე აი ასეთი ობლების აღზრდისათვის შეეწირა, მის მკლავზე რომ მშვიდად ეძინა. ფიქრობდა, რომ ის, თვითონაც ობოლი, საბავშვო სახლში გაზრდილი, კარგად იცნობდა ბუნებით დაჩაგრულთა ბედს და მთელ თავის ცოდნას და სულიერ მარტოობაში გამოჭედილ ნებისყოფას შეალევდა, რათა, პატარა საბრალო ბავშვებისთვის ნამდვილ სულიერ დედად გადაქცეულიყო.

●●●

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ილო მოსაშვილი

პირველი ქუხილი

მკერდში დაჭრილი
სარკმელთან ვზივარ,
ცაში ღრუბლები
ქარმა დახია,
ცაში მწევარი
მიჰკივის მწევარს,
წინ სხვა ღრუბელი —
თეთრი ტახია.

შარშან მინდორში
შემხვდა აპრილი,
მზეს საქორწილოდ
გამოეყვანა.
მკერდზე ჯეჯილი
ჰქონდა დაყრილი
და თავთავებზე
ხვავი ეყარა.

ღამე წყნარი და
შეუშფოთველი
როგორც დარბაზი
გაგვიღო მწყემსმა,
ცას დაეხარა
ლურჯი ფოთლები
და თვალშესული
ტყემალი ესხა.

და მერე, მალე,
გომბორის გალმა
გადმომდგარ ღრუბლებს
მოედო ღელვა

ეროვნული ბიბლიოთეკა

და სავსე მთვარე
საავდრო ჯანღმა,
წაიღო — როგორც
ბატკანი მგელმა.

— რამდენი თავთავი გვალვაში დამწვარი, —
იმდენი შხაპუნა ნამი და მარცვალი!
რამდენი წინწკალი და წვეთი ნათქვამი, —
ჩვენს ფარებს იმდენი შაქი და ბატკანი! —

მოხუცი მწყემსი
მოსავალს სთვლიდა,
ჯეჯილის მუხლზე
მართავდა თითებს
და ჩვენს ნაბდებზე
ჟუჟუნით სწვიმდა,
თითქო ჟღურტული
გაჰქონდათ ჩიტებს.

ახლა კი მარტო
სარკმელთან ვზივარ,
ცაში ღრუბლები
ქარმა დახია,
ცაში მწევარი
მიჰკივის მწევარს,
წინ სხვა ღრუბელი —
თეთრი ტახია.

და გულში ცივად
დამკრა წუხილმა:
ნეტავი ვიყო
ისე ჯანათა,
როგორც იჭექა
ახლა ქუხილმა
და თვალში ელვა
შემომანათა!

აპრილი — 34 წ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ირაკლი აბაშიძე

დაბრუნება

იარს, იხამებს, მაგრამ ოდესმე
მოენატრება ხარსაც უღელი.
ქალო შენს მგოსნად მინდა მოგესმე
დღემდე სალი და ქედმოუხრელი.
ნუ, დაბრუნებას ნუ გამიწყრები
ვიცი აქამდე ვარ მოღალატე
ახლა გალმერთებ, ძვლებს გეფიცები
შენს თავს როგორმე თუ მომანატრებ.
რად ვარ პოეტი. არ მიმღერია
დავჟანგებულვარ, მიხსენ, ვეჩქარი,
გაჰკარ, გაჩხრიკე ჩემში კერია
ალმომიჩინე შიგ ნაკვერჩხალი,
რომ შენს მიმოხვრას, შენს თმას, სამოსელს
ჩემი სტიროდეს ლექსთა კრებული
შენი სახება ხალხში გამოვცე
ჩემგან მეორედ შესწორებული.
თუმცა, ახია ჩემთვის — ვიცი მე —
შენზე ნაღველი, დარდი, ობლობა
რად მოგიშორე, რად გავიჩინე
ეგ განრიდება, ეგ უნდობლობა
მაგრამ ხომ იყო ძველად ბევრჯერაც
ომში გაჰყავდათ ვაჟნი ღალათი
გადეჩვეოდნენ ფრონტზე მიჯნურებს
იყო დრამა და იყო ღალატი.
მოდი, ჩამთვალე — ვითომ აქამდე
მეც მტრის ფრონტებზე ვეხეტებოდი
ვერ მოგივედი, გული არ განდე
ვერ გიმღეროდი, ვერ ვღელდებოდი
და შენი თავი აგრე ურჯულოდ
სხვებს დავუტევე სატრფოდ, საქებად

ეროვნული ბიბლიოთეკა

აქ დაგიბრიყვეს მერე ჩურჩულით
ვინმე ოხრებმა და ეშმაკებმა.
მე კი დავჟანგდი. — ომი, ხანძარი,
შორს ხეტიალი, სადღაც წვალება,
მოდი, ყიალს და ფრონტს მიაწერე
ჩემი ამგვარი სახეცვალებაც.
ნუ, დაბრუნებას ნუ გამიწყრები
რა გადახდაა, კარგო, საჩინო,
შენ შეგიძლიან, ძვლებს გეფიცები
რომ ხელმეორედ აღმომაჩინო.
მოველ. შენს მგოსნად მინდა მოგესმე
დღემდე ჯიქი და ქედმოუხრელი;
იარს, იხამებს, მაგრამ ოდესმე
მოენატრება ხარსაც უღელი.

1934 — X.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შალვა სოსლანი

ცია და ცივა

(მოთხრობა)

ცია პარაზიტული მდინარეა. ასე უწოდებენ მას „ახალი კოლხეთის“ ინჟინერები და გეოლოგები. რატომ?

თურმე იმ ჭალებში, დღესაც რომ აშრობენ, ვერც ერთი ციას ნათესავი და ახლობელი ვერ აღმოუჩენია ამ პატიოსან ხალხს. ნამდვილად კი ციას ჰყავს ნათესავ-მოყვარე. ეს გახლავთ მისი მშობელი, მისი ასლი დედია — ცივა.

კოლხეთის დანარჩენ მდინარესთან შედარებით ციას ბედს ამჟამად ძალიც ვერ დაჰყეფს: მის კალაპოტზეა რომ გადის ჭალადიდის მაგისტრალური არხი, რომელიც ხობს ერთვის ციხე რედუტ კალესთან, საიდანაც იგი პირდაპირ მიანავარდებს შავი ზღვისაკენ ტანტალა ტალღებს. ცია კი ობლად დარჩა: მოწყვეტილ, მთლად მივიწყებულ, ათვალისწუნებულ პარაზიტად დარჩა.

რაღა ბედი ეწერა უბედურს სიკვდილის მეტი? გულში თვითონაც ასე ფიქრობდა ცია და დასასრულს ელოდა: აბა რა გადაარჩენდა პაწაწკინტელა საბრალო გოგოს იმ უჟმურ ციებისაგან, დღითი-დღე რომ აჩიავებდა მას ამ დაცემულ შამბნარში?

მაგრამ დახე უკულმართობას. ზღვას იმ დღეებში სასტიკი ქარიშხალი დაატყდა თავს. ზღვის შეზარხოშებულმა ტალღებმა ქვიშითა და შლამით დააგუბეს ხობის შესართავი.

მღვრიე წყლებით ადუღებული ცივა ამოვარდა, ეხეთქა წინანდელ ნაპირებს. ნაპირებს მიწის მაგარი ჯებირი შემოსჭდომოდა გარშემო.

რა ექნა ცივას, სად წყალში გადავარდნილიყო? თავშესაფარს დაუწყო ძებნა გაფაციცებით; ძლივს-ღა მონახა, და კიდეევაც გაიფონა გზა თავის პატარა გოგონას ციას კალაპოტში.

მერე ორთავე გადასცდა დავარდნილ კიდეებს, ლელით და ლაქაშით დაფარული ველი გადიტანტალა და ღრანტებში ბარდებით დაბურულ ოხემლოვან ტყეში შეიჭრა.

ასე შეეყარნენ ერთმანეთს ცივა და ცია, დედა და შვილი, ათასეულ წლობითგანვე შეჩვეულ ადგილას, სადაც ახლა, უკვე ორი წელია, რაც არხების საშუალებით ჭონჭყოს აშრობენ კოლხეთის მშენებლები.

შეხვდენ და გადაეხვივნენ ერთმანეთს. გამხდარი, გაფითრებული ცია ყელზე მოეჭდო დედას. რას არ ებუტბუტებოდა მშობელს, რას არ ურევდა, ბოდავდა მისი მოტიტინე, მთლად გამწვანებული ტუჩები (ციას ნანაშუადღევიდანვე შეაცია). თავთ კოლოების გუნდები დაფარფატებდენ. ციებ-ცხელების მწარე ჟრჟოლვით ატაცებული მიწაც და ჰაერიც გარშემო თითქოს შეტორტმანდაო... წინა ღამით ნაქარიშხალევ ზღვაზე და კოკისპირულად ნაწვიმარ ჭაობზე აღმოსავლეთიდან უკვე ულრუბლოდ, ზენა-ქარი დაჰქროდა.

ცია დედისკენ მიიწევდა და ნაციები ცახცახით შესჩიოდა წელ-მუხლის ტეხვას, აუტანელ გაგუდვას, შაკიკს. წუწუნებდა: დავიბორკე, თავი ველარ დავაღწიე ამ სულშემხუთავ ტბორესა და დახაშმულ შამბნარსო. ცია უსაშველოდ სწუხდა, რომ ყველამ, სუყველამ უმტყუნა, გადაივიწყა, საკუთარ დედამაც კი...

— ისე მგონია თითქოს ცივი უხამსი მეზნიქებოდეს და დამიღოლავდეს მთელს ტანში, თითქოს გვერდებს გომბეშოები მილოკავდენ ხორკლიანის ენით...

— სად დაიკარგე, ნენუკ, აქამდის. ममममम... მე კი სულ გელოდი. — ძლივს აბრუნებდა ენას ცია და მისი გაყინული ნამცეცა სხეული იკლაკნებოდა და დედის კალთას კრუნჩხვით ეტმასნებოდა.

ტუჩებზე თეთრი ბუსუსები გამოაყარა. უსაშველო ზმორების კანკალი ტალღებივით უვლიდა ტანში. მაგრამ ცივას საკუსუნოდ არა სცალოდა. არხისკენ მიიჩქარებოდა, ფეხ-და-ფეხ მიაბიჯებდა ხშირ ფალაგებში, თხემლების შორის გაწოლილ ფშანსა, ლაფსა და ლაქაშში.

პაწია ციასთვის ხელი ჩაეკიდა და გამწარებული მიეზიდებოდა ქალიშვილს. ხანდახან ჭაობზე ამდგარ ბორცვებთან წაიფორხილებდა და თითქოს რაღაც მოესმაო, დააყურებდა, ცოტას დაიშუხლებდა და შეშფოთებული, მზვერავი თვალით გალმა-გამოღმა ჭალებს გადახედავდა.

— გზა ხომ არ დაგვებნა, ცია. უწინ ეს მიდამო არ ყოფილა. — თქაფანით მიახალა ქალიშვილს გულდადუღებულმა ცივამ, და უეცრად მდორედ დადუმდა.

— ნენია! — თვინიერად გამოებუტბუტა ცია, თანაც გამოიწია, გვერდი აუხვია აშმორებულ ტბორეს და პირი კორდისკენ იბრუნა. — იმ კორღანს რომ მივაღწევდეთ, პირდაპირ ფერდილს მივადგებოდით და მზეზე შევისვენებდით...

— კარგი, წამო, — უემურად მოუჭრა ცივამ და ზლაზვნით გაეშურა ტანმორჩილ კორღანისკენ, რომლის ქვემოტანი მზით გადამწვარ ისლით და ლელით შენაბდულიყო.

ზღვიდან ყრუდ მოისმოდა ტალღების გრგვინვა. ესაო და თითქოს გამოსაშრობ ლაქაშ-ტბორების და ჭაობის უზარმაზარი ექსკავტორები,

კატერპილარები და კბილოვანი ტრაქტორები მოვარღვევთ მიწას, მოვდივართ, მოვგუგუნებთ და მოგვიხარიანო.

თხემლების ნაშუქარში კატაბარდების დახლართულ ქსელში გაიელვებდა თეთრ-გავიანი, ჩატუკნული თხა და ქურციკი, ბინოთ ბარბად-გამორბოდენ, გიჟმაჟი ხტომით ეშვებოდენ კორდიდან კორდზე და უცებ ხშირ ბარდებს ამოაფარებდენ თავს...

ციას ხელსა და ხელს შუა გარეული კატა გაუძვრა. ერთი ისკუპა და სვიით ახვეულ წიფლის კენწეროზე ამოჰყო თავი.

რომელიღაც შტოს მოსწყდა მარტოხელა წითელ-კუდა და მაყვლის ეკალნარში შურდულივით დაეშვა.

მაგრამ ციას მაინც ყველაზე მეტად უზარმაზარი, ჯაგარ-აფოფხილი ტახი აფრთხობდა; გული მისდიოდა ისე ეშინოდა მისი, ულვაშებივით მოდრეკილი, ბასრი ეშვების, მისი გულშემზარავი ღვინვა-ღრუტუნის, ჭახ-ჭახის, თქართქარის და ბრღვივნის, ჰაერს რომ მოაპობდა ბალახ-ლაფნებში, შამბებში და თხემლოვან ტყეში.

და ცია გულის ფანცქალით ეკვროდა დედას.

ტბორეების მდინარე-ციას თავგადასავალი და ზოგი სხვა ამბავი

— შენ ისევ გაძაგძაგებს, ცია? — წუხილ-თუხთუხით მიიბრუნა პირი ქალიშვილისაკენ ცივამ.

— აღარ, ჩემო ნანა! მე შენთან უკვე გავთბი, — უპასუხა ციამ და თან მოლიბრო ჭანი ლოყები მზის რძე-ნარევ, ვარდისფერ სხივებს გაუშვირა. — ოფლშიაც კი გავიწურე, ხედავ ნანა, — კეკლუცად განაბა ციამ თავისი ჭროღა თვალები და შუბლით ანაორთქლი, წყლისფერი ნისლის ქულაზე მიუთითა.

მის თხელსა და თითქოს ფოთლოვან ხელ-პეშვით ნაზი, ცისფერი ბურუსი მოლივლივებდა.

— აბა, აბა, წყნარად დადექ! — შეუტია დედამ და დაყრილი, ნათელ-მოსხურული, ტონთიოს კულულები თავზე გაუსწორა.

ცია უკვე კარგათ ჰგრძნობდა თავს. ზმორება-შეციების შემდეგ მას ჩვეულებრივი შეხურვება დაეწყო; სიცხით ატეხილი ტარტალა ენა ველარ დაება.

— გახსოვს, ნანა, ეზო-ეზო რომ დავეხეტებოდით ერთად და უშველებელ წუმპეებად რომ ვეფლებოდით სადმე სოფლის კიდეში? მე ხომ შარშანაც ასევე მაციებდა! ნუ თუ შენ აღარ გაციებს ახლა შენს არხში? ისე ამბობენ თითქოს იქ სულ გამწყდარიყოს ი შეჩვენებული კოლოები. ნეტა მართალია, ნანა?!. არა, მართლა სწამლობენ მაგ დასალუპავებს ახლა მაქეთკენ? ნეტა მეც შემიშვებდენ, ჩემო ნანა, შენთან ერთად, ი რალაც

არხი რომ ყოფილა! ძალიან დიდია? უშველებელია? სულ მირბის გაწაფებული? მერე როგორ მინაკადობს ან როგორ იძვრის ფეხ-ჩაუდგმელად? მიამბე, ნანა, ჩვენს ხობზე უფრო დიდია მაგ არხი?

ეროვნული

მე ჩემი ბაბა კარგათ მახსოვს. აღარ გაგონდება მგონ, [illegible] ოთ ოფლებს მოვედებოდით რა ამბით გადაიგრიალებდა ორღობეებს და შარა გზებს, რა რიხით მიშხუოდა ბაბა — ხობი?!

ბაღნები? ბაღნები რომ გვეთამაშებოდენ შარვალ აკეცილები?..

ნანა... ერთი დაწნული ფაცხა იდგა, ისლით გადახურული, კვამლს აბოლებდა სახურავკედლიანად ი ბედდამწვარი! იცი, შევცოცდი და, ისე გასინჯე, გაჩაღებულ კერიასაც კი მივუგორდი.

დამინახა თუ არა ცეცხლმა, თვალის დახამხამებაც ვერ მოვასწარი, მაშინვე აიწურა და აიკეცა ცხელი ფეხები. ალმა მხრები აიჩეჩა და თავი სულ ბეჭებში ჩარგო, დავარდა, ჩაიფუშა.

ფაცხის ჩაბნელებულ კუთხიდან კბილების კაწკაწი მომესმა. ბავშვის მიკნავებული ხმა ძლივს გავარჩიე, ისე ძნელად სწურავდა სიტყვას მისი თეთრი კბილები. ვიღაცას ემუდარებოდა... ალბათ დედას თუ სთხოვდა: მიშველეო... ერთი ციდა ტანი ნამიან, მთლათ დაკონკილ საბანს გადაეფარა. ძალიან სასაცილოდ გაჰქონდა ტკაცა ტკუცი უცნაურ სიტყვებს... ალბათ ენის სარსალით თუ ლამობდა უბედური ი ონავარი კოღოები ციდან გაედევნა.

— ტა-ტა-ტა-ტა-ტა-ტა! ვაი ნენა! ნე-ე-ნა! ნენ-ა-აუ! უ-უ-ვ-უ-ვუ-ვუ-უ-უ-უ-ჰ. მცი-ივა, ცც-ც-ი ცი!..

ფაცხის მეორე კუთხეში სამფეხა სკამიდან ლასლასით წამოდგა პირხმელი, ძაძა-ძონძებში გახვეული ტანმაღალი ქალი. თვალები თეთრად გადმოეკარკლა. შუბლზე კომბოსტოს ფოთოლი მიეკრა ცახოცით. თავს აქიცინებდა, ველარ შეეჩერებია ი უბედურს! სანთელივით გაყვითლებული ლოყის ძვლები ამოვარდნაზე ჰქონდა, ისე ჩაფეთქოდა სახე. ბარბაცფაცფაცით მიუახლოვდა ი ბალანაის ტახტს და ტანგაუხდელად ჩაუწვა შვილს დამძიმებულ დაბამბულ საბანში.

— გადამახურე, გადამახურე, ნანა! კიდო! უფრო თბილათ შემომფუთნე, უფრო ი! ო-ჰო-ჰო-ჰო-ჰო-ჰოი, ნანა! ნა-ნაოუ... მცივა ნანა, ვა-აი რაღა ვქნა?! ც-ც-ცია... აქეთ მომახურე. ასე, ასე, ასე! ვაიმე! ვაიმე, ნანა. ვა-ი-ი-მე ნე-ე-ნა! მი-ი-შველე, მიშვე-ე-ლე!..

ასე ოხრავდა, კვნესოდა მთლათ ხრინწად გადაქცეული ბალანა და სულ უფრო და უფრო ღრმათ იფლობდა თავ-პირს საბანში.

— მე მისი შველა მინდოდა, ნანა. ისე გულდასაწვავად გაიძახოდა, თითქოს მეც მეხვეწებაო. მაგრამ აბა როგორ გამემართა მისთვის ხელი, ხომ არა ნანა?!. ახლოს რომ მივსულიყავი, ცეცხლზე უნდა გადამერბინა და ეს თითქოს არც ისე ხელმარჯვე უნდა ყოფილიყო...

იცი, თუ მოღუდღუდე ცეცხლს მიუახლოვდი, სულ ჩქარა მორკუკება, შიშინს დაიწყებს, წიხლებს გესვრის, მერე კი ჩაიზნიქება და ისე მოლბება, რომ ქვეყანას გაეცინება... ნანა შენ, არ გითამაშია ცეცხლთან?

ეროვნული ბიბლიოთეკა

რა საშიშია და უკარებელი შესახედავად! მარა თუ ნებას მიუშვი, იცოცხლე გამოგენთოს გაშმაგებულ ალის ენებით! სულ მიწვავ-მობუგავს ერთბაშად ყველაფერს. ნენა მეც და შენც ხომ დაგვწვავს ცეცხლი? ხო-ომ?

— კაია, ნუ ჭარტალობ! — გამოერკვა ფიქრიდან ცივა, — შეხე ამ დალმართს, ეგებ აქედან გადავეშვათ. ალბათ ეს ბილიკიც არხამდე მიგვიყვანს. უკეთა ხარ?..

— უკეთ ვარ, უკეთ, — მიუგო თქრიალ-თქრიალით ციამ, — ახლა მთლათ მოვჯობინდი!

— თუ სადმე ფოსო-გადასავალზე ან ტახის საბუნაგოებზე ხობი არ წამოგვეწია, სულ მალე თხრილებსაც მივაღწევთ. იქედან კი ახლოა დამხმარე არხები და სამშვიდობოს გავალთ. აბა, ჩქარა შე ჩერჩეტ-ყბედავ, შენა! ვაი რომ ეს ჩამოფანჩული კატაბარდები დღის სინათლესაც გვიბნელებს და ფეხებშიაც გვედება წარა-მარა!

— მერე, ბაბა მაინც სადღა უნდა იყოს ახლა? არ ეშვებოდა ცია და დედას სწრაფი ლიკლიკით მისდევდა უკან.

— სადა და საკუთარ ბინაში! მისი ადგილი ახლა არხია და არც აღარასდროს ილირწება, არ იცვლის სახლკარს, — ცალყბად უპასუხა ცივამ, თანაც ტალახით გათხუპნილ ჭონჭყოზე და ღრიფა-ღრუდობზე მინათრევი კაბის ნაცარტუტა კალთები მაღლა აიწია, აიკაპიწა და ფრთხილი დინჯი ნაბიჯით გასწია წინ.

— კაი დაგემართოს თუ აღარ ამოვარდება აწი არხიდან! იცი, ნანა, ძე ხშირად გამჭირვებია ბაბასთვის ნაბიჯის გასწორება. მართალი თუ გინდა — ვერც ვეწეოდი. მახსოვს: მირბიხარ, მირბიხარ, გულამოვარდნილი მიწანწკარებ, წუთით შედგები სადმე თხრილთან ან ხრეშსა და ქვებში. გაიხედავ და ხობიც ზედ თავზე არ წამომდგომია! რაფერ შემოგასკდებოდა ავი ტახივით, ბუჩქებს მოთელავდა ლოდებს გადმოაბრუნებდა, ღვინჭა-კენჭებს მიმოფანტავდა; გზა და გზა — ზვინებს ძირს გამოუთხრიდა და სულ მთლათ გადმობერტყავდა, გაანიავებდა; ხბოებს, ქათმებს, ღორებს და გოჭებს დაიტაცებდა; გადმოანგრევდა საღორეს, მოწნულ ღობე-ყორეს დააქცევდა და ჩელტებთან ერთად მიაცურებდა სუყველას ერთად... სოფელ-სოფელ შეიჭრებოდა, ოღრო-ჩოღროებს გადააბაჯბაჯებდა, თხრილებს, ფოსოებს, ღრიფა ღრუდოებს გადაასკდებოდა, შუკა-ქუჩებიდან ეზოებს მივარდებოდა! უიმე რა იყო, ბაბაი!!! რა ვაი-ვაის აყრიდა სოფელს!!

მეც ბევრს მაკივლ-მატირებდა. ვის არ წამოვედებოდი, ვის არ ვეხვეწებოდი — მიშველეთ-თქო! ვომობდი, ვფართხალობდი გზა-დაბნეული,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მერე ქანცმიმწყდარი სადმე ღობის ძირას თუ მივეგდებოდი ან და, რომელიმე ღრუ-ტუს ჩავეჩრებოდი და იქ შევიხიზნებდი თავს...

ახლა, ჩემო ნენია, მე და შენ რომ ერთად მივდგებოდეთ, სულ აღარ მეკეცება მუხლები და არც მუხლის თავები მღალატობს.

ოღონდ იცი რა? თუ კიდევ შევჩერდით სადმე თხემლოვან კორდისა ან ჭაობის ჭანჭრობის ღვაფიან ჩრდილებში, ისევ ამიტაცებს ი უკმური, ი დასაწვავი ციებ-ცხელება!

რა კაი ქენი, ჩემო ნენუა, დღეს რომ მოხველი. მე კი სულ დამეწრიტა იმედი. რას ვიფიქრებდი, რომ კიდევ მეღირსებოდა შენი ნახვა.

ნეტა თუ შორი გზაა კიდევ არხამდის. ამბობენ იქ ყველა ჩვენი ნაცნობ-მოყვარე იყრის თავსო, სულ ყველა, ყველაკაიო...

ნეტა თუ დასტურ კაია ი არხი. ნანა, რა ამბავი უნდა იყოს იქ? როგორაა ნეტა მოწყობილი? მე ისიც გამიგონია, თითქოს კაპარჭინაზე ჯებირის გადაღმა ხალხს რაღაც ბუჩქნარი დაურგია, გაუშენებიაო. ისეთი თვალმომჭრელი და სუნელოვანი ყოფილა, თურმე ნუ იტყვი!

კაპარჭინას გულმკერდი სულ მოწნულ ყვავილებით აქვს მორთულ-მოხატულიო. მე ეს მივაყურე ვიღაც ღელე-ღულეების ბაასს, ლელწიან ლაქაშში რომ მოფორთხავდენ ფუჩუნით. რაღას ავედევნებოდი! აღარ გავყე და სულ შენს მოლოდინში ვწვალობდი, ჩემო ნენა.

მზეც სადღაც გადაიკარგა იმ ხანებში... შარშანდელ გაზაფხულს მთელი სამი კვირა დავნატროდი სხივს ერთი გლეხის ეზოში. აღარავინ მოვიდა.

ძირს თიხა-ნიადაგმა მომიჭრა გზა, აღარ მიშვებდა, ზევიდან კი წვიმის თქეში მიშხაპუნებდა. თავი ტყემლის ძირას მივდე და ღაპაღუპა კურცხალს ვყრიდი, ისე ვტიროდი. ხომ არ იცი როდის იყო ეს ამბავი?! თებერვლის დამლევს, მარტის დასაწყისს. მთელი ხე-ხეხილი კენწერო ჩამოლეწილი იდგა ამ თქორში და ტოტები ისე გაეფშიკათ, თითქოს ტახის გაფხვერილი ჯაგარიაო. ფაცხა შუაგულ წყალში ჩადგა, მთლათ ჩაიტივტივა. ხალხს ჩაბალახი ვეღარ გაეშრო და გალურჯებულ შიშველა ფეხს გაუვალ ღვარ-გუბეებში უჭყაპუნებდა.

ვაშლისა და მსხლის ტოტები მთლად გაშავდა, თითქოს გაირუჯაო. ლეჟვერს რომ ობი მოედება ისე გახდა გაუთავებელი თავსხმა წვიმების გამო... ბროწეულები ღობეებთან, თხრილების ახლო სულ მთლად გაკაპასდენ, გაანჩხლდენ და ულრინავდენ ერთმანეთს ბრაზით. გაღმიდან ი წყეული ზენა-ქარი უბერავდა და წამდაუწუმ აფრიალებდა, ახრიალებდა კარებს ფაცხაში.

შენ სადღა იყავი იმ ხანას, ნანა? მე ისე მციოდა, ისე მეშინოდა მარტოდ მარტო რომ დავრჩი. ი სამიწე ბატ-იხვებმა ხომ ბედი მაწყევლიეს. გამოსცურავდენ, პრტყელ-წითელა ნისკარტით გულ-ღვიძლს ამომიქექავდენ და ფსკერიდან ამოთრეულ შმორით და შლამით ამიტალახებდენ

სუფთა ჟუჟუნა კაბას. ხანდახან მსუქან ჭიაყელას ამოაძრევდენ ტყემლის დამპალ ფესვებში მიმალულს. უნდა გენახა რა სიხარულით ლაარლვაშობდენ, როგორ იტყაპუნებდენ მაშინ გულ-მკერდზე მაგარ ფრინველს! ჭირმა გაწყვიტოს, გადააშენოს ი დასაწვავი ფრინველები!

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ იცი ნანა, მზე ამოვიდა თუ არა, ჩემი ტყემალიც მაშინვე გაიშალა. ეზოში სხვა ტოტები ჯერ კიდევ ნაყონ წვიმით იყინყლლებოდა, ტყემალს კი კვირტები დაებერა და, გაზაფხულის ნათელით აკრიალებული, სულ თეთრი ყვავილით გაიპენტა. ვიშ, რამოდენა ყვავილი ესხა! როგორ აილორთქა, რა ჰშვენოდა ყვავილთ ამოყრა!

ეზოს კარიდან რომ ნიავ-ქარი შემოფრიალდებოდა, სულ ტრიალ-ტრიალით წამოვიდოდა ფურცელ-ნაქრცვენი, გულმკერდზე მეყრებოდა, მეფინებოდა... მეც დავარწევდი... ხან გვირგვინივით მოვივარდიანებდი პირ-შუბლს, ხან კიდევ, ვითომ სქელი ღართი წამომასხესო, ისე შევიბურებოდი თავით-ფეხებამდის!

იცი ზოგჯერ ვის დავემსგავსებოდი? სოფლის პატარძლები და გოგოები რომ მოირთვებიან გაზაფხულზე ყვავილოვან ლაინ-ჩითის კაბებით, აი იმათ, სწორედ იმათ ვგავდი!

რომ იცოდე რა გამოწყობილი, რა მოკაზმული ვიყავი! მაგრამ ადგილიდან ვერ ვიძროდი და აი ისაა რომ მკლავდა ყველაზე უფრო.

ფაცხიდან თავი ამორგეს ვილაც-ვილაც ქალებმა და კაცებმა. რუ უნდა გაეთხარათ, უნდოდათ ქუჩაში გადავეყვანე. შენც არ მომიკვდე! ჩხუბი აუტეხეს მეზობლებს: ესაო და თქვენი ეზოდან გადმოვიდა მაი წყალიო. მეზობლებმაც სხვას გადააბრალეს და ისეთი წივილ-კივილი მორთეს, მთლათ გადააყრუეს იქაურობა. შუადღემდე აღარ გათავდა აყალ-მაყალი, ჯაჯღანი, ჭინჭყლი. გარშემო კი კოლოები ატეხილიყვნენ და დაზუოდათ თავზე... რაღაი? ხელის განძრევის მაგიერ ზანტად იგერიებდენ... რომ იცოდე რა მენატრებოდა მორთულ-მოკაზმული მოვსულიყავი შენთან, ისე გენახე!

ოთხი დღე გავძელი ამ უბედურებაში. მარტის გავარვარებული მზე გულპირს მიწვავდა და თავისკენ მეზიდებოდა. ტყემალს პირველი ნაყოფიც გამოენასკვა, მჟავე, მწლაკე და მწვანე.

ერთ მშვენიერ დღეს ვხედავ, რას ვხედავ! ხის ფესვებს გააზრიალა და რაღაც უცნაური კრუნჩხვა მოუვიდა. წვრილ-წვრილ ფესვუკანებმა კი ღიტინი დამიწყეს, ძუძუზე დამაცხრეს და ხახაგამომხმარი გაშმაგებით დაუწყეს წოვა ჩემ სითხეს. შუადღისას ძირ-მორჩიც აძაგძაგდა და ისე შეიბერტყა, როგორც ნამდვილი ცხებ-ცხელებიანი... ხეს ალბათ ი უკმური თუ შეეყარა. მაგრამ იცი, ეს ჩემს მეტს არავის შეუმჩნევია...

ტყემლის ნაზი ბაცი ფოთლები ისე იკუტებოდენ, ისე იკლაკნებოდენ ტოტებზე, თითქოს შემოდგომაო, და დასაცვენად ემზადებიანო.

რას ვუშველიდი საწყალ ტყემალიკას! თვითონაც სული გამომიგუდა და ჭაობის ნაობარმა ლირწმა თვალები ამომიწირპლა. თანაც რალაც აუარებელი ჭია-ჭუა დამესია შემშრალ ფერდებზე. როგორ მომენატრე ჩემო ნანა, ჩემო ნენია, რანაირად გელოდი!

ბიბლიოთეკა

მზისკენ მინდოდა აფრენა ღრუბლის აფრა, ფრთებით მინდოდა გამომექროლა შენკენ ნავარდით! ბალღებმა ხომ სულ გამიწყალეს გული! ტიტლიკანები შემომესეოდენ. ტყლირპიანი მუცელი ისე ჰქონდათ გამობერილი, თითქოს ბოსტანში კვახი ამოსულიყოსო. უსირცხვილოდ მთელავდენ. თქაფან-თქაფანით გადმომსერავდენ, ტყემალს ზე ასკდებოდენ, კინალამ ტოტები მთლათ შემოამტვრიეს. მკუხე და მწლაკე ნაყოფს, ციების ფერი რომ ადევს, სულწასულივით ეტანებოდენ და კუჭს იტენავდენ.

აშკარათ ვხედავდი, რომ სამ-ოთხ დღეზე ციებ-ცხელება აახურვებდათ, უჟმური დაერეოდათ იმ უბედურებს... ფაცხის წინ ფეხმოკეცილი ისხდენ, წიწილებივით აშტერებდენ თვალებს და დაკრუნჩხულ-ჩაზაფრანებულ ხელ-ფეხს მზეს უფიცხებდენ.

ცია და ცივას უკანასკნელი თავგადასავალი

— ნანა, ნენია, შენ შემოგევლოს ჩემი თავი, ავად ხომ არ ხარ? თვალები რათ დაგიხუჭია? შენ ლია მომწვანო თვალები გაქვს, ნანა. მე კი? მითხარი რა ფერია ჩემი თვალები? მე ალბათ მუქი ქარვებივით მიბრწყინავს, არა? ეს მზის ლივლივია, ნანა! ხანდახან მოლიბრო მაქვს და ლილისფერი, ხან მთლად ფირუზი, ხან კი მომწვანო, ან და ისეთი დიდრონი, წაბლისფერი, როგორც ბოჩოლებს. თვალი გაახილე, შემომხედე. ნანა, ცუდათ ხომ არა ხარ? რა დაგემართა? რატომ ქშინავ აგრე ხშირ-ხშირად? დაიღალე? — სხაპა-სხუპით დააყარა დედას შედარდიანებულმა ციამ.

ცივას თვალის უპეში რალაც ბინდი ჩაუწვა. ბინდი გასქელდა, გაფართოვდა, დადგა ჩრდილებად გაფითრებულსა და მთლად გალურჯებულ სახეზე დიდრონი მრეში ტალები გამოეფინა.

იგი ფრთხილად იკაფავდა გზას. გაგლესილ კორძებსა და ფეხ-დასაცდენ ძირებზე ხელის ფათურით გადადიოდა და მთლათ აქლოშინებული ფორთხვით მიცოცავდა, ჭანჭყალა ლამიან ნიადაგზე.

უცებ დახაშმულ-აშმორებულ ორმოს მიადგა. ცია ნამცეცა პარაზიტი იყო, მას უმალვე თავბრუ დაესხა. შიშმა შეაზრზიალა და ჭინჭველებივით დაურბინა ტანში. იგი დედის კალთას ჩაებღაუჭა. მაგრამ ცივა წაბარბაცდა, წვრილად ატალახდა, ლაყლაყით გადაიზნიქა, თავი ველარ შეიკავა, ღრმა საგუბარში გადაეშვა და ტბორის ჩაყვითლებულ მდორეში ჩაეფლო.

ცია შეშფოთდა. გაფართოებულ თვალებით ორმოს პირას შედგა და, თითქოს შეიცხადაო, კივილი მორთო: ნანა, ნანა, ნანა, სადა ხარ?

პასუხად გაღმა-გამოღმა კრუალა გუნდების გახარებული ყივილ-ხივილი მოესმა:

— ყოა, ყა-ყა!.. ვუიყუა, ყა-ყო!.. ყაყა, ყა-ყო!

მათ დანარჩენებმა მიუგეს:

— ყი, ყი, ყი, ყი, ყი!.. ყუაკ, ბღყაკ!

— ნენა, დედია, ცივა! ცივა-ნენაუ! ერთი შენი თავი დამანახვე! მარტო სად წყალში ჩავარდე? მეშინიაა! — მოსთქვამდა გიჟივით ცია და ჭირის ცივ ოფლში იწურებოდა.

— ნუ გეშინია ცია, შენთან ვარ! — ამოიყარყარა უეცრად სადღაც სილრმიდან ცივამ.

— ნანა, ჩემო ნანუ! — სიხარულით შეჰკივლა, აშხაპუნდა ცია, — მანდეთ ნუ მიხვალ, მანდ ღრმა საფლობია! — და ციამ დედის ვიწრო მხრებს სტაცა ხელი.

— აქ უკვე საშიში აღარაა, შვილო, — სთქვა ცივამ, თან ორმოდან ამოძვრა საბოლოოთ; გულ-ყელი შეიბერტყა, დაწირპლული თვალები მოიფშვნიტა, მაჯლაჯუნების დამპალი ლორწი გაიცილა და აშმორებული წვირი მოიწმინდა.

ცია მის გარშემო დახტოდა და ისე ჰყიოდა, მისი ხმა მთელ ჭალადიდს გადადიოდა. ასე დაჰხეთ კაპარჩხალა ბაყაყებიც კი გააწბილა და დაადუმა მისმა მხიარულმა წკარწკარმა.

— ოდესღც სწორედ ამ ჭალაკზე იყო დავაკებული მთელი ჩემი ძირნათესავი. წინათ აქ ვერასოდეს ვერ გაუშვებდი ჭავლს და ვიყავი სულ უძრავად ჩამდორებული, — ეჭიკჭიკებოდა ქალიშვილს გახალისებული ცივა, — ფეხს გადაადგამდი თუ არა, ჭონჭყო და ლაფი ჩაიღვლარჭნებოდა და მთლად ჩაგითრევდა. არსაიდან ხსნა არ მოსჩანდა. ახლა კი აბა გადახედე! ჭაობი სადღაც გადაკარგულა... სად გამქრალა ი ჭონჭყლობი?! ჩამოქცეული ფლატე, თხრილები, ოლრო-ჩოლროები, თითქოს ღრიფა ორმოებიც ამომშრალაო ყოველგან... ეს წელა თიხა და შლამი რომ არ ამოგვდენებოდა, ჩვენ უკვე სამშვიდობოში ვიქნებოდით გასული, არხთან...

თანდათან, სუყველა მხრიდან, ქვეყნის ღელეებმა მდინარის წყლებმა იწყეს დენა. ზოგი მათგანი — ფშატალი წყლები მთიდან ჩამოლეკილ ლანქერებს ჩამოედინა. მეტი წილი კი ლეშტერი იყო, წვიმისა და ხეტყის ნაჟონი ღელე-ღულეები, — ჭალადიდის ფშანში და დაღვლერჭილ, ბუწკნარევ ტყეებში რომ შეგუბებულიყო.

ყველა ულოცავდა გაბედნიერებას ცივას და მის პატარა ქალიშვილს.

მრავალნი იყვნენ... საიდანღაც გულგახეთქილი მოვარდა რიონიდან გამოპარული ღელე. სულს ძლივს ითქვამდა. ყველას უკვირდა ამ მხარეში ცივა-რიონისა საიდან გაჩნდაო.

წყლები მზიან კორდს შემოეხვივნენ. ყველა ცნობისმოყვარეობამ აიტაცა. ყველა ციას ამბავის გამოკითხვას ლამოდა: საიდან მოსულაო, საითკენ მიემგზავრება ცივა პატარა ქალიშვილის თანხლებითა ეს-ია არხია ორივე რომ ასე გამალებით ესწრაფებაო...

ეროვნული ბიბლიოთეკა

კიდევ მრავალი გამოჰკითხეს წყლებმა დედა-შვილს.

ცივამ დასველებული კაბა გაჰფინა. ციასაც უბრძანა ჩქარა ცისფერი კაბის ქობა-ფესვედი გაეკიდა მზეზე და მწვანე მოსახვევიც მოეხადა გასაშრობად. თითონ კი გადამხმარ ლელის ჩალაში, მზიან კორდზე (ყოფილ ნამიანი ჭანჭრობის მაგიერ რომ ანათებდა გახურებული) ფეხი მოიკეცა და მერე დინჯად დაიწყო უცნაურის სწრაფად-მდენი არხის ამბავი.

იგი მოუთხრობდა წყლებს თუ როგორ დაიბნა შემთხვევით ტყე-ღრეში, თანაც ოდნავ წაიტრაბახა გადიდგულებულმა, თითქოს ამ გზით იმიტომ შემოეხვიოს, რომ ქალიშვილის კაბის გამოცვლაზე ვზრუნავდიო. აბა რა საკადრისია პატარძალმა სამგზავრო რუხი კაბა ატაროს ამდენი ხანი! ციას ახლა ვარდისფერი კაბა უნდა გადავაცვათ მწვანეო, ცისფერ კილოებით გაწყობილიო.

შემდეგ, თითქოს კოლექტივის თავმჯდომარე ყოფილიყოს, რიხით განუცხადა კრებულს, რომ მისი წყალი დიდი ხანია განსაზოგადოებულია, რომ იგი შედის მთლიან წყალთა მეურნეობაში მდინარე ხობთან ერთად და რომ ჭალადიდის მაგისტრალური დამშრობი არხი სწორედ მის, ე. ი. ცივას კალაპოტზე გადადის.

ბევრი მსმენელი შემორტყმოდა ცივას გარშემო. ყველა თხემლის თუ ლელწმების რომელიმე დარჩენილ ჩრდილს ეფარებოდა. ყველა გულმოდგინედ უსმენდა ცივას.

ცივა-რიონისამაც თავი ამოჰყო. შურით გულმოკლული, თავშეკავებული ბრაზით შესცქეროდა ხობის-ცივას ბედიღბალს; ცდილობდა თვალი აერიდებინა საამო სანახაობისთვის.

— მე ახლა თავისუფლად შემიძლია გავისეირნო ჩემს გოგონასთან ერთად მშვენიერ არხისაკენ. — გაფაციცებით ლაკლაკებდა ცივა და მცხუნვარე მზეს კეკლუც თამაშით უშვერდა ათქვირებულ შიშველა მკლავებს, თანაც თვალი სულ ციასკენ ეჭირა.

როგორც ეტყობოდა, ციას მეტისმეტად ჰკბენდა მზის სხივები. იგი წამდაუწუმ იფარებდა ხოლმე მუხლებზე თავის მოკლე წყლისფერ კაბას.

— ჯერ შენ თვითონაც არ ყოფილხარ ხეირიანად იმ არხზე, და ისე გაგილესია ენა, თითქოს შენი ძველი ნაცნობ მოყვარე იყოს! — ბოლოს გესლიანად ამოანთხია მოთმინებიდან გამოსულმა ცივა-რიონისამ.

ხობის-ცივა დინჯად წამოდგა. ეს არის სიტყვა უნდა ჩაეჩარა მავნე მოსახელისათვის, რომ მოულოდნელად დაბურულ ლელიდან, თითქოს ჩასაფრებულიაო, უზარმაზარმა გომბეშომ ისკუპა და შემდგარ წყალში ტყა-

პანი გაადინა. ყველას შეასხამდა შემდორებულ მღვრიე ლამს, მსმელები რომ აქეთ-იქით არ გაფანტულიყვნენ.

ზოგმა წყალმა მაინც მოასწრო და თავი დააღწია ტანსაც იღიმებოდა ცივა-რიონისა რომ გათხუპნულიყო თავიდან ეფხუბამდე ნვირიანის თხრამლით. გომბეშოს სხვაც აჰყვა და მათ ჩქარა ბაყაყების და ვასაკების გაუთავებელი სეტყვა წამოეწიათ. მწვანე მაჯლაჯუნების გაცოფებულ ტყაპანკრუალმა მთელი მიდამო გააყრუა. თითქოს ცივა-რიონისას სიცილს აყრიანო, ყიყინით.

ასე იყო თუ ისე, კარგა ხანი გავიდა და როდესაც არხის ამბავის კვლავ მოსასმენად ტბორების ნაჟონი ღელე-ღულეები ისევ იმ ღირღალზე შეგროვდენ, არც ცივა და არც მისი ქალიშვილი კორდზე აღარ დაუხვდათ. მათ მაგიერ ყვიჟილა ჩრდილი გაწოლილიყო. გვერდით კი სხივი კიაფობდა და პაპანების ფერადფერადას გადადიოდა ყირაზე. ალმური იდგა. ხანდახან კორდზე ნესტიანი ნაორთქლარის ნელი ამოოხვრა თუ დაჰკვესდა ჰაერს.

ცივა და ციას ამონასუნთქი, ისეთივე მსუბუქი როგორც თავათ განთიადია, ალმართ-ალმართ მიიკლაკნებოდა ლელ-ლერწმების ზემოთ და სიცხე-პაპანებით მოთენთილ ბუჩქნარის თავმაღლა.

ცივამ და ციამ კატაბარდების ხლართებს და ჭონჭყოზე ამოსულ თხემლოვან ტყეს საბოლოოდ თავი დააღწიეს და სააშკარაოზე გამოვიდენ. მათი მოღიმღიმე აჩრდილი, წუთით, მზით ალაპლაპებულს, მოვერცხლილ ვეება ლაჟვარდში აირია. შემდეგ კი, — და ეს მთელმა ქვეყანამ დაინახა, — ის ციდა ცია დედის კალთას შემოეკრა, ლაღად აუცოცდა გულმკერდზე და ნაზი, ფუნჩულა ხელები ყელს შემოჰხვია.

ასე ჩაკრული, ნარნარა რწევით დიდხანს მისცურავდა ცაში დედაშვილი ჭალადიდის ჭაობის თავზე, მაგისტრალური არხის გასწვრივ.

მაგრამ აღმოსავლეთით ძველმა მოკეთემ ბებერა — ზენა-ქარმა დაუბერა. მაშინ გახარებულმა ცივამ და ციამ გედებივით გაშალეს თავიანთი ღრუბლის მტრედისფერი ფრთები, დაირხენ და ზღვისკენ გაექანენ.

ჭაობში ჩარჩენილმა, ნაგუბარი წყლების წარმომადგენლებმა და ღელეღულეებმა ეს ამბავი რომ დაინახეს, ხელები გაასავსავეს, ტაში შემოჰკრეს და შურით აადევნეს თვალი მათ ფრენას.

ბრაზისაგან გასივებულმა, მთლად გაჟიჟინებულმა და გამწვანებულმა ცივა-რიონისამ პირი დაიგუბა და მალვით ბალახ-დაფნის ფართო ჩრდილებს შეაფარა თავი. მის გარშემო სწრაფ გაჩნდა კრუალა ბაყაყთა ხროვა. მოკრძალებულ შეცხადებით მოსთქვამდენ და ცივა-რიონისას თანაგრძნობას უცხადებდენ. გულში კი უხაროდათ — ესაო და ნაგუბარი წყალი მოგვემატაო.

ვინ იცის როდემდის გასტანდა მათი ზიმზიმ-ზეიმი, რომ მთავარ არხის მაგისტრალიდან მომავალ კატერის რიტმიულ გუგუნს ჰაერი არ გაეპო.

ჭანჭალა თხემლნარი, დაფანჩული კატაბარდები, თხაქურციკებს და ტახის ბუდე-ბუნაგები, შრიალა ლელში ჩამსხდარი ბაყაყებიც და უდარდელად მოფიფინე კოლოებიც კი შეკრთენ მაშინვე.

ყველამ სული განაბა და შიშით მიაყურა საბედისწერო უცნაურ რახრახს.

— ბუღ-ბუღ-ბუღ, ბუღ-ბუღ! — ჰკვეთავდა გზას კატერი და მოჭრილი ხშირი სუნთქვით არღვევდა ჰაერს. უეცრად გაღმა-გამოღმა ჭალებში ნაგუბარმა წყლებმა გაიშრიალ-გაიკრჩიალეს.

ყველა დაიძრა და მოტორის მწყობრ ხმაურს მიაშურა. ხტუნვა-ხტომით გადინავარდეს მზით დამშრალი ტბორეების კიდეები, მხიარულ ნაკადებით მისთელეს ხშირი ლელწმები. თავ-პირს იმტვრევდენ, იბლაჭნიდენ ნემსოვან ისლზე. უცნაური რაკრაკით და ხმაურით გაკაფულ ტალვეგებით პირდაპირ — არხში პირქვე ეშვებოდენ.

იმ კატერზე, პირველ მაგისტრალურ არხით რომ ტალღებს მოარღვევდა, ოთხნი იდგნენ: „კოლხეთმშენის“ პარტკომის მდივანი, თავათ კოლხი ჯოჯუა, ლაქაშის მოყვითალო ფოთოლივით რომ წასვლოდა ციებისაგან ფერი, კოლხეთის ახალ არხთა და მიწა-ჭალაკთა შემთხზველი, წყალთა უფროსი — ბესარიონ გოგია, კატერპილარის შალგის გორგოლაჭი — „საბჭოთა საქართველო“ და მე — ამ მოთხრობის ავტორი.

მგზავრობის განმავლობაში გოგიამ პირველად თუ ასწია თავი და ცისკენ აიხედა. გოგია კბილდაკბილ ძუნწად სწურავს სიტყვებს:

— მისცურავს... თუ ხედავ, პოეტო, როგორ მიფრინავს ჭაობის სული! მაგას ახლა ზენაქარი მიაქანებს ზღვისკენ! ჯებირის კიდეებს გადაღმა წყლის აჩქარებული თქრიალი მესმის. არხის ჩაბნელებულ გრემა თვალებს ვაცქერდები გულდაგულ.

არხის თავმაღლა ღრუბლოვანი გედები მისცურავენ, მიირწევენ, იკარგებიან ლაჟვარდ სივრცეში.

შორიდან მთავარ არხის მაგისტრალით ღუდღუდებს, ოხრავს კატერპილარი.

ერთბაშად სადღაც წყლის ხანდაზმული ყარყარიც მოისმის...

ყველა ფეხზე დგება კატერ „გრიგალზე“.

სულ ახლოს, ჩვენთან, იბადება ახალი მიწა!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ერიხ მიუზამი

საპატიმროში დაღუპულს

არა ტყვიისმფრქვევთა ცეცხლიან ქარში,
არა დროშების ქვეშ
შენ სისხლი დაღვარე.
გახსოვდა ბრძოლების და შრომის მარში —
განგმირულს ტყვეობის ლახვარით.

იყავ გატანჯული ხანგრძლივ საპყრობილით,
და სული დალიე, რწმენით აღსავსე.
შენ განვლე საკანის
გზა დაუნდობელი —
ეკლიან გვირგვინით თავზე!

შენ მოკვდი მრავალი წამების შემდეგ,
მაგრამ არ მომკვდარა
შენი მღელვარება.
შენი ცოცხალი ხმა გაისმის დღემდე,
მას ხმები ცოცხლების
ვერ შეედარება.

* * *

ნურავინ მოკვდება ახალგაზრდობაში,
ეს დანაშაულია ბოლოს და ბოლოს,
როცა თითოეულმა დიად ლაშქრობაში
უნდა იბრძოლოს.

უჩემოდ მიდიან თქვენი ბანაკები
ბრძოლაში. სუსტი ვარ ახლა,
როცა გაიმარჯვებთ,
თქვენ ამხანაგებო,
ჩემი სიმღერები
ასწიეთ მაღლა!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჩვენ კიდევ გვდალავენ
ბორკილით, რკინებით,
მაგრამ აჯანყების
ელვარებს ალი!

სიკვდილი ვერ მზარავს
თავის მოვლინებით,
რადგან შევასრულე
მე ჩემი ვალი!

თარგმანი ვალერიან გაფრინდაშვილისა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლევ. მეტრეველი

1914 წელი პარიზში
როცა ახმაურდენ ზარბაზნები

მსოფლიო ტორტმანობს

დიდ მოვლენათა მოწმედ შესწრება ცხოვრების თავისებურ ჯილდოთ უნდა მიიჩნიოს ადამიანმა.

ოცი წლის წინედ დაირღვა იმპერიალისტური მსოფლიოს ხიშტებზე დამყარებული მშვიდობიანობა.

დედამიწას ოდითგან არ ახსოვს ესოდენი ნივთიერი სიკეთის განადგურება — როგორც ამ ომის დროს.

კაცობრიობას ისე მწარედ არასდროს არ დაუკვნესია — როგორც ამ ომის დროს.

ამ ბუმბერაზულ ძალთა შეჯახებაში საბედისწეროთ დაწიოკდენ ოდესღაც ძლევამოსილი იმპერიები. სამაგიეროდ აღსდგენ ცხოვრების ანგარიშიდან მივიწყებული ბევრი ქვეყნები და სახელმწიფოები.

მაგრამ ისტორიის ახალი მიჯნების შემქმნელ ამ ტიტანიურ დაღუპვასა და წარმოშობაში კაცობრიობის უფრო სხვა სახეა საყურადღებო:

ამ ომმა შეარყია თვით ფუძე ძველ ურთიერთობაზე დამყარებულ ქვეყნიერებისა. ამ ომით დაიწყო დაღუპვა იმპერიალისტური მპყრობელობისა. სამაგიეროდ ამ ომში ჰპოვა მძლეთა-მძლეობა პროლეტარულმა იდეოლოგიამ, რომელიც სინამდვილედ იქცა საბჭოთა ხელისუფლების სახით.

ეს ხელისუფლება აღმავალი კლასის, პროლეტარიატის მრისხანე სახელმწიფოდ დამკვიდრებულა დასავლეთად და აღმოსავლეთად შუაზე გახლეჩილ ევროპის ნახევარზე, სამხრეთად და ჩრდილოეთად შუაზე გახლეჩილ აზიის ნახევარზე.

მაგრამ ეს არის მხოლოდ გეოგრაფიული სახე პროლეტარული სახელმწიფოსი, თვით იდეა კი ამ სახელმწიფოსი, იდეა ბოლშევიზმისა და კომუნიზმისა ურაგანივით შეიჭრება სახელმწიფოდან სახელმწიფოში და საძირკველში არყევს შიშით შეპყრობილ ბურჟუაზიულ სამყაროს.

ეს არის ზოგადი ჩონჩხი მსოფლიოს იმპერიალისტური ომისა.

ბევრი ისტორია უკვე დაიწერა ამ ომზე. უფრო მეტი კიდევ შემდეგში დაიწერება: ასი, ორასი, ათასი წლის შემდეგ, როგორც ახლა იწერება ძველი ქვეყნების ისტორია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ მოვლენების უშუალო მოწმის შთაბეჭდილებას აქვს თავისებური სურნელება, რასაც ვერცერთი ისტორიკოსი ვერ გადასცემს შთამომავლობას.

ოცი წლის იქით, მსოფლიო ომის დასაწყისიდან შერჩენილი ზოგიერთი შთაბეჭდილება მეც მინდა გავუზიარო მკითხველს, განსაკუთრებით კი ახალთაობას.

ეს შთაბეჭდილებანი შეეხება განსაზღვრულ კუთხეს: სახელდობრ — პარიზს. მაგრამ საფრანგეთი და მაშასადამე პარიზი — ეს ხომ ერთი უმნიშვნელოვანესი კვანძი იყო იმპერიალისტური ჯადოსნური ხლართისა!

1914 წელი. ივნისის მიწურულებია.

ორი კვირეა ლონდონში ვარ. ეს ხომ უდიდესი ქალაქია მთელ დუნიაზე. მაინც მისი არაფერი არ მხიბლავს: ის მოცულობით არის დიდი და არა სულით, შინაარსით.

ყველაზე მეტად მიზიდავს „რეჯინა-პარკი“ და იქ გაშლილი ზოოლოგიური ბაღი. ახლაც დავბრუნდი იქიდან. გზაზედ ვიყიდე პარიზის ყველა მნიშვნელოვანი გაზეთები. იწყება მ ა დ ა მ კ ა ი ო ს პროცესი.

ეს პროცესი არ არის მარტო ყოფა-ცხოვრების ნიადაგზე აღმოცენებული დრამა. ეს არის დღევანდელი საფრანგეთის პოლიტიკური ცხოვრების მკვეთრი მოვლენაც. ამიტომ მისჩერებიან განსაკუთრებული ყურადღებით ამ პროცესს განა მარტო საფრანგეთში, არამედ მთელს ევროპაშიც.

M-me კაიო ერთერთი თვალსაჩინო პოლიტიკური მოღვაწის და რადიკალ-სოციალისტების ბელადის — ჟოზეფ კაიოს მეუღლე არის. კაიო მინისტრ-პრეზიდენტად იყო 1911 წელში. მან სახელი გაითქვა თავისი რეაქციონული პოლიტიკით. სოციალისტები და სინდიკალისტები მას უწოდებდენ „საფრანგეთის სტოლიპინს“, „სისხლიან კაიოს“.

მაგრამ კაიომ ერთი დიდი სიკეთე მაინც ჩაიდინა. ამ დროს მაროკოს შესახებ საქმე მეტისმეტად იყო გამწვავებული გერმანიასთან. კაიომ თავისი კომბინატორული დათმობით იმდენი მოახერხა, რომ საფრანგეთს ომი ააცდინა. ამგვარად იგი იხსნა სრული განადგურებიდანაც.

მაგრამ რეაქციონურმა საფრანგეთმა საკითხის ასეთი მოგვარება დამსახურებად კი არ ჩაუთვალა კაიოს, არამედ გამოიყენა მის საწინააღმდეგო ბრალდებად.

ამას ზედ დაერთო მეორე გარემოებაც: 1913 — 14 წელს ფინანსთა მინისტრად ყოფნის დროს კაიომ მოინდომა საშემოსავლო პროგრესიული გადასახადის შემოღება. ამის წინააღმდეგ სასტიკად გაილაშქრა რეაქციო-

ნურმა ბურჟუაზიამ. კაიოს საწინააღმდეგო კამპანიას ყველაზე ძვარძლიანად ეწეოდა გაზ. „ფიგარო“ — მისი დირექტორის გასტონ კალმეტის მეთაურობით.

კამპანიამ საზიზღარი ხასიათი მიიღო. კალმეტმა კაიოს პროტესტის გასანადგურებლად დაიწყო მისი ინტიმური წერილების ბეჭდვა.

პოლიტიკური ბრძოლის ასეთი ფორმა ვეღარ აიტანა კაიოს მეუღლემ. ერთ დღეს ეწვია კალმეტს რედაქციაში და სიცოცხლეც მოუსპო ბრაუნინგის ტყვიით.

ამან უფრო გაამწვავა საქმე. მთელი საფრანგეთი ორ ბანაკად გაიყო. კაიო იქცა პოლიტიკურ წამებულად რეაქციის ხელში და დღეს მთელი მემარცხენე ფრონტი მას უჭერს მხარს.

დღეს M-me კაიოს პროცესის სახით ერთმანეთს ეჯახება ორი პოლიტიკური ბანაკი.

ამ პროცესზე დამცველებად გამოდიან საფრანგეთის ადვაკატურის ყველაზე სახელოვანი წარმომადგენლები: ლაბორი — კაიოს დამცველად და როშერი — მოწინააღმდეგედ.

ამ პროცესის უბრალო წვრილმანიც კი სენსაციად აქვთ გადაქცეული ყველა გაზეთებს.

წლების განმავლობაში მეც სავსებით შევესისხლხორცე საფრანგეთის ცხოვრებას. დღეს ჩემი ყურადღებაც ისევეა შებოჭილი ამ პროცესით — როგორც ყოველი ჭეშმარიტი ფრანგის.

ვკითხულობ ამ პროცესის ამბებით გაჭედილ გაზეთებს და აგერ უცებ წავაწყდი თითქოს შემთხვევით მოთავსებულ ცნობას: ს ა რ ა ე ვ ო შ ი ვ ი ნ მ ე ს ე რ ბ ი ე ლ ა ხ ა ლ გ ა ზ რ დ ა ს მ ო უ კ ლ ა ვ ს ა ვ ს ტ რ ო-ჰ უ ნ გ რ ე თ ი ს მ ე მ კ ვ ი დ რ ე ფ რ ა ნ ს-ფ ე რ დ ი ნ ა ნ დ ი.

მე კარგად მახსოვს ატმოსფერა რამდენჯერმე უკიდურესობამდის გამწვავებულ მაროკოს საკითხისა, იტალია-ოსმალეთის ომის, ბალკანეთის ამხედრების. ყველა ამ მომენტების დროს შეუძლებლად ვსთვლიდი მსოფლიო ომის დაწყებას.

ახლა კი ამ სარაევოს მკვლელობით აუცილებლად მომეჩვენა ომი დიდ სახელმწიფოთა შორის.

მაშ აღარ ღირს ხეტიალი. ჩემ მუდმივ სამყოფელს პარიზი წარმოადგენს. ისა მაქვს მიჩნეული ჩემი ცხოვრების ნავთსაყუდარად.

ომის მოლოდინით ასწრაფებული მეორე დღესვე დავბრუნდი პარიზში.

გადის კვირე, ორი კვირე.

არავის ულტიმატუმი არ ეგზავნება. არავინ მობილიზაციას არ ახდენს.

ნუ თუ მშვიდობიანად ჩაივლის ყველაფერი ეს?

მაგრამ დაკვირვებული კაცი აშკარად შეატყობდა თუ რა სულშეხუთული პოლიტიკური ატმოსფერა შეიქმნა მთელს ევროპაში.

მაინც ომის აუცილებლობაში რაღაც იჭვს ჰბადებს ზოგიერთი უცნაური ამბები: მაგალითად დასასვენებლად მიდიან ავსტრიის სამხედრო მინისტრი და გენშტაბის უფროსი. გერმანიისა და რუსეთის [illegible] პოლიტიკურ პირებსაც ახლა მოუნდათ დასვენება და სადღაც გაერთობა. აგერ საფრანგეთის პრეზიდენტი პუანკარე და მინისტრ-პრეზიდენტი ვივიანიც სასტუმროდ გაემგზავრენ ნიკოლოზ მეორესთან.

რას ნიშნავს ყველაფერი ეს? ნუთუ ევროპის პოლიტიკის უდიდესი პასუხისმგებლები მართლა არსაიდან არ ელიან საფრთხეს და ასე გულდამშვიდებით დასეირნობენ?

მაგრამ არა! ყველაფერი ეს თურმე განგებ მოაწყეს ერთმანეთის თვალის ასაბმელად. ზოგიერთის ფხიზელი თვალი და გონება სწორედ ასეთ ამბებში ჰხედავდა კიდევ უფრო მეტ საფრთხეს.

რამდენიმე დღის წინედ საფრანგეთის პალატაში საკითხი იდგა პუანკარესი და ვივიანის რუსეთში მოგზაურობის ხარჯების გასაღებად.

ჟორესმა სასტიკად გაილაშქრა ამ ხარჯების წინააღმდეგ. ის თავისი მძლავრი ლოღიკით და ცეცხლოვანი ტემპერამენტით ამტკიცებდა, რომ პუანკარეს შეხვედრით ნიკოლოზთან კიდევ უფრო განმტკიცდება საფრანგეთ-რუსეთის მეტად სახიფათო და არაბუნებრივი კავშირი. ეს კი ნიშნავს ახალ პოლიტიკური ვალდებულებების მიღებას. ჩვენ კი უხეშ, თვითმპყრობელურ რუსეთთან საერთო არაფერი გვაქვსო.

პუანკარე და ვივიანი მაინც გაემგზავრენ.

ისინი ალბად ელოდენ პეტერბურგის ლამაზ პროსპექტებზე ზეიმით შეხვედრას. მაგრამ გაცრუვდა მათი რეაქციონური რომანტიკა და ფანტაზია.

ხანგრძლივ ბრძოლებში ნაცადი პეტერბურგის პროლეტარიატი ისევ ამძვინვარდა. გაფიცვა მოედო ქარხნიდან ქარხნებს, რაიონებიდან რაიონებს. ქუჩებში ყოველდღე იმართება გრანდიოზული დემონსტრაციები. ხდება სასტიკი შეჯახებანი პოლიციასთან და ჟანდარმერიასთან.

გაზეთებში ყოველდღიურად ვხვდებით მოკრძალებულ ციფრებს: დემონსტრაციის დროს მოკლულია 3 ან 5 ან 6 მუშა. დაჭრილია იმაზე მეტი.

გამოცდილებით უკვე ვიცით — რას ნიშნავს ეს. ფრანგული გაზეთები გულისტკენით ძუნწად იძლევიან ამ ცნობებს. ოდესღაც რევოლუციონური პარიზი დღეს როგორ კანკალებს რევოლუციონური პეტერბურგის წინაშე!

პუანკარეს ერთი საზეიმო გასეირნებაც ვერ მოუხდა პეტერბურგის ქუჩებში.

მაგრამ სასახლეში ჩაკეტილი — ეტყობა მთელ დროს უფრო ნაყოფიერად ხარჯავს თავისი პოლიტიკის პირქუშ საქმეებზე.

ორ წელიწადში ეს კაცი ნამდვილ დიქტატორად გადაიქცა საფრანგეთში. ასეთი თვითნება და აქტიური პოლიტიკური მოღვაწე არ ახსოვს რეს-

პუბლიკანურ საფრანგეთს. ერთი წლის წინედ აირჩიეს პრეზიდენტად და იმ დღიდან ხელში ჩაიგდო საფრანგეთის პოლიტიკის მთელი სადავე. რამდენჯერმე ძალის-ძალათი მოახვია პარლამენტს თავზე ისეთი მთავრობა, ომელიც მისი პოლიტიკის ბრმა გამტარებელი იქნებოდა. ეს ... ...

მთელი საფრანგეთის მკითხველი მასის უმრავლესობა კი ამაო ხელშია. როგორც ყოველთვის — დარბაისლურად უჭირავს თავი საგარეო პოლიტიკის ტონის მიმცემ რეაქციონურ „ტანს“. ის [illegible] ფასიან სააგიტაციო მასალას, მაგრამ მისი ყოველი წერილი — [illegible] არტილერიის გამოტანაა ბრძოლის ველზე.

მხოლოდ ჟორესის „ლ'უმანიტე“ სდგას მშვიდობიანობის სადარაჯოს მწვერვალზე. მაგრამ ყველა გრძნობს — ომი აუცილებელია. აღარას გზით არ გადაიდება იგი: ეს იქნება მოვლენების განვითარების ულოლიკობა, ძალთა ჭიდილის უკულმა შეტრიალება, სტიქიონების შებოჭვის ამაოცდა. ეს კი არ მოხდება, არ მოხდება. ამას უმაღლესი ჭეშმარიტებასავით განიცდი რაღაც მეექვსე გრძნობით.

თან გაჟრჟოლებს: არ იცი, რა სახის იქნება ეს ომი. თან გეჩქარება: დაე, ბარემ მოხდეს აფეთქება: წუთები იზრდებიან, აუტანელი ხდებიან: ვერსად ვერ ისვენებ, ვერაფერს აკეთებ, ვერ იძინებ, ვერცა ფიქრობ გარეშე ომისა. ამ მოწამლული ატმოსფერით დამთვრალი ფიქრობ მხოლოდ:

ო დ ი ს დ ა ვ ი ნ — ვ ი ს?

აჰა, ბოლოს ავსტრიამ გამოუცხადა ომი სერბიას.

უკვე მოსქდა ომის ნიაღვარი. მას ველარავინ შეაჩერებს. დღეს ან ხვალ იგი წალეკავს მთელს ევროპას და რა იქნება შემდეგ, რა იქნება შემდეგ — ამას აღარავინ უწევს ანგარიშს.

მთელი ფიქრი, მთელი სულისკვეთება დღევანდელი დღით არის გაჟღენთილი, დღევანდელი დღით არის დამათვრალი:

დღეს კი იწყება ომი: მსოფლიოს უდიდესი სახელმწიფოების ათეულწლობით დაგროვილი ენერგია, იარაღი, სიმდიდრე, ცოდნა, ნებისყოფა, ვაჟკაცობა — ერთმანეთს უნდა შეეჯახონ სამკვდრო-სასიცოცხლოდ.

გარდა ამისა ერთმანეთს უნდა შეეჯახოს უტიფრობა და მშრომელი კაცობრობის ოსტატური მოტყუებაც.

პუანკარე და ვივიანი ჰაიჰარათ მოეშურებიან პარიზისაკენ სწრაფმავალი კრეისერით. როგორც გავლისას ისე გამოვლისას გზაში ხვდება გერმანიის ჯავშნოსანი და სამხედრო სალამს აძლევს თავის ხვალინდელ მოსისხლე მტრებს. ეს ქცევა წარმოადგენდა გულისხმაში ჩასაგდებ გოროზ მუქარას: არ დაგავიწყდეთ! საფრანგეთსა და რუსეთშუა იმყოფება გერმანია, რომელსაც უნდა გაუსწოროთ ანგარიშიო.

შეირყენ მუშათა მასებიც. მათი რევოლუციონური გრძნობა ჯერამ არ შელახულა შოვინისტური თავბრუდახვევით.

„ლ'უმანიტე“, „ლა ბატაი სინდიკალისტ“ იწოდებენ ომის საწინააღდეგო დემონსტრაციაზე.

რევოლუციონური პეტერბურგით გუნებაწამხდარი პუანკარე და ვივიანი სასტიკად კრძალავენ ამ დემონსტრაციას.

საღამოზე მუშები მაინც გროვდებიან ყველაზე [illegible], ყველაზე სულგაყიდულ და ყველაზე გავრცელებულ გაზეთ „[illegible]“ რედაქციასთან — მთავარი ბულვარების ცენტრში. მასიურად, უკანასკნელად მხოლოდ აქ გაისმა კიდევ:

— ძირს ომი!

— ძირს ბურჟუაზიული იმპერიალიზმი!

— გაუმარჯოს სოციალურ ომს!

იშვიათად გაწრთვნილი პარიზის პოლიცია გულხელდაკრეფით არ უცქერიდა ასეთ „მოლალატურ“ გამოსვლას მუშათა კლასისას. „პატრიოტურ“ გრძნობით შეკუმშული მათი მუშტები მრავალმა ასეულმა მუშამ იგემა. მრავალიც მიაბრძანეს კომისარიატებში.

სამაგიეროდ აგერ თითქოს ციწიდან ამოძვრენო ომის პირქუში მოციქულები: ყოველი მხრიდან მოფრიალებენ სამფეროვანი დროშები — გამოთაყვანებული პატრიოტული წარწერებით. ყველაზე „მრისხანე“ წარწერას წარმოადგენს —

— ბ ე რ ლ ი ნ შ ი! ბ ე რ ლ ი ნ შ ი!

უცქერი ამ უჩვეულო ალტყინებით შეპყრობლ ბრბოს, გინდა გამოარკვიო მისი სოციალური სახე, მაგრამ... აქ უნდა იყვენ მოსწავლეები, ნოქრები, პატარა ვაჭრები და რანტიეები, კომი-ვოიაჟორები, ქუჩაში ათასობით მოხეტიალე გამოურკვეველი პროფესიის ხალხი. ერთი კია: მუშებს აქ ვერ ვხედავ.

ეს არის პატრიოტული დემონსტრაცია.

ეს არის პირველი ოფიციალური სახე ომისა.

ალბათ ასევე ხდება რეინს იქით, ასევე ხდება ვისლას იქით, ასევე ხდება ლამანშს იქით.

ასე ერთდოულად იღვიძებს ყველგან „კეთილშობილი პატრიოტული გრძნობა“.

გიხაროდეთ კროზო, ზახაროვო, კრუპპო, სკოდო, პუტილოვო!

გიხაროდეთ ფრანს-იოსებო, ვილჰელმო, გეორგო, ნიკოლოზო, რაიმონდო!

უკვე რადიოსისწრაფით ვრცელდება მთელ ქალაქში გამაღიზიანებელი ლეგენდები:

ვითომ დააპატიმრეს აუარებელი გერმანელი ჯაშუშები. აღმოაჩინეს რამდენიმე გერმანელი რადიოსადგური. ვითომ მრავალი კომერციული ფირმები (მაგალითად „მაჟი“) — ეს მხოლოდ გერმანიის აგენტურა ყოფილა.

საკმარისია ამ ჰანგზე აწყობილი უბრალო ფრაზა გადაისროლო და იგი ელვის სისწრაფით ედება ყველგან, ყველგან.

ასეთ შემთხვევაში რა იშვიათი გადამცემი აპარატი ყოფილა ბრბო!

ყველამ იცის ბულვარ პუასონიერზე გამართული მუშათა დემონსტრაცია ომს ველარ ჩაშლის. აქ იწყება სოციალისტური პარტიის ტრაგედია — იმპერიალისტური ომის ხანაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოკვდა უდიდესი ორატორი

ამ ალიაქოთში, ამ შხამიან და უგუნურობით დამათვრალ ატმოსფერაში შენ, შენი ცხოვრებით მუშათა კლასის ბედიღბალთან განუყოფელათ დაკავშირებული, მაინცა ფიქრობ:

რას იზავს მუშათა კლასი?

რას იზავს სოციალისტური პარტია?

რას იზავს ჟორესი?

ყველას ახსოვს შტუტგარტის, კოპენჰაგენის, ბაზელის კონგრესების დადგენილება:

საერთო გაფიცვა ომის დროს.

იმპერიალისტური ომის გადაქცევა სოციალურ ომად.

მაგრამ ეს არ მოხდება არსად: არც გერმანიაში, არც საფრანგეთში, არც სხვაგან. აშკარად გრძნობ სოციალისტური პარტიების უძლურებას. სამაგიეროდ ბრმა შოვინისტური ანთება მოედო ყველგან. იგი იმორჩილებს ყველას ფსიქიკას: თვით იმათსაც კი — ვინც აქნობამდის შეგნებული მოწინააღმდეგე იყო ომის.

მაინც რას იზავს, როგორ მოიქცევა ჟორესი? მუშათა კლასის, სოციალისტური პარტიის უკანასკნელი სიტყვა მაინც იმან უნდა სთქვას.

ის არის სინიდისი მთელი მეორე ინტერნაციონალისა.

ის კი ოლიმპიურის სიმშვიდით უცქერის ამ ქვეყნის აღრევას. თუმცა თავისი სიცოცხლის უკანასკნელ დღეების ყოველ წუთს ამ თავსატეხ საკითხების მოგვარებას სწირავდა.

25 ივლისს ლიონში გამოვიდა ომის საწინააღმდეგო სიტყვით.

29 ივლისს ასეთივე სიტყვით გამოვიდა ბრიუსელში.

ვივიანი მთავრობის ყოველ სხდომაზე იწვევს ჟორესს და უკანასკნელ რჩევას მისგან ღებულობს.

ეს უდიდესი იდეალისტი და მშიდობიანობის თავდადებული მოციქული მთელი თავისი სიბრძნით და კეთილშობილი ავტორიტეტით სცდილობდა კარზე მომდგარ სისხლისღვრის თავიდან აცილებას.

ავსტრიამ რო ულტიმატუმი გაუგზავნა სერბიას, მეორე დღეს ჟორესი სწერს მეთაურს „ლ'უმანიტეში". ის ურჩევს სერბიას — მიიღოს ულტიმატუმი, დაუთმოს ავსტრიას: ეს წარმოადგენს სულ უმნიშვნელო მსხვერპლს იმასთან შედარებით, რაც ომის დაწყებით მოელის კაცობრიობას.

მაგრამ სერბია რომ წავიდეს დათმობაზე, რუსეთი დაათმობინებს? ან რუსეთი რომ წავიდეს დათმობაზე, საფრანგეთი დაათმობინებს? ან საფრანგეთმაც რომ დაუთმოს, განა ინგლისი წავა დათმობაზე?

აგრეთვე ავსტრიამ რომ შეანელოს თავისი რისხვა სერბიის მიმართ, განა გერმანია მისცემს ამის ნებას?

არა! ჟორესის ამ გონიერ და კეთილშობილ აზრს არავინ არ მიიღებს.

აი უკანასკნელ დღეს 31 ივლისს, როცა ცეცხლის ვულკანმა უკვე დაიწყო ქშენა, ჟორესი მაინც სწერს წერილს:

„გულდამშვიდებით!"

ის ურჩევს ყველა მთავრობებს, მინისტრებს, პრეზიდენტებს, მეფეებს — სასწრაფოდ, დაუფიქრებლად არ გადასდგან რაიმე ნაბიჯი, რადგან ახლა გადადგმული ყოველი ნაბიჯი მეტად საბედისწერო იქნება მთელი ქვეყნიერებისთვისო.

შუადღის შემდეგ ისევ მიიწვიეს მთავრობის სხდომაზე. აი ამ სხდომის დროს თუ მის შემდეგ მოხდა პ ა ტ ა რ ა ს ა უ ბ ა რ ი, რასაც რაპპოპორტი გადმოგვცემს უტყუარ საბუთად:

... ჟორესი „ლ'უმანიტესთვის" ამზადებდა წერილების მთელ სერიას, სადაც გამოააშკარავებული იქნებოდა ომის მიზეზები და პასუხისმგებლობა მასზე. ეს იქნებოდა თავისებური „მ ე ბ რ ა ლ ს ა ვ ს დ ე ბ!"

ეს იცოდა ბევრმა. ამ საუბარზე დამსწრე — ვივიანის თანაშემწე ალბერტ ფერრი შეეკითხა ჟორესს, თუ როგორ მოიქცევა იგი შემდეგისათვის. ჟორესმა უპასუხა:

— გ ა ნ ვ ა გ რ ძ ო ბ ჩ ვ ე ნ კ ა მ პ ა ნ ი ა ს ო მ ი ს წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ!

— თ ქ ვ ე ნ ვ ე რ გ ა ბ ე დ ა ვ თ ა მ ი ს ჩ ა დ ე ნ ა ს — უ თ ხ რ ა ფ ე რ რ ი მ — თ ქ ვ ე ნ მ ო გ კ ლ ა ვ ე ნ პ ი რ ვ ე ლ ი ვ ე შ ე ხ ვ ე დ რ ი ლ კ უ თ ხ ე შ ი!"

ეს იყო 3 — 4 საათზე. აქედან ჟორესი წავიდა პირდაპირ რედაქციაში. იქ წაიმუშავა რამდენიმე ხანს. მაგრამ დაიქანცა კაცი, თანაც მთელ დღეს მშიერია. ის რამდენიმე წუთით ჩამოდის იქავე მონმარტრის კაფეში, რომ დანაყრდეს ცოტაოდენი.

აქ აღსრულდა წინასწარმეტყველობა ფერრის:

ქუჩიდან ვერაგულად მიეპარა ვინმე ვილლენი და მოუსპო სიცოცხლე ამ მშვიდობიანობის უკანასკნელ მებრძოლს.

უ დ ი დ ე ს ი ო რ ა ტ ო რ ი — ჟ ა ნ ჟ ო რ ე ს ი — რ ო მ ე ლ ი ც ა მ შ ვ ე ნ ე ბ დ ა ს ა ფ რ ა ნ გ ე თ ი ს ტ რ ი ბ უ ნ ა ს — მ ო კ ვ დ ა.

ასე იწყებოდა მთავრობის სამგლოვიარო განცხადება — ქუჩებში რომ გააკრეს მრავლად პირველ აგვისტოს.

მსოფლიო ომის პირველ მსხვერპლად გადიქცა ის, ვინც მთელი თავისი სიცოცხლით, უბადლო მჭერმეტყველობითა და მარად შეულახავი ავტორიტეტით ისე სწორუპოვრად იბრძოდა მშვიდობიანობისთვის.

მოკვდა მთელი საფრანგეთის მშრომელთა მებაირახტარი და უმწიკვლო ადამიანი.

მოკვდა მეორე ინტერნაციონალის სინიდისი.

მოკვდა უდიდესი ტრიბუნი მეოცე საუკუნისა.

მირაბოსი და დანტონის, რობესპიერისა და გამბეტას პარიზი დღეს ახლად დაიბადა ჟორესის სიკვდილით.

ვერა, მის ადგილს ველარავინ დაიჭერს დღევანდელ საფრანგეთში. მისი ადგილი დაცარიელდა.

კარიერა, ქონება, სახელი — აი მამოძრავებელი ძალა ყოველი ბურჟუაზიული ქვეყნისა და განსაკუთრებით საფრანგეთისა.

ოცი წლის განმავლობაში ჟორესისთვის ყოველთვის ღია იყო ყოველი მთავრობის კარი, მაგრამ იგი არასდროს არ გაჰყოლია ამ ცდუნებას.

ის კმაყოფილდებოდა მხოლოდ დეპუტატის კეთილშობილი როლით და აქედან წარმოადგენდა იგი მთელი მშრომელი საფრანგეთის ავტორიტეტს და ყოველი მთავრობის რისხვას.

ყოველთვის შეგეძლოს მინისტრად გახდომა და არასდროს არ შესცდე! იცით რა ნიშნავს მუდამჟამს ასეთი თავდაჭერა? ეს არის სინიდისი, ეს არის რწმენა, ეს არის პრინციპიალობა, რომელსაც სრულყოფილად ანსახიერებდა ჟორესი. სხვა ყველა უძლური იყო ასეთ ცდუნების წინაშე.

ბრიანი, ვივიანი, მილიერანი, ალბერტ ტომა, პოლ ბონკური — ყველა ესენი ჟან ჟორესის საბუდრიდან გადმოფრენილი ბახალებია. ისინი სოციალისტების ქურქს ატარებდენ, სანამ სამინისტრო ქურქს წამოისხავდენ.

აქედან აშკარად სჩანს, რომ ჟორესს არ ჰყავდა სწორი თავის ეპოქაში.

მახსოვს ერთხელ ტრიბუნაზე მდგომ ბრიანს ჟორესმა უსაყვედურა მისი იდეური ფერისცვალებანი. ბრიანმა უპასუხა, რომ ასეთი ფერისცვალება თვით ჟორესსაც განუცდია თავის ცხოვრებაშიო. ამაზე ჟორესმა მიუგო:

— დიაღ მეც განმიცდია იდეური ცვლილება, მხოლოდ ერთის განსხვავებით: თქვენ მუდამ მარცხნიდან მარჯვნივ მიდიხართ, მე კი მარჯვნიდან მარცხნივ მივდივარ. თქვენ მუდამ ღალატობთ მუშათა კლასს, მე კი უფრო ვუახლოვდები მასო.

ყველა აქედან შეიძლება მივიღოთ მხოლოდ ერთი დასკვნა:

ჟორესმა პოლიტიკური მოღვაწეობა ერთხელ კიდევ აიყვანა იდეურ სიმაღლემდე. მან პოლიტიკაში აღადგინა მორალის მძლეთა-მძლეობა. მან გულწრფელობა და უანგარობა გაიხადა თავისი მოღვაწეობის ყველაზე ბასრ მახვილად. ის იყო სწორუპოვარი მიმყოლი თავისი იდეების, მაგრამ მან მოიპოვა ავტორიტეტი ყველა იდეებზე, ყველა პარტიებზე.

ჟორესმა ისევ აამაღლა საფრანგეთის ტრიბუნა და ახლად მოუპოვა კონვენტის შემდეგ მივიწყებული სილამაზე.

ჟორესის მომსწრე თაობას არასდროს არ დაავიწყდება მისი ბრძოლა ტრიბუნაზე.

ხალხი ელის ათასობით, ზოგჯერ ათიათასობით. აგერ სადღაც შეირყა ჯგუფი და იქიდან გასაოცარი სისწრაფით წამოვიდა მომჯადოებელი ტალღა —

ჟორესი! ჟორესი!

ხალხი ტრტვინავს. ხალხი ერთი მტკაველით იზრდება მაღლა: ყველა ფეხის წვერებზე დგება: უნდა დაინახოს იგი, ვისაც ელის, ვისმა ტალღამაც ასე გამოაფხიზლა მთელი არსება. მაგრამ ჟორესი ვერა სჩანს: ის ხომ საშუალო სიმაღლისა ძლივს არის. მთელი ხალხი მიიწევს მისკენ: არა სჩანს მაგრამ მაგნიტივით იზიდავს ყველას.

აგერ ტრიბუნაზე ადის ერთი ორატორი, მეორე, მესამე. მაგრამ ყურს არავინ არ უგდებს: ყველას ეჩქარება — დაინახოს ის, გაიგოს ის, ვისი სახელიც ატორტმანებს ყველა ტრიბუნას და ყველას გულს.

აჰა, იგიც გამოჩნდა ტრიბუნაზე.

ტაშის ქუხილი, შემდეგ სიჩუმე დაგუბებული მორევისა.

ნუ თუ ეს არის ჟორესი?

სულ სხვა ყოფილა გარეგნულად — ვიდრე ელოდი წარმოდგენით:

ბრგე, ძარღვიანი. უფრო სქელი ვიდრე მაღალი. განიერ მხარ-ბეჭს მოკლე კისერი კიდევ უფრო აგანიერებს. ჭაღარა შერთული ქერწითელა წვერულვაში არა ღაღადებს პატრონის განსაკუთრებულ მზრუნველობაზე.

გასაოცარია! ეს უფრო დამშვიდებულ კომერსანტის ტიპსა ჰგავს ვიდრე დიდი ტრიბუნისას.

მაგრამ სმენა! ლაპარაკობს ჟორესი!

ყველა ჩაიმარხა სიჩუმით თავის თავში.

ჟორესმა შთანთქა ხალხი, თუ ხალხი ნთქავს ჟორესს?

შესავალი უბრალო. სულ ჩვეულებრივი, დამშვიდებული კილო. დასაწყისში ნუ მოსთხოვთ ნურაფერ იმას, რასაც ელით ჟორესისაგან.

მაგრამ აჰა, გულში უკვე დაინთო ცეცხლი! თავში ამოძრავდენ იდეები! ხმამ შეიძინა ფოლადი!

მორჩა! ტრიბუნაზე ახლა ტრტვინავს უშველებელი ტიტანი! სადღაც უცებ დაპყრობილ ქვესკნელიდან მოაქანებს ახალ-ახალი იდეების მაშხალებს! ისმის მოსწრებულ თქმათა ლაწანი.

ყველაფერი გაქრა. ყველაფერი დაიკარგა. მოსჩანს, მხოლოდ ტრიბუნი, თვითმპყრობელი ტრიბუნი!

ვინ იფიქრა წელან, თითქოს კომერსანტს ჰგავდეს ჟორესიო!

აბა შეხედეთ, ასეთი აზრიანი, ასეთი მგზნებარე, ასეთი რაინდული და მებრძოლი სახე სად გინახავთ კიდევ ტრიბუნაზე!

მისი ყოველი გამოხედვა ცეცხლი და ღელვაა. მისი სიტყვაც ცეცხლი და ღელვაა. მისი აზრების კამათელიც ცეცხლი და ღელვაა. მთელი მისი არსებაც ცეცხლი და ღელვაა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მთელი ხალხიც სულგანაბულა, სამარედ ქცეულა, მაგრამ სულაც იგიც ცეცხლი და ღელვაა!

ჟორეს! ჟორეს! წაგვიყვანე ბურჟუაზიული ქვეყნის ასაოხრებლად. მთავრობების დასამხობად, ტახტების დასანგრევად!

ყველა გამოგყვებით, ყველა ვიბრძოლებთ, ყველა დავიხოცებით...

მაგრამ დღეს შენ თვითონა ხარ მკვდარი!

არა, ჟორესის გამო არ მოხდა არც აჯანყება, არც საერთო გაფიცვა, არც უბრალო დემონსტრაცია. დამათრობელ შოვინისტურ ღრიანცელში მუშათა კლასს გულჩათხრობილად მოანელებინეს თავიანთი ბელადის ტრაგიკული სიკვდილი.

ყოველ მოვლენაში კაცს ამახსოვდება გარკვეული თითო მომენტი.

მახსოვს ჟორესის დასაკრძალავი პროცესსია ალმას მოედანზე. აქ არიან მინისტრები, სენატორები, დეპუტატები, დეპარტამენტის ჩინოვნიკები. არა სჩანს მხოლოდ ათასეული რაზმები მხარბეჭიანი ტერრასიების (მიწის მუშების), შოფერების, მექანიკოსების. ისინი ჟორესის პროცესიის სანაცვლოდ სამობილიზაციო პროცესში არიან ჩაბმული.

ალმას მოედანზე პროცესიას გზა გადაუჭრა აფრიკელმა სენეგალების რაზმმა. პროცესია შეჩერდა რაზმის გავლამდე. მრავალმნიშვნელოვანად მეჩვენება ეს შემთხვევა: მკვდარი ჟორესი გზას უთმობს ომს.

კოპწია ქალები ხელგაყრილი და აშიყობილი მისდევენ ტუჩებ-დაბერილ თეთრკბილება ბრინჯაო სენეგალებს.

აგერ მოაფრიალებენ რომელღაც გაზეთს:

— ვიქტუარ! ვიქტუარ!

ეს რაღაც ახალი გაზეთია. ვყიდულობ: გუსტავ ერვეს, ამ ოდესღაც თავზე ხელაღებულ ანტიმილიტარისტს თავისი მებრძოლი გაზეთი „ლაგერ სოსიალ“ (სოციალური ომი) დღეს გადაუკეთებია პატრიოტულ „ვიქტუარად“ (გამარჯვება).

სათაურს ქვევით ცერისიმსხო ასოებით სწერია:

— გ ა უ მ ა რ ჯ ო ს მ ე ფ ე ს!

ის აღტაცებულია, რომ ნიკოლოზი პოლონეთს შეჰპირდა ავტონომიას. ამაზე უკრავს ტაშს.

აქვე არის ცნობა, რომ გერმანელების გებენსა და ბრესლაუს კარგი დღე არ დაუყრიათ საფრანგეთის ნავთსაყუდარ ბონისთვის — აფრიკაში.

ზარბაზნები უკვე ჰქუხან. სისხლი უკვე იღვრება. ჟორესის ნეშთს საჩქაროდ მიასვენებენ სამარადისო სამყოფელისკენ.

იქ, მის სამარეზე დაადგინეს სოციალისტებმა და იმპერიალისტებმა „უნიონ საკრე“ (წმიდა გაერთიანება). ამიერიდან ხელიხელჩაკიდებული ივლიან მრავალ მილიონიან მშრომელთა გვამებზე — იმპერიალისტური ზრახვების გასამარჯვებლად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩქარა მოვესწარით სოციალისტური პარტიების სრულ გაკოტრებას მთელს ევროპაში. ამის მნახველს ხშირად მიფიქრია:

ეგები სჯობდა, რომ მოკლეს ჟორესი!

მართლაც რა იქნებოდა, ცოცხალი რომ დარჩენილიყო? გამხდარიყო ომის მომხრე და ფეხქვეშ გაეთელა ყველაფერი ის, რაც აქნობამდის მიაჩნდა წმიდათა წმიდათ?

არა! ეს შეუძლიათ ჩაიდინონ ჟუომ, რენოდელმა, ალბერტ ტომამ, თუნდა ვაიანმა და გედმაც, მაგრამ ჟორესი ამას ვერ ჩაიდენდა.

ებრძოლა ომის წინააღმდეგ? მაგრამ როგორ გუძლებდა ამ საშინელ ტალღას. ამ შემთხვევაში უეჭველად წაილეკებოდა ადრე თუ გვიან.

მდგომარეობა მეტად ტრაგიკული იქმნებოდა. უეჭველად ისევ კატასტროფით უნდა დამთავრებულიყო მისი სიცოცხლე.

მაშ ეგები სჯობდა, რომ მოჰკლეს: მისი სახელი შეუბღალავად დარჩა ისტორიაში.

გადარეული ქუჩები

ავტომობილზე ვმუშაობ. საშუალება მაქვს მთელი პარიზის ამბებს ცოცხლად ვადევნო თვალყური.

„პატრიოტული გრძნობებით აღტყინებული ბრბო უკვე ამოძრავდა. მთელ ქალაქში არბევენ გერმანელების მაღაზიებს. (როგორ ჰგავს ებრაელების დარბევას ოდესაში!).

აგერ ფობურგ-სან-მარტენის ქუჩაზეც არბევენ უნივერსალურ მაღაზიას. „გამარჯვებულებს“ ნადავლათ მოაქვთ უბეში და კალთებში გამოხვეული კონსერვები, გალეტები და მრავალნაირი სხვა რაღაც.

შორიახლოს გაჩერებულან პოლიციელები და გულმშვიდათ მისჩერებიან ამ „პატრიოტული მოვალეობის“ გადაჭარბებით შესრულებას.

მაღაზიაში აღარაფერია. ახლა მის შუშებს ამტვრევენ.

ვუცქერი ამას და საფრანგეთის შელახული რაინდობის გამო თვალებში ცრემლი მე მადგება.

რას სჩადიხართ თქვენ, კონვენტისა და კომუნის მემკვიდრე პარიზელებო!

რას სჩადიხართ „კეთილშობილი საფრანგეთის“ შვილებო!

მაგრამ თქვენ ჯავრსა ყრილობთ „ბოშებზე“. ბოშების დარბევა, მათი ცოლშვილის აწიოკება, მათი სისხლის წვეთწვეთად დალევა — ეს

უდიდესი სამსახურის გაწევაა ცივილიზებულ კაცობრობისათვის, ერთა თანასწორობისათვის, მარადიულ ზავის დამყარებისათვის!

აგერ „მატენს“ მთელ გვერდზე დაუბეჭდია ყაზახის სურათი. ის რუსეთის საზღვრიდან გამხეცებით მოაჭენებს ცხენს და „ბუბი“ უკვე ჩაუძგერებია შუაგულ ბერლინში. ქვეშ კი აწერია.

— მხოლოდ ოთხი დღეა საჭირო ბოშების სატახტო ქალაქამდის!

მაინც საიდან ამოძვრა ეს უცნაური სიტყვა — „ბოში?“

აქამდის არსად იხმარებოდა. შემდეგ ყველა გაზეთების ლექსიკონში ჩაეწერა იგი. უკვე პატრიოტულ დანაშაულად ითვლება სიტყვა „გერმანელის“ ხმარება. ყველგან და ყოველგან მხოლოდ — „ბოშ“. ერთად-ერთი „ტანი“ დარჩა, რომელიც არ ხმარობდა ამ სიტყვას და ისევ თავისი ტრადიციული სტილის სიმაღლეზე იდგა.

შემდეგ ბევრმა ფილოლოგმა იკვლია, თუ რას ნიშნავს სიტყვა „ბოშ“ ან საიდან მომდინარეობს, მაგრამ ვერაფერი ვერ გამოარკვიეს. ვარაუდით კი ასე ფიქრობდენ, ეს უნდა იყოს რაღაც ჯირკის მსგავსი, რაღაც უსულ-უგულო. ალბად შემდეგ ჩანერგეს ეს აზრი ამ უაზრო სიტყვაში.

მაინც რა ფენომენალური დღეებია!

ავსტრიამ გამოუცხადა ომი სერბიას, გერმანიამ — რუსეთს, ბელგიას, საფრანგეთს. ინგლისმა გერმანიას და ავსტრიას.

შთაბეჭდილება ისეთია, თითქოს დემონიურ რაშზე მჯდომი ომის პირქუში მოციქული ზარის დამცემი რისხვით დაჰქრის ქვეყნიდან ქვეყანაში — მთელს ევროპაში.

უჰ, დავიღალე, გავბეზრდი:

დღეში ასჯერ მაინც მეკითხებიან:

— შენ როდის მიდიხარ, შენ როდის მიდიხარ? (ე. ი. ომში).

მე არსად არ მივდივარ ხალხო! არცა ვფიქრობ წასვლას! მე მხოლოდ სოციალურ ომში შემიძლიან მივიღო მონაწილეობა და არა იმპერიალისტურში!

მაგრამ ამას როგორ იტყვი ხმამაღლა! თუ არ დაინდეს ჟორესი, სხვას ვის დაინდობენ!

სხვადასხვა პასუხის მოგონებაც მომბეზრდა. ერთი პასუხი კი ვერ გავიზეპირე.

აი, ერთ დღეს მონპარნესის სადგურზე ვარ. იქ შევლაპარაკდი ერთ ფრანგთან. ხედავს კოჭლი არა ვარ, ბრმა არა ვარ, ბებერი არა ვარ და მეკითხება — მე როდისღა მივდივარ?

ეროვნული ბიბლიოთეკა

მე ვუპასუხებ, რომ არ მივდივარ, რადგან უცხოელი ვარ.

— ესპანელი ხარ?

— არა!

— იტალიელი ხარ?

— არა!

— ბოში ხარ?

— არა!

მაგრამ ბოშის ხსენებაზე უკვე სხვებიც მოტრიალდენ. უკვე შეგროვდა ხალხი. პირიდან პირში გაისმის „ბოშ!" „ბოშ!"

აქ ერთმა გატაცეულმა პატრიოტმა იძრო ჯიბის დანა და ჩამცა მხარში. როგორც იქნა გაგვაშველა იქ შესწრებულმა პოლიციელმა. მე, დოკუმენტების გასინჯვის შემდეგ გამიშვა. ის კი უდოკუმენტოთ გაუშვა — როგორც ჭეშმარიტი ფრანგი.

დარგეული იდეები

ემიგრაციაც აირია.

აირიენ იდეები, პრინციპები, პარტიები.

იმპერიალისტების მიერ ომის გასამართლებლად მოჭრილ თვალთმაქცობას ჩვენი ემიგრანტებიც გამოთაყვანებულად იმეორებენ როგორც დედის ბავამით თანდაყოლილ ჭეშმარიტებას. თურმე რა იდეურ უბადრუკობას წარმოადგენდა მრავალი, ვინც ჩაკირულ რევოლუციონერად გვეჩვენებოდა აქნობამდის.

მენშევიკები და ესერები პარტიულად გადაიბარგენ მეომარ იმპერიალისტების ბანაკში.

მენშევიკებმა მოხალისეთა მიმღები პუნქტიც გახსნეს ვინმე ანტონოვის ხელმძღვანელობით.

მხოლოდ ბოლშევიკები დარჩენ თავიანთ პრინციპიალურ სიმაღლეზე. მხოლოდ ისინი ვერ მოსდრიკა იმპერიალისტურმა შოვინიზმის საშინელმა ტალღამ.

ისინი თავიდანვე გადიქცენ რუსეთის თვითმპყრობელობის დამარცხების მოციქულებათ. ამ დამარცხებიდან ლოლიკურად ელოდენ ისინი რევოლუციის გამარჯვებას.

მაგრამ წახდა ბოლშევიკების თითოოროლა რაზმელიც და მოიშხამა მათი აზრი იმპერიალიზმის საომარი სულისკვეთებით.

პირველივე დღეებში მოხალისედ ჩაეწერა საქართველოში კარგად ცნობილი მიშა დავითაშვილი, გ. ხ — ი., ტ — ძე.

მახსოვს უკანასკნელ საღამოს ვზივართ კაფე „დ'არკურში" — სანმიშელის ბულვარზე.

ვკამათობთ ომის შესახებ. ყოველ მსჯელობაზე მწვავედ ბერენება უბრალო შეკითხვა:

— ბიჭო, ეგ არის შენი ბოლშევიკობა?

ის კი აღშფოთებით ლაპარაკობს როგორც ყოველ[illegible] ყოველი გარსონ დე კაფე. ის ლაპარაკობს „მატენისა" და „ლე პტი პარიზენის" ყველაზე იაფი ენით:

— გერმანელები — ეს ბარბაროსები!

— პატარა ერების მჩაგვრელები!

— ცივილიზაციის მტრები!

— საზიზღარი იმპერიალისტები!

მას ველარას გზით ვერ დავუმტკიცებთ, რომ საფრანგეთიც, ინგლისიც, რუსეთიც სწორედ ისეთივე ანგელოზები არიან — როგორიც გერმანია.

არის ფსიქოლოგიური მომენტი, არის ატმოსფერა და პირობები, როცა ადამიანს ველარაფერს ვერ გააგებინებ, თუკი თვითონ არ ესმის თავისთავად.

ახ როგორ შეაგნებინებ კაცს იმპერიალისტური ომის სრულ უკუღმართობას და საშინელებას, როცა თვითონ ასეთი ენტუზიაზმით, ასეთი ხალისით მიდის ამ ომის სამსხვერპლოზე!

თუ დასცალდა, ყველაფერ ამ უგუნურებას მიხვდება შემდეგ, მაგრამ დასცალდება კი?

ახლა კი, მიუხედავად მისი იდეიური კოტრობისა, მაინც ვხედავ, მის გულში ანთია რაღაც კეთილშობილი გრძნობის ცეცხლი, მაშ განზე! არ შემიძლია პატივისცემით არ დავუთმო გზა სიკვდილისაკენ ასე მიმავალ კაცს!

ბოლშევიკურმა ფრაქციამ ისინი დაუყოვნებლივ გამორიცხა თავისი რიგებიდან.

გ. ხ — მა გადმომცა, რომ შემდეგ ის და დავითაშვილი ისევ აღადგინეს საქმეში ლენინის ჩარევის გამო. შვეიცარიიდან ლენინს მოეწერა პარიზის ორგანიზაციაში დაახლოებით ასეთი შინაარსის წერილი:

— ყოველი რევოლუციონერის ვალდებულებაა ყოველთვის იყოს მშრომელ ხალხთან. დღეს პროლეტარიატის საუკეთესო ნაწილი იმყოფება თხრილებში. მაშ ვალდებულებაა, რევოლუციონერიც იყოს ამ თხრილებში და ეწეოდეს რევოლუციონურ მუშაობას.

ამგვარად იმპერიალიზმის ქარიშხალით თავბრუდახვეული ამხანაგები ლენინისათვის არ იყვენ ხელაღებით დაკარგული. პირიქით: ლენინი სცდილობდა გამოეფხიზლებია ეს ამხანაგები, დაებრუნებია იგინი ბოლშევიკური იდეების სიმტკიცისაკენ. თანაც ეს ამხანაგები უნდა გამოეყენებია რევოლუციონური მუშაობისთვის იმ მეტად პასუხსაგებ ფრონტზე, სადაც ორი იმპერიალისტური მსოფლიო ერთმანეთს ეჯახებოდა სამკვდრო-სასიცოცხლოდ.

ადამიანს ხანდახან რა სასტიკად დასცინის ბედი:

მიშა დავითაშვილი — ეს სწორუპოვარი მებრძოლი, ეს რევოლუციონურ ქარცეცხლში მრავალგვარ ნაცადი ჯარისკაცი, [illegible] ულად, ახირებულად გაიჭრა მებრძოლი იმპერიალიზმის პირველ [illegible] ებში და მსხვერპლადაც შეეწირა.

1916 წელს ვერდენის ბრძოლების დროს არგონის ტყეში აღმოხდა სული.

მისი თანამებრძოლნი და ამხანაგები დღეს მსოფლიო პროლეტარიატის ბედიღბალსა სჭედავენ. ის კი იმპერიალისტურ კატასტროფაში გადაჩეხილა და ველარ ამშვენებს სახელოვან რაზმებს გამარჯვებული პროლეტარიატისას.

ვერდენის პირველივე ბრძოლებში მოკვდა აგრეთვე ბუჭუტა აბაშიძე. ამანაც თავისებური გზა განვლო ცხოვრებაში: რევოლუცია, ემიგრაცია, უცხოელთა ლეგიონი, აფრიკა, ინდოეთი, ჩინეთი, განუყრელი ზმანება სამშობლო ქვეყანაზე და ბოლოს ვერდენის ფორტებზე ვაჟკაცური სიკვდილი.

მოკვდა ტარსაიძეც.

გაიარეს აღტაცებისა თუ უგუნურობის პირველმა დღეებმა და ბევრმა იგრძნო თავისი შეცდომა, მაგრამ ახლა უკვე ისინი მონები არიან სამხედრო დისციპლინისა.

ეს იმპერიალისტური ორომტრიალი უსასტიკესი გამოცდა იყო მსოფლიოს მამოძრავებელი ძალებისათვის.

აქ დაირბენ კაცობრიობის წინსვლის სახელმძღვანელო იდეები. აქ დაირბენ რევოლუციისა და სოციალიზმის პრინციპები.

ამ დარბევას თავი დააღწია მხოლოდ ბოლშევიკურმა გრანიტოვანმა იდეამ. და განა მარტო თავი დააღწია? ამ უმაგალითო იმპერიალისტურ აღრევიდან ის გამოვიდა ძლევამოსილად, მპყრობელად უდიდესი ქვეყნისა. და დღეს იგი ფიქრობს მთელი მსოფლიოს დაპყრობას, არა! — მთელი მსოფლიოს განთავისუფლებას ბოლშევიკურად, სოციალისტურად, კომუნისტურად.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ი. ვ. გიოტე

ტყის ხელმწიფე

(ზღაპარი)

ყვავილებით მრავალფერით,
იაგუნდით ათასგვარით
მორთულია ჩემთა დიდთა
სასახლეთა გზა და კარი.
— მამაჩემო, ტყის ხელმწიფე
დინჯი სუნთქვით მეუბნება,
ჩემთან არის შენი მზეო,
სიცოცხლე და ნეტარება.
— არა, ჩემო სასურველო,
შენ სწორედ ვერ გაგიგია,
ეგ ნიავმა, ფრთალიველივამ,
ტყის ფოთლები შეარხია.
ჩემთან, ჩემთან ჩემო ბავშვო,
მოაშურე ჩემსა მდელოს,
იქ გაიცნობ ჩემს ლამაზებს,
შზეასულებს სასახელოს.
მთვარის შუქზე საამურად
იცეკვენ და ღიმს დაჰყრიან
და იმ ცეკვით შენს მოღლილ სულს
მოსვენების ძილს მოჰგვრიან.
— მამაჩემო, ტყის ხელმწიფეს
ცეკვა უკვე გაუმართავს
და ტყის ხშირი ტოტებიდან
ხელებს მიქნევს, ხმით მომმართავს.
— არა ბავშვო, გარეშემო
სიწყნარეა დაურღვევი,
მხოლოდ ღრუ ტყე მოსჩანს ირგვლივ,
სადაც ჩუმად მიდის ხევი...
ბავშვო, შენის სილამაზით
დავტყვევდი და ვერ ვერჩევი

ეროვნული ბიბლიოთეკა

და შენ — გინდა, თუ არ გინდა —
მაინც უნდა გაჰხდე ჩემი.
— მამაჩემო, ტყის ხელმწიფე
მოგვდევს უკან დასაწევად.
აჰა, კიდეც დაგვეწია,
ფეხს ვეღარ ვძრავ გასაქცევად. —
მხედარი კი ფერწასული
მირბის, მირბის და მიჰფრინავს,
ხოლო ბავშვი იმის ხელში
გონწასული შფოთავს, გმინავს...
და მიჰფრინავს კვლავ მხედარი,
ჰა, მიფრინდა კიდეც შინა,
ხოლო ბავშვი? მან მის ხელში
სამუდამოდ მიიძინა!..

თარგმანი ი. მჭედლიშვილისა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გიორგი შატბერაშვილი

დასაწყისი განთიადისა

მოგონებები კახეთში ხეტიალიდან

თ... ჩ... ლს.

როგორც მრისხანე მონღოლის თვალი,
წამით ჩერდება მთვარე ჭადრებთან...
შორს ალაზანი უკრავს ჩართარებს
და მეც სიმღერა მომენატრება!..
არ ირხევიან ხენი არსაით,
დგანან, ელიან არიჟრაჟებას,
უკანასკნელი შვიდი ვარსკვლავი,
ლაჟვარდებიდან ნამივით შრება...
სწყდებიან ზეცას... მდუმარებაში
ალმასებივით ალმაცერობენ,
გაატარებენ მიწაზე აჩრდილს,
მიაჩქარებენ ყინვის ჩეროებს...
მაშინ ცისკარიც დაიწყებს რხევას,
გაჩნდება ზეცის ქაშანურებზე,
და მნათობები მზის შესახვედრად
გაყინულ სხივებს აჟღარუნებენ...

———

სადღაც წნორები რტოებს არწევენ,
და შეშფოთდება წამით ლერწამი,
დალეწავს ლელებს ველის არწივი
ქარი — აშარი და გარეწარი...
ხეო, პირველი ნამით რხეულო,
შენს შრიალს ქარი წაიღებს ცაში,
განთიადის ჟამს გულარხეინად,
ჭაშნაგირები სინჯავენ ჭაშნიკს...
იდიდოს!.. იგი დინჯად ამოვა,
და სხივებს გაშლის, როგორც შაირებს,
მზეს შესძახებენ პირველ სათხოვარს,
სადღეგრძელოს და მრავალჟამიერს!..

———

ეროვნული ბიბლიოთეკა

მე კი, გომბორით დავსცქერი კახეთს,
და როგორც დილის პირველი ჟრჟოლა —
შენი ხელები და შენი სახე,
იწევენ ჩემსკენ, მაგონდებიან;
ააჟღერებენ მხიარულ თარებს
და ტყის შრიალში შთაგონდებიან...
ეს გული მაინც ურიჟრაჟოა,
რადგან მარადჟამ შენ ჩრდილს ვატარებ!..
როგორც თვით მშვიდი, ცივი გომბორი,
აქ ხავსიანი კოშკები მდგარან,
ილუპებიან, ჰქრებიან დრონი,
მე შენ გიგონებ, მარად და მარად!..
ოდეს მაშორებ სახეს ეშხიანს,
ჩრდილია ოდენ ჩემი ცხოვრება,
და ხეტიალში გახსენებ ხშირად,
ვით ბედისწერის განმეორებას!..
არ ვიცი, იქნებ აღარ გახსოვარ,
დამტოვე სადღაც, ფიქრის გარეშე,
და ჩემ შფოთიან ახალგაზრდობას,
შენ არასოდეს მოაზარნიშებ?!.
დავსცქერი კახეთს... გეძებდი გუშინ,
ნეტავი როდის, ან საით წახველ,
შენი კახეთის ყოველ სადგურში,
მე ვახსენებდი შენს ძვირფას სახელს!..
გახსოვს, ვიყავით ერთად ოდესღაც,
წახველ და ვიცი შემხვდები სადმე,
შენთან შეხვედრას და განშორებას
სიზმარებივით ვაცისმარადებ!..
დავკარგავ დღეებს და წელიწადებს,
და საფეთქელთან პირველ ჭაღარას,
მივიღებ, როგორც ცხოვრების გზაზე,
სიჭაბუკისგან ნაჩუქარ ღალატს!..
ამედევნება გავლილი შარა;
— ნუ დაბრუნდები, იარე მგზავრო.
არ გაერიოს ოღონდ ჭაღარა,
შემოქმედების მარად გაზაფხულს!
რომელიც, ლექსის წყვდიადს ჩავყურებ,
გაჩნდება ჩემში, ცოცხლდება ოდეს —
მიეხეთქება ჩანგურს ჩანგური,
და გულზე ცრემლებს ჩამოაგორებს!..

ეროვნული ბიბლიოთეკა

...დგანან ცაცხვები... ჭალარა შტოებს
არხევენ მშვიდათ და ცახცახებენ,
დაივიწყებენ ვინც გზებს დაშორდენ,
დაივიწყებენ მრავალ სახელებს...
და იმათ, ვისაც ახსენებს ხშირად,
ფიქრები შენი ახალგაზრდობის,
წარიტაცებენ, სწრაფად წაშლიან,
და აჩრდილებად აქცევენ დრონი!
... რად შემხვდი ხეო, ვით დინჯი ბრძენი,
ხელაბყრობილი უდაბნოს სადღაც?!..
მდუმარებს ირგვლივ მიდამო ვრცელი,
და მეც მდუმარე მოგისმენ ღაღადს!..
მიგიხვდი ხეო, რასაც შრიალებ —
მისურვებ სწრაფვას და გამარჯვებას!
შემომხვევია მხრებს აშრიალი,
და მესმის შენი ფოთლების რჩევა:
— საით მიდიხარ?.. გადარეულ აჩრდილს,
ვისთვის ატარებ სიხარულს, სევდას,
რად გსურს იპოვო ვერხვის შრიალში,
შენი ფიქრების ხმა და მსგავსება?!..
მიიღე სიბრძნე ჭალაროსანის,
იარე, უკან ნუ დაბრუნდები,
და შენი ფიქრი მალაროსავით,
იყოს დამტევი უდაბურების...
იარე მარად, არ შეგიცოდებ,
მე აქ უაზროდ ჩემთვის ვშრიალებ,
ხან მწუხრის ქარი შემირხევს ფოთლებს,
ხან გარიჟრაჟი შემაჟრიალებს...
იყავი დიდი გზების მდევარი,
გულში სხვა ხმები იბადებიან,
და შენი სიყრმის მისწრაფებანი,
მიზრაფებივით იფანტებიან!..
ვერ შეგაშინებს ყორანის ყეფა,
მოისხამ მხრებზე ამ საუკუნეს,
გწამდეს, დასტოვებს გზებზე ნატერფალს,
შენი ტორებზე შემდგარი ჰუნე!..

იანვარი 1934 წ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გრიგოლ აბაშიძე

ორი ლექსი

1. ციცინათელა

თვალებს მარტო ბნელში ახელ,
უგზოუკვლოდ ფრინავ ერთი,
გოგონების თმებში გნახე,
ვარსკვლავივით მინათებდი!

ლურჯ ცას გავდა მათი თმებიც,
დანათოდი ვარდებს ცვრიანს,
ნამგალს გავდი სათიბებში —
ბალახები დაგერწია!

მიფრინავდი სულ უვნებლად,
სურნელება გაგყვა თივის —
ვინ გისროლა ბულულებთან
ცეცხლს გააჩენ ასანთივით!

რად მიფრინავ მარტოდ მარტო,
რად მიჰყვები ელვად შარას?!
სიკვდილის წინ მომენატრო
ვერ გიშოვი კელაპტარად!!

ეროვნული ბიბლიოთეკა

2. ღამე ნაპურალში

ოქროს ხელებმა ქარგეს ჭილობად
ეს ცა ღრუბლებით გადაბარდნილი —
ცა-ვარსკვლავების დაწერილობა
და სიყვარულის კარაბადინი!

სადღაც მღერიან ამ ცის ერთგულნი,
მღერიან ტკბილად ბავშვისებურად
და ვარსკვლავები,
გაყვითლებული
ბზის, ფოთლებივით გახშირებულან!

შორს ხარ... დაბნელდა კიდევ საღამო,
რა დამაძინებს ამ პურის ძნებთან —
ახლა სიკვდილმა უნდა დამღალოს
რომ დამეძინოს გაულვიძებლად!

შორს ხარ და მაინც გულში მაჩრდილებ
შორიდან ჩრდილებს აჩენ თვალებით,
ჩავიცვამ ჯავრის უჩინმაჩინებს —
შენ თვალებს სადმე დავემალები!!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ელიზბარ პოლუმორდვინოვი

ილვიკებენ მთები*)

მეცხრამეტე თავი

თავზარი დაეცა მამუდ გოგიტიძეს.

ის გაშტერებული შესცქეროდა ცოლს, შვილებს, ნაცნობებს. ყველას ერთსა და იმავე სიტყვებს ეუბნებოდა:

— ეს რა ხდება სოფელში?.. ეს რას მევესწარი?!.

გულში ათასი მტანჯველი ბოლმა ჰქონდა დაგროვილი და არავის უმხელდა.

„ახმედი სოფლიდან გააძევეს. სახლკარი ჩამოართვეს. ვინ იცის ხვალ მეც იგივე დღე დამადგეს. ჩემს ბაღებს წაიღებენ, ჩემს ქონებას გააპარტახებენ". — მერე დადუმდებოდა ხოლმე. თვალები გაუშტერდებოდა და დიდხანს ფიქრობდა, თითქოს გამოსავალს ეძებსო.

— ფერიდე, აქ მოდი. ჩემო ფერიდე, სამდურავი უნდა გითხრა. რისთვის მინდა სიძე, ისიც ბოლშევიკი სიძე, თუ ვერ დავიხმარებ?.. გამიგონე, ფერიდე, შენ ქალი ხარ, შენმა ენამ უნდა გასჭრას. შენმა ალერსმა და ხვევნამ უნდა მოლუნოს სულეიმანის სიჯიუტე. ქალი იმისთვის გაჩნდა, რომ მამაკაცი შეაცდინოს, შესძლოს მისი ხელში მოგდება.

— ბევრი ვეცადე ჩხუბითაც, მოფერებითაც, მაგრამ არაფერი არ გამოვიდა. ის ჯიუტია, მამა, თავისი სიტყვისაა. როგორც გადაწყვეტილი აქვს, ისე იქცევა. განა არ ვუყვარვარ სულეიმანს!.. ძალიან ვუყვარვარ, ვუნდებვარ კიდეც, მარა მას იგი ურჩევნია — კოლექტივი, ღარიბები და გლახაკები. ისინი უნდა ფეხზე დავაყენოო.

— ტყვილია ფერიდე, ტყვილი. რომ უყვარდე, დღესვე აქანე გამოიქცევა. რომ უყვარდე, მაშინ ერთი კოცნაც კი შენს ნებას აასრულებინებდა. რამეფერათ კიდო უნდა სცადო, უნდა შემოირიგო, თვარა უბედურება კარზეა მომდგარი. შენ გინდა უცქირო როგორ გადევნიან მამაშენს, სოფლიდან?.. ფერიდე, შენ უნდა იმარჯვო. ჩემი ქონების ნახევარს დღესვე დაგიმტკიცებ, თუ გინდა სულეიმანს მივცემ, ან და ალის, ალისა იყოს, ოღონდ მათ ნუ ჩაუვარდება ხელში. გაინაწილეთ შვილებო, წეი-

---

*) იხ. „მნათობი" № 7 — 8

ღეთ, თქვენ წეიღეთ. მე აღარ მინდა. მშობლები შვილებისათვის შრომობენ. მეც თქვენთვის, თქვენთვის ვიშრომე, შევიძინე. — თითქმის ხვეწნით ეუბნებოდა მამუდი ფერიდეს. ის დღემდე ასე ბრ მსჯელობდა. ასე არ ფიქრობდა. წინათ თავის ბაღებიდან რამდენიმე ბირიც კი ენახებოდა სხვისთვის, სიძისთვის, თუ გინდ ქალისთვისაც, ახლა კი მეტისმეტი ხელგაშლილი გახდა, მეტისმეტი გამჭრიახი, გონებიანი.

— მამა, სულეიმანი აქ რო მეეიყვანო, უკეთესი არ იქნება?.. ორთავემ შევირიგოთ. იქნებ შენი უფრო გეიგოს. დაგიჯეროს. ერთ დროს ხომ უარს არაფერზე არ გიბედავდა.

— არ მიბედავდა!.. მართლაც რომ არ მიბედავდა. ეს ერთ დროს... ერთ დროს... სადღაა ის დრო?!. კაია, კაია, თუ აქანე მეიყვან, მაგას აფერი არ აჯობებს. აბა, შენ იცი, მეიყვანე. მეტი რა უნდა, არ უნდა გუუხარდეს? მე ხომ სულეიმანს სახლშიაც არ ვიღებდი. აწი შევირიგებ, საყვარელი სიძე გახდება.

— კაი, ამას უეჭველად მოვაწყობ.

ფერიდე აივნისკენ გაემართა, მამუდი კი ცოლისკენ შეტრიალდა და დაბალი ხმით უთხრა:

— ქევსირე, საჭმელი გაამზადე. ფილავიც იყოს. შარბათიც გაამზადე, შარბათიც.

აივნიდან კი ფერიდეს დაძახილი გაისმა:

— ალი! სით ხარ, ალი?..

— აქანე ვარ დედა!..

— ერთ წამს მოდი ჩემთან.

რამდენიმე წამის შემდეგ ალიმ კიბე ამოირბინა და დედას კალთაზე მიეკრო. ფერიდემ ჯერ თვალები დაუკოცნა, მერე ცალკე ოთახში შეიყვანა და დიდხანს, დიდხანს ტკბილად ესაუბრა დედაშვილურად.

* *

სექტემბრის თვეში, როდესაც სოფლად მეორე თიბვაც მოთავებულია და აქა-იქ ქოხებივით დგას თივის ზვინები... როდესაც აჭარაში ჩაის ბუჩქებში სარეველა ბალახის მეორე თოხნა იწყება, რათა იზარდონ და იხარონ ჩაის სურნელოვანმა ყლორტებმა... როდესაც მზეც უცნაურად თბილია და საამური, მეტადრე მაშინ, თუ ის ჩადის ან ამოდის.. ამ დროს სოფლის მთელი მეურნეობა ახმაურებულია საშემოდგომო გარჯით.

ამ დროს სამზადისია ათეული მილიონი მანდარინის დასაკრეფად, დასაბინავებლად, საბჭოთა კავშირის სხვადასხვა კუთხეებში გადასაგზავნად.

გრძელდება ჩაის ფოთლების ათასეული ტონობით კრეფა, რომლებსაც თავისი მწვანე ფერი ეცვლებათ ფაბრიკის მანქანებში, რომლებსაც ფოლადის მარწუხებში ნოყიერ წვენს ადენენ და აშავებენ, ამუქებენ.

ამ დროსვე იწყება ბრინჯის თავთავების კრეფაც და დასუფთავება. მსხვილი თეთრი მარცვლები ავსებს ბეღლებს, მეურნეობების საწყობებს.

იწყება სიმინდის ტეხვა და რჩევა.

ჰკრეფენ ხილს: ყურძენს, ლეღვს, მსხალს, ზღმარტლს, ... ,
სიმწიფეში ჩამდნარ იაპონურ ხურმას.

ამ თვეში სოფლად მინდორსა და მთის ფერდობებზე დგას ახალი თივის საამური სურნელება და საერთოდ ტრიალებს მთელი შემოდგომის ბარაქის გამაბრუებელი და დამატკბობელი სუნი.

პლანტაციებში თოხნა თავდება მაშინ, როდესაც ჰაერი იღებება მუქი საღებავებით, ჯერ ნაცრისფერად იღებება, მერე ლეღვივით მწიფდება და შავდება.

აგერ ის მთა თანდათანობით მზისკენ მიიწევს. მაშასადამე საცაა მზე ახალ ქვეყანას ნახავს, ახალ განთიადს დაბადებს.

აქ კი გრილი საღამო იშლება.

მხრებზე თოხგადადებული კოლმეურნენი და გლეხები სამუშაოდან ბრუნდებიან და ნაშრომით კმაყოფილნი ხარბად და ღრმად ისუნთქავენ საღამოს ჰაერს.

ამ დროს ორღობეებიც ცოცხლდება მოძრაობით.

ეს ის დროა, როდესაც სოფლად ყველაფერი ბინავდება მორიგი ღამის გასათევად, ისე რომ ცოტა ხნის შემდეგ უკვე მოძრაობა მისწყდება, ყველაფერი მიყუჩდება. აღარც ურმების ჭრიჭინი იქნება. არც ბღავილი საქონლის, რომელიც საკუთარი აზრით მოდის შინ და კართან ჩერდება, მიიხედ-მოიხედავს, იცნობს ბინას და შესძახებს, რომ კარი გაუღონ, რომ შეუშვან, რომ მოაქვს რძით სავსე ჯიქანი.

მისწყდება ადამიანის მშფოთვარე ხმებიც.

ახლა კი, ახლა სოფელი ხმაურშია, მოძრაობაში. სიმღერებიც გაისმის სამუშაოდან დაბრუნებულ კოლმეურნეების.

ნაწყვეტ-ნაწყვეტად მოისმის სიტყვები:

„სადაც ბუდობდა მგელი/და ტურა,
იქ გავაშენე ჩაის კულტურა“...

და ეს ხმა შრომით გამძლარი კოლმეურნეებისა შუაგულ სოფლისაკენ მიიწევს. სოფელში კი ხალხი უნებლიეთ გარეთ გამოდის.

შეჰხარიან. შესცინიან, ამბობენ:

— რავა შეატრიალეს სოფლის ცხოვრება!..

— თლა შეაბრუნეს გაჭირებული კაცის ბედი.

კოლმეურნეთა მწყობრი და სიმღერა განსაკუთრებით ბავშვებს ახარებს, ისინი გვერდში ან უკან მიჰყვებიან, ჩაჯაჩულ-ჩავარდნილ შარვლებს ზევით იწევენ, იმღერიან იმავე სიმღერას და თან იცინიან, სიხარულს გაჰკივიან.

ზოგი კი ღვარძლიანად იღიმება. ვერ შერიგებიან სიახლეს. მათ ყოველი ახალი და შეუჩვეველი აბრაზებს და აღელვებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კოლმეურნენი შუაგულ სოფელში მოვიდენ თუ არ მოვიდენ, შალნენ, სხვადასხვა გზით წავიდნენ.

აქ იყო სულეიმან ნუღაიდელიც.

მათ შორის არ ყოფილა არც მემედალი, არც ჰუსეინი, მაგრამ მიუხედავად ამისა კოლმეურნეობაში სულეიმანის ხელმძღვანელობით თოხნა მაინც შესანიშნავად ჩატარდა. კოლმეურნეობის სამი ბრიგადა წელამდე აწვდენილ ბალახს სცელავდა და ამავე დროს ძირსაც უბრუნებდა, რომ წვიმას ისევე მიწაში არ ჩაეტანა ფესვები და ხელმეორედ არ გაეხარებინა.

ორღობეში პატარა ბავშვი მარტოდ-მარტო იდგა და გამვლელ-გამომვლელს შესცქეროდა. მის შავს კრიალა თვალებს ეტყობოდა, რომ ვილაცას ეძებდა. ბავშვი ლოდინს მოეღალა და ხშირად ამთქნარებდა. ხანდახან ღობეს ეყრდნობოდა, ჯდებოდა იქვე ქვაზე, და ამ ადგილს არ სტოვებდა.

ამ ორღობისკენ სულეიმანმა გამოიარა. ბავშვს სახე გაუნათდა, მაგრამ მაშინვე გაფითრდა, თითქოს ათრთოლდა კიდეც.

— აქ რა გინდა, ალი?!.

— მამა, ჩემო მამა!.. გლახა მამიკო. — ეფერებოდა უკვე ხელში აყვანილი ალი სულეიმანს.

— ალი, რა გინდა აქ?.. — ეკითხებოდა სულეიმანი და გულში ჩახუტებულს ჰკოცნიდა.

— რამდენი ხანია არ მინახიხარ, შვილიკო, რავა ხარ?

— რაიზა ჩვენსას არ მოხვალ, მამიკო?..

სულეიმანმა პასუხი არ გასცა. ალის ნახვამ და მეტადრე ამ კითხვამ გაახსენა ის მწარე განცდები, რომელიც მას გადატანილი ჰქონდა. მიყუჩებული ტკივილი ისევ აეშალა. ის, რასაც დავიწყებას აძლევდა, უცბად მთელი სიძლიერითა და სიმწვავით წამოიშალა მის არსებაში.

— ეს შარვალ-ხალათი ვინ შეგიკერა ალი?..

— დედემ!..

სულეიმანს მწარედ გაეღიმა. ალიმ უკვე გონება მოიკრიბა, გამოერკვა. რაც შინ დაავალეს, უკვე იმის შესრულებას შეუდგა.

— მამა, წამიყვა შინ.

— ჩემთან, ალი?..

— დედასთან.

— მამასთან არ გინდა?

— მე მინდა შენთან და დედასთან.

— მაგი დედას უთხარი, ის შინ მოვა და ერთად ვიქნებით.

— დედამ მითხრა მამა მოვიდეს და წაგვიყვანოსო.

მწარედ გაეღიმა სულეიმანს. მიხვდა რომ ალის დახვედრა ფერიდეს მოწყობილი იყო. ალი ძირს ჩამოსვა, ხელი გადაჰხვია და ტკბილად უთხრა:

— წამო, რადგან დედასთან გინდა, სახლამდე [illegible] შორს მარტო აღარასოდეს არ წამოხვიდე. ხომ ხედავ, უკვე დაბნელდა.

— დედამ თვითონ გამომგზავნა.

სულეიმანისთვის უკვე ყველაფერი ნათელი იყო. ის მიხვდა ალის გამოგზავნის მიზეზს. მიდიოდენ ერთად და ერთმანეთს აღარ ელაპარაკებოდენ. თითქოს ამ ორ ადამიანს, ერთს უსუსურს და მეორეს უკვე შეგნებით და ყველა გრძნობით დასრულებულ ადამიანს — მამაშვილს ერთმანეთში საერთო არაფერი ჰქონდათო.

— კოლექტივში აღარ გინდა, ალი?..

— კოლექტივი რათ მინდა?.. მამა, ისეთი კაი ცხენი მყავს. პატარა, თეთრი, ასეთი ფაფარი აქვს. კუდიც აქვს. პატარა თოფიცა მაქვს. მე ცხენზე დავჯდები ხოლმე და თოფს ხელში ვიჭერ. ბიძია და მე ყაჩაღობანას ვთამაშობთ. დედე ამბობს, რომ კაი ყაჩაღი გამოვალ. მამასა ვგევარ, შენა ბგევარ, მამა. ბუჰ, ბუჰ, ბუჰ... ვისვრი ხოლმე თოფს. — ატიტინდა ბავშვი და ხელებითაც უჩვენებდა იმას, რასაც ფიქრობდა და რაც წარმოედგინა.

უსმენდა სულეიმანი. ჩუმად მიდიოდა, იკვნეტდა ტუჩებს და რწმუნდებოდა, რომ მათ უკვე ემოქმედნათ ბავშვზე. ზრდიდენ ისე, როგორც მათ ოჯახს შეეფერებოდა.

— მერე იცი კიდო რა?!. დედემ თითონ წამიყვანა ბაღში. უუუ!.. რამოდენა ხეებია! ბრევლი, ბრევლი... მანდარინები ასხია ზედა. უნდა დავკრიფოთ. მეც უნდა დავკრიფო. დედემ მითხრა, ეს ბაღი შენი იქნებაო. ჩემიო, იცი, მამა, კაი არ იქნება?..

— კაი იქნება, კაი.

— შენიც იქნება, მამა!..

უცნაური ფიქრი წარმოეშვა სულეიმანს. ის ისე გრძნობდა, თითქოს ალი მისი შვილი კი არა, სულ უცხო ყოფილიყო, სულ სხვა მოდგმის, სხვა ბუნების. ყელში ბოლმა მოაწვა და სახეზე სისხლი.

მოულოდნელად შეჩერდა, ორთავე მხრებში ხელი ჩასჭიდა, ზურგში მოიხარა და შავ კრიალა თვალებში ჩააცქერდა.

— შენ ვისი შვილი ხარ, ალი?..

ალი დაიბნა. ამ უცნაური მოქმედების გამო შეკრთა. პასუხი ვერ გასცა, ოღონდ მიიწია მამისკენ და მკერდზე მიეკრო.

— იცი, ალი, შენ ცუდ რამეს ლაპარაკობ. განა ყაჩაღი კარგია? შენ გაქვს თავი და მხრები. აი ამ თავითა და ამ მხრებით უნდა იცხოვრო. არც მარტო თავით ცხოვრება ვარგა და არც მარტო მხრებით. აქ ჭკუა გაქვს, აქ ღონე. ჭკვიანიც უნდა იყო, ალი, და ღონიერიც. შენ კი ლაპარა-

კობ, კარგი ყაჩაღი გამოვალო. მე ეგ არ მომწონს, ალი, ალარასოდეს ალარ სთქვა მაგი. — ტკბილად, შთაგონებით ეუბნებოდა სულეიმანი და თან გულში იხუტებდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიდხანს ჰყავდა ჩაკრული. ალი გაშტერებული და ნაწყენი უსმენდა.

— აგერ, ალი, შინ მიირბინე. აქედან გიცქერ. ნუ შეგეშინდება.

— მამა, შენც მოდი.

— არა, ალი, მე მეჩქარება. უნდა წევიდე. აბა, გეიქეცი.

— წამო, მამა, წამო...

აქედან უკვე კარგად მოჩანდა მამუდის სახლკარი. მისი მწვანედ შეღებილი შენობა. დიდრონი, ფართედ ტოტებგაშლილი მაგნოლიის ხეები და ღია ფანჯრები.

სულეიმანს გაახსენდა ახალგაზრდობა, როდესაც ის ამ სახლკარის სიმშვიდესა და დოვლათს უვლიდა. წარმოიდგინა თვალწინ ჩამსხვილებული, ჩასუქებული მამუდ გოგიტიძე და მოტრიალდა. ალარ შეეძლო დიდხანს ეცქირა იმისთვის, რაც დიდიხანია შესძულდა, რასთანაც დიდიხანია ურთიერთობა შესწყვიტა.

— მამაა!.. — შემოესმა ატირებული ხმა უკვე ათიოდე ნაბიჯით მოშორებულ სულეიმანს, მაგრამ სულეიმანმა ალარ მოიხედა. პირიქით, ნაბიჯს აუჩქარა. კარგა ხანს კიდევ ესმოდა ალის ძახილი და ტირილი.

ეს ძახილი სულეიმანს მაშინაც კი მიჰყვებოდა, როდესაც ალი ნამტირალევი თვალებით დედას უამბობდა მამის შესახებ. ის ეწეოდა დედას მამასთან წასაყვანად.

ალის ძახილის შეუწყვეტელი ზუზუნი ესმოდა ყურში სულეიმანს. შევარდა ოთახში, დაეყრდნო ფანჯრის მოაჯირს და დიდხანს გასცქეროდა იმ მხარეს, სადაც ალი დასტოვა.

სულეიმანი ფიქრობდა: „რა ულმობელი ვარ, რა საზიზღარი! სასამართლოში უნდა ვიჩივლო, რამეფერათ ბალღი გამოვტაცო, თვარა მახინჯ შვილს ამიზრდიან, ვინ იცის რა გამოვა მისგან?..“

„კაი ყაჩაღი გამოვა. მამასა ჰგავს?! — დაბალი ხმით წარმოსთქვა და გესლიანი, მწარე ღიმილი გადეკრო ტუჩებზე. — აი, რას უნერგავენ“.

— სულეიმან, გამარჯვება! რას ჩაფიქრებულხარ?!

სულეიმანი მოტრიალდა.

— შეკრთი?..

— მემედალი, როდის ჩამოხვედი?.. არ მოგელოდი. მე ახლა ძალიან მაწუხებს ერთი ფიქრი. აგი კერა ხომ ცარიელია. ცოლი გამექცა, ბაღვიც თან წეიყვანა. მარა შვილს მიფუჭებენ. სხვაფერ იზრდება. დღეს ვნახე და მისი დარდი ჩამყვა. უნდა ვიჩივლო.

— შენ მეტისმეტად ჩაფლული ხარ პირად საქმეებში. ეს ერთმანეთთან დაკავშირებულია, მაგრამ მაინც არ ვარგა. რა უქნია ჰუსეინს?.. სად იყავი? ტაგიძე სოფლიდან გაუდევნია. მე კი ტაგიძის საქმე სასამართლოს

გადავეცი. ის გამოიძიებდა ყველაფერს. სასჯელსაც მისცემდა. ახლა კი უკვე დასჯილია. რაღას უზამ.

სამდურავის მიღება სულეიმანს არ ესიამოვნა. მეტყველებ ნაჩქარევ, რომ მის მიერ დაუმსახურებელი იყო.

— ტყვილა მისაყვედურებ, მემედალი. ერთი ის, რომ ბაღვი მხოლოდ ამ საღამოს შემომხვდა. დღემდე ჩემს შესახებ კრინტი არ დამიძრავს. გარდა ამისა ჩემი ცოლის გაქცევა მარტო ჩემი პირადი საქმე არ არის. ეს საზოგადო საქმეა, მთელი სოფლის საყურადღებო. ყველა ელოდება რომელი გაიმარჯვებს, მე თუ ფერიდე. მეორეც: ჰუსეინმა ისე გადევნა ტაგიძე სოფლიდან, რომ არავისთვის არ შეუტყობინებია. ერთის მხრივ საჭიროც იყო, მაგრამ სხვანაირად უნდა მომხდარიყო. მისი სასახლკარო მიწა და სახლი ისე იყო მომდგარი ჩვენს ნათესებზე, რომ მოსვენებას არასოდეს არ მოგვცემდა. მის შენობაში უნდა მოვაწყოთ კოლექტივის კანტორა და სამკითხველო. შენს აქ არ ყოფნის დროს ბევრი რამ ცუდი მოხდა. ქიცილამ ისპანში ხარი დაახრჩო. მეორეც იხრჩობოდა, გადავარჩინეთ. მე ვფიქრობ ქიცილა მეხრედ არ ვარგა. სხვაგან უნდა გადავიყვანოთ.

— ეგ უკვე მოძახარეს. მთელი სოფელი მაგაზე ლაპარაკობს. ქიცილაზე ვფიქრობ. შეიძლებოდა კოლექტივიდან გაგვერიცხა, მარა თლათ დეიღუპება. ახლა ჩვენი უმთავრესი უბედურება ჰუსეინია. შეიძლება კოლექტივი დაშლამდე მივიდეს. რაიკომში საკითხი დავსვი. ახლა ეს უკანასკნელი საქციელიც დაემატება. ფხიზლად უნდა ვიყოთ, კოლექტივი არ დაგვეშალოს. სულეიმან, შენ ხვალ ქობულეთში უნდა წახვიდე. შენ და ხოშნეთმა დაუხატეთ კოლექტივის მდგომარეობის სურათი. იბრძოლეთ ახალი პარტიული ამხანაგები მოამაგრონ სოფელს და კოლექტივს. ჰუსეინიც მოგვაცილონ თავიდან.

— შენი წასვლა უფრო აჯობებს. ჰუსეინი პირად ღვარძლს დააბრალებს. ვერ წავალ. გადაჭრით უარს ვამბობ. არც შეიძლება რომ შენ იქ არ იყო, კოლმეურნეობის თავმჯდომარე ხარ. ყველაფერი პირველ რიგში შენ მოგეთხოვება. მაშ ეს გადაწყვეტილია.

მემედელი გაჩუმდა. ჩაფიქრდა. თითქოს სულეიმანის ნათქვამი ასწონ-დასწონაო, უსიტყვოდ რამდენჯერმე თავი დააქნია.

კარგა ხანს ორივენი ჩუმად ისხდენ. თითოეული მათგანი ჩასწვდა საკუთარ თავს, საკუთარ არსებას, რაღაც პირადულს და თავდაუღწეველ გრძნობებს.

ცა ლურჯად კრიალებდა. თითქოს ცა გამჭვირვალე იყო და ვარსკვლავები კი ამ ცის იქით კრთიანო.

სოფელს სძინავს. მიწყნარებულია ყველაფერი. სდუმს მთათა შავი სილუეტები, თითქოს ეს მთები ამ ძილს და ამ სიჩუმეს ძეგლად ზედ ადგანანო.

— მე წავალ, სულეიმან. — ხმამაღლა, გამამხნევებლად წამოიძახა მემედალიმ და მხარზე ხელი დაარტყა. — წამოდექი, რას შესცქერი სიცალიერეს?.. ეგ ცა, ეგ ვარსკვლავები, ეს სიბნელე ჩვენთვის სულ სიცალიერეა. ასეთი ღამე დარდიან კაცს გულს მოუკლავს. შენ იცი ჩვენს პატარა ქვეყანაში რა შენდება?.. აჭარის წყალზე ელექტრო-სადგურს აგებენ. აქ, ჩვენს სოფელში, ელექტრონი შემოანათებს. ამ სიბნელეს ჩაჰკლავს აჭარჰესი. განათდება. გულიც განათდება. ბათომში საოლქო კომიტეტში ხუთწლიანი გეგმა ვნახე. მთლად შეიცვლება აჭარისტანი. ასეთი ლამაზი და მდიდარი კუთხე სამი არ იქნება საბჭოთა კავშირში. კარგია. უნდა ავაყვავოთ პატარა რესპუბლიკა. მთელი ჩვენი ქვეყანა ტექნიკური კულტურით ინქება მოფენილი. ციტრუსების უდიდესი ბაღი, ჩაი, მანდარინი, ლიმონი, რამი... ყველგან, ყოველ კუთხეში ჩაისა და ყვავილების ქვეყანას გვიწოდებენ. საბჭოთა ფლორიდათ უნდა გადაიქცეს... კარგია... კარგია... მიხარია... — გატაცებით ლაპარაკობდა მემედალი. ისეთი ფიქრიანი და გახარებული სახე ჰქონდა, თითქოს პირად ბედნიერებას დაენთოო. — ძალიან გავაგრძელე. ერთის სიტყვით არც ჩვენ ჩამოვრჩებით ახალ ქვეყანას. მშვიდობით. — დაუმატა ხალისიანად სულ სხვა ხმით და სხვა გამომეტყველებით, თითქოს ძილიდან გამოერკვაო, და ხელი გაუწოდა.

სულეიმანმა ხელი არ ჩამოართვა და დამაჯერებელი ხმით უთხრა:

— ჩემთან დეიძინე. სულ ერთია მარტო ვარ. ამ ღამეში სადღა წახვალ. სახიფათოც არის. ხომ იცი, მტრები ბევრი გვყავს. ტყვიას არ დაინანებენ. მერე რატომღაც ისეთი ცუდი გრძნობა მაქვს, ყველაფერი მოსალოდნელია.

მემედალიზე ამ სიტყვებმა პირიქით იმოქმედა. ისე გადაიხარხარა, თითქოს სიცილი სცენაზე გაისმისო. გადიხარხარა რაღაც ხელოვნური და არტისტული სიცილით.

— მომკლავენ და მომკლან. კაცი ტყვიას ვერ დაემალება. ვინ გაბედავს ჩემზე იარაღი ასწიოს!.. ხომ გითხარი რამიზის შესახებ. მართლა, რამიზი კოლექტივში უნდა მივიღოთ. ერთხელ რამიზი ღამე მოვიდა. გარეთ გამიძახა. რატომღაც გავიფიქრე, რომ ჩემს მოსაკლავად იყო გამოგზავნილი, მარა ისიც მჯეროდა, რომ ვერ მომკლავდა. იმ ღამეს ძალიან დიდხანსა და ტკბილად ვისაუბრეთ მე და მან. ხოშნეთის დასახსნელადაც კი გამომყვა. მეც მიკვირს. ერთ ღამეში შეხედულება შეეცვალა. თუმცა ეს იმიტომ მოხდა, რომ ყველაფერი საკუთარი თვალით დაინახა. მას შემდეგ მხვდება ხოლმე, გამაჩერებს და კოლექტივის მდგომარეობაზე მეკითხება. ვატყობ, უნდა შემოსვლა. მას უნდა რომ მე ვუთხრა აძის შესახებ. მე კი არ ვეტყვი. დეე თვითონ გვთხოვოს. საერთოდ კი უეჭველად უნდა მივიღოთ. მთელი წელიწადი კულაკობის საქმიანობაში იყო ჩათრეული. ახლა უკვე კულაკობას სხვანაირად სწონის. ყველაფერს იტყვის.

— კი, მემედალი, რამიზი კაი კოლმეურნე დადგება. მუყაითი კაცია. ეს აწეწილი მდგომარეობა მოვაგვაროთ და მერე განა მარტო რამიზია. ბევრი ღარიბი გლეხი მზათ არის კოლექტივში შემოვიდეს. თუ კი მივიღებთ.

მემედალი კარისკენ იხედებოდა. ის მზად იყო წასულიყო, მაგრამ რატომღაც ვერ გადაეწყვიტა გარეთ გასვლა. ის ერთხელ კიდევ შემოტრიალდა და ტახტზე ჩამოჯდა. კარგა ხანს ჩუმად იჯდა. ხელში ხალათის კალთა ეჭირა და მის ზოლს ხელს ავლებდა.

სულეიმანი შესცქეროდა მემედალის და უკვირდებოდა მის უმოძრაო მდუმარე სახეს, ხელის თითების მოძრაობას. ის ასკვნიდა, რომ მემედალის რაღაც უნდა აწუხებდეს, სულეიმანმა თავისი დარდი — ცოლი და შვილი, პირადული ამბავი მთლად აღარაფრად მიიჩნია შედარებით ამ ღრმა ნაღველთან, რომელიც მემედალის აწუხებდა და თვით მისთვისაც კი გამოურკვეველი იყო.

— მე იცი რას ვფიქრობ, სულეიმან, იმ დასკვნამდე მივდივარ, რომ ჩვენი ამხანაგები ძალიან სუსტად იცნობენ ლენინის ნაწერებს, ან თუ იცნობენ — ბუნდოვანად. აი ჰუსეინი ავიღოთ. ძველი ბოლშევიკია. მე ჯერ ნახირში დავდიოდი და პარტიის სახელიც კი არ გამეგონა, ეგ კი მაშინ თოფით იბრძოდა. აჯანყებაში მონაწილეობას იღებდა. მან იცის რომ დაუნდობელი ბრძოლაა საჭირო კლასიურ მტრებთან, მაგრამ ის კი არ იცის, თუ როგორ და რა ტაქტიკით. ეს იმიტომ, რომ ცუდად იცნობს ლენინის და სტალინის გამჭრიახ აზრსა და საქმეზე ძლიერ ცოტა წარმოდგენა აქვს. ის თავის არსებით, ბუნებით სამოქალაქო ომის ხანაში იმყოფება, როდესაც უმთავრესად ძალას და თავდადებას უნდა გადაეწყვიტა ჩვენი გამარჯვება. შენ არ გეგონოს, მე მიკვირდეს ან ქალის სახიდან ჩარჩაპის ჩამოგლეჯა, ან ახმედ ტაგიძის სოფლიდან გაძევება. ეს აუცილებლობა იყო. ეს მტკიცედ არის გადაჭდობილი დღევანდელი ცხოვრების მიმდინარეობასთან. ეს უნდა მომხდარიყო და მოხდა კიდეც. სხვა საქმეა — ის ნაადრევია თუ არა, უხეში სახითაა თუ ბუნებრივად?.. მაგრამ ჩვენ ყველას სწავლა გვჭირდება. ლენინი და სტალინი — მათი ცოდნა უზრუნველგვყოფს მომავალ შეცდომებისაგან. რა დიდი რევოლუცია მოახდინეს მათ! მსოფლიო ოქტომბერი!.. ერთი პატარა შეცდომა, ან ნაადრევი, ან ნაგვიანები ნაბიჯი და შეიძლება ათეული წლით გადადებულიყო ოქტომბრის საქმე. სულეიმან, ჩვენი კომკავშირელებიც მთლად მივიწყებული გვყავს. მათ ხელმძღვანელობა სჭირდებათ. მათთვის სწავლა აუცილებელია. თორემ რას ჰგავს?.. განკულაკებას ახდენენ და არ კი ესმით რა არის განკულაკება.

— მემედალი, რა მოგვიდა, შენ ისე ლაპარაკობ, თითქოს ანდერძს სტოვებო. პირველად მესმის შენგან აგეთი მოწყენილი ხმა. მეტი რა საქმე გაქვს?.. დაუჯექი და ასწავლე, გააცანი, გააგებინე. სამაგისო დროც და-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გირჩება. — ბრაზიანად წარმოსთქვა სულეიმანმა და თავოდან კონიაკის ბოთლი გამდოიღო.

— ეს მე და შენ უნდა დავლიოთ.

— სმა დაგიწყია?..

— არა, ისე. ერთ ღამეს მომეხასიათა ძილის წინ, როგორც ამალამ-დარდების გაქარვება სცოდნია. კარგათაც ჩამეძინა.

— დაასხი.

მემედალიმ გადაჰკრა. სახე და თვალები წითლად გაუღვივდა.

— კარგია!!!

— კიდევ დალევ?..

— არა, ახლა წავალ.

— არსადაც არ წახვალ. ჩემთან უნდა დეიძინო. ღამით შენი ხეტიალი უაზრობა იქნება. ხომ ხედავ მარტო ვარ.

— მაგ სიტყვებით ჩემში შიში გინდა გამოიწვიო, მაგრამ ნამდვილად კი წასასვლელად მაგულისებ. თუ კი ვინმე ჩემზე იარაღს ასწევს, მე შე-ვეცდები ჯერ მე დავახალო ტყვია. თუ მომკლავ, ესეც აუცილებლობა იქნება. ვილაც ხომ უნდა შეეწიროს ახალი ცხოვრების საქმეს?!.

— არ მომწონს შენი ლაპარაკი. ერთიც დალიე.

მემედალიმ კიდევ გადაჰკრა.

— გვიცქეროდენ მოხუცები, ლანძღვით აგვიკლებენ. მე და შენ გია-ურები ვართ, არა სულეიმან?.. მაგარ სასმელსა ვსვამთ. ჩვენს ხოჯებსაც არაფრად ეჭაშნიკებათ.

— სულეიმანმაც გადაჰკრა კონიაკი. სიმწარისაგან თვალები დაეხუჭა და სახედანაოჭებულმა დააყოლა:

— ხოჯებს ბევრი რამ არ მოსწონთ. მოხუცებულნიც მათი ერთგუ-ლები არიან. მე მახსოვს, ჩემს ბავშვობისას, როდესაც ყურბან ბაირამი დგებოდა, მთელი კვირები მშივრები უნდა ვყოფილიყავით. ხომ იცი ყუ-რანი ასე გვასწავლის. მე სწორედ იმ ხანებში ბათომში მივდიოდი, დედ-მამას არ ვაჩვენებდი, რომ ვჭამდი კიდეც და ვსვამდი. მშიერი რავა მე-ვიკლავდი თავს.

რა კაი ყოფილა დათრობა!.. სხვათა შორის კონიაკზე უარი არასოდეს არ მითქვია. მეტადრე ტფილისში. ზამთრობით შეგვცივდებოდა პარტსკ-ლის მსმენელებს, ვიშოვიდით არაყს და თითო ჭიქას გადავკრავდით. მეტი არც შეგვხვდებოდა. ერთი ბოთლი თუთხმეტ კაცს უნდა გაგვეყო. ცოტას შეგვახურებდა. ვმასხრობდით და ვამბობდით სადღეგრძელოებს. მართ-ლაც და ღვინის სმის დროს რამოდენა სადღეგრძელოს თქმა იციან! რა-მოდენა ძალა და ენერგია იხარჯება ღვინის სმაში და სადღეგრძელოების თქმაში, რომ შეიძლებოდეს მთელი იმ ენერგიის დაგროვება, აშენდებო-და და ამოქმედდებოდა მსოფლიო გიგანტები — ქარხნები, ფაბრიკები, ელექტრო-სადგურები.

— ეჰ, ერთი შენც. რას ლაპარაკობ, დეითვერი?.. ასე მალე დაგძლია? დალიე კიდევ...

— შე გიაურო, ხვალ დილას ჯამეში უნდა წავიდეს [illegible] ვეტყვი რომ ალლაჰი დამავიწყე, სასმელს მაძალებ. დაასხ[illegible] [illegible]ალი კი არ გეგონო. მე ის კი არ მიხარია, რომ ამ ჭიქას შენს ჭიქას ვაჯახებ. არა, მე ის მინდა რომ ჩემი გული დავაჯახო შენს გულს, ჩემი ფიქრი შევახვედრო შენსას, ასთე არაა?!. ჩვენი გულები ხვდება ერთმანეთს, ფიქრიც, გრძნობაც.

— მემედალი, ქრისტიანები უფრო ჭკვიანები ყოფილან. მათი ღმერთი სიამოვნებას არ უკრძალავს ადამიანს. მუჰამედი კი კრძალავს. ეს მისი შეცდომაა. რაღაც გულთ მაკლია, მემედალი. საქმე იმაშია, რომ ეს ოჯახი ხომ დამენგრა? კარგი! ეს არაფერი! — უცბათ სულეიმანმა შესცვალა სალაპარაკო თემა და ამის მიხედვით სახის გამომეტყველებაც შეცვალა. უფრო გრძნობიერად ალაპარაკდა.

— პირველად მე ორ გრძნობას ვებრძოდი, ოჯახი თუ კოლექტივი?.. კოლექტივს თუ მივატოვებდი, ოჯახი კარგათ მეყოლებოდა, ჩემი ალიც აქ გვერდზე მეყოლებოდა, ფერიდეც აქ იქნებოდა. დღეს ვნახე ჩემი ალი. ძლივს დავთმე. როგორ მტკივა გული!.. ორი გრძნობა მაწუხებს. რომელი უფრო მიყვარს — კოლექტივი თუ ფერიდე და ალი?.. ჯერ კოლექტივი იმარჯვებს. ალბათ გაიმარჯვებს კიდეც. მარა მეორეც მოსვენებას არ მაძლევს. რა დაგიმალო, ხანდისხან ისეთ აზრზე ვდგები, ლამის დაუთმო ფერიდეს ყოლიფერში. მარა რატომღაც კიდო მაგრად ვარ. არ ვტყდები. კაცი არ ვიყო, თუ ჩემი არ გევიტანო.

სულეიმანმა ეს აზრი ძალიან დინჯათ გამოსთქვა. ის ისე ლაპარაკობდა, თითქოს თითოეული სიტყვის მოძებნა სჭირდებაო, ნამდვილად კი უმძიმდა ამ აზრის გამხელა.

მემედალი კი, რომელსაც ოდნავ სიმთვრალე შეეპარა, ძალიან სერიოზული სახით უსმენდა. ის ამ მოვლენას ძალიან დიდ მნიშვნელობას აძლევდა. პასუხის გაცემაში არ აჩქარდა. დასცქეროდა თვალში აჩემებულ რომელიღაც წერტილს და ფიქრობდა, მერე რაღაც ჩამნერგავი ხმით უთხრა:

— რა დროს ბრძოლაა შენს შინაგან არსებასთან? ხომ ხედავ, რა სიბნელეშია და რა ძილში ჩვენი პატარა ქვეყანა, ჩვენი მთები, ჩვენი სოფლები. ახლა უნდა იბრძოლო ამ მთებისა და სოფლების გაღვიძებისთვის. უნდა იბრძოლო რომ სოფელში ცხოვრება გარდიქმნას, გაუმჯობესდეს. უნდა ებრძოლო კოლექტივში მყოფ ზარმაცს, გამცდენს, ებრძოლო ნიღაბჩამოფარებულ კლასიურ მტრებს, უნდა ებრძოლო ადათებს, შავ-ბნელ ჩვეულებებს, რომელიც ხალხს უკან ეზიდება. შენ კი შენი სულიერი განწყობილებისა და რაღაც ფსიქოლოგიური სირთულის გამარტივებისათვის იბრძვი. აქ ფიქრიც კი ზედმეტია. მთებმა უნდა გაიღვიძონ. აჭარის ფუხარამ... შეძლებული ცხოვრებამ უნდა ნახოს. ასეთ პა-

ტარა საქმეში ყოყმანობ, მთელი რესპუბლიკა რომ მოგანდონ, მაშინ რა-ლას იზამ?..

სულეიმანი გაჩუმებული უსმენდა. მის სახეზე წარბიც არ შერხეულა. „რასაკვირველია სიმართლეს ამბობს". ფიქრობდა გულში, ოღონდ სიტყვას არ იღებდა:

კარგა ხანს სიჩუმე იყო. არც ერთი არ არღვევდა ამ დუმილს. ფანჯრე-ბიდან შემოდიოდა ცაზე მთვარისა და ვარსკვლავების სიარულის ხმა. ისი-ნი ოთახში უცნაური ციმციმით იცქირებოდენ.

— გათავდა. კიდევ დალევ თუ?.. — მოულოდნელად წარმოსთქვა სულ-ეიმანმა და წამოდგა. — აქ ნახევარ ბოთლზე მეტი იყო. ყოჩაღად გა-მოვცალეთ.

— მეტი არც მინდა. ამაზე ბევრი არც დამილევია. მაშ წავედი, მშვი-დობით.

— შენსას მაინც არ იშლი?.. ფრთხილად მაინც იყავი!..

მემედალი გავიდა. სულეიმანმა აივნამდე გააცილა. მერე ოთახში შე-ტრიალდა. ფანჯარის ერთ მხარეს მიეყრდნო და დიდხანს ფიქრობდა: „მართალს ამბობს მემედალი. რა დროს საკუთარ თავზე ფიქრია? კოლექ-ტივისთვის ბრძოლა მეტად გამწვავებულია". — და სულეიმანმა გადას-წყვიტა, რომ თავის თავზე აღარ იფიქროს, რადგან კოლმეურნეობას მე-ტი მზრუნველობა სჭირდება.

მემედალი მიდიოდა რაღაც განსაკუთრებული სიჩქარით. უმთავრესი კი ის იყო, რომ შეუცნობლად დგამდა ნაბიჯებს. არც კი აკვირდებოდა გზას. ის ფიქრობდა სულ თავის მარჯვენა მკლავის სიმარჯვეზე, რო-მელიც გაოფლიანებული ხელით რევოლვერის ტარს ჩაჰკროდა.

შინ ისე მივიდა, რომ ერთი გადამეტებული ხმაურიც კი არ შეჰხვედ-რია გზაში. მისვლისთანავე ლოგინში ჩაწვა და იმავე წუთში ჩაეძინა ღრმა და ჯანსაღი ძილით.

თუმცა სულეიმანმა გადასწყვიტა თავის დარდი აღარ გაეხსენა, მაგ-რამ ამას მაინც ვერ ახერხებდა. როდესაც ის ფიქრობდა მის მივიწყებაზე, სწორედ ამით იხსენებდა ყველაფერს და მაინც სასოწარკვეთილებაში ვარ-დებოდა.

ფანჯრები მიხურა. გადარაზა ოთახის კარი და მთელი კვირის აულა-გებელ ლოგინზე მიწვა.

ვერ იძინებდა. ფიქრები ჯარასავით უტრიალებდა ტვინში. თვალებს მაგრად ხუჭავდა. თავს ძალას ატანდა, მაგრამ მაინც ვერ მოეშორებინა ის აზრი, თუ როდემდის უნდა გაგრძელებულიყო მისი მდგომარეობა.

ბოლოს იმდენად მოეღალა გონება, რომ უკვე ბურუსში სცურავდა. ახლა ეძინა კიდეც და არც ეძინა.

სწორედ ამ დროს ოთახის ერთ-ერთ კუთხეში თაგვმა წვრილი და ჭრელი კბილები აახრამუნა. ის რაღაცას ხრავდა. ეს ხმა ისეთი სიძლიე-

რით გაისმოდა მთლად დუმილში ჩაფლულ ოთახში, რომ ბეგონებოდათ ათასი კბილი ერთმანეთზე ილესებაო. ბურუსში შეცურებული სულეიმანი კი ისე გრძნობდა, თითქოს ეს თაგვი მის ტვინში ყოფილიყო ჩამძვრალი და ღრღნიდა და ხრავდა მისი ტვინის ხვეულებს. კარგა ხანს ვერ ერკვეოდა ამ მდგომარეობაში. მერე ლოგინიდან ამღვრეული სახე წამოსწია და გადაჰხედა იმ კუნჭულს, საიდანაც ხმა მოისმოდა.

ადგა. მივიდა. ჯოხით ააფხაკუნა კუთხეში გათხრილი კუნჭული და, როდესაც ხმა მისწყდა, საწოლისკენ გაემართა.

დაწოლა ვერ მოასწრო. ოთახის კარი მუშტის ხშირმა და ძლიერმა დარტყმამ დაანჯღრია.

— ვინა ხარ?..

— ფერიდე· გამიღე. გადამირიე ბაღვი. ტირილით ამიკლო. შეაწუხა ყოველი ადამიანი. — შემოესმა ჯერ კიდევ გაუღებელ კარიდან ფერიდეს სიტყვები, რომელთაც მეტი მოუთმენლობა ეტყობოდა.

სულეიმანმა კარი გააღო. ფერიდე და ალი შემოვიდენ ოთახში. ალიმ მამასთან მიირბინა. კისერზე მოეხვია. ჰკოცნიდა.

— დედესი არც ცხენი მინდა, არც თოფი. შენთან მინდა, მამა. აღარ წავალ. აქ კაია.

— რა იქნებოდა, რომ ამოჰყოლოდი ბაღანას. მთელი საღამო ტიროდა. მამასთან მინდაო. აჰა, მოგიყვანე, რაც გინდა ჰქენი.

და ფერიდე უხერხულად აიტუზა კართან. მას უნდოდა ხაზი გაესვა იმისთვის, რომ ის ქმართან შესარიგებლად არ მოსულა, რომ ეს მხოლოდ ბავშვისთვის ჩაიდინა, იმ ბავშვისთვის, რომელსაც ასე ძლიერ უყვარს მამა. მაგრამ ამავე დროს ფერიდე ოთახიდან აღარ გადიოდა. ის თითქოს ელოდა, რომ სულეიმანს მისთვის დარჩენა და შერიგება ეთხოვნა. საკმარისი იყო მხოლოდ ერთი სიტყვის ამოღება, რომ ფერიდეს მაშინვე შერიგებაზე თანხმობა გამოეცხადებინა.

სულეიმანი თავის გადაწყვეტილებაზე გაუტეხავად იდგა. მას დათმობა არ უნდოდა, განსაკუთრებით იმ საუბრის შემდეგ, რომელიც მემედალისთან ჰქონდა.

ველარ აიტანა ფერიდემ თავისი უმწეო მდგომარეობა და ტირილის მაგვარი ხმით მიმართა:

— შენ თავს რა დამათმობინებს? შენ რავა დაგტოვებ?.. ალის რავა დავაობლებ? რასაც მთხოვ, ყოლიფერს ავასრულებ, ოღონდ... — აღარ დაამთავრა ფერიდემ სიტყვა და ორთავე ხელით კისერზე ჩამოეკიდა.

სულეიმანმა ტანზე ხელი შემოჰხვია, თავისკენ მიიზიდა და ტკბილად უთხრა:

— როდესაც მე მომყვებოდი, იცოდი, რომ ღარიბი კაცი ვიყავი. იგიც იცოდი, რომ კარგად ვერ გაცხოვრებდი. ამაზე არასოდეს არ დამემდურო.

მერე, ის რაც მე მიხარია, ფუხარა ხალხის სიხარულია, რადგან მეც იმათი წევრი ვარ. შენ ეს უნდა გაიზიარო. მე ვიბრძვი კოლექტივისთვის. კოლექტივი ღარიბი გლეხისთვის შეძლებული ცხოვრების ოსტატობად ერთად-ერთი საშუალებაა. ამ ბრძოლაში ხელი უნდა შეეწყო. მაშინ მე და შენ ბედნიერები ვიქნებით.

— თანახმა ვარ. ყოლიფერში დაგეხმარები, ოღონდ შენ მამას უნდა უშველო. ის დეიღუპება. იმან სთქვა, რომ შენ შველა შეგიძლია. მას ყოლიფერს წაართმევენ. გადაასახლებენ, რავარც ტაგიძე გუუსახლებიათ. შენ ეს არ უნდა დუუშვა. ბაღების ნახევარს მე მიმტკიცებს, ოღონდ მას ნურაფერი ნუ დუუშავდება. მეტი რა გინდა, სულეიმან, ის მანდარინის ხეები, რომელსაც შენ უვლიდი, სადაც მე და შენ ერთმანეთს ვხვდებოდით, შენი იქნება. კაი არაა?..

— არა, ფერიდე, მე არ მჭირდება ბაღები. კოლექტივს ექნება მანდარინის ბაღები. შენ გგონია მე შემიძლია მამაშენის გადარჩენა?.. მას ცხოვრება ებრძვის. დრო ებრძვის. მას ვერაფერი ვერ გადაარჩენს. ის უსათუოდ მეისპობა. მაგას ნუ ცდილობ. ნურც მეტყვი შემდეგში. მაი უაზრობაა. ამას იცი როდის გეიგებ?.. როდესაც ჩადრს მეიხდი, ყველა კაცს თამამად ხმას გასცემ, თოხის ხელში დაჭერის არ მოგერიდება, კოლექტივის მიწაზე სხვებთან ერთად იმუშავებ და შეგიყვარდება ყველა შენი ამხანაგი.

გაჩუმდა ფერიდე. აღარაფერი უთხრა. მან ყველაფერი გარკვევით ვერ გაიგო, მაგრამ ამ საღამოს საბოლოოდ დარწმუნდა თავისი ქმრის სიძლიერეში, რაც მოვალედ ხდიდა დაეჯერა მისთვის.

აღტაცებაში მოვიდა სულეიმანი. მას უხაროდა ცოლზე საბოლოო გამარჯვება. თავისი მხრივ ისიც დარწმუნდა მემედალის სიძლიერეში, რომელიც მისგან მოითხოვდა სოფლის ახალი ცხოვრებისთვის ბრძოლას. ერთი მისი გამარჯვებათაგანი ფერიდეს შერიგება იყო.

უცბად ამ მიყრუებულ ოთახს სიცოცხლის ელფერი მიეცა. თითქოს ჭერიც და კედლებიც გამხიარულდა და გამოცოცხლდაო. ალაპარაკდა თითოეული ნივთი, რომელიც კი ოთახში იდგა და ბედნიერი ცხოვრების სხივმა ისევ შემოანათა.

— შენთან ერთად ვიქნები, შენთან ერთად, შინაც და კოლექტივშიც. — ეუბნებოდა ფერიდე და სულეიმანს თვალებში შესცქეროდა.

— მე, დედა?.. — წამოიძახა ალიმ.

— ჩვენთან. ბიჭიკო, ორივესთან, — უთხრა მამამ და დაკოჟრებული ხელები ალის ნესვივით მოგრძო თავზე რამდენჯერმე გადაუსვა.

კოლმეურნის ოჯახმა თავისი თავი იცნო.

მეორე დილას ფერიდეს სახე ისევე ლია და უპირსაბურავო იყო, როგორც თვით განთიადი იყო ლია, მზიანი და ნათელი.

მეოცე თავის დასასრული

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაიკომის ბიუროს სხდომის დამთავრების შემდეგ კიდევ ერთ ხანს უტრიალებდა ჰუსეინი კომიტეტის მდივანს. თუმცა საკითხი უკვე გადაწყვეტილი იყო, მაგრამ მას მაინც უნდოდა დაერწმუნებია კომიტეტის მდივანი, რომ ჰუსეინი მართალია თავის მოქმედებაში, მას უფრო პირისპირ უნდოდა ელაპარაკა და აეხსნა მთელი გარემოების ნამდვილი სურათი.

გარდა ამისა კომიტეტის მდივანი, რომელიც სხდომის დროს განსაკუთრებული სერიოზულობით და სიმკაცრით იქცეოდა, ახლა უკვე სახეგახსნილი იღიმებოდა, მის გარშემო შეგროვილ ჯგუფს სიცილით ელაპარაკებოდა.

— თქვენ სწორად ვერ შეაფასეთ ჩემი მუშაობა. — მიმართა ჰუსეინმა და დააპირა განეგრძო სიტყვა, მაგრამ კომიტეტის მდივანმა იმავე წუთში შეაჩერა.

— როდესაც შენს შეცდომას მიხვდები და აღიარებ, მაშინ ლაპარაკი გვექნება შენს პარტიაში აღდგენაზე. ახლა რაც დაიმსახურე, ის გადაგიწყვიტეთ. გაიგე, ჰუსეინ?.

ჰუსეინი გაჩუმდა. ხმა ველარ ამოიღო. თითქოს სთქვა მესმისო და ბრაზმორეული შემოტრიალდა.

რაიკომის შენობიდან მარტო გამოვიდა. იმის ნაცვლად, რომ ლენინის ქუჩაზე გამოსულიყო და სადგურისკენ წასულიყო, ზღვისკენ გავიდა.

წყნარი საღამო იყო. დღე თავდებოდა. ზღვის ნაპირზე მრავალი კაცი და ქალი, ნახევრად გახდილნი და მთლად შიშველნიც წამოწოლილიყვნენ. ბევრი მათგანი ცურავდა ზღვის ზვირთებში და საერთოდ კი სტკბებოდენ ამ ბედნიერი ბუნების სიუხვით და მნიშვნელობით.

მზე ჩადიოდა.

დარწმუნებული ვარ, ასეთი ლამაზი მზის ჩასვლა მთაში ან ბარში იშვიათად თუ ვინმეს უნახავს. აქ რაღაც განსაკუთრებული სილამაზე იხატებოდა.

ისეთ ფერს სახელი არა აქვს, რა ფერშიც თვით მზის ვეება სხეული აღგზნებულიყო.

ასეთი კოშკები ადამიანის მკლავს კი არა, ოცნებასაც კი არ აუგია, როგორიც სხივებით შეფერილ თეთრ ღრუბლებისაგან აღკვეთილიყო.

ცის დასავალი, ზღვასთან შენაერთი, ნეტავი რა იყო?! მლაშე ზღვის ლურჯი ზედაპირი თუ მწიფე და დაჭყლეტილი ალუბლის წვენი ლივლივებდა?..

ცეცხლი წყალში რომ ეშვება, ქრება, კვამლს უშვებს.

აბა, მაშ ეს რა არის?..

ასეთი დიდი ცეცხლის გუმბათი ზღვაში იძირება და იმის ნაცვლად რომ აკვამლდეს და ჩაქრეს — ცაც, ზღვაც, ღრუბლებიც უფრო დასწვა, უფრო აანთო, უფრო ააჟღრიალა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოვიდა ჰუსეინი ზღვის ნაპირზე. გაბრუებული იცქირება.

ეს დიდი ბრწყინვალე მზე თვალის გუგაში პატარა წითელ ლაქასავით უგორავს და ვერც კი ამჩნევს.

ბუნდოვან ფიქრებშია:

— აღარ!.. აღარ!..

მიდის ჰუსეინი. მის ფეხქვეშ ჩხრიალებს ქვიშა. ფეხები ეფლობა კოჭებამდე. მუხლები უღონოდ ეკეცება და მაინც მიჰყვება ამ ნაპირს. მის წინ ჯგუფ-ჯგუფად და ცალ-ცალკე წვანან კაცები, ქალები, ბავშვები, მათ სხეულზე ჩამავალი მზის მოწითალო ჟინჟღილა ფერი ეცემა და აშკარად აჩენს ჯანსაღ კუნთებსაც, ავადმყოფ, მისუსტებულ ნაკვთებსაც.

ბუნდოვან ფიქრებში ეფლობა:

ეს ხალხი, უდარდელი ხალხი, უზრუნველი ხალხი წევს და ცდილობს მზის სხივებს უკანასკნელი ძალაც კი გამოჰგლიჯოს, რომ რაც შეიძლება მეტი სარგებლობა ნახონ მისგან, და ეს გრძელდება ყოველდღე, გაზაფხულიდან შემოდგომამდე, ვიდრე მზე ჩვენსკენ არის, ვიდრე მიწის ის კალთა, რომელზედაც ეს ადამიანები ფუსფუსებენ, მზეს ზურგს არ შეუქცევს

თვალგაშტერებული შესცქერის ჰუსეინი მწოლიარე ხალხს.

„ხედავ?.. როგორ ზრუნავენ საკუთარ თავისთვის, საკუთარ სიცოცხლისთვის?.. ეწაფებიან სითბოს!..

რა არის მზისთვის ეს სითბო?!. არაფერი!..

რა არის სივრცისთვის ეს მზე!.. არაფერი!.. ამისთანა მზეები ცაში რამდენიც გინდათ...

რა არის დედამიწა სივრცისათვის?!. არაფერი!.. არაფერი!.. მას შეუძლია ერთ წამში შეარყიოს, მოსპოს. მოსწყვიტოს მზეს. მაშინ აღარ ასეთი დიდებული დაისი იქნება ზღვაზე. ყველაფერი ნაცრად იქცევა... რა უცნაურებია ეს ადამიანები!.. რა წვრილმანები არიან ეს ადამიანები?!. რა უნდათ? რას ცდილობენ?..“

— აღარ!.. აღარ!..

ჰუსეინს უნდა როგორმე ამ უსაქმო ხალხს, ამ წვრილმანი საქმიანობით გარჯილ ხალხს გასცილდეს, როგორმე მოშორდეს მათ, აღარ უცქეროდეს, არ ხედავდეს. ადამიანები ვარსკვლავებიდან არ მოსჩანან. ვარსკვლავებიდან არ არსებობენ. ადამიანი მაინც თავის ცხოვრებას ჰქმნის, ილამაზებს, იბრძვის უკეთესისთვის და მაინც თამამად და მტკიცედ გაიძახის: „მიწა ჩემია, მიწას მე ვაშენებ, ვაწესრიგებ“. მართალია... მართალია... მართალია... ააშენეთ... მოაწესრიგეთ... იწექით, იწექით. თქვენთვის საჭიროა მზის სხივები, მზის სითბო, ჯანი, ძალა, ენერგია. იწექით... იწექით“.

— აღარ... აღარ... აღარ...

გასცდა ჰუსეინი ხალხს. ზურგს უკან დასტოვა მთელი რიგი მოფუსფუსე ჭიანჭველებისა... თუ ადამიანებისა?.. დიახ, ადამიანებისა.

ამ რამდენიმე წამში დაისის სურათი შეიცვალა... [illegible] ლრუბლების კოშკებმა ლილისფერი საღებავი მიიღო. მაგრამ ახლა კოშკებს აღარა ჰგვანან. ახლა ნამდვილი სირაქლემებია.

მზე სადღაა?.. აღარც ისაა. თუ პატარა ხანს კიდევ მისი სინათლე მაინც არის ცაზე და მიწაზე, ეგეც კარგია.

„ეს ზღვა ამ წუთას, რომ ღელავდეს, ბობოქრობდეს და მუდამაც ბობოქრობდეს, კარგი იქნება. აბა მაშ ზღვა რის ზღვა არის, თუ მუდამ მღელვარე არ იქნება?!. სულ ღელვა. სულ დუღილი. სულ ბრძოლა და ნგრევა". — ასე ფიქრობს ჰუსეინი. ასე უყვარს მას. სწორია?.. სთქვით, სწორია?.."

როგორც სამრეკლოს ზარის რეკვა, სწორედ ისე ზუზუნებს ჰუსეინის ტვინში ეს სიტყვა:

— აღარ!.. აღარ!.. აღარ!.. სიცოცხლე აღარ გინდა?.. ქვეყნისა არაფერი აღარა გწამს?.. ბრძოლა აღარ გინდა?.. შენება აღარ გინდა?.. ჰუსეინი დინჯად იხდის ტანთ და თან შესცქერის ნელ ზვირთებს. ბინდია და ეს ზვირთები მეტისმეტი ლურჯია, თითქმის შავია, ბნელი.

გადახტა ზღვაში. გრილი წყალი რომ შემოევლო, თითქოს თვალხილული ძილისაგან გამოერკვაო. სხეულმაც თავისთავი იგრძნო. გვერდული გაუსვა, მერე ჩაყვინთა და ზღვის ზედაპირზე კარგა ხანს აღარ ჩანდა. რამდენიმე წამის შემდეგ ასი ნაბიჯის მოშორებით ჰუსეინი ზედაპირზე გაჩნდა და ამ უზარმაზარ თვალგადუწვდენელ ზღვაზე ნაფოტივით პირაღმა იწვა. გრილი და საამო ზვირთები მის შუბლსა და გვერდებს ეთამაშებოდა.

კარგა ხანს იწვა და გახსნილი გონებით ერთადერთ აზრს ებღაუჭებოდა. მერე ტანში მოიღუნა, თავი უკან გადასწია. მკერდი წინ წააგდო და ნაპირისკენ გამოსცურა. როგორც ჩანს ნათელმა სხივმა ტვინის რომელიღაც კუნჭულში დროზე გაიღვიძა. ამ სხივმა ნაპირისაკენ გამოიყვანა.

ქვიშაზე რომ ფეხი გადმოსდგა, ოდნავ შეაჟრჟოლა.

„მე ასეთი მშვიდი ზღვა დამახრჩობს?.." ფიქრობდა ჰუსეინი და ტანთ იცვამდა. როდესაც ჰუსეინი იმავე გზით უკან ბრუნდებოდა, ზღვის პირას არც ერთი ადამიანი აღარ იყო. ყველა წასულიყო. მის ფეხქვეშ ქვიშა უფრო მეტად ხმაურობდა, ვიდრე ზღვის ზვირთები.

ნაბიჯს აუჩქარა. თითქოს შემსუბუქება იგრძნო. თითქოს არაფერი არ აწუხებდა. მიდიოდა.

ჰუსეინს უნდოდა კიდეც მთლად უდარდელი ყოფილიყო, უზრუნველი, აუღელვებელი, მაგრამ რაიკომის შენობას რომ აუარა, გაახსენდა წელანდელი ვარამი და ისევ ბოლმა შემოაწვა ყელში.

„ოლქში უნდა გავასაჩივრო. თავს როგორ დავანებებ“ — ფიქრობდა ჰუსეინი და ჩქარი ნაბიჯით მიდიოდა.

შორიდან მატარებლის გუგუნი მოესმა. გული აუძგერდა — და უკვე სირბილით გაეშურა სადგურისკენ.

ბიბლიოთეკა

ჩავა ბათომში. ხვალ დილით საოლქო კომიტეტში საჩივარს შეიტანს, თავს აღიდგენს, პარტიულ ბილეთს როგორ დასთმობს?!.“ — ფიქრობს ჰუსეინი და უახლოვდება სადგურს.

მატარებელი შმაგივით მოვარდა. გაჩერდა. გუგუნით და ჟივილ-ხივილით გამოაცოცხლა ეს პატარა სადგური.

ელნათურების მბჟუტავ სინათლეზე მოსჩანდა მრავალი სახე და თვალები, რომლებიც ეძებდა ნაცნობებს, ნათესავებს, მშობლებს.

ჰუსეინი ბაქნიდან ბაქანში გადადის. ისე ატრიალებს თვალებს, თითქოს ვინმეს ეძებდეს. ორთქლმავალი ისევ მიჰკივის. ლურჯად დაბნელდა. მარჯვნივ ზღვაა, მარცხნივ გორაკები ხეებით, ბუჩქებით, ტროპიკული მცენარეებით, ოღონდ ყველაფერი ეს ლურჯი სიბნელის გამო გადაქცეულია ბრტყელ, წაწვენილ ჩრდილებად.

„აკრძალულია ვაგონიდან ვაგონში გადასვლა“.

მიჰქრის მატარებელი. ლიანდაგი ბორბლების ქვეშ დაგდაგებს. ზღვისა და მთების გრილი ნიავი იჭრება ვაგონების ღია ფანჯრებში. მგზავრების მოლოდინი მღელვარებაში გადადის.

...ჩაქვი!.. ჰუსეინი რატომღაც ვაგონიდან ძირს ჩადის, მაგრამ იმავე წუთს ისევ მაღლა ადის და თვალებით აჩერდება ვაგონის კედელს: „აკრძალულია ტალანებში დგომა“... ეჩხირება თვალებში წარწერა და შედის ვაგონში. შიგ მყოფ სახეებს უცნაურად აშტერდება, თითქოს ვინმეს ეძებსო. მისი თვალები გადადიან სახიდან სახეზე, კედლიდან კედელზე. და ყველგან: „აკრძალულია“. „აკრძალულია“. „აკრძალულია“. ეს არის წესრიგი. ეს არის დალაგებული სიცოცხლის საშუალება. ეს არის მოქმედების ფარგლები.

— მწვანე კონცხი!.. — ისმის ხმა და ვაგონებიც განსაკუთრებულად ნათდება.

ჰუსეინი უბეში ხელს იყოფს. თითები ნერვიულად ეხვევა უბეში მოთავსებულ წიგნაკს. უბიდან ოდნავ ზევით ამოსწევს და ცივი, შუშასავით კრიალა, მაგრამ უგრძნობელი თვალებით დააშტერდება ასოებს: „ს. კ. პ. (ბ) საწევრო ბილეთი“. ისევ უკან უბეში ჩაიდებს და მშვიდი წყნარი სახით გაიხედავს წინ. თვალებში ისევ წარწერა ჩაუვარდება: „აკრძალულია“. ეს არის მოქმედების ფარგლები.

მატარებელი ბათომში შეჩერდა. გუგუნიც შესწყვიტა. ხალხი გადმოვიდა და ქალაქისკენ გაემართა. გადმოვიდა ჰუსეინიც და დინჯად, აუჩქარებლად სადგურიდან გავიდა. მას არც ეჩქარებოდა და არც იცოდა სად უნდა წასულიყო. საჩაიეს გაუარა. შეჩერდა. დიდხანს იდგა და შესცქე-

როდა შიგ ჩამომსხდართ, რომელნიც რაღაც გატაცებული წყურვილით სვამდენ ჩაის. კარის ყოველ გაღებაზე თბილი, გამაბრუებელი ოხშივარი გამოვარდებოდა ხოლმე გარეთ და ჰუსეინს სახეში ეცემოდა. [illegible] ჰუსეინს. შევიდა საჩაიეში, მოუჯდა ერთ მაგიდას [illegible] ცხელს, გამაბრუებელს და სურნელოვან სასმელს.

სვამდა და ითვრებოდა, იკლავდა წყურვილს.

. . . . . .

მეორე დღეს საოლქო კომიტეტში პირდაპირ მდივნის კაბინეტში შევიდა. მდივანი დიდხანს ესაუბრებოდა.

— შენზე ცუდი ამბები მოვიდა. შენ უნდა გცოდნოდა მოქმედების ფარგლები. რას ჰგავს?.. კლასიურ მტრებისთვის საშუალება მიგიცია მთავრობის წინააღმდეგ სოფლის ნაწილი აალაპარაკონ. გარდა ამისა საქმიანობ მარტო, სხვებთან შეუთანხმებლად. ჩვენ ადგილებზე გვყავს ბიურო, სოფლსაბჭო.

ჰუსეინი უხსნიდა, რომ აუცილებელი იყო ტაგიძის განკულაკება, ჩადრების მოხსნა, რომ ამას პარტიაც მოითხოვდა, მაგრამ მაინც ვერ აჯერებდა თავის სისწორეში.

— პარტიული ბილეთი ჩააბარეთ. აღდგენაზე მერე ვიმსჯელოთ. — უკანასკნელად უთხრა საოლქო კომიტეტის მდივანმა და წინ მდებარე ქაღალდები გადაფურცლა.

ჰუსეინი წამოდგა. პირგამშრალი, გულშეღონებული გარეთ გამოვიდა.

„ყველგან იციან, ყველა ერთსა და იმავეს მეუბნება“. ფიქრობდა ჰუსეინი და უკვირდა, რომ მემედალიც, სულეიმანიც და საოლქო კომიტეტის მდივანიც ერთნაირად მსჯელობდენ.

* *

ერთი თვის შემდეგ ჰუსეინი აჭარჰესის მშენებლობაზე მიდიოდა. მან გადასწყვიტა სოფელში აღარ დაბრუნებულიყო. მთელი თვის განმავლობაში ქალაქში უსაქმოდ ყოფნამ მრავალი ფიქრი და გადაწყვეტილება გაუტარა გონებაში. საბოლოოდ ერთ აზრს მტკიცედ დაადგა. მას არ შეეძლო უსაქმოდ ყოფნა. მისი ხელები და აზრი შრომას თხოულობდენ.

საოლქო კომიტეტში შეცდომების აღიარებაზე განცხადება შეიტანა და მოითხოვა რამე სამუშაოზე გამოყენებინათ. აჭარისწყლის ელსადგურის მშენებლობაზე გაგზავნეს, იქ სადაც მუშური მარჯვენა და ჯანსაღი აზრი ტრიალებდა.

გულმოდგინედ დაიწყო მუშაობა პარტიაში აღდგენის მოლოდინში.

მეოცდაერთე თავი

ზოგიერთ ადამიანს მგლის მუხლი აქვს და მგლისავე კისერი. მას შეუძლია იაროს რამდენიც გინდათ, გადასთელოს და გადალახოს რამდენიც

გსურთ, ოღონდ უკან მოხედვა არ შეუძლია, რომ დაინახოს თავის განვლილი, ნამოქმედარი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უკანასკნელ დღეებში ახმედი სოფლიდან სოფელში გადადიოდა ძველი ძალღონე მუხლებში აქვს დაგროვილი. მას არ შეუძლია შენიშნოს რა არის დაღალვა, ან რისთვის იყო საჭირო დასვენება. მის გულს, სისხლს, ძარღვებს და კუნთებს ამოძრავებს შურისძიებისა და ღვარძლის გრძნობა. ყველაფერს, რასაც კი ხედავს, ღვარძლითა და ბრაზით უცქერის. თვით პატარა ბალახიც კი, რომლის ამოსვლას — გაზაფხულის ნიშანს, ერთ დროს სიხარულით ეგებებოდა, დღეს უკვე ზიზღისა და ბოროტების გრძნობას იწვევდა მასში.

ალარ არსებობს მისთვის ცა... არც მიწა... არც ალლაჰი, ძველი და ხ'მირად საფიცარი. მას უნდოდა შური ეძია.

ახლა ახმედი არაფერს არ დაზოგავდა, ოღონდ გულის ჭია მოეკლა. ოღონდ ფეხქვეშ გაესრისა ის, ვინც მისი სიცოცხლის ფერადად ანთებული ჭალი დაამსხვრია.

ახმედი მგლად არის გადაქცეული. ის დაძრწის, ეძებს, ყნოსავს, როძ მტერს მიაგნოს და გაუსწორდეს. შინ გული არ უჩერდება. დაკნინებულს, ცოლის ნათესავების კარზე მიმდგარს, ვერ მოუსვენია. მას უნდა ტყეში გავარდეს. მას უნდა იხეტიალოს. ილაპარაკოს მტერზე, სიკვდილზე, მკვლელობაზე.

როგორც ზამთარში მგელი ბუნაგში ვერ ისვენებს და მშიერ-მწყურვალი, აღრენილი დაძრწის, სწორედ ისეა ახმედი, ვერ ეტევა ბუნაგში, ჭშია, სწყურია, აღრენილია.

ვარსკვლავები, როგორც გამომწვარი სანთლები, ისე ქრებოდენ. და ამ ვარსკვლავების ჩაქრობის საათზე ახმედი ხოჯა ეფენდის ბინას მიადგა. ეს ეფენდი კრიალოსანს მარცვლავდა. ისე ჩაფიქრებულიყო, თითქოს თითო მძივს თითო ფიქრს აყოლებდაო. ახმედის შემოსვლამ მძივებიც და ფიქრებიც ერთნაირად გაუფანტა.

— ოოო!.. საბახხეილურსუნ!.. ჩემო ახმედ, რამდენი ხანია არ მინახიხარ. რავა დეიკარგე?!. — მიაგება ხოჯამ ორი გაწვდილი ხელი და მეგობრული შეძახილი.

ახმედმა კი ოთახში შემოსვლისთანავე კარი მჭიდროდ მიხურა. ახოვანი ტანით ზედ მიეყრდნო და მოსხლეტილად ჩამოყრილი ხელებით უმოძრაოდ გაჩერდა. ამ გულთბილ შეგებებაზე არც შეინძრა, არც პასუხი გაუცია. ბოღმამოწოლილი, სიტყვაამოუღებლივ ათას ნაპერწკლად ანთებულ თვალებით შესცქეროდა ხოჯას, თითქოს ამ დუმილით ეუბნებოდა: „ხედავ, რა მოხდა?.. ხედავ რა დამემართა?.. სამაგიეროს მოვითხოვ, დამნაშავემ არ უნდა იცოცხლოს".

— ახმედ, რას გაბეჩებულხარ?.. მთელი დუნია შენს კისერზე ხომ არ დატრიალდა?.. დაჯექი. სიტყვა სთქვი. თუ გიჭირს, გაგვაგებინე, იქნება დაგეხმაროთ. რამე თუ გაკლია, ჯამეში მოგვეპოვება.

ახმედი კიდევ ჩუმად იდგა. ისევ ხმაამოღებლივ შესცქეროდა. მისი სახის ელფერი, ნაკვთები და მთლიანად გამომეტყველება, როგორც ცოცხალ რუქაზე, ისე ნათელი და მკაფიო იყო.

ვერ აიტანა ხოჯა ეფენდიმ ეს დაჟინებითი ცქერა და სიჩუმე. მთელ სხეულში უხერხულობა იგრძნო. შეიშმუშნა, შეშფოთდა. არ იცოდა როგორ მოქცეულიყო. ის ახმედი, რომელიც ოცი წლის განმავლობაში მის დანახვაზე ყოველთვის მოწიწებით ესალმებოდა, თავაზიანად ეპყრობოდა, დღეს შესცქერის დამტანჯველი სახისა და თვალების გამომეტყველებით.

— კიდო უბედურება ხომ არ შეგემთხვა, რა ხდება შენს თავს?!.

ახმედმა ორი თუ სამი მძიმე და დინჯი ნაბიჯი გადასდგა, მიუახლოვდა ოთახის შუაგულ მდგომარე მაგიდას და ცალი მკლავის იდაყვზე დაეყრდნო ზედ. მეორე ხელი ჯიბეში ჩაიყო და იმავე წუთს ამოიღო ქაღალდის ფულის სქელი წყება. როგორც ჩეჩქი, დაფურცვლილი დაჰყარა მაგიდაზე.

ხოჯა შესცქეროდა ხან ფულს, ხან ახმედს. ვერ მიმხვდარიყო ამ მოქმედების მიზეზს.

— არაფერი არ მაკლია, თუმცა ყოლიფერი დავკარგე.

სიჩუმე ჩამოვარდა. ამ სიჩუმეში ხოჯა ეფენდი უკვე თავისუფლად სუნთქავდა. ახმედის დალაპარაკებამ მდგომარეობა შეუმსუბუქა. მის მოხუც ძვლებზე აგებული მოხუცი სხეული წელან შეკრთა, შეშინდა. ამღვრეული და ბედგანწირული ადამიანი შიშის ზარს სცემდა.

— აი ფარა უნდა გამევიყენოთ. ხომ ნახე, რამიზი არ გამოდგა. ეფენდი, შენი არჩეული ტყვილი ყოფილა. ეს რავა დაგემართა, ეფენდი!.. შენ ხომ ეფენდი ხარ, ეფენდი... მუდერისი... დაგვაღალატა... დრო წავაგეთ... დაგვიგვიანდა...

გაშეშებული ხოჯა თვალებში შესცქეროდა. პასუხს ვერ აძლევდა. ის ადვილად იტანდა ამ ირონიულ „ეფენდის“ და „მუდერისს“. ის ამ წუთს წიხლის ჩარტყმასაც აიტანდა, ოღონდ ეს ყველაფერი მათ შორის დარჩენილიყო. არავის გაეგო, სირცხვილი გარეთ არ გასულიყო.

ხოჯა სუბუქი და ფრთხილი ნაბიჯით მიუახლოვდა, მაჯაში ხელი ჩასჭიდა და ჩურჩულით შეეკითხა:

— ისევ შემედალი?..

— არა, ჰუსეინი.

— ჰუსეინი რა კაცია. ის თავისით მოკვდა. აღარც პარტიეშია. აღარც კოლექტივში. სოფელშიც არ დუუტოვიათ. მემედალიმ კი რავარც დეიწყო, ისევე განაგრძობს.

— ეფენდი, ეფენდი, მაშინაც შენ დაგიჯერე, კიდევ დაგიჯერებ...

— მაშ ნუსრედინთან მიდი. მოელაპარაკე. ხელს შეგიწყობს. კაცს შეისყიდის, ეს ფული ერთს კი არა, ათ კაცს დაუბნელებს თვალებს.

ახმედმა მაგიდაზე დაყრილი ფული ორთავე ხელით მოიქცია ჯიბეში მოიქცია და დაჭმუჭნა.

— ერთი კაცის სიცოცხლეთა ღირს! — წაიბურტყუნა და ისე მძლავრად მოუჭირა ხელი, თითქო იმ ერთ კაცს ყელში ეჭიდებაო. მერე მოსხლეტილად სკამზე ჩამოჯდა და ფულის სწორი დალაგება დაიწყო. ის თითქოს ცდილობდა, რომ მშვიდი იერი ჰქონოდა, მაგრამ ხელებზე და მაჯებზე ჩანდა, თუ როგორ უცემდა ძარღვები და როგორ უთრთოდა სხეული. ფული დააწყო, უბეში ჩაიდო და წამოდგა.

— ხვალ გნახავ, ეფენდი, ზეგაც, ყოველდღე გნახავ, ვიდრე შემეძლება. — სთქვა ახმედმა და პასუხის დაუცდელად კარებისკენ გასწია. მას არ ეინტერესებოდა რას უპასუხებდა ხოჯა. დაუმშვიდობებლად გარეთ გავიდა.

— მშვიდობით, ახმედ. — გააყოლა ზურგში დამშვიდობება. მაგრამ პასუხად მხოლოდ კარის მაგარი მოჯახუნება გაისმა.

დარჩა ხოჯა თავის თავთან მარტო. მწარედ ჩაფიქრდა. „ხვალ გნახავ, ეფენდი, ზეგაც, ყოველდღე გნახავ". — თითქოს ხელმეორედ მოესმა ახმედის სიტყვები და უცბად ისე ცუდად გახდა, რომ ძირს დაცემისგან ძლივს შეიმაგრა თავი. ფანჯარასთან ფეხები მიათრია და ზედ მთელი ზედატანით დაეშვა.

ნათელი დილა იყო, ძლიერ კაშკაშა დილა. ასეთ კაშკაშა დილაზე ყველაფერი ბრწყინავს ხოლმე, რასაც კი მზის შუქი ეცემა: ხეხილები, მიწა, ქვა, ბალახი, სანეხვესთან მიმოყრილი თივის ღერებიც კი. ყველაფერი იცინის, ბრწყინავს.

აი ამ ფანჯრის იქით რამდენია რომ ხარობს, იცინის, შრომობს და ბედნიერად გრძნობს თავს. რამდენია რომ კაშკაშა დილას სიხარულით ხვდება. გული ბოღმით არა აქვს დამძიმებული.

ეს ისეთი ხალხია, რომელსაც გულში შავი ზრახვები არ ჰქონია. ვინც შრომობს და საკუთარ სიცოცხლეს დაუზარელი გარჯით აუმჯობესებს. ვინც თავის შრომას და ცხოვრების ინტერესს სხვას უკავშირებს და ამ ერთიანი მიზნის გასამარჯვებლად იბრძვის.

ეს ისეთი ხალხია, რომელმაც სიბნელიდან თავი გამოჰყო, თუმცა მზის ქვეშ იდგა, და თავის ცხოვრება გააშუქა.

ეს ისეთი ხალხია, რომლის გონებაც საუკუნოების განმავლობაში მათრახით დაბნელებული იყო. ჩაშავებული იყო დიადი ცით, სადაც ასე უხვად მზეები და მთვარეები კაშკაშებენ.

ხოჯა ეფენდისთვის ოთახში სიბნელეა. გარეთაც სიბნელეა. აღარაფერს არ ხედავს გამჭვირვალეს და ნათელს. ფანჯრის მინებს, თვით მზის

სხივებსაც კი. თანდათან ნდობას კარგავს. მორწმუნეებიც აკლდება. ირყევა მისი მუდერისობა. გაახსენდა ჯამე, სადაც ჯერ კიდევ მარმარ, შიგნით არამც თუ ტევა არ იყო, არამედ შესავალ კარებთანაც და კიბეებშიც განრთხმულნი იყვნენ მლოცველები და ხოჯას ძველ ათასი წლებით გაზეპირებულ ყურანის სიბრძნეს სასოებით უსმენდენ.

დღეს ამ ჯამეში ათი კაციც აღარ მოდის. მოდიან მხოლოდ მოხუცები, ძველი ჩვევის მიხედვით. ფიქრობს ეფენდი, რომ წყეული კოლექტივის მიზეზით მას ნიადაგი ეცლება. იმ კოლექტივის, რომელიც უკვე აჭარის თითქმის ყველა სოფელში წამოიწყო. კოლექტივი აცლის ნიადაგს, კოლექტივი, — ეს გიაურთა ბუდე.

გაიხსენა თავისი ბავშვობა, ახალგაზრდობა. გაიხსენა მთელი თავისი სიცოცხლე, ჩალაგებული ორმოცდათექვსმეტ წელში. დიდებაში და ბედნიერებაში გატარებული წლები. ამ მოგონებებზე დღევანდელობისადმი ჯავრი შემოაწვა და ზეზე წამოდგა. სწრაფად ტანთ გადიცვა და ჯამესკენ გასწია.

ჯამეში შებანი ინახულა — თავისი მესაიდუმლე. თვისი მარჯვენა ხელი.

გადაკეტა ჯამეს კარი და შებანს დიდხანს გული გულთან ელაპარაკა.

— დევიქანცე შებან, ამდენი ძალა აღარ მაქვს, რომ ახალგაზრდასავით ადვილად ავიტანო დუხჭირი ცხოვრება. დასვენება მჭირდება. საღლამობის აღდგენა. დასასვენებლად მთაში უნდა წევიდე, ჩემ ჩამოსვლამდე ჯამე შენთვის ჩამიბარებია. ემსახურე ალლაჰს. იკითხე ყურანი. ნურას იტყვი ჩემს შესახებ. რა ერთს ეცოდინება, ერსაც ეცოდინება. — და ხოჯამ გადაკოცნა მოლა. გადააკისრა დიდი მოვალეობა — მთელი ჯამეს ხელმძღვანელობა. გასაღებები და საჭირო საბუთები გადასცა და ჯამედან გავიდა.

— ალლაჰა სამალადუქ, — წაიბუტბუტა და ჩქარი ნაბიჯით წავიდა.

მოსცილდა იმ ჯამეს, სადაც ჯამაათი აღარ დადიოდა, რომელმაც მორწმუნეები დაჰკარგა, სადაც არავითარი სარფი აღარ იყო.

იმავე დღეს ხოჯა ჯაფარიძემ ორი ჩემოდანი გაივსო. შვილებს წერილი დაუტოვა და თვითონ ბათომისკენ წავიდა.

თავის სიცოცხლეში ხოჯა ეფენდის ბევრი რამ მოუხერხებია და იმან იმის მოხერხებაც შესძლო, რომ მესამე ღამეს, მშვიდი და წყნარი ზღვის ტალღებზე მიცურავდა მის მიერ კერძოდ დაქირავებული ფელიუგა.

შავი ზღვის მკერდი დიდი, ფართე და გადაშლილია. ამ ფართე ზედაპირზე მეზღვაურთა საგუშაგოების პროექტორები გუშაგთა თვალებით დადიან, ათვალიერებენ, მაგრამ, ეს ფელიუგა ამ პროექტორის შუქში არ მოქცეულა. გამოცდილმა მენავემ მოხერხებულად აარიდა თავი და საზღვარს გადასცდა. მესამე დღეს ხოჯა ეფენდი გაჩნდა იმ ქვეყანაში, სადაც ჯამეებშიც ჯამაათი ჯერ კიდევ მრავლად დადის.

„არც ხვალ, არც ზეგ, და არც არასოდეს ახმედი მას ველარ შეაწუხებდა და გულსაც არ მოუკლავდა ღვთის მსახურების დროს ცარიელი ჯამეს კედლების გამოძახილი“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

* *

მთაში გასული ყაჩაღი პირველსავე ზამთარში ზურგში მოიხრება, მისი ყაჩაღური სიმამაცე დაკნინდება, რომ სოფლებშიც არ ცხოვრობდენ ისეთი ყაჩაღები, რომლებიც მშვიდობიანი მცხოვრების სახელს ატარებენ და ამავე დროს თავზე ხელაღებულს ხელს უწყობენ ტყვეით, ფულის შოვნით, საჭმელ-სასმელით.

ეს ყაჩაღები ასეთ მეგობრებთან ხშირად ჩამოდიან ხოლმე, დაპურდებიან, დაისვენებენ, იარებს მოირჩენენ და ისევ ტყეში გავლენ.

წინა ღამეს ნუსრედინ გოგიტიძესთან ორი თავით ფეხებამდე შეიარაღებული მოვიდა. ნუსრედინმა ხმაამოუღებლივ გაუღო კარი. ორთავეს საჭმელი გამოუღო, დასაძინებელი მიუჩინა, თვითონ გარეთ ნაგაზს გაჰხედა და გადარაზულ კარის შიგნით ფრთხილი ძილით დაიძინა.

განთიადისას მგლის მუხლმა ახმედი ნუსრედინთან მოიყვანა.

— ნუსრედინ, დიდი საქმე მაქვს. უნდა მოგელაპარაკო. — მიმართა ახმედმა.

— ძალიან კარგი. ახლავე. — და ნუსრედინი ოთახში შებრუნდა.

თვისი ორი მეგობარი მეორე ოთახში გაიყვანა და უთხრა, იქიდან ყური დაეგდოთ. მერე ახმედი შეიყვანა და ტახტზე ჩამოსვა.

— გაპარტახებული კაცი ვარ ნუსრედინ, ხომ იცი, ყოლიფერი წამართვეს. მარა ვერ ვისვენებ, ბრაზი მკლავს. თუ სისხლი არ ავიღე, ვერ გადავიტან. მემედალი უნდა მოვაცილოთ სოფელს.

— ერთი კაცის მოკვლა რა ძნელი საქმეა, თუ ფარა არის, ყოლიფერი მოხერხდება.

— აი, ფარა, ჩემი ცხოვრება მაინც აფერს ჰგავს. — და ახმედმა ფულები წინ გადმოუყარა.

შეთანხმდენ.

ნუსრედინი ხარბად აწყობდა და ითვლიდა ქალალდის თუმნიანებს. თან შიგადაშიგ ახმედს ახედავდა ხოლმე, ხომ არ ხუმრობსო, ან და ხომ არა მცდისო, და როდესაც ნუსრედინი ახმედის სახეზე ერთი და იმავე ბრაზისა და ღვარძლის გამომეტყველებას ხედავდა, ისეთივე თრთოლვით განაგრძობდა თვლას.

— მემედალი უკვე მკვდარია, ახმედ, მკვდარია!.. — ნაძალადევი ღიმილით წარმოსთქვა ნუსრედინმა, როდესაც დაკეცილი ფული უბეში ჩაიდო.

ახმედი შინისკენ წავიდა.

რატომღაც შემსუბუქებულად გრძნობდა თავს. თითქოს შური ეძიოს კიდეც.

მიდიოდა გზაში და ფიქრობდა.

„ხოჯა ეფენდის მუდერისობამ დამაქცია. რავა ავყევი მას?!. გლეხობის სიბნელითა და ადათით ვებრძოლოთ კოლექტივს! [illegible] ვერავის ვერ დაგვდებენო. სისულელეს სჩმახავდა. ათასი [illegible] ერთი კაცი აეისპობა. თავიდანვე ასთე რო მექნა, მე კოლექტივსაც დავანგრევდი".

დღეიდან ახმედი სიკვდილის ახალ ამბავს გულისფანცქალით მოელოდა.

მეოცდაორე თავი

ჯერ რიჟრაჟიც კი არ დამდგარიყო, მთებსა და გორებს სიბნელე არ შემოეძრო, რომ სოფელში უკვე კოლექტივის ზარი აწკრიალდა. ეს ზარის ხმა მიაპობდა მიწყნარებულ ჰაეროვან სივრცეს, იჭრებოდა კოლმეურნეთა ბინებში, აღვიძებდა, მოუწოდებდა და ყუჩდებოდა. რამდენიმე წუთის შემდეგ კოლმეურნენი შესაკრებ ადგილისკენ მორბოდენ, გაფაციცებული თვალებით ერთმანეთს შესცქეროდენ და ეკითხებოდენ ასე ადრიანად გაღვიძების მიზეზს. მაგრამ არცერთმა მათგანმა არ იცოდა მიზეზი.

ზარს რეკდა ახალი მეზარე — ქიცილა.

ის ახლა მეზარედ გადაიყვანეს და იმ მარცხის შემდეგ, რომელიც მას ისპანის ჭაობთან დაემართა, ცდილობდა კოლექტივისადმი ერთგულებითა და სიყვარულით ესიამოვნებინა როგორც მემედალისთვის, ისე ყველა წევრისთვის. ის ღამის სამ საათზე წამოხტა და მთელი კოლექტივი ფეხზე დააყენა.

ქიცილა ასე ფიქრობდა: „რაც ადრე შეუდგებიან მუშაობას, მით უფრო მეტს გათოხნიან. ალარ დაჩაგრავს კოლექტივის ჩაის სარეველა ბალახი".

კოლმეურნეებს კი ცუდი ამბავი ეგონათ, აღელვებულნი მორბოდენ, მაგრამ როდესაც გაიგეს ქიცილას გონიერება იყო, დამშვიდდენ.

განთიადამდე რამდენიმე საათი იყო. მათ ეს დრო გამოიყენეს პლანტაციაში მისვლაზე, თოხის პირების ალესვაზე და ბრიგადებად დაწყობაზე.

კომკავშირელთა ბრიგადა ცალკე გამოიყო. მას ხელმძღვანელობდა მურად გრძელიძე. ისინი უკანასკნელ ხანებში განსაკუთრებულ მუყაითობას და აქტივობას იჩენდენ. სოციალისტურ შეჯიბრში გამოწვეული ჰყავდა ყველა დანარჩენი ბრიგადა.

მემედალიმ თითოეულ ბრიგადას ცალკ-ცალკე ნაკვეთი მიუჩინა. მუშაობაში ვინ როგორ უნარს გამოიჩენდა, აშკარად გამოჩნდებოდა.

კოლმეურნეებს უხაროდათ, რომ მათი ნაშრომი უკვე მოჩანდა. ოცდაათი ჰექტარის მანძილზე ჩაის მშვენიერი პლანტაცია გადაიშალა. ამ პლანტაციის მოსავლელად ქობულეთიდან ხშირ-ხშირად მოდიოდა აგ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ონომი, კოლმეურნეებს ხელმძღვანელობდა და თანაც ასწავლიდა ჩაის გაზრდისა და მოშენების სწორად დაყენების საქმეს.

დღეს ყველა მხიარული იყო.

განსაკუთრებით მხიარულობდა მემედალი. ის ხედავდა, რომ კოლექტივის საქმე უკვე გამარჯვების გზაზე იდგა. კლასიური მტრების შურმა, ღვარძლმა და წინააღმდეგობამ ვერ შეარყია მისი სიმტკიცე. აშკარად ჩანდა, რომ კოლმეურნეთა საქმისადმი ინტერესი და ერთსულოვნობა შემდეგში უფრო მეტ გამარჯვებას მიაღწევდა, რაც მიიზიდავდა კოლმეურნეთა რიგებში გლეხობის ახალ ნაკადს.

თუმცა ჰუსეინის პარტიიდან გამორიცხვასთან ერთად, სამაზრო კომიტეტმა მემედალისაც მიუთითა, რომ ყველაფერი რიგზე არ ჰქონდა, სოფლსაბჭოსთან შეთანხმებით არ მუშაობდა. საერთოდ საკითხებს სათანადო სიფრთხილით არ ეკიდებოდა, მაგრამ ძირითადში მისი მუშაობა დამაკმაყოფილებლად ჩასთვალეს.

მემედალის უმთავრესად ის უხაროდა, რომ სოფლის უდიდესმა ნაწილმა იცნო კოლმეურნეობის უპირატესობა და ძალიან ბევრს წარმოეშვა კოლმეურნეობაში შესვლის სურვილი.

სოფელში გლეხები სულ იმას ლაპარაკობდენ:

— რა კაი ჩა მოდის კოლექტიველებს. პირდაპირ ნანატრია!..

— ჩა ხო კაიკ და კაი, მარა თითონაც კაი ბიჭები რომ გამოდგენ!.. ისთე შეაკლეს თავი, ისთე ეიტანეს გაჭირება, თითქოს რომე... რავა დავასურათო, არ ვიცი.

— თავრობას ახალი მიწები მიუცია. დათესეთ და მეიყვანეთო. კოლექტივი გააძლიერეთო. მტერს თვალები უუვსეთო...

— რავა ჩემსკენ მოგიპყრია თვალები, ბიძიავ, მე მტერი კი არა ვარ... მე უკვე განცხადება შევიტანე, კოლექტივში უნდა შევიდე.

— კაი დროცაა, შენმა ყველაისამ...

— გვიან არასოდესაც არაა.

— გეიგე შენ, ი ტრახტორია თუ რაცხა ჯანდაბაა, იგი უნდებიან მეიტანონ. მუშა-საქონელი არა გვყავსო და იმით უნდა მოვხნათო.

— აწი მაგინთი საქმე შეშუბეშზეა წასული. კაია, ჩემმა მზემ, კაია... ეს ხმები კოლმეურნეებამდეც აღწევდა. უკვე აშკარადაც ეუბნებოდენ, უწონებდენ საქმიანობას და შეჰნატროდენ კიდეც.

დღეს მემედალი ჩაის ფართობს რომ გადასცქეროდა, ნათლად ხედავდა, რომ თითოეული კოლმეურნე გულწრფელად ზრუნავდა თავის ნაამაგარისთვის, თუმცა თავდაპირველად კოლმეურნენი ყოყმანობდენ და მერყეობდენ, ზოგმა გასვლაც-კი მოინდომა, მაგრამ დღეს აღარავინ არ ფიქრობს ასე.

— მარჯვეთ, ბიჭებო, მარჯვეთ!.. გაზაფხულზე ჩა უნდა მოვკრიფოთ. პირველი ფოთოლი უნდა შევაგროვოთ. თუ ამ თოხნასაც კარგად ჩავა-

ტარებთ, სამაგალითო ჩა გვექნება. — გასძახოდა მემედალი კოლმეურნეებს, ამხნევებდა მათ და თვითონაც მარჯვედ იქნევდა თოხს. ძირში სჭრიდა მუხლებამდე ამოსულ სარეველა ბალახს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრიგადები წინ მიიწევდენ თოხნით და თან ჩაის რიგებს შორის კვლებს აჩენდენ.

საღამოსთვის საზეიმო კრება ჰქონდათ დანიშნული. უნდა გაეხსნათ სამკითხველო და კოლმეურნეობაში ახალი წევრები მიეღოთ. დარჩენილი გასათოხნავი რაც შეიძლება ადრე უნდა მოეთავებინათ, წასულიყვნენ შინ, დაესვენათ და საღამოთი კრებაზე გამოსულიყვნენ.

თოხის პირები ჰაერში გამალებით და ელვასავით პრიალებდა. ილეწებოდა და წუთში სწყდებოდა შემოდგომის, ისედაც შესუსტებული ბალახი. ზოგნი აქა-იქ ჩამომსხდარიყვნენ და სალესით თოხებს პირს უკეთებდენ, რომ ხელახლა შესდგომოდენ თოხნას.

შიგადაშიგ გაისმოდა გურული ნადური, რომელიც კოლმეურნეებს სიმხნესა და სიხალისეს აძლევდა.

მზე შუბისტარს რომ გადასცდა, თოხნას ამთავრებდენ კიდეც. ამ ბოლო ნარჩენს ყველამ ერთობლივ შეუსვენებლივ შეუტია. ბრიგადები ერთმანეთში შეჯიბრებული იყვნენ, — ვინც პირველი თოხებს დაყრიდა, გამარჯვებული ის იქნებოდა. კოლმეურნეობის წითელ დროშას ის მიიღებდა.

ამ უკანასკნელ თოხნაზე, რომელიც თითქმის სწყვეტდა წლევანდელ მუშაობასაც და მოსავლის ხარისხსაც, ყოველი ბრიგადა გაგულისებული მუშაობდა.

მურად გრძელიძის ბრიგადა განსაკუთრებულ ენერგიას იჩენდა. ისინი არა მარტო სულეიმანის ბრიგადაზე აპირებდენ გამარჯვებას, არამედ მთელ კოლმეურნეობაში პირველობის აღება უნდოდათ. ეს ახარებდა მემედალის. მას ახალგაზრდობა განსაკუთრებით უყვარდა, მათი კარგი საქმიანობა ბედნიერებას ჰგვრიდა. ის ძლიერ ხშირად მიდიოდა ხოლმე მათთან, გადახედავდა მათ ნაკვეთს და რწმუნდებოდა, რომ კომკავშირელთა ბრიგადას მაღალი ტემპი ჰქონდა აღებული.

მართლაც დღის ორი საათი არ იქნებოდა, როდესაც მათ ნაკვეთზე ძლიერი და ხმამაღალი ვაშას ძახილი გაისმა. შორიდან მოჩანდა თუ კომკავშირელები თავიანთ ბრიგადირს მურადს ჰაერში როგორ აბურთავებდენ. ნაკვეთზე მისთვის მიჩენილი კვლები პირველმა გათოხნა და პირველმა დააგდო თოხი, რამდენიმე წამის შემდეგ მთელმა ბრიგადამ მოათავა თოხნა.

ამ ვაშას ძახილმა ყველა ბრიგადას ამცნო მათი გამარჯვება და თითქოს გულნაკლულად განაგრძობდენ მუშაობას, რადგან პირველობა უკვე აღებული იყო. გარდამავალი დროშა მიუწვდომელი.

მურადის ბრიგადაში უსუფმა წამოიყვირა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ვისეიროთ, ამხანაგებო, ტაში შემოჰკარით!..

მას გულფიცხად გამოეხმაურენ.

— დუუარეთ ჭო!.. დუუარეთ, ნადური, ნადური.

და იმავე წუთში ამღერდენ. ახმაურდა ტაში. გაისმა შემობაზილი.

. . . . . .

ცეკვავდენ, ახლად გათოხნილ ბალახს სტკეპნიდენ და სტკბებოდენ გამარჯვებით.

რამოდენიმე ხნის შემდეგ დანარჩენებმაც მოათავეს და კოლმეურნეებმა მიატოვეს გასუფთავებული ჩაის ფართობი.

მიდიოდენ. გზაში მხიარულად გაისმოდა მათი მხნე და ერთობლივი შემოძახილი.

* *

უცნაური ლამაზი საღამო დგება.

ღრუბლების წყებას მზე ხელში ჩაუგდიათ, ამოჰფარვიან და ანატრულებენ თავის ქვეყანას. მზის ბრაზსა და ცეცხლს კი გაუვარვარებია ეს ღრუბლები, და არამც თუ მარტო ღრუბლები. ეს წითელი ელვარება მთელ ცაზე გადაუღვრია, ამცნობს ამ შეერთებული, გაფუებული წვეთების თავხედობას.

დაისი არ იყოს?!.. როგორ დაადნობდა მზე ამ ღრუბლებს?.. როგორ დაჰღვრიდა?!.

მზეს აჩქარებენ. დედამიწა შრომით დაღლილია და ძილი ეჩქარება. უკვე უშორეს მთამ შუბლი შეუშვირა და ნელინელ მაღლა იწევს, მზეს უახლოვდება, რომ ზურგს უკან მოიქციოს ეს ცისა და ქვეყნის მანათობელი.

ღრუბლების ჩრდილები ეცემა მიწაზე. ეს ჩრდილები ხან მოყვითალოა, ხან ბაჯაღლოს ფერი, ხან მოლურჯო იისფერი. სოფელზე ნიავმაც ჩამოიქროლა. შეაჟრჟოლა სამყურა ბალახს და ამცნო საღამო და შემოდგომა. შეარხია ხეხილთა ტოტებიც, თითო-ოროლა ფოთლებიც დასწყვიტა, დაყარა ძირს, ალბათ ნაადრევად გამხმარი, გაყვითლებული, თორემ არც ისეთი ღრმა შემოდგომაა, რომ ნიავის დაბერვაზე ფოთლები ცვიოდეს.

კოლექტივის ფართობის ბოლოს, ახმედ ტაგიძის ყოფილ ბინაში, დღეს სამკითხველოს საზეიმო გახსნაა.

კოლმეურნეთა გარდა იქ იკრიბება სოფლის გლეხობაც. ისინი დაინტერესებული არიან მათი საქმიანობით და თვითონაც ესწრებიან.

ყველას სახეზე სიხარულის ელფერი გადაჰკრავს. ყველა მცინარე და მოლიმარია.

ეზოს სხვადასხვა ადგილებზე ჯგუფჯგუფად დგანან და ერთმანეთში მასლაათობენ.

— რავარც გამოდის, ჩემო ძამიავ, მალე ჩვენც სიმინდის მიტოვება მოგვიხდება და ჩას დათესვას დევიწყებთ.

— აპა, ბიძიავ, რავა გინდებიან, არ იცი რო ასეთ [illegible] ერთი მუჭა ჩა რო აჯობებს ერ ბათმანს სიმინდს, აი საკამ[illegible]?

— გაისად პაწია ჩა მეც თუ არ დავთესე, ისთე რავა მევისვენებ. იქნებ მეც პაწია ზრუგში გევიმართო.

— მარტო შენ კი არა, მთელ სოფელს პირი აქვს დაფჩენილი. ყოველი კაცი მაგას გეიძახის — ჩა უნდა დავთესოო.

— აპა, რა გეგონათ, ამხანაგებო, რო იბრძოდით ჩა არ გვინდაო, ჩვენ მამაპაპას სიმინდი და ლობიე უთესიაო, ჩვენც იგი გვინდაო. აგი სარფიანი რო არ ყოფილიყო, თავრობა და პარტიეი ამას მიგვეჩენდა? — ჩეერია ლაპარაკში ქიცილა და მხარში ამოუდგა მოსაუბრე გლეხებს.

კომკავშირელების ჯგუფი თავის გამარჯვებაზე ლაპარაკობდა. უამბობდენ სოფლის ახალგაზრდობას, თუ როგორ აიღეს პირველობა თოხნაში.

— ისთე თოხნიდა ჩვენი ბრიგადირი, ისთე რომე... — ამბობდა ერთი.

— ვერც ერთი ჩვენგანი მას მხარში ვერ ამოუდგა. ხანდახან თოხს ჩვენ კვალშიც კი აამუშავებდა ხოლმე, ჩვენც გვეხმარებოდა.

— იმიზა იყო რომ ჰაერში ვაბურთავეთ. საწყალს მგონია ფერდები თლად გამოენაყა.

— კაი ბიჭია მურადი, მართლა ქეა ღირსი, ყველა რო აქებს.

იყო ერთი ჯგუფიც, სადაც თავმოყრილი იყვნენ ის გლეხები, რომელთაც განცხადება ჰქონდათ შეტანილი, რომ კოლმეურნეობაში მიეღოთ. იმათ განსაკუთრებით თავიანთი ბედი აწუხებდათ — მიიღებდენ თუ არა. ეშინოდათ, უარი არ ეთქვათ.

— ჭო, რამიზ, აგი რავა მოხდა, რომ ერთხანობას მემედალის მოკვლას უპირებდი და აწი კი გაიძახი, კოლმეურნეობაში შევდივარო?

— მაშინ, ჩემო ძამია, მეც არ ვიცოდი, თუ რას ჩავდიოდი. ასთე მეუბნებოდენ, სისხლი ეიღეო. რაის სისხლი უნდა ევიღო, ალლაი, არ ვიცი.

— შენ, ბიძიავ, შავი ზრახვებით არ შემოდიოდე კოლექტივში, რაცხა გლახა არ დააპირო.

— აგი მემედალიმ კარგად იცის. არ მესმოდა, ბიძავ, თვარა იმას რავა ვიზამდი? ახმედა ჩამჩიჩინებდა, ხოჯა დღემუდამ მაგას მელაპარაკებოდა. მემედ ანანიძე იყო და იგიც ასე მეუბნებოდა:

„ლაჩარს გუუმარჯოსო, სისხლაუღებელი კაცი მიწაზე არ უნდა დადიოდესო". მეც ქე დავაპირე მართლა, მარა როცხა მემედალის პირისპირ შევხვდი, რავა უნდა გამემეტა იგი კაცი; როცხა ველაპარაკებოდი, მის მაგიერ, რომ პაწაი რაცხა ჩემი თვალითაც ვნახე და აწი რავა ავყობი ხოჯასა და ახმედს.

— კი მარა, მაინც აქნობამდე რას ფიქრობდი? უარზე რო იდექი, არ იცოდი, კოლექტივი თავისას რო გეიტანდა?

— მაი რო მცოდნოდა, საქმე სხვაფერ წამივიდოდა. ... ტყვილა მელაყბები, აღარ მინდებიან მარტოხელად ყანაში ... ჩემი მეზობლები არიან, მეც იქინე უნდა ვიქნე.

— კაია, კაი დაგემართოს, სიმინდის მაგიერ ჩას რო აკრეფ და ბელლებს გაივსებ, მაი მართლა ყანყრატოზე არ დაგადგება.

ამ დროს ახმაურდა ზარი.

გლეხები და კოლმეურნენი, რომელნიც აქამდე გაფანტულად იყვნენ ეზოში, ზარის ხმაზე შემოგროვდენ და თანდათან წყნარდებოდენ. მეორე სართულის აივანზე ისხდენ მემედალი, სულეიმანი, მურადი, ხოშნეთი და მოლიმარნი, ამაყად იცქირებოდენ. მათ ახარებდა ის, რომ თითქმის მთელი სოფელი შეგროვილიყო.

მემედალიმ კრება გახსნა.

თავდაპირველად განაცხადა, რომ კოლმეურნეობამ მთელი თავისი სამუშაოები მოათავა, რომ მან მეხუთე თოხნაც ჩაატარა და უკვე მომავალ გაზაფხულზე ჩაის კრეფას შეუდგებიან, შეაგროვებენ კოლმეურნეობა „საერთო შრომის“ პირველ ფოთოლს. ამ განცხადებასთან დაკავშირებით აივანზე წითელი ოქროთ დავარაყებული დროშა გამოიტანეს. დროშა სოფლსაბჭოს თავმჯდომარეს ეჭირა.

მემედალიმ დროშას თვალი მოჰკრა. მან მურადს შეხედა, მერე ეს ცქერა შეგროვილ გლეხობაზე გადაიტანა და სთქვა:

— ამხანაგებო, ეს დროშა სოფლსაბჭოს გარდამავალი დროშაა. მთელი ორი წლის განმავლობაში კომკავშირელები ჩვენთან ერთად იბრძვიან კოლმეურნეობის განმტკიცებისთვის. იგინი თავგამოდებით ებრძოდენ კულაკობასაც, მათ ამყოლებსაც და ყველა იმ სიძნელეებს, რომელიც წინ გვეღობებოდა. გარდა ამისა მუშაობაც კარგი შეეძლოთ. მეხუთე თოხნის ჩატარებაში პირველობა მაგათ მიიღეს, დაჯილდოვებული არიან ამ გარდამავალი დროშით და პირადად მურადი კი „ლენინიზმის საკითხებით“. — და მემედალიმ მურადს დროშა მიაწოდა.

მურადმა ათრთოლებული ხელები მძლავრად ჩასჭიდა დროშის ტარს. არ იცოდა, როგორ მოქცეულიყო, უნდა ეპასუხნა თუ არა. ამ დროს იგრიალა ძლიერმა ტაშმა და მურადი უხერხულ მდგომარეობიდან გამოიყვანა. თუმცა მურადს დროშა მაღლა ეჭირა, მაგრამ მაინც მისი კალთები ჰფარავდა მის სახეს, ცდილობდა კიდეც, რომ სახე არ გამოსჩენოდა. ის ამ დროშაზე არა ნაკლებ წითელი იყო. როდესაც სტალინის ტომიც იღლიაში ამოუდეს, ველარ აიტანა, დროშა იქვე მდგომ უსუფს გადასცა და თვითონ კუთხეში მიდგა, „ლენინიზმის საკითხებს“ დაუწყო ფურცვლა.

მეორე საკითხი იყო კოლმეურნეობაში ახალი წევრების მიღება. წაიკითხეს რამიზის განცხადება. ამ განცხადებაში ის დაწვრილებით ასწერ-

და, თუ როგორ გააგულისეს მემედალიზე და საერთოდ კოლმეურნეობაზე, როგორ ცდილობდენ მოეკვლევინებინათ მემედალი და როგორ თანდათან გადაიფიქრა და გამოერკვა თავის მდგომარეობაში.

ზოგიერთი გლეხი ორჭოფულად ალაპარაკდა, მაგრამ როდესაც თვითონ მემედალიმ დაახასიათა რამიზი, და ის მდგომარეობა, რომელშიც ჩაყენებული იყო კულაკობის მიერ და ამავე დროს აუხსნა სისხლის აღების ადათის კლასიური ბრძოლისათვის მოხერხებულად გამოყენების ცდა, ყველა, ვინც უსმენდა, დარწმუნდა, რომ რამიზი მხოლოდ ბნელი იარაღი უნდა ყოფილიყო იმისათვის, რომ კულაკობას თავისი საქმე გაეკეთებინა.

მემედალი კარგა ხანს ლაპარაკობდა. როდესაც რამიზის იმდროინდელ მდგომარეობაზე და სულიერ განცდებზე შეჩერდა, კოლმეურნენი პირღია შესცქეროდენ, თვითონ რამიზს კი უკვირდა კიდეც თუ საიდან უნდა სცოდნოდა მემედალის მთელი ის ღელვა და ბრაზი, ქენჯნა და სინანული, ის ფიქრებიც კი, რომელიც რამიზს მთელი წლის განმავლობაში თან სდევდა.

— მართლა ღირსი ყოფილხარ, საწყალი ხალხის საქმეს მეთაურობდე... — წაილაპარაკა ვიღაცამ, გლეხობიდან.

— რავა დევიჯერო, რო მაგი ჩემ გულში მჯდარიყოს, — სთქვა რამიზმა და თვალები მოიფშვნიტა, ხელმეორედ უფრო ჩაჟინებით მიაჩერდა მემედალის, თითქოს სურდა უკეთესად დაენახა ის ადამიანი, ვინც მის გრძნობებზე, ფიქრებზე და სურვილებზე ლაპარაკობდა.

— ასე, ამხანაგებო, რამიზი ჩვენი კოლმეურნეობის წევრი უნდა გავხადოთ. ის საქმით დაამტკიცებს, რომ კულაკობის დამჭაში კი არ არის, არამედ მშრომელი ღარიბი გლეხობის მეგობარია. — დააბოლოვა მემედალიმ და რამიზის განცხადება, რომელიც მთელი სიტყვის განმავლობაში ხელში ეჭირა და ამოძრავებულ მკლავთან ერთად აშრიალებდა, მაგიდაზე დასდო.

დააგუგუნეს ტაში.

რამიზი სიხარულისაგან ერთ ადგილზე ვერ გაჩერებულიყო. ხან ერთთან მიირბენდა, ხან მეორესთან.

კოლმეურნეობაში კიდევ ხუთი გლეხი მიიღეს.

კოლმეურნენი მათ მიღებასაც სიხარულით ხვდებოდენ, რადგან მათ ემატებოდათ მუშა-ხელი. მოემატებოდათ ახალი ფართობებიც და კოლმეურნეობა მალე მთელ სოფელს დაჰფარავდა.

* *

ამავე საღამოს ახმედ ტაგიძის სახლის ზედა სართულში კოლმეურნეობამ კლუბი და სამკითხველო გახსნა. მთელი თვის განმავლობაში ამზადებდენ ამ ოთახებს საზეიმო გახსნისათვის. რთავდენ მას ბელადების სურათებით, წითელი მატერიით, პატარა ბაიარაღებით.

პირველ ოთახში, რომელიც ისე მოზრდილი იყო, რომ ცხენიც კი გაჰენდებოდა, ჩამოლაგებული იყო სკამები, რამდენიც კი სულად შეეძლოთ შეეგროვებინათ. კომკავშირელები მთელი კვირის განმავლობაში დარბოდენ, ეძებდენ, ზოგი სოფლსაბჭოს სთხოვეს, ზოგი საკუთარი ბინიდან მოიტანეს, ზოგი მეზობლებს, ისე რომ სამოცამდე სკამი შეაგროვეს. ეს დარბაზი გადაყოფილი იყო შავი, კარგად მოძველებული ფარდით, რომლის იქითაც სცენა ჰქონდათ გამართული.

როდესაც მემედალიმ კლუბის გახსნა გამოაცხადა, მთელი ეზოში შეგროვილი გლეხობა კიბეებისკენ წამოვიდა, ისინი ხმაურით და მხიარული ყრიამულით ამოდიოდენ ზედა სართულზე. შევიდენ ოთახში და მორთულ კედლებს თვალიერება დაუწყეს.

— როდის მოაწყეს ყოლიფერი ეს?..

— ეს კომკავშირელები ნამდვილი ეშმაკები არიან...

მაგრამ კომკავშირლებმა არამც თუ დარბაზი მოაწყეს, მათ გამზადებული ჰქონდათ წარმოდგენაც კი.

ნახევარი საათის შემდეგ ფარდა გადაიშალა და წარმოდგენა დაიწყო, რომელსაც კოლმეურნენი და გლეხები დიდის აღტაცებით უსმენდენ.

წარმოდგენა გაგრძელდა ღამის თერთმეტ საათამდე.

მეორე დილას, როდესაც ხოშნეთი სოფლსაბჭოში მიდიოდა, მას წამოეწია, ერთი ჩადრში გახვეული ქალი, შეაჩერა და დაბალი ხმით უთხრა:

— ხოშნეთ, მეელაპარაკეთ ჩვენს ქმრებს, ნება მოგვცენ, გუშლამ წარმოდგენა რო ყოფილა, იგი ჩვენთვისაც მოეწყოს და გვაყურებიონ. რა იქნება, ქალებმაც ვისეიროთ?!.

ხოშნეთს სიხარულის გრძნობამ გული აუჩქროლა. ეს მით იყო საინტერესო, რომ თვით ქალები მოითხოვდენ გათვითცნობიერებაში დაჰხმარებოდენ.

— ძალიან კარგი, ამას უეჭველად მოგიწყობთ. შენ სოფლის ქალებში დეიარე და ყველა შეამზადე, რომ წარმოდგენა იქნება თქვა. თქვენ ქმრებს ჩვენ დავითანხმებთ.

და ხოშნეთი სულეიმანისკენ გაემართა.

მეოცდასამე თავი

სოფელში ქალებისთვის წარმოდგენა უნდა დაედგათ. ქალებს კი ქმრებისა და მშობლებისაგან ნება უნდა მიეღოთ. ხოშნეთი მთელი დღე იმას ფიქრობდა, თუ როგორ დაეთანხმებია კოლმეურნეები და გლეხები, რომ თავიანთი ცოლები წარმოდგენაზე გაეშვათ. მას უნდოდა ესარგებლა ამით და ჩადრის ახდის საკითხი პიესაში დაესვა დ მითი ისე ემოქმედნა, რომ ქალები შინ უჩადროთ წასულიყვნენ.

ხოშნეთმა კოლმეურნეობის თავმჯდომარე და გამგეობის წევრები გლეხებში გაგზავნა. ისინი უხსნიდენ და სთხოვდენ ცოლებისათვის ნება მიეცათ წარმოდგენას დასწრებოდენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზოგიერთები უარზე იყვნენ. მათ არაფრად ეჭაშნიკათ ახალი ამოწოდება. მხრების აწევით და ორთავე ხელის გაშლით უპასუხებდენ:

— მე ვარს არ ვეუბნები, მარა სხვების ქმრები თუ ნებას მისცემენ, ჩემიც წამევიდეს.

ეს კი ზრდილობიან უარს ნიშნავდა.

მაგრამ უმრავლესობამ მაინც თანხმობა განაცხადა, ცოლები წარმოდგენაზე გამოეგზავნათ, სეირობა ენახათ, გამხიარულებულიყვნენ.

პიესის დადგმას ხელმძღვანელობდა ბათომიდან ჩამოსული მსახიობი. მან ადგილობრივ კომკაშირელთაგან სასწრაფოდ მოამზადა პიესა და პირდაპირ საქმეს შეუდგა. გარდა ამისა, რადგან განსაკუთრებით ქალებისთვის სდგამდა, პიესა ისე გადააკეთა, რომ მათთვის საინტერესო ყოფილიყო.

სალამო ხანს კოლმეურნეობის ახლად გახსნილ კლუბში თანდათან იკრიბებოდენ ჩადრიანი ქალები. ისინი ჯგუფ-ჯგუფად იდგენ. ერთმანეთში საუბრობდენ, მღელვარედ ელოდენ „სეირობის“ დაწყებას.

მართლაც რამდენიმე წუთის შემდეგ კლუბის კარი გააღეს და ყველანი დარბაზში შევიდენ. ჩამოსხდენ, ჩამოლაგდენ. იმდენი ქალი იყო თავმოყრილი, რომ სკამები არ ჰყოფნიდათ და დარბაზის ბოლოშიც კი ბევრნი ფეხზე იდგნენ.

აქ იყვნენ მხოლოდ ქალები, რის გამოც ყველამ ჩადრები გადაიხსნა და ღია, თავისუფალ სახეებით შესცქეროდენ სცენას. მათ ჯერ არ ენახათ წარმოდგენა. დღეს პირველი შემთხვევა იყო.

იდგა ჟრიამული, სიცილ-ხარხარი. შიგადაშიგ ტაშისკვრა და დამღერება. ოჯახის ოთხკლიტულიდან გამოსულნი, მართლაც თავისუფლად გრძნობდენ თავს და მთელი თავიანთი განცდებით და სურვილებით „სეირობა“ *) ეწადათ. სწყუროდათ სიცილი, გახარება, ცეკვა, სიმღერა, გართობა.

ზარი დაირეკა.

ამ ზარმა, იმის მაგიერ რომ დუმილი დაემყარებინა, გამოიწვია ძლიერი, მღელვარე ტაში. მათ ტაში დაუკრეს წარმოდგენის მაუწყებელს.

მეორე ზარს დუმილით შეხვდენ. რადგან პირველმა უმტყუნა, მას აღარ ენდვენ და თავიანთი გრძნობა აღარაფრით არ გამოჰხატეს, მხოლოდ თვალებგაშტერებით შესცქეროდენ ფარდას, რომელიც ერთი კედლიდან მეორემდე შავად გადაჭიმული იყო.

---

*) სეირობას აჭარლები ეძახიან ყოველგვარ ცეკვათამაშს, გართობას.

წარმოდგენის ორგანიზატორს აჭარელ ქალებისთვის უნდა აუხსნა თუ რა არის თეატრი და პიესა, ან რა მიზნებს ემსახურება ეს, რომ ჩადრმოხსნილი ქალები ამ უცხო კაცს არ შეეშფოთებინა. ფარდის გაღებაც არ გამოვიდა.

მეორე ზარის შემდეგ აუხდელ ფარდის შიგნიდან გაისმა სიტყვები:

— აჭარელო ქალებო, უმეტეს თქვენგანს არ უნახია წარმოდგენა. არ იცით. რას ემსახურება თეატრი. სანამ პიესა დაიწყებოდეს, მინდა ეს მოკლედ აგიხსნათ. წარმოდგენა — იგივე ჩვენი ცხოვრების ჩვენებაა...

ყველა სმენად გადაიქცა. განცვიფრებული სახეები ყველას ამ ფარდისაკენ ჰქონდა მიპყრობილი, საიდანაც მათთვის არ გაგონილი აზრები ისმოდა.

მისი ლაპარაკი რამდენიმე წამს გაგრძელდა. სიტყვის შეწყვეტის შემდეგ დუმილი არ შერხეულა.

აი, გადაიხადა ფარდა და წარმოდგენაც დაიწყო.

ქალები გატაცებით შესცქეროდენ. ამ მრავალ სახეზე აღბეჭდილი იყო ღიმილი და სიხარული. როდესაც პიესის რომელიმე ადგილზე ან ცეკვა იმართებოდა, ან სიმღერა, მაყურებელ ქალებს იმდენად მოსწონდათ, რომ ბევრი მათგანი ტაშს აყოლებდა და უერთდებოდა იმ სიხალისეს, რომელიც სცენაზე იყო. ყურადღებით ისმენდენ სიმღერესაც, წარმოთქმულ ლექსსაც. ცდილობდენ რაც შეიძლება კარგად გაეგოთ და მთელი ტანით იხრებოდენ წინ.

იყო ისეთი წუთებიც, როდესაც მაყურებელი ქალები ეხმარებოდენ პიესის იმ გმირებს, რომელიც მათში სიყვარულსა და თანაგრძნობას იწვევდა.

პიესის ერთ-ერთი სურათი ასეთი იყო:

„ერთი აჭარელი მამაკაცის ცოლი ქალთა კრებაზე მიდიოდა ხოლმე, ბოლოს იმდენად ჩაება სოფლის საზოგადოებრივ მუშაობაში, რომ სოფლის საბჭოს მიერ მოწყობილ ჭრა-კერვის სახელოსნოში ხელმძღვანელად დანიშნეს. ქმარი კი სულ ეჩხუბებოდა სახელოსნოსთვის თავი დაენებებინა და შინ მჯდარიყო. ქალი აო ემორჩილებოდა, რადგან საზოგადოებრივ საქმით ძალიან გატაცებული იყო. კრებებზე სიარულით და საუბრების ხშირი მოსმენით იმდენად გათვითცნობიერდა, რომ ჩადრსაც ველარ შეეგუა, რომელიც მას სუნთქვას უხშობდა, და ისიც მოიხადა. ამაზე ქმარი მთლად გადაირია და ერთხელ იქამდე მივიდა, რომ, ცოლის წიხლებით ცემის შემდეგ, დანითაც მიიწია.

ეს სწორედ ის სურათი იყო, როდესაც თვალებ-ამღვრეული მამაკაცი დანით ხელში სდევნიდა ქალს. ქალი ჯერ ჰკივოდა, მერე კი ფანჯრისკენ მიირბინა, რომ გადავარდნილიყო“.

ამ სცენამ იმდენად იმოქმედა მაყურებელ ქალებზე, რომ ქალთა ჯგუფი სცენაზე ავარდა, მამაკაცს ხელიდან დანა გამოჰგლიჯეს და ქალი კი შეაკავეს, რომ ფანჯრიდან არ გადავარდნილიყო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გარად ამისა მთელი დარბაზი აღელდა. ისინი ბრაზობდენ, გაჰკივოდენ.

— ჯალათო!..

— კაციმკვლელო!..

გაიძახოდენ ისინი.

მაშინ კი, როდესაც სცენაზე ავარდნილმა ქალთა ჯგუფმა კაცს დანა ხელიდან გამოჰგლიჯა და სცენის გარეთ გააგდო, ერთ მთლიანმა და აღფრთოვანებულმა ტაშმა იგრიალა. ამ ტაშმა და სიხარულის ბგერებმა მთელი დარბაზი დაჰფარა. თითქოს თითოეულ მათგანმა გამარჯვება და თავისუფლება მოიპოვაო.

ამ დროს სცენაზე გამოვიდა ხოშნეთი. მღიმარი სახე გადაავლო ყველას და სთქვა:

— აჭარელო ქალებო, ასეთი ამბები ბევრგან მომხდარა. შეიძლება თქვენს ოჯახშიაც ყოფილა. თვითონ მე ქმარი ნებას არ მაძლევდა ჩარჩაპი ამეხადა, წიხლებით მცემდა, სიკვდილით მემუქრებოდა. ჯამაათში გამოსვლას არ მიშვებდა, მაგრამ მე დავძლიე ჩემი ქმარი, ახლა ის დარწმუნდა, რომ ჩარჩაპის მოხდა ნამუსის მოხდა კი არ არის, როგორც ხოჯები ქადაგებენ, არამედ მამაკაცის მონობისგან ქალის განთავისუფლებაა. საშუალებაა ქვეყანა დაინახოს, გონება გაეხსნას.

მე ვიცი თქვენს ოჯახშიც ხდება ეს. ქმრები გეუბნებიან შინიდან გარეთ ფეხი არ გადგათო, ჯამაათში არ გახვიდეთო, ქმარს სიტყვა არ შეუბრუნოთო. ამას იმიტომ მოითხოვენ, რომ მეგობრებად არ გთვლიან. თავიანთ თავს თქვენზე მაღლა აყენებენ. ცოლ-ქმარნი თავდაპირველად კარგი მეგობრები უნდა იყვნენ, მეგობრები კი თანასწორები არიან.

თქვენ ქმრებს უნდა შეაგნებინოთ, უნდა დაარწმუნოთ, დააჯეროთ, რომ თქვენ ადამიანებიც ხართ, მეგობრებიც და თანასწორებიც. აი, მაშინ ეყვარებით და ანგარიშსაც გაგიწევენ.

— აჭარელო ქალებო, ჩარჩაჩი სიბნელეა!.. ფერჩე სუნთქვას გვიშლის, გვაბრმავებს, გვაწვალებს, სულს გვიხუთავს!.. — ამ სიტყვებით დაამთავრა ხოშნეთმა და ყველას თვალი გადაავლო, რომ ენახა თუ, როგორ შეხვდენ მის სიტყვას.

ქალები ბოლომდე სულგანაბული უსმენდენ.

თითოეულ მის სიტყვას სწონიდენ, იჭვისა და აზრის წვრილ საცერში ატარებდენ, მაგრამ პიესამ ისეთი ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა მათზე, რომ ხოშნეთის ყველა აზრს ეთანხმებოდენ.

— მართალია!..

— მაი სწორია!..

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ჩარჩაპი სიბნელეა!..

აშრიალდა სიტყვები, რომელმაც გამარჯვების იერი გადააკრა ხოშნეთს.

ფარდა დაეშვა. ხმაური მისწყდა. საღამო-წარმოდგენა დამთავრდა, მაგრამ ქალები მაინც ისხდენ და ელოდენ.

ფარდა აღარ იხდებოდა.

ლოდინით დაიღალენ. ველარ მოითმინეს და რამდენიმე ქალი ხოშნეთთან მიგზავნეს, კიდევ რამე პიესა ეჩვენებინათ.

ხოშნეთმა განუცხადა, რომ მეტი აღარაფერი ჰქონდათ მომზადებული. მაშინ ქალებმა მოითხოვეს, რომ ისევ ის პიესა განემეორებინათ. თანახმა იყვნენ ხელმეორედ ეცქირათ, ოღონდ სეირობა არ დამთავრებულიყო.

წარმოდგენა აღარ განიმეორეს, ოღონდ პიესის ის ადგილი, სადაც ცეკვა-სიმღერა იყო ჩართული, ხელმეორედ ჩაატარეს. ამ ცეკვაში მაყურებელ ქალებმაც მიიღეს მონაწილეობა და რამოდენიმე ხნის განმავლობაში მხიარული ჟივილ-ხივილი, ჭიბონის, დოვლის და ტაშის ხმა ავსებდა დარბაზს და სიხარულს მოწყურებულ ქალების გულსაც ბედნიერებად ევლინებოდა.

დამთავრდა. ქალები წავიდ-წამოვიდენ.

ბევრმა მათგანმა იმ დღიდან მოიხსნა ჩადრი. ბევრიც ჯერ ქმარს შეეკითხა, მერე გადიძრო სახიდან.

ის ქმრები კი, რომლებიც მაინც ჯიუტობდენ და ცოლებს თვითნებობაში ეჩხუბებოდენ, სოფლის უმრავლესობის, კაცის და ქალის დაცინვის საგანი გახდა იმ დრომდე, ვიდრე მათაც ნება არ მისცეს ცოლი მისი მეგობარი და თანასწორი გამხდარიყო, ვიდრე სახიდან არ მოაშორებინა საუკუნეების განმავლობაში აღმოსავლეთის ქალის მონობის სიმბოლო, შავ-ბნელი ჩადრი.

მეოცდაოთხე თავის დასაწყისი

წვრილი წვიმა, როგორც საცერში გაცრილი ფეტვი, სცლიდა სოფელზე გადმოსულ ღრუბლებს. ეს ღრუბლები დაბჯენილიყვნენ მთებზე და ტყვიისფრად ღებავდენ შემოდგომისთვისაც მწვანედ დარჩენილ ხეხილნარს. გაყვითლებული, ოდნავ სინედლე შერჩენილი ბალახი, მოფენილი ფერდობებზე და დაბლობებზე აპრიალებულიყო, მაგრამ წელში გადამტყდარი გადაღუნულიყო, წაწვენილიყო. ეს ის დრო იყო, როდესაც აჭარის ბარაქიან ბაღებში მანდარინის ხეებს ათეული მილიონი ცალი ნარინჯი უნდა მოეცა და ახალგაზრდა რესპუბლიკას საბჭოთა კავშირის სამრეწველო ცენტრებისაკენ გაეგზავნა.

და მართლაც კრეფდენ ამ ოქროსფერ ნაყოფს. ქალი და კაცი ბაღებში შესულიყო. კალათები ავსებდენ გოდრებს, გოდრებით იტვირთე-

ბოდა ურმები და მანდარინის მთები იმართებოდა თითქმის ყოველი აჭარელის კარზე.

ამ წვიმიან და საქმიან დღეს მემედალი სახლიდან გასულიყო ეზოს კარზე შავი შეკაზმული ცხენი იდგა. ცხენი არ ყოფილა სადავით მიბმული, მაგრამ მიჩენილ ადგილს არ იცვლიდა. ხანდახან ფეხებს აბაკუნებდა, ფრუტუნებდა, აქნევდა თავს, მაგრამ მაინც იდგა და ელოდა.

მემედალის გამოსვლისას ცხენმა რამდენიმე ნაბიჯი წინ წასწია, დაიხვიხვინა.

მემედალიმ გაიღიმა. ცხენს მიუახლოვდა და ქოჩორი გადმოუწია. მარცხენა ბეჭზე ხელი დაარტყა. მოახტა.

— მემედალი, სით გაგიწევია?.. — ზურგიდან მიაძახა სულეიმან ნოღაიდელმა, რომელიც მასთან მოდიოდა.

— ქობულეთს, სულეიმან!.. საღამოს აქ ვიქნები. ვერ გამიგია, რაშია საქმე?.. ჰუსეინი მოგვიხსნეს, სამაგიერო კაცს არ გვიგზავნიან. უნდა მოვითხოვო. ახლად მიღებული კოლმეურნეებიც უნდა შევუთანხმო. ხომ საჭიროა?!.

— რავა არა! მემედალი, კანტორაში კაცი მევიდა. საბჭოთა მეურნეობას გამოუგზავნია, გვთხოვენ მანდარინის კრეფაზე ხალხი მივაშველოთ. ამბობენ, ცუდი დარი დადგებაო. მანდარინს დასზრავსო. თუ მოკრეფა არ მოვასწარით. თლათ გაგვიფუჭდებაო.

— მაი მართალი უთქვამთ. თუ პაწა მოთოვა, თლათ გაყინავს. მაშ კრება მოიწვიე, საკითხი დასვი. მოუწოდე. უარს არავინ იტყვის. დასახმარებლად ყველა გამოვა.

— ძალიან კაი, მე მაინც შეგატყობინე. იცოდე, მემედალი. არ დაიგვიანო, ხომ იცი, მარტო ვარ. საქმეს გაძღოლა უნდა.

— დღესვე დავბრუნდები. გუნებაზე რავა ხარ?.. ალი კარგათ გყავს?.. — მხიარულათ გადასძახა მემედალიმ სულეიმანს და ცხენზე ტანი შეიმსუბუქა.

ცხენმა იგრძნო წასვლის ნიშანი, მაგრამ ვიდრე პირდაპირ გასწევდა, ორჯერ ადგილზე წრე გააკეთა. მემედალიმ ცხენს ცუღლუტობა არ უწყინა. მის სურვილს დაემორჩილა. ოღონდ დასცქეროდა და ღიმილით წაებუტბუტა:

— ჰეიდელ!.. ჰეიდელ!..

ნაბიჯით გაჰყვა გზას.

ხუთი წელიწადია რაც მემედალის ეს ცხენი ჰყავს. ცხენს ისე უყვარს მემედალი რომ უმისოდ ვერ სძლებს. სხვას ზურგზე არ შეისვამს. როდესაც მემედალი ტფილისში იყო, ცხენი ნაღვლობდა და ხდებოდა. დაბრუნდა და ძველებურად ნავარდობს, ნიავივით მიაქროლებს ხოლმე თავის პატრონს.

მემედალი თავს ლაღად გრძნობდა.

მას ატკბობდა მთელი გარემო ბუნება. ატკბობდა სუნთქვა, გზა, ხეხილი, მთა, ღრუბელი, ყველაფერი ეს იყო სუნთქვა — სიცოცხლე — აზრი. ეს იყო სიხარული და ბედნიერება ადამიანისთვის ჩამოყალიბებული. მას უხაროდა, რომ ისიც მონაწილეობას იღებდა ამ მთის, ამ ხეხილის, ამ მიწისა და ღრუბლის გამოყენებაში.

სოფელი გათავდა. გორაკებს შორის მოკლე გზა გადასჭრა. უკან რომ გაიხედა, სოფელი უკვე ისე გამოჩნდა, როგორც მუყაოსაგან გაკეთებული, პატარა და გაშეშებული.

ერთ გორაკთან ცხენი შეჩერდა.

წინა ფეხებით მიწას ტორვა დაუწყო. კისერს იღერებდა და თავს უკან სწევდა.

— ჰეიდელ, ჰეიდელ!.. — ეუბნებოდა მემედალი ცხენს და ოთხზე მიუშვებდა ხოლმე, მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ ცხენი ისევ ჩერდებოდა.

მაშინ მმედალიმ გზა შესცვალა, სწორეზე გაიყვანა. წყლის გუბეს მიაყენა. წყალი უნდა დაელევინებინა.

ცხენმა ტუჩი დააკარა და გაჩერდა.

არც სვამდა, არც წინ მიდიოდა.

— რავა მეთამაშება. რა უცნაურ გუნებაზეა. — წაილაპარაკა მემედალიმ და ცხენს ჩექმის ქუსლები ფერდებში ამოარტყა.

ცხენი გახტა. ეწყინა და აჩქარებულად წავიდა.

გზაში ურმები შემოხვდენ. ბაღებისაკენ მიდიოდენ მანდარინის ჩამოსატანად. ესალმებოდენ მემედალის და გზას უთმობდენ, მერე უკან იხედებოდენ, კარგა ხანს ზურგში შესცქეროდენ კოლმეურნეობის თავმჯდომარეს, რომლის სახელიც ყველას ტუჩზე ეკერა.

აი, ვიღაც ცხენოსანმაც გამოიარა. ის ოთხით მოაჭენებდა ცხენს. პირდაპირ მემედალისკენ მოჰქროდა. ქამარზე მტკიცედ დაკრული იარაღი, ყვითელ ტყავის ბუდეში ჩასმული, მხედართან ერთად ხტოდა.

მემედალიმ ნაბიჯს მოუკლო, ცხენი თითქმის შეაჩერა კიდეც. მხედარმა ერთი გადაჰხედა მემედალის და როგორც უცნობმა გვერდზე ჩაუქროლა.

— რომელიმე მეურნეობის მუშაკი იქნება. — წარმოსთქვა თავისთვის და გზას გაუდგა.

ახლა უკვე ოჯახზე ფიქრობდა. წარმოიდგინა თავისი ათი წლის ვაჟი, რომელიც ბათომში სწავლობდა.

„აი, მოიცლის მემედალი, კოლმეურნეობის საქმეებს მოაწესრიგებს, ყველაფერს, რაც კი მას აღელვებს, მოაგვარებს, კალაპოტში ჩააყენებს და წავა ბათომში. პატარა ხანს ცოლშვილში იქნება. დაისვენებს, გაიხარებს. ძალლონეს მოიკრებს და ისევ კოლმეურნეობაში დაბრუნდება. მუშაობას განაგრძობს“.

ფიქრობდა მემედალი და მოლიმარე სახით წინ, როგორც სურათი ისე მიჰქონდა შვილის სახე. იმდენად ჩაება მუშაობაში და აუარებელ საქმეებში, რომ ცოლშვილის ნახვა ოცნებათ გადაექცა. ამ ოცნებას მის სახეზე ღიმილი გადაეღვარა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ორმოცი ნაბიჯის იქით უცნობი კაცი მოდიოდა. ეცვა გახუნებული შინელი; ისეთი სიდინჯით მოდიოდა, თითქოს მასზე უდარდელი კაცი ქვეყნად არც ერთი კაცი არ ყოფილყოს. არც კი უცქეროდა ცხენით მომავალს.

ათიოდე ნაბიჯით რომ მოუახლოვდა, შეჩერდა და ახედა.

— შენ მემედალი ხომ ხარ?.. — შეეკითხა ის.

— მემედალი სხვა არის. მე მისი მეგობარი ვარ. სულერთია. საქმე გქონდათ?!.

— მემედალის კაი ცხენი ჰყავს. ეს ცხენიც მისას ჰგავს. სით გაგიწევია?!. ცუდი აფერი არ გეიფიქრო. აი, ცარიელი ხელები, უბრალო ლივერიც კი არა მაქვს. — და შემხვდურმა ორთავე ხელი ზევით ასწია. ცარიელი თითები, სანთელივით სწორი და ყვითელი, ცისკენ ამართა.

— შენ რომელ სოფლიდან ხარ?.. სადღაც როდესღაც მინახიხარ...

— ჰახ!..

გაისმა მემედალისთვის მოულოდნელად და ორმოციოდე ნაბიჯის იქით, ბორცვთან ბაცი მოლურჯო კვამლი აიშალა.

ხელების აწევა გასროლის ნიშანი იყო.

გასროლის ხმაზე ცხენი შეკრთა, მოსხლეტილად შემოტრიალდა და რომ თავისი პატრონი გაეტაცა, ოთხით ნახტომი გააკეთა.

გასროლის წამს მემედალიმ მარჯვენა ხელი თეძოზე იკრა, თითებმა რევოლვერის ტარს მიაღწიეს, მაგრამ ულონობამ მოდუნებული თითები ზედ ჩვარივით ჩააცურა.

ბრუ და ძალლონის მილევა თავის ქალიდან დაეწყო. თითქოს რკინის რგოლებს უჭერდენ შუბლზე... თითქოს ტვინიდან სისხლი სხეულის ქვედა ნაწილში მითქრიალებდა... დაუუძლურდა გული, შეუჩერდა და ცხენიდან გადავარდა.

გამხტარი ცხენი შეჩერდა. როდესაც იგრძნო, რომ მის ზურგზე მემედალი აღარ იჯდა, ფეხების მოუსვენარი ბაკუნით ერთ ადგილზე ფრუტუნებდა.

როდესაც მემედალი ცხენიდან ვარდებოდა, სამმა აზრმა ელვის სისწრაფით გაურბინა თავში:

...ბავშვობის ტკბილი, უზრუნველი წლები...

...ცოლი და პატარა ბიჭუნა:..

და

...კოლმეურნეობა, ჩაის მწვანე მრავალფოთლოვანი ბუჩქებით...

პირველ წამს მიწაზე უგრძნობლად დაეცა. შემდეგ წამში უკვე დაკრუნჩხული თითებით ტალახიან მიწას და სველ ბალახს ამოტეხდა.

ამ დროს ახლოს მდგომმა პირველმა შემხვდურმა კიდევ გაისროლა და მის ამხანაგის მიერ დაწყებული საქმე დაამთავრა.

შემდეგ გაიქცენ.

მემედალი აღარ განძრეულა.

ცხენი კარგა ხანს იდგა და დასცქეროდა თავის პატრონს. გარს უვლიდა. დიდ და ფართე ნესტოებს ადებდა ხან კეფაზე, ხან ხელებზე და ყურს უგდებდა. ელოდა მის განძრევას, ან ხმის ამოღებას, მაგრამ მემედალი უენო და უძრავი იყო.

მერე ცხენი მემედალის ტანსაცმელს კბილებით სწევდა, თითქოს შესთხოვდა ზურგზე შესჯდომოდა, რომ წაეყვანა. კარგა ხანს ასე მოუსვენრად დასტრიალებდა თავს. ვერ სტოვებდა მარტოს. მერე კბილები ტანზე შემოჭერილ ქამარს ჩასჭიდა და მიათრევდა. უნდოდა თან წაეყვანა თავისი საყვარელი და შეჩვეული პატრონი.

ცოტაოდენი მანძილის იქით ქამარი გაწყდა. ცხენი კისრის და თავის სწრაფმა მოწყვეტამ შეაკრთო და გაიქცა. კბილებში კი ლაგამთან ერთად მაგრად ეჭირა გაწყვეტილი ქამარი.

ის სოფლისაკენ მირბოდა. მდინარე აჭყვას ხიდი გადაირბინა.

როდესაც სოფელში შეირბინა, გლეხებს გაახსენდა ორჯერ გასროლილი იარაღის ხმა.

ცხენზე მხედარი არ იჯდა, მემედალის ქამარი კი ცხენს კბილებში ეჭირა, თითქოს მისი სიკვდილის ამბავი მოიტანაო.

„ცუდი ამბავი მომხდარა“. — გაიფიქრეს კოლექტიველებმა და სოფელს გარეთ წავიდენ.

რამდენიმე კილომეტრის მოშორებით შენიშნეს მემედალი პირქვე იწვა. ერთ მხურვალე და მგზნებარე გულში ორი ნაღვერდალივით ცხელი ტყვია მოხვედროდა.

იმსხვერპლეს...

სროლის ხმა მთიდან მთამდე გავრცელდა.

მკვლელობის ამბავი კი სოფლიდან სოფელში გადავიდა. მტერი გაახარა, მოყვარე დააღონა.

კოლმეურნეები კი ისეთმა მწუხარებამ შეიპყრო, რომ მწარე ნაღველით ახსენებდენ, გულზე მუშტს ირტყამდენ და ყველას გასაგონად იძახდენ:

— მემედალის მკვლელი ჩვენი დუშმანია!.. ისეთ რავა მოხდება რომ თავრობამ ვერ მიაკვლიოს.

მესამე დღეს, როდესაც მემედალის ასაფლავებდენ, საგონებელში ჩავარდნილი მთელი სოფელი სულ იმას ლაპარაკობდა: — თუ ვინ უნდა ყოფილიყო ისეთი უგუნური და უგულო, რომ მოეკლა მემედალი, რო-

მელსაც ამდენი ძალღონე ჰქონდა დახარჯული სოფლის ღარიბ გლეხობის კეთილდღეობისათვის.

განსაკუთრებულად გულდათუთქული დასცქეროდა რამიზი, რომელიც ერთ დროს ადათის ბრმა წესის გამო მოკვლას უპირებდა, ... რამიზი საბოლოოდ დარწმუნდა და მიხვდა, რომ მემედალის მოკვლა ახმედსა და ხოჯას იმიტომ კი არ უნდოდათ, რომ სწუხდენ რამიზის მამაზე, ან დობლად დარჩენილ და ასევე გაზრდილ რამიზზე, არამედ იმიტომ რომ მათ საკუთარი ანგარიშები ჰქონდათ და პირადი მიზნებისთვის უნდოდათ გამოეყენებინათ.

როდესაც რამიზმა ის თვეები და ის ღამეც გაიხსენა, მემედალის მოსაკვლელად რომ დასდევდა, მთელ ტანში ჟრუანტელმა დაუარა, სახეზე სიწითლე მოაწვა, შერცხვა და თავი ჩაღუნა.

ორივე თვალის ქვედა წამწამებზე თითო ცრემლი უბრწყინავდა.

კოლმეურნეებმა მემედალი დაასაფლავეს, მაგრამ ყოველთვის თვალწინ ედგათ, არ ივიწყებდენ, რადგან მისი ხელმძღვანელობით დაარსდა და გაიზარდა ის კოლექტივი, რომლის მსხვერპლიც თვითონვე გახდა.

რამდენიმე დღის შემდეგ ტყეში ორი ყაჩაღი დაიჭირეს.

. . . . . .

მემედალის მკვლელობის ამბავმა ახმედი ძლიერ გაახარა. ახლა უკვე ისეთი სილაღით და თავისუფლებით დადიოდა, თითქოს თავისი ორმოცდაათი ნაცოცხლი წელი ვინმეს ოცწლიან სიცოცხლეში გაეცვალოსო.

მაგრამ იმ ღამეს კი, როდესაც მკვლელები აღმოაჩინეს, ისეთი თავზარი დაეცა, რომ ოთახიდან გარეთ გამოხედვაც აღარ უნდოდა.

თავის დანაშაულს და მონაწილეობას გრძნობდა და ამის გამო სულ ღელვასა და შფოთვაში იყო. ეშინოდა საიდუმლოების გამხელის.

ოთახის კარს ვინმე რომ შემოაღებდა, თვალები უგანიერდებოდა, ყურებს სცქვეტდა და სანამ კარგად არ დაინახავდა შემოსულს, მანამ არ დამშვიდდებოდა.

ეზოში რამე დაძახება, ძაღლის ყეფა, მაღალი ხმაური, მასში შიშსა და შფოთვას იწვევდა. ეშინოდა საქმის გამორკვევისა და დაჭერის. იცოდა ისიც, რომ ფულით ნაყიდი ხალხი მას მაინცდამაინც არ დაინდობდენ, არ დაჰფარავდენ.

ამიტომ...

ერთ ღამეს ჩუმად, ყველას შეუმჩნევლად სახლიდან გაიპარა, სოფლიდანაც მალულად გავიდა და უკან აღარ დაბრუნებულა.

ეპილოგი

ისევ გაზაფხული...

ისევ მზე...

ისევ აბრეშუმივით კრიალა თეთრყვავილება მიმოზები. ალმოდისფერ ყვავილებით შემკული ოლეანდრები, მაგნოლიები, დოცენები, პალმები, აკაციები — ისევ აივსენ ნოყიერი წვენით, კვლავ აჩხრიალდა ამ ხეხილთა ძარღვებში სასიცოცხლო სისხლი.

გალხვა ყინული.

აჩუხჩუხდა მდინარეები.

ახმაურდა ტყე, მთა,

გაიხარა ბალახმა.

ისევ გაზაფხული.

ისევ თბილი და აღგზნებული მზე.

არწივმა გასწურა ფრთები. გრძელნისკარტა წეროებმა ააშრიალეს სივრცე, გულთეთრა მერცხლებმა ნისკარტებით მოზიდეს თიხა და ჩალა. ქორმა და ძერამ შემოურბინა ცას, მოათვალიერეს ლურჯი ცის სივრცე, თვალი გადაავლეს სოფელს.

კიდით კიდემდე ახმაურდა სულიერთა სიცოცხლე.

იმ ქვეყანას, იმ კუთხეს, რომლის გულიც ბატუსია და რომელიც აგებულია კახაბერის დაბლობზე, შემოემატა ახალი სათესები, ახალი სახნავები, ახალი პლანტაციები.

იმ ქვეყანას, რომელსაც აჭარა ერქვა და რომლის სოფლებსაც ეძინა ღრმა და მამა-პაპური ძილით —

გაეღვიძა...

გაეღვიძა, როგორც გაზაფხულს,

მზიანად და ხალისიანად.

და ამ გაზაფხულმა აჭარელ გლეხს დააწყებინა დაუზარელი ჯანსაღი შრომა.

დღეს მას უფრო მეტი აქვს საშრომი და საზრუნავი, ვიდრე ათი წლის წინათ, ხუთი წლის წინათ, ვიდრე შარშან.

დღეს სიმინდის მაგიერ ჩაი მოჰყავს.

ლობიოს მაგიერ თამბაქო და რამი...

ზღმარტლისა და ლეღვის მაგიერ მანდარინის და ფორთოხლის ბაღებს აფართოვებს.

ლიმის მაგიერ ტუნგოს ხეები, კენაფი, ლიმონი, ბანანები...

და ციტრუსები... ციტრუსები... ციტრუსები...

იმიტომ რომ ამ ცის ქვეშ მდიდარი და თბილი მზეა...

იმიტომ რომ ბარაქიანი და მდიდარი მიწაა...

იმიტომ რომ ამ კუთხეს მშრომელის მარჯვენა დაეპატრონა...

შრომა ჰქმნის ბედნიერ ცხოვრებას...

* *

კოლმეურნეობა „საერთო შრომა“ წელს განსაკუთრებულ სამზადისშია. საგაზაფხულო თესვისათვის მზადებას ის იანვრიდან შეუდგა.

სულეიმან ნოღაიდელი კოლმეურნეობის თავმჯდომარედ აირჩიეს. პარტიული ბირთვის გასამაგრებლად კი რაიონიდან ახალი ამხანაგები მიამაგრეს.

წელს „საერთო მშრომელებს“ დასახნავი აქვთ ახალი ფართობი და მოსაკრეფი ჩაის პირველი ფოთოლი.

სოფლის ნახევარზე მეტი კოლმეურნეობაშია გაერთიანებული. გაიზარდა სათესიც, სახნავიც, სამუშაოც.

და მზესთან ერთად იღვიძებენ.

— მურად, ჭოო!.. — გაჰკივის ღობეზე მიმდგარი უსუფი ეზოში.

— რა გინდა, ჭოო?.. — უპასუხებს მურადი.

— სულეიმანმა შემოგითვალა, ტრაქტორი მოამზადეო, არც ზეთი გაკლდესო, არც ბენზინიო, გამთენიას სახნავათ უნდა გევიდეთო.

— ასთე უთხარი, ყოლიფერი მზათა მაქვს თქვა. გუშღამ მთელი დღე ტრაქტორს ჩავკირკიტებდი. რავა, ძამიავ, ტყვილაი დავამთავრე ტრაქტორისტების კურსები თუ?!.

— რაიზა გეწყინა, იმიზა გაგაფრთხილეთ რომე უეჭველში მზათ იყო.

— მზათა ვარ, მზათა...

— არ დაგავიწყდეს — სალამოზე უჯრედის კრება გვაქვს. ჩვენმა კომკავშირულმა ბრიგადამ თავისი საგაზაფხულო სამუშაო გეგმა უნდა განიხილოს. უეჭველში მოდი.

— მაი ვიცი, მოვალ, აპა რას ვიზამ!..

. . . . . .

ხოშნეთის ოთახში ქალები შეგროვილან, ფარდაგზე ჩამომსხდარან და გამალებულნი კალათებს სწნავენ. სიცილ-ხარხარით მასლაათობენ იგონებენ ერთმანეთის ამბებს, აზვიადებენ, აჯავრებენ.

— გოო, ოცდაათი კალათი თუ არ დავწანით ისთე რავა შეიძლება.— სთქვა ზაფითის ცოლმა და შეხედა ხოშნეთს, მას უნდოდა გაეგო მისი აზრი, იყო თუ არა საჭირო ამდენი კალათი.

— ოცდაათი კალათი კი გვეყოფა, ქალებო; სულ სამი ბრიგადაა. თითოში ათი ქალია. — უპასუხა ხოშნეთმა და მომუშავე ქალებს სიამოვნებით გადაავლო თვალი.

— აპა, მარდათ, გოგოებო, ხვალიზა უნდა მოვასწროთ, თვარა ჩას კრეფას ვერ დევიწყებთ. — სთქვა ფერიდემ და გადასთვალა თექვსმეტი ახლად დაწნული კალათი.

ფერიდე ერთ-ერთ ბრიგადირად იყო არჩეული. მან ალტაცებით მოჰკიდა ხელი დავალებულ საქმეს და ხვალინდელ დღეს გულის ფანცქალით ელოდა.

აქ იყო რამიზის ცოლიც. ისიც კალათს სწნავდა. ისიც ახლოჩენ ქალებთან ერთად ხვალინდელ დღისთვის ემზადებოდა, რადგან ხვალ ჩაის პირველი ფოთოლი უნდა მოჰკრიფონ. კომკავშირელ ქალებს წნელები მოჰქონდათ. ეს ახალგაზრდა გოგონები, რომელნიც იმდენად ბედნიერები იყვნენ, რომ სახეზე არასოდეს შავი ფარდა არ ჰფარებიათ, არა ნაკლები გატაცებით მუშაობდენ. შიგადაშიგ დაამღერებდენ ხოლმე სიმღერასაც და მოკრძალებით ისმენდენ ხოშნეთის ყოველ მითითებას.

გარეთ სტვენის ხმა გაისმა. ტკბილი და წკრიალა. მერე ხოშნეთის სახლს რომ მიუახლოვდა, შეწყდა და სიმღერა წამოიწყო:

დედავ, გამიშვი აჭარისტანში,
ლამაზ გოგოს ჩამოგიყვან,
დაგისვამ სახლში...

მღეროდა მურადი. ჯიბეებში ხელები ჩაწყობილი, ის მიდიოდა პირდაპირ ხოშნეთის სახლში.

„ქალები ძაან დაფათურობენ, ჩაის საკრეფათ ემზადებიან, მივალ ერთხელ გადავხედავ, თვალს წყალს დავალევინებ“ — ფიქრობდა მურადი და რაღაც საზეიმო განწყობილებით, უდარდელად მიიმღეროდა.

აივნიდან ერთმა კომკავშირელმა ქალმა გადმოიხედა. შეხედა მურადს, ღიმილით გადმოსძახა:

— ძიავ! აჭარისტანში არა ხარ?.. სით გინდა წახვიდე?!.

აჭარისტანში კი ვარ, მარა შენ თუ აქანე იყავი, იგი არ ვიცოდი.

და ახალგაზრდა ტრაქტორისტმა კიბე აირბინა.

— აპა, ქალებო, ფერჩე ეიფარეთ, ფერჩე, თვარა დევინახე მაგ მარგალიტის თვალები.

ქალები იღიმებოდენ.

— შენ ცოლს ააფარე ფერჩე, ძიავ, რას გვიჩივი?!

— რავა დასეირობ, ჭოო!.. საქმე არ გაქვ თუ?.. ტრაქტორისტი ვაო.. და აფერი არ უნდა ვაკეთო ტრაქტორზე მუშაობის გარდაო?..

გამოეხმაურენ ქალები.

— ტყვილა კი არ მოვსულვარ, ქალებო, საქმეზე მეველი. სოცშეჯიბრში უნდა გამოგიწვიოთ, მე ჩემი ტრაქტორითა და თქვენ თქვენი კალათებითა. თქვენი სოცშეჯიბრში გამოწვევა მართლა ბედნიერებაა!.. — მაღალი ტონით წარმოსთქვა მურადმა და საქმიანი სახე მიიღო.

— შენ გმირული რამე სთქვი, მურად, სოცშეჯიბრში გამოწვევა ვის არ შეუძლია. — გამოელაპარაკა ხოშნეთი.

— გმირული?!. — ჩაფიქრდა მურადი. — გმირული!.. — განიმეორა ისევ. — თქვენთან ბარიკადებზე სიკვდილი მტრებთან ბრძოლაში ბედნი-

ერებაზე ბედნიერებაა!.. — აღტაცებით სთქვა და თვალები გადაუვარდა ყველაზე უფრო ნაცნობ, ახლობელ და ძვირფას სახეზე. — იმუშავეთ, დაიებო, იმუშავეთ, ხელს არ შეგიშლით, — დაუმატა [illegible] ახალგაზრდა ტრაქტორისტი სწრაფად გარეთ გამოვიდა.

ბიბლიოთეკა

ქალებმა თან ისეთი სიცილი გააყოლეს, რომელშიც ჟღერდა კმაყოფილებისა და ბედნიერების სიმები.

. . . . . .

— სალამ ალეიქუმ, სულეიმან!..

ამ სალამთან ერთად კოლმეურნეობის კანტორაში რამიზი შემოდის.

— რამიზს გაუმარჯოს!.. რავა გიკითხო?.. — უპასუხებს სულეიმანი.

— გვარიანად, სულეიმან, მარტო მე კი არა, მთელი ჩემი ბრიგადა გვარიანად არის. ჩემი ბრიგადელები სიტყვას იძლევიან, რომ მოცემული ნაკვეთი ვადაზე ადრე დავხნათ. სოცშეჯიბრში იწვევენ ზაფითის ბრიგადას. ხელშეკრულება დავწერეთ.

— მაგი კარგათ მოგიფიქრებიათ. ყველა ბრიგადაში უნდა გავშალოთ სოციალისტური შეჯიბრი. — უპასუხებს სულეიმანი და თვალს ავლებს ქაღალდის ნაგლეჯზე ჩამოწერილ პირობას.

ამ დროს აღელვებული შემოვარდა ზაფითი. სახეზე ოფლის წვეთები დასჩნევია. ეტყობა ბევრი უვლია.

— რა მოგივიდა, ზაფით?.. — შეეკითხა სულეიმანი.

— რავა რა მომივიდა, სულეიმან, ცოლი დავკარგე. ქობულეთს ვიყავი, შუადღისას ჩამევედი. აგერ ღამდება და კიდო არსად ჩანს. ყველგან ვეძიე, ვერ ვიპოვე.

— შენ ცოლს არა სცალია. ზაფით, ქალებმა გამთენიისას დეიწყეს მუშაობა. კალათებს სწნავენ. ხვალისთვის ემზადებიან. — სიცილით უპასუხა სულეიმანმა.

— არც ჩემი ცოლია შინ. — ბანი მისცა რამიზმა.

— ისიც მათთან არი. ხოშნეთის ბინაზე მუშაობენ. საქმიანობაში ჩაებენ, ამხანაგებო. მაშ რავა გინდათ, კოლექტივია!..

— მაგაზე ვინ რას ამბობს. წინააღმდეგი კი არა ვარ. აგი ცხოვრება კაცისაცაა და ქალისაც.

ზაფითმა თავისუფლად ამოისუნთქა. ხალათის ტოტით ოფლიანი სახე გადაიწმინდა და სკამზე ჩამოჯდა.

— რავა იყო ზაფით, შენ რო კოლექტივში შემოდი, ცოლი რო გეჩხუბებოდა. მერე ხარი რო შემოგყავდა, კუდიდან რო ეწეოდა, რავა გაჰკივოდა?.. „კაციც დავკარგე და ხარიცაო!..“ აწი თვითონ დეიკარგა. თავს გაძებნინებს. რა ყოფილა, ეს კოლექტივი?! არა ზაფით?..

— აწი მაგაზე მეც მეცინება. ჰელბეთ თვითონაც შერცხვება თავის საქციელზე.

— ის როგორღა იყო, ქიცილას ხარი რო დეეხრჩო, შენ რო გეიძახოდი: „ჩემი ხარიო!“ — მერე ტყავსაც რომ მთხოვდი, გახსოვს?.. — სიცილით ეკითხებოდა სულეიმანი. — ხვალ ტრაქტორი რომ ამოვა, მგონი შენ ხარს კი აჯობებს, არა, ზაფით?..

— რავა არ აჯობებს, თურმე იმას ორმოცი ცხენის ძალღონე ჰქონია.

— ახალი ამბავი, ამხანაგებო, ახალი ამბავი!.. — ხმამაღლა ძახილით შემოვარდა ქიცილა კანტორაში.

— რა იყო, ქიცილ, რა ამბავია?.. — ერთდროულათ შეეკითხენ სამივენი.

— რა ამბავია და, სოციალიზმია, სოციალიზმი!..

— რავა სოციალიზმი, რას ამბობ?..

— სოციალისტურში ვართ, სოციალისტურში, უბრალო კი არ გეგონოთ. კოლმეურნეობა „განთიადმა“ სოციალისტურ შეჯიბრში გამოგვიწვია. წუხელის ცოლეულობის სანახავათ ბობოყვათში ვიყავი. განთიადელებს კრება ჰქონდათ მოწვეული, მარა რა კრება. დიდი და პატარა, ქალი და კაცი, ყველა იქინე იყო. ილაპარაკეს, ილაპარაკეს, ილაპარაკეს და თქვეს, რომე გაზაფხული გამარჯვებით უნდა ჩავატაროთო. მერე თქვეს: კოლექტივი „საერთო შრომა“ სოციალისტურ შეჯიბრში გამოვიწვიოთო. ჩამოწერეს მუხლები, მარა რამდონი, ოცდახუთი ჩამეითვლება. მალე გამოწვევას გამოგვიგზავნიან. გაზეთშიც დაბეჭდავენ.

— მაგი კაი საქმეა, — წაილაპარაკა სულეიმანმა. მცირე ფიქრის შემდეგ დინჯად დაუმატა: — ჩვენც, ჩვენის მხრივ კოლმეურნეობა „სინათლე“ უნდა გამოვიწვიოთ. საგაზაფხულო თესვის წარმატებით ჩასატარებლად სოციალისტური შეჯიბრი ფართედ უნდა გავშალოთ. ხვალ საღამოს პლანტაციაში სახელდახელო კრება გვექნება.

* *

თენდება.

ღვიძებს სოფელი.

ხმაურით და ჟრიამულით იკრიბებიან კოლმეურნენი.

მათ შორის ოცდაათამდე ქალია. ხელში კალათები უჭირავთ. ღიაუპირსაბურავო სახეებზე ახლად ამოსული მზის სხივები დაჰნათის. სამუშაოზე უნდა გავიდენ და ფათურობენ, ემზადებიან, ხმაურობენ.

გამოვიდა ურმები, რომლებზედაც აწყვია გოდრები, ჩაის დასაყრელი ფარდაგები, სამეურნეო იარაღები.

მოგუგუნდა ტრაქტორიც.

დააგუგუნეს სიმღერა:

სადაც ბუდობდა მგელი და ტურა,
იქ გავაშენეთ ჩაის კულტურა!..

ბრიგადები გაიშალენ ზოგი სახნავზე, ზოგი პლანტაციაში ჩაის კრეფაზე, ზოგი ახალ ფართობის მოსამზადებელ ძირკვაზე.

გუგუნებს ტრაქტორი. ატრიალებს ბელტებს ბელტებზე [illegible] მიწას უბრუნებს გულს, უთხრის მკერდს. საჭესთან ამაყად [illegible] ზის მურადი და მიჰყვება ახალ ნაკვეთზე გავლებულ კვლებს.

ქალებმა მწვანედ გადაშლილ პლანტაციებს შეავლეს თვალი, გაუღიმეს თავიანთ საერთო დოვლათს და დაუწყეს წყვეტა ნაზ, რბილს ზედა სამ ფოთოლს.

მამაკაცების ბრიგადები, რომელთაც ჯილღებით უნდა მოეხნათ, მიჩენილ ნაკვეთებში ჩადგენ. ხარები წინ გალალეს და შეუდგენ შრომას. წრეულს კოლმეურნეობა „საერთო შრომას“ ორმოცი ჰექტარი ახალი ფართობი უნდა მოემატოს.

— ქიცილა, რავა გვეუბნებოდი ქართოფილი ხალხს პირველად მგლის ვაშლი ეგონაო?.. არა სჭამდენო, მერე კი ყველა დაეტანაო.

— მერე, ტყვილი გამოდგა მაი თუ?!.

— ქიცილა, ერთი ყურდღლებზე მოყევი ანბავი, გაგვართე, ძამიავ!..

ქიცილამ პასუხი არ გასცა. ის უსიტყვოდ განაგრძობდა მუშაობას.

— ქიცილა, რავა ენა მუცელში ჩაგივარდა, იგი მაინც გვიამბე, მემედ ანანიძეს სიმინდსა და ლობიეს რო ედავებოდი.

— საქონელი კი ჭაობში გეხრჩობოდა.

— რამდონს ლაპარაკობ, ბუძიე, რაიზა მაცდენ, დამაცადე ვიმუშავო. ხომ ხედავ, რამხელა ბელტებსა ვთხრი. — წყენით უპასუხა ქიცილამ და კვალში ჯილღა გაასწორა.

* *

ასე მთელი გაზაფხული განთიადიდან დაბინდებამდე კოლმეურნენი გაერთიანებული შრომით ატარებდენ დღეებს.

ამზადებდენ ჩაის ახალ ფართობებს, ხნავდენ, სთესდენ, ჰკრეფდენ პირველი მოსავლის პირველ ნორჩ ფოთლებს და შრომის თავგამეტებაში აგებდენ იმ საძირკველს, რომელსაც აჭარისტანის კოლმეურნეობები მომავალი წინსვლისა და გამარჯვების გზაზე უნდა დაეყენებინა.

ეს კი ის გაზაფხული იყო, ის ახალი გაზაფხული, როდესაც სოფლის მეურნეობაში სოციალური ურთიერთობა ძირფესვიანად იცვლებოდა, იცვლებოდა და სხვა ქარგას ღებულობდა სოფლის მიწების აგრონომიული გეოგრაფია.

ეს ის გაზაფხული იყო, როდესაც ბუნების გაღვიძებასთან ერთად, ველ-მინდორზე, მთებსა და ფერდობებზე, სოფლის კარმიდამოებში და ღარიბ-საშუალო გლეხის გონებაში, მტკიცე გაშლილი ნაბიჯებით იჭრებოდა სოციალიზმი.

ქობულეთი — ტფილისი. 1931 — 1933 წ.

ფირდოუსის 1000 წ. თავი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ალ. ბარამიძე

ფირდოუსის „შაჰ-ნამე“ ქართულ მწერლობაში*)

(მოკლე რეზუმე)

ქართულ ენაზე მოიპოვება ფირდოუსის „შაჰ-ნამეს“ ერთ-ერთი უძველესი და უსრულესი თარგმანი. „შაჰ-ნამეს“ ქართულ რედაქციას ეწოდება „როსტომიანი“ (ცხადია, ეს სახელწოდება მიღებულია როსტომ ფალავანისაგან). ქართული ფეოდალური საზოგადოებრიობა „შაჰ-ნამეში“ ხედავდა თავისი სოციალ-პოლიტიკური ზრახვების საუკეთესო მხატვრულ უკუფენას, მიუხედავად ძეგლის ფაბულური უცხოობისა. როგორც ერთი ძველი ქართველი მწიგნობარი ამბობს, „შაჰ-ნამეს“ „გმირულნი მოთხრობანი“ ხელს უმართავდა სამხედრო-ფეოდალური კლასის „სიმხნისა და ახოვნისა სულის განღვიძებას“, ხოლო ძეგლში ასახული ყოფაცხოვრებითი მხარე იმავე კლასს აგონებდა „ძველსა ზნეობასა და ზოგადსა ჩვეულებასა ძველთა ქართველთა“. თხზულების მკვეთრმა სოციალურმა მოტივებმა და სამაგალითო მხატვრულმა ღირსებებმა უზრუნველჰყო სპარსული „შაჰ-ნამეს“ დიდი პოპულარობა ფეოდალურ საქართველოში. ის ითვლებოდა ძლიერ საინტერესოდ საკითხავ, მიმზიდველ და კარგი აღმზრდელობითი მნიშვნელობის მქონე ნაწარმოებად.

„შაჰ-ნამეს“ იცნობს და იმით ერთგვარად სარგებლობს ჯერ კიდევ ქართული კლასიკური პერიოდის (XI — XII ს. ს.) როგორც მხატვრული, ისე საისტორიო ლიტერატურა: „ვისრამიანი“ (ვის-ო-რამინ), „აბდულმესიანი“, „თამარიანი“, „ვეფხის-ტყაოსანი“, განთქმული საისტორიო კრებული „ქართლის ცხოვრება“. განსაკუთრებით აღსანიშნავია „ვისრამიანი“, რადგან ამის მხოლოდ ქართულ რედაქციას შემოუნახავს „შაჰ-ნამეს“ კვალი, გ ურ გ ა ნ ი ს სპარსული ორგინალისათვის კი ეს კვალი უცნობია. ყოველივე ეს საფიქრებელს ხდის „შაჰ-ნამეს“ ქართული თარგმანის იმთავითვე არსებობას, მაგრამ პირვანდელ თარგმანს ჩვენამდის არ მოუღწევია. ტექსტი ხელმეორედ უთარგმნიათ XV — XVI საუკუნე-

*) წაკითხული იქნება პროფ. ი. მარის მიერ თეირანში, ფირდოუსისადმი მიძღვნილ კონგრესზე.

ებში. ქართული რედაქცია შაჰ-ნამეს უწოდებს „ულეველ წიგნს“. ამ „ულეველ წიგნზე“ სხვადასხვა პირებს უმუშავიათ სხვადასხვა დროს. თავდაპირველად ძეგლი გადმოულიათ პროზულად, ეროვნულ-ეპიკურ ენაზე, ამ ეს პროზული ტექსტები ლექსებად გაუწყვიათ. „შაჰ-ნამეს“ გალექსილი რედაქციების ჩამოყალიბების დროიდან ძველი პროზული თარგმანები, ასე ვთქვათ, ტირაჟიდან გამოსულა, ამ ტექსტებს დაუკარგავს საზოგადოებრივი ინტერესი და ნაწილობრივად დაკარგულა კიდევაც. ამჟამად ცნობილია ძველი პროზული თარგმანის ერთი მოზრდილი ფრაგმენტი, რომელიც შეიცავს მოთხრობას ზააქიდან ზაალის დაბადებამდის. პროზული თარგმანის ტექსტი დედანთან საერთოდ ახლოს დგას, ზედმიწევნილი სისრულით იმეორებს მოთხრობათა თანმიმდევრობის ყოველგვარ წვრილმანს, ალაგ-ალაგ მიღწეულია ტექსტური შესატყვისობის თითქმის აბსოლუტური სიზუსტეც, მაგრამ თუ ფაბულურ-სუჟეტურ შესატყვისობაში ეგოდენი სიახლოვეა დაცული, ქართული რედაქცია მაინც ვერ ჩაითვლება სიტყვა-სიტყვითი თარგმანად. მთარგმნელი უმეტეს შემთხვევაში თავისი სიტყვით გადმოსცემს დედნის შინაარსს, ზოგიერთ ცალკეულ მომენტს ის უფრო ხაზს უსვამს და აძლიერებს, ზოგიერთს კი, პირიქით, ჰკვეცს, ამოკლებს, ათავისებურებს. „შაჰ-ნამეს“ პროზული თარგმანი შესრულებულია XV საუკუნის პირველ ნახევარში ვინმე კედელაურის მიერ.

„როსტომიანის“ გალექსილი რედაქცია მოგვეპოვება ზააქიდან ბეჰმენამდის. გალექსვაზე უმოღვაწია სამიოდე პირს, ამიტომაც სხვადასხვაგვარია ქართული გალექსილი რედაქციის როგორც მხატვრული ღირებულება, ისე დედანთან შესატყვისობა. ზაალის დაბადებიდან ქაიხოსროს გამეფებამდე ტექსტი გაულექსავს ქართული მხატვრული სიტყვის შესანიშნავ ოსტატს და, შეიძლება ითქვას, „შაჰ-ნამეს“ ღირსეულ თანაავტორს სერაპიონ სოგრატის ძე საბაშვილს, რომელიც XV—XVI საუკუნეთა მიჯნაზე მოღვაწეობდა, ქაიხოსროდან გოსტაშაბამდის (ზარდაშტის გამოჩენამდის) ტექსტი ეკუთვნის XVI საუკუნის ვიღაც ანონიმ პოეტს, ხოლო გოსტაშაბიდან (ზარდაშტის გამოჩენიდან) ბოლომდის (ე. ი. ბეჰმენამდის) გამლექსავია XVI საუკუნის მეორე ნახევარში ცნობილი ხოსრო თურმანიძე. XVII საუკუნის პირველ ნახევარში მამუკა თავაქალაშვილს ლექსად გაუწყვია ზააქის ეპიზოდი და მოთხრობისათვის „ზააქიანი“ უწოდებია. საბაშვილისა, ანონიმისა და თავაქალაშვილისაგან განსხვავებით ხოსრო თურმანიძეს ტექსტი პირდაპირ სპარსულიდან უთარგმნია ლექსად, სხვათა შორის ამას მთელი ქართული რედაქცია სპარსული დედნისათვის შეუდარებია და ხელახლა გადმოულია ზოგიერთი დანაკლისი ეპიზოდები. მხატვრულობის მხრივ ხოსრო თურმანიძის ტექსტები უმწეოა, თუმცა დედანთან ისე ახლოს დგას, რომ სპარ-

სული კონსტრუქციაც კი აქვს შენარჩუნებული ქართულში. შედარებით მდარე ღირსებისაა ანონიმისა და თავაქალაშვილის ლექსებიც. სამაგიეროდ მაღალ მხატვრულ და იდეურ სიმაღლეზე დგას საბაშვილის ტექსტი. საბაშვილი გაუმრუდებლად მიჰყვება „შაჰ-ნამეს“ მაგისტრალურ ხაზს, ხან საკმაო სიზუსტით გადმოსცემს სპარსულ ორიგინალს, ხან კიდევ ტექსტს მხატვრულად ჰკუმშავს, აძლევს დამოუკიდებელ რედაქციულ სახეს. პოეტი განსაკუთრებით გაურბის სპარსულისათვის ხშირად დამახასიათებელ ერთგვარ გაჭიანურება-განმეორებას, გვერდს უვლის ფილოსოფიურ-მორალისტური ხასიათის მსჯელობა-დარიგებებს, დიდაქტიკას, ლირიკულ განხრებს, საერთოდ მოთხრობათა ტემპის შენელებას და სტატიკურ მოტივებზე ხანგრძლივ შეჩერებას. იმას უფრო იტაცებს დინამიკა, სამოქმედო სიტუაციების გამახვილება, საინტრიგო ხლართების სირთულე და მოტივირების სიმძაფრე. გამონაკლისის სახით საბაშვილიც აყვება ხოლმე ხანდისხან ეპიური გაჭიანურების ცდუნებას, აზვიადებს და აბუმბერაზებს გმირ-გოლიათთა ბრძოლის ისედაც ბუმბერაზ სურათებს, ავრცობს და ათავისებურებს ლაშქრობა-ასპარეზობა-ნადირობის სცენებს, ლხინ-მეჯლისთა აღწერილობებს, სამიჯნურო-რომანტიკულ მოტივებს და მისთანებს; აქა-იქ შესამჩნევი ხდება დამოუკიდებელი ტექსტური ინტერპრეტაციაც. საბაშვილი ამჟღავნებს დიდ შემოქმედებითს ენერგიას და მაღალ მხატვრულ კულტურას. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ თავისი „როსტომიანით“ საბაშვილმა ღირსეულად შეუნარჩუნა სპარსულ „შაჰ-ნამეს“ მისი მხატვრული სურნელება. მთლიანად „შაჰ-ნამეს“ ქართული ტექსტი სპარსული დედნის ერთგვარად შემოკლებულს და საკმაოდ თავისუფლად შემუშავებულ რედაქციას იძლევა. „როსტომიანის“ რედაქციულ თავისებურებათ სარჩულად უძევს ქართული ფეოდალური საზოგადოების სოციალური და ეროვნული წარმოდგენები. ვარიანტობის მხრივ ქართული რედაქცია ჩვეულებრივად კ ა ლ კ უ ტ ურ ს ემხრობა. სხვათა შორის, შეიძლება აქ დავასახელოთ ქართულის 18 სტროფისაგან შემდგარი ეპიზოდი ჯანის ხელმწიფედ დალოცვის შესახებ, რომლის სპარსულად შესატყვისია: „რეჰა ქერდენ ქაიხოსროვ ჯაჰნრა აზ ბანდ ო დადენ ფად შაჰი თურან ურა“ (შაჰ-ნამეს სპარსული ტექსტი, ვ უ ლ ე რ ს ი ს გამოცემა, ტომი III, გვ. 1400 — 1404). ეს ეპიზოდი ვ უ ლ ე რ ს ჩანართად მიაჩნია, მაგრამ საყურადღებოა, რომ მას ადასტურებს XVI საუკუნის ქართული რედაქცია.

ქართულ ენაზე მოიპოვება „შაჰ-ნამეს“ წაბაძვა-გაგრძელებათა ციკლის რამდენიმე ძეგლიც. XVI საუკუნეში ანონიმ მთარგმნელს გადმოულია პროზული „უ თ რ უ თ ი ა ნ-ს ა ა მ ი ა ნ ი“ (აქ ვრცლად მოთხრობილია შაჰ-ნამეს ციკლის ამბები დასაწყისიდან ზაალის დაბადებამდის) და ბ ა ა მ ა ნ ი ა ნ ი (შეიცავ ბეჰმენის, ანუ ბაამანის ფანტასტიკურ თავგადასავალს). აქიდან უთრუთისა და საამის ეპიზოდები ლექსად გაუწყვიათ

XVII საუკუნეში. „უთრუთიანის“ გამლექსავი უცნობია, „საამიანის“ ავტორი კი საკმაოდ დახელოვნებული პოეტი ბარძიმ ვარანდელი „შაჰ-ნამეს“ გაგრძელებათა ციკლიდან ხოსრო თურმანიძეს უთარგმნია „ბურზოეს, ანუ ბურზოს ამბავი“ და საკუთრივ „შაჰ-ნამეს“ ტექსტში ჩაურთავს. XVIII საუკუნის მეორე ნახევარში კიდევ ერთხელ გადმოუღიათ პროზულად „ფერიდუნ და ზოაქის“ წიგნი. ეს უკანასკნელი შეიცავს ფერიდუნისა (ფრიდონისა), ზააქისა და საამ ფალავანის ზღაპრულ-ფანტასტიკურ ამბავს. განსაკუთრებით ვრცლადაა მოთხრობილი საამის რომანული ისტორიები. „ფერიდუნ და ზოაქი“ შინაარსეულად დიდად განსხვავდება როგორც „შაჰ-ნამედან“, ისე „შაჰ-ნამეს“ წამბაძველობით აღბეჭდილ „უთრუთიან საამიანი“-დან. „შაჰ-ნამეს“ ძლიერი გავლენის კვალი ამჩნევია სპარსულიდანვე ნათარგმნ, საკმაოდ ვულგარულ საგმირო რომანებს „სეილანიანს“ და „ყარამანიანს“. „შაჰ-ნამეს“ ქართული ვერსიების გავლენით ვითარდებოდა XV — XVIII საუკუნეთა ქართული ორიგინალური მწერლობაც. ერთი სიტყვით, ადრითგანვე ღრმა იყო „შაჰ-ნამეს“ ძირი ქართული კულტურის ხნულში.

ლიტერატურულ „შაჰ-ნამეს“ გვერდით საქართველოში ფართოდ იყო გავრცელებული „შაჰ-ნამეს“ ხალხური ვერსიებიც („როსტომ-ზურაბიანი“, „ბეჟანიანი“ და სხვა). ეს ხალხური ვერსიები თუმცა თავისი წარმოშობით ლიტერატურულ წყაროს ემთხვევა, მაგრამ იმდენად არის გათავისებულებული, რომ თითქმის სრულიად წარხოცილი აქვს უცხო წარმოშობის კვალი.

საქართველოსა და რუსეთის (ლენინგრადის) სიძველეთსაცავებში მოიპოვება „შაჰ-ნამეს“ ქართული ვერსიების ორმოცდაათზე მეტი ხელნაწერი. ზოგი ხელნაწერი ილუსტრირებულია. ტექსტის პირველი ტომი 1916 წელს გამოსცა პროფ. ი. აბულაძემ („შაჰ-ნამეს ანუ მეფეთა წიგნის ქართული ვერსიები“, XXXXII 888 გვ.), მეორე ტომი დაბეჭდა სახელმწიფო უნივერსიტეტმა ფირდოუსის იუბილესთან დაკავშირებით („შაჰ-ნამე“, II, ტფილისი, 1934, X + 650 გვ.). ამ საიუბილეო გამოცემას რედაქტორობენ პროფ. ი. აბულაძე, დოც. ალ. ბარამიძე, პ. ინგოროყვა, პროფ. კ. კეკელიძე და პროფ. ა. შანიძე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ფირდოუსი

თავები „შაჰ-ნამე“-დან

თარგმანი XV — XVI ს. ს. პოეტის **სეფაკიონ საგასშვილისა**

I

აქა ამბავი დასაწყისი როსტომისა და ზურაბისა

დღესა ერთსა თავის წინა როსტომ იჯდა შეჭირვებით,
მას მოუნდა ნადირობა, ცხენსა შეჯდა თავის ნებით,
წელთ კაპარჭი შემოირტყა, წამოვიდა არ ყმა-ხლებით,
ნახა ველი კანჯრით სავსე, მას იამა გახარებით.

გაეხარნეს უსაზომოდ, აუყვავდა ვარდი-ღაწვი,
ფიცხლავ რაშით შეუტივა, ლახტით უყო მხეცთა ლაწი;
ცეცხლი შექნა შესაწველად, დააყარა ეკალ-ნაძვი,
მან: „კანჯარი შემფურზედან“ (თავსა უთხრა) „კარგა შაწვი!“

შეჭამა და არას ეყო, ძვალთა ტვინი გამოსდინა,
რაშსა მისცა საძოვარი, ხრმალ-კაპარჭი ედვა წინა;
მან დაიგო მოლი ქვეშე, — არსად უჩნდა მტერი ვინა, —
სასთაულად უნაგირი: დაწვა, ამოდ დაიძინა.

მერმე მიხვდნეს შვიდნი თურქნი, მისთა მკვლელთა დაემზგავსნეს
ნახეს რაში ჭალაშიგან, შეიპყრეს და წაიყვანეს.
როსტომ ძილი მოიქარვა, რაშისათვის თვალნი არნეს,
ნახა, ცხენი აღარა ჰყვა, თუ სთქვა, სულნი გაეყარნეს.

თქვა, თუ: „სავსე აუგითა, შერცხვენილი სად წავიდე?!.
ხრმალ-ქარქაშსა, მძიმეს ლახტსა, უპატიოდ ვით ვზიდვიდე?
აწ რა უყო უნაგირსა, მისად ნაცვლად ვის შევდგმიდე?!
რას იტყვიან ფალავნები, წაუღია ვისმე კიდე?

სჯობს, მირჩევნია სიკვდილი სიცოცხლეს აუგიანსა!“
მხარს უნაგირი შეიცვა ტან-აბჯარ-დარაკიანსა;

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაშისა კვალსა წაუდგა, ვლის ღამე, დღესა მზიანსა,
იარნა დღენი მრავალნი მინდორსა ქვიშა-წყლიანსა.

სამანგანის ქალაქშიგან ეს ამბავი იყო ასი:
„როსტომ ტახტის მიმცემელი, ხელმწიფეთა დასთა-დასი,
ქვეითია სანადიროდ, დაუკარგავს მისი რაში,
მხარს აცვია უნაგირი, იარების, ეძებს ნასი“,

სამანგანის ხელმწიფემან ბრძანა, თუ: „არს მღვთისა ნება!“
შეიყარნა დიდებულნი, როსტომს წინა გაეგება,
ერთმანერთსა ესალამნეს, პილოტანსა ჰკადრა ქება:
„მიკვირს, რაში რად ვის მიეც, თქვენი მომრე ვინ შეგება?!“

როსტომს ჰკადრეს: „ვართ მონანი, ბრძანებისა არ ორგული,
შენთვის გვინდა საქონელი, თავი, შვილი, ჩვენი სული“.
მან ტკბილითა საუბრითა დაუამა როსტომს გული.
„არ მინახავს მეომარი, ჩემთვის ომად მოკაზმული.

ვიყავ მხეცთა სანადიროდ, მხეცნი მოვსრენ მინდორს მია;
დავშვერ, ვჭამე ცოტა რამე, დამეძინა ერთი დღია,
რაშსა მივეც საძოვარი, უნაგირი ავიღია,
წამოვიდა გამოპარვით, აწ აქ კვალი მიმიღია.

ფიცხლავ მონახე, იპოე, შენ საქმე გაგიკეთდების,
ჰპოებ, კარგითა შემოგზღავ, რაც შენგან შემეკვეთების;
რაშსა არ ვნახავ, მანამდის გული ჯავრითა მენთების,
მრავლად თავადთა თავები დღეს ჩემგან მოიკვეთების“.

როსტომს ჰკადრა ხელმწიფემან: „საუბარი მოიხსენე!
მაგ საქმესა ვინ იკადრებს?! სახლსა ჩემსა მოისვენე,
ჩემსა გმართებს მაემანი *), ღამე ლხინით გაითენე,
ყველა კარგად მოვა ღვთითა, რაში შენი შენ გიჩვენე!“

ხელმწიფისა საუბრითა როსტომ ჭირნი ისუბუქნა,
შინა წასვლა დააპირა, მოყვარულად მონაბუქნა,
თვალ-შავნი და ღაწვ-წითელნი მეჩანგენი ქალნი უხმნა,
ტკბილად მორთეს ჩანგის ძალნი, მან მეჯილიში კარგი უქმნა

*) სტუმრობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მას მოუნდა მოსვენება, როსტომ გაძღა ღვინის სმითა.
ოქროს ტახტი მოუკაზმეს მუშკითა და ანბარითა.
მაშიგ დაწვა, მოისვენა, დამაშვრალსა მართებს ვითა.
კარსა ზედა მონა მოდგა, გაეღვიძნეს რა ძილითა.

მონა მოდგა როსტომს წინა, სანთელ-მუშკი ჰქონდა ხელსა;
ქალი მოსდევს პირად მთვარე, ანათობდა სრულად ხმელსა,
წარბი შავსა მშვილდსა უგავს, თმა დაკეცით საგდებელსა,
მნათობთაგან გამოსულა, ჰგავს ალვასა, საროს ზრდილსა.

გულ-ლომი როსტომ გაჰკვირდა, ახსენა ღვთისა სახელი,
ჰკითხა თუ: „აქა რასა იქს შუქი-მზე მონასახენი?"
ქალმან თქვა: „სამანგანელსა ჰყავს მტერნი მოვაგლახენი,
ასული უხუცესი ვარ, თუ მიან მე მყო სახელი.

გული ორად გამპობია მზის შუქისა სურვილითა,
ნაძლევი ვარ, საწუთროსა სხვა ჩემებრივ ჰყვანდეს ვლითა!
ჯერეთ კაცთა პირი ჩემი არ უხილავს საუბრითა,
მე სიტურფით მზესა ვგევარ, შენ ნიანგთა მოსრავ ხრმლითა!

როს ბრძენთაგან შენი ქება გავიგონე, ხრმლითა ქველად
თურანისა ქვეყანასა იარები მარტო ველად,
ისადილებ, არ გეყოფის შენ კანჯარი შესაჭმელად,
ხრმლით აერსა აატირებ, გაქვს ლომ-ვეფხთა დასაჭრელად.

ნიანგნი და უზებარნი შიშით ზღვასა ჩაგიცვივდეს,
შენი ხრმალი თუ ფასკუნჯმან ნახოს, ფრთენი ჩამოსცვივდეს,
შუბის პირი ცასა ხევდეს და ღრუბელი სისხლსა სწვიმდეს,
ქება მესმა აქანამდის და სურვილით ცეცხლი მწვიდეს!

რა მამეგონი, ავტირდი, ბაგეს ვიკბინი კბილითა,
ვინატრი შენი შეხვევნა ბეჭ-მკლავთა მკერდით რბილითა,
აწ გნახე ლომი საჩემოდ, გმირი ტანითა ზრდილითა,
მე ამას იქით შენი ვარ, მზე კუბოსა ვჯდი ჩრდილითა.

ჭკვა შემიცვალა სურვილმან, მე ნაკლულად ვარ ცნობითა,
დამბადებელმან ყმა-შვილი მიბოძოს მე წყალობითა,
ძალად და გულად შენ გგვანდეს, მე — ტურფა თვალადობითა,
ხმა მისი სჯობდეს კრონოსსა, რაში გიპოვნო ცნობითა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რა შეიტყო რაშის პოვნა, როსტომ მიხვდა სიამესა,
ღაწვნი მისნი გაიცადნა, გვანდეს მზისა სინათლესა,
დაუმადლა, ტახტსა ზედან დასვა მისსა სიახლესა,
ქნეს წადილი მათ გულისა, ერთად იყვნეს მას ღამესა.

. . . . . .

II

აქა როსტომისა და ზურაბის რკენა და მამისაგან შვილის სიკვდილი

როსტომ უთხრა: „ლომის ომსა რადგან დაჰკრთი, გიჯობს ზავი!
აწ მოდი და ერთმანერთსა ჩვენ უჩვენოთ კვლავცა მკლავი!“
როსტომ ყოლე არა თქვა რა, რაშსა შეჯდა გმირთა თავი,
კვლა სარკენლად დაემზადნენ, უბრუნევდა ეტლი ავი.

ვითა ლომნი შეიჭიდნენ, გააპობდენ კლდესა ტინსა,
რკენასშიგან იგ მკერდებსა აძგერებდა გმირი გმირსა;
მაგრამ ეტლი უკუღმართი გაუპირებს ვისცა ძვირსა,
მან შეუკრა მხარი ზურაბს, კლდეს დაადნობს ვითა ცვილსა.

მას ნიანგთა მეომარსა მკერდ-კისერსა ხელი დასცა,
ლომმან როსტომ დაიძახა, აიყვანა ზურაბ, დასცა.
მან ხელ-ფეხი გაიქნივა ასადგომლად, თავის გზა სცა,
ფიცხლავ დანა გამოიღო, მოსაკლავად გულსა დასცა.

როსტომ ვერ დაიმაგრებდა ზურაბს, გავსილსა მთვარესა,
ვით ეტლი აუდგებოდა, ჰგავს მზისა მეჯუფთარესა *).
მამამან დასცა ხანჯალი, გლახ, სისხლთა სადინარესა,
გული და ღვიძლი გაუპო ყმაწვილსა გულ-მღვიძარესა.

ზურაბ თქვა: „ეს ფათერაკი თავს ვუყავ ანაზდეული!“
სისხლისა ღვარი გაუშვა, უკუ-წვა გულ-მტკივნეული, —
„მე მჭონდა საწუთროს კლიტე, შენ მოგეც განასრეული,
შენ უბრალო ხარ, მოვტყუვდი, სირეგვნით ცნობა-რეული!

საძებნელად მამისათვის ჩემი გული გამოჭრილა,
დედაჩემმა გამამგზავნა, საქმე იმან მამილბილა,

*) შესამგვანი, ტოლი.

სული დავსთმე ძებნისაგან, დღეს სანთელი დაშრეტილა,
აწ იტყვიან: «საწუთრონი ჩემნი ეტლით ჩამოჭრილა».

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენ, ბერო კაცო, მუხთლობით (საუბრად პირი აიღო)
რად მომკალ, გიჯობს, ზღვაშიგან თევზთაგან ცნობა აიღო,
ჰაერთა შიგან გახვიდე, ზეცით ძალთ ჭკუა აიღო,
ვარსკვლავთა თანა საჯდომლად მიწათ სურვილი აიღო!

ამ ლაშქართაგან ერთიცა მორჩების სახელდებული,
როსტომს მიართვამს ამბავსა მტირალი, შეჭირვებული
„ზურაბ მოგიკლეს ღალატად, ძე შენად ძებნად რებული!
მან ჩემი თავი იძებნოს ღრუბელთა შესწორებული!“

. . . . . .

III

აჭა ზურაბის შავ-დედისაგან მის ლომ-კაცის შვილის სიკვდილის ცნობა

ზურაბის გვერცა ნაახლი ლაშქარნი გულ-დადაღულნი,
სამანგს მივიდნენ ქალაქად, იმალოდიან ნაბულნი.
დღეს ერთსა ჰყვანდა სამანდი *) საძოვრად ბაღსა დაბმულნი,
თუმიან იცნა, გაჰკვირდა, ცეცხლნი მოედვნეს დაგულნი.

მიმყვანნი მიასმევინა, მათ მოახსენა ყოველი,
ხუფთანი სისხლით გასვრილი მიართვეს კვლა უპოველი.
ჰკადრეს: „მობრუნდა რისხვითა ცა წყალობისა მთოველი,
მუხთლად მოგვიკლეს პატრონი, ზურაბს ნუღარა მოელი!“

გარეტდა და ამას ჰგვანდა, ქვაა კლდისა მონაკვეთი,
შვიდთ ქიშვადთა **) გაიგონეს, დაიკივლა მან ასეთი.
ორსა დღესა მკვდარი იდვა, სულ-ამოსვლად დანაკვეთი,
მან დაიწყო მერმე მოთქმა, წამოიჭრა ვითა შეთი.

იტყოდა, თუ „უძლეველო, ჰე, ლომ-კაცო, აჰა შვილი!
მზის მოყვასო, საწუთროსა სიამითა ვარდო ჩვილო,

*) ზურაბის ცხენი.
**) ქვეყნის შვიდ კუთხეს.

ჯერ უნდილო, შესაქნელო, ალვის ხეო, ედემს ზრდილო,
ვა, ნაყოფო უბრალოო, მამის ხელით დალახრულო!“

ეროვნული ბიბლიოთეკა

მერმე იკრა პირსა ხელი, ძოწის წყარო ითხეოდა,
რაცა ეცვა სასალუქო, უპატიოდ იხეოდა.
ტანი ბროლი, საროს მზგავსი, შეძრწუნდების, ილეოდა,
ქარისაგან მორეული ვითა ვერხვი ირხეოდა.

კვლავ დაიწყო ძახილითა უცხო ფერად მან მოთქმანი,
იგ ჩაიჭრის ცეცხლთა შიგან, ეკიდიან ხელთა სხვანი.
მკერდსა სისხლი ჩასდიოდა, ზეცას ისმის მისი ხმანი,
ნათხზენთაგან დაიგლიჯნის ელვარენი შავნი თმანი.

ხორცთა იჭამდა კბილითა, ვით ლომი გაფიცხებული,
ნაცარი გარდაიყარის, ტირს ღონე-გაცუდებული.
რაც დარჩომოდა თმათაგან ნაგლეჯი, ვაგლახებული,
იგ მოიტუსა ცეცხლითა, იწოდა დავალებული.

„დედისა თვალთა ნათელო, რასა ვიქ მზე-დავსებული?
ნეტარ, ვინ გნახა, მიწათა გარევით ტალახებული?
სად დაგიტივა სოფელმან ღრუბელთა შესწორებული,
ვა, წახდა შენი სახელი, ყოველგან მოწონებული!

ბანთა ვჯდი, შენ მოგელოდი, ღამე ვერ გავძღი ძილითა,
როსტომის შეყრა მეგონა შვილობის სიყვარულითა,
ჩემთანა მოსვლა ორთავე გულითა მხიარულითა.
შავ-დედა რას იაზრებდა სხვას ამის მეტსა სულითა?!

მე მოგელოდი დღე-ყოველ, ვიჭვრეტდი ბანის-ბანითა,
ჩუქების ნაცვლად მამამან ღვიძლი გაგიპო დანითა!
ვაი, არ შეუბრალიხარ პირი-მზე საროს ტანითა!
თვალნო, გაძეხით ტირილით, ღაწვნო — ცრემლისა ბანითა!

ნაკვთი ტანისა შენისა, ლამაზად მოხდომილობა,
თმა შავი, ბროლის ბურჯითა სწორობით შეკვეცილობა;
უდრეკთა მკლავთა სიმაგრე, შუქისა მოფენილობა,
არა იაზრა მან ბრძენმან, ვა, მზეო შენი შვილობა!

მაღალი ტანი, უკლები, გაგზარდე დიდის ჭირითა,
ვითა გფერობდა, ჯომარდო, ამოდ და სათუთობითა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიტყუა დღემან მოკლემან, გამხადა ასეთობითა,
ხვანჯი შენშიგან დამალა სუდარა ხარიხობითა.

შვილო, დაბნელდა განგებით, უფალსა თურმე ენებ[illegible]
წმიდათა თანა მოგხვდების სამოთხეს გამოსვენება.
სანამდის ვიყო ცოცხალი, გავძლო ღამისა თენება,
ვინ მყავს გულისა დამდები, მე მმართებს მისი ჩვენება!

ვინ არს ჩემი მოხოიშნე, ვის გავანდობ გულის წვასა?
სად არიან შენნი თვალნი, უმშვენესი მელნის ტბასა?
საძებარად მამისათვის, შვილო, წახველ შორსა გზასა,
ნაცვლად ჰპოვე შენ სამარე, დაამყარებ ჩემთვის ვასა.

გაჰხეა, შვილო, ულონოდ მამისა იმედეული,
ჩასწევა სამარეშიგან, ხანჯლითა ღვიძლ-დახეული!
ჭკვიანო შვილო, გნახაა შენ როსტომ ლახვარ-ხეული,
რად არ უჩვენე მანამდის ეგ მძივი იმათეული?!

ნაკვთი ტანი შვენიერი გაეცადა მხიარულსა,
ბრძენმან აჯერ მართლა მითხრა, ვითა მართებს მოციქულსა.
„მოლოდინით დედას მოჰკლავს და მოყვასთა დასწვავს გულსა“.
ტყვედ მტირალი დედა შენი დავრჩი, ვაი დაკარგულსა!

თანა რად არა წამოგყევ? შვილო, მშვიდობით გარებდი.
როსტომს მე შორით ვიცნობდი, შეგყრიდი, გაგახარებდი;
ვით ვარდსა, აგაყვავებდი, მამა-ძედ დაგამყარებდი,
აწ ესე არ მოჰხდებოდა, მტერთ გულსა შევაზარებდი!“

ამას მოსთქვემდა, იგლოვდა. მტირალი ცრემლ-დათხეული:
„ჰე, შვილო, ზურაბ, მანდ დასწევ, ვა, წყლული ღვიძლ-დახეული,
მე ლაპარაკად აქა ვზი, მზეს უჭვრეტ ცნობა რეული!“
ორივე ხელი მუხლს იკრა, დაბნდა მიწათა რეული.

თქვეს: „მოკვდა, აჰა, უცილოდ, შვილისა გზასა წავიდა,
სისხლი არ შერჩა, სიწითლე, უფსკრულთა თანა ჩავიდა,
ღამისა ორ-ნაწილამდი ოდენ სულადვე მოვიდა.
ჰპატიჟეს ბრძენთა თუ მიანს, მზის ჭვრეტად არ წამოვიდა.

ოთხნივ ფეხნი გარდუკოცნა, გლახ, სამანდსა თვალი არო,
„ჰე, ზურაბის წამხდენელო, ფათერაკთა მოსახმარო“, —

ეროვნული ბიბლიოთეკა

თვალთ აკოცა, — „საუკუნოს პატრონისა ვერ მიმხვდარო,
ვინღა შენის ხელის მქნელი, ბედ-მლაშეო, საფადარო!

ავჟანდათა ჩამჭირები, ვინ არს შენი მომხედნელი?
სადავეთა მამზიდავი, ნადირთ უკან მიმწეველი,
საისპაოდ, სამამაცოდ, კაცი ზნეთა მასწავლელი?“
სრულად სისხლით იღებვოდა, ამას მოსთქვამს ვითა ხელი.

ცნობა წასვლოდა, რასა იქს, მას არა შეეგებოდა,
პირსა აიდვა ლაგამი, ტირს, ცრემლი არ შეშრებოდა,
ზურგს უნაგირი დაიდგა, სამანდსა ემზგავსებოდა:
„მე წამეყვანა თუ ზურაბ, დედას არ მოუკვდებოდა“.

ხმალი, შუბი, მშვილდ-ისარი გარდილეწა მისი თავსა,
სახელმწიფო სამოსელი, რომ ემოსის ზურაბს ტანსა,
მოჰკაზმა და ტირილითა მოეხვია, ვით ცოცხალსა.
მერმე გასცა გლახაკზედა, სამკაულსა წაატანსა.

მან სამანდსა გზა უჩვენა: „წადი, ძოე გზას მაღალსა,
ნადირთთანა იქცეოდი, ნუ მორჩილობ ქართა ძალსა!“
თქვა თუ: „შვილო ველარ გიჭვრეტ ნადირობით-ნაბურთალსა!“
ორნივ თვალნი წაიყარნა, თქვა: „რას ვაქნევ სახედავსა?“

წლამდი ისე ცოცხალ-იყო, ვერ იხილა მზე და მთვარე,
ტიროდის და ილეოდეს, გლახ, სიცოცხლე ჰქონდა მწარე,
ბედმან კრულმან ტახტის ნაცვლად დაუმკვიდრა მას სამარე.
წესი არის საწუთროსა, არის ჩვენთვის მოუხმარე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

იური მარრი

ქართულ-სპარსულ ლიტერატურულ ურთიერთობიდან

იცნობდა თუ არა რუსთაველი შაჰ-ნამეს? პასუხის მაგივრად მოვიტანოთ აქ ორი ნაწყვეტი: ერთი ვეფხის-ტყაოსნიდან, მეორე კი — შაჰ-ნამედან.

შესავლის ერთ-ერთ ხანას შოთა შემდეგის სიტყვებით იწყებს:

> რაცა ვის რა ბედმან მისცეს, დასჯერდეს და მას უბნობდეს:
> მუშა მიწყივ მუშაკობდეს, მეომარი გულოვნობდეს.

შეადარეთ ეს სტრიქონები შაჰ-ნამეს შემდეგ ლექსს (59, 492 და შემდ.) იმ თავიდან, სადაც ფერიდუნის მიერ ზოჰაქის დატყვევებაა ნაამბობი:

„მეომარი და ხელოსანი ერთი მიმართულებით არ უნდა იჩენდენ თავიანთ უნარს. დეე, ერთმა იმუშაოს, მეორემ იბრძოლოს. თითოეულ მათგანს უეჭველად შესაფერი საქმე აქვს“.

ასეთი ნაწყვეტები, რომლებიც ძალიან უახლოვდებიან შინაარსით ერთმანეთს, შოთას და ფირდოუსის ბევრი აქვთ. მაგრამ ჯერჯერობით ყოველი მათგანის შესახებ ვერ ვიტყვით თუ რა არის ეს? შოთას აქვს ნასესხები ფირდოუსისაგან, საერთო წყაროდან გამომდინარეობენ ისინი თუ ერთმანეთისაგან სრულიად დამოუკიდებელი ნაწყვეტებია? ასეთს კითხვაზე რომ პასუხი გავცეთ, საჭიროა დიდი მუშაობის ჩატარება: თავიდან ბოლომდე უნდა გადავათვალიეროთ ფირდოუსის უზარმაზარი პოემა და აღვნიშნოთ ყველა ის ადგილები, რომლებიც ვეფხის-ტყაოსნის ადგილებს ემსგავსებიან.

მაგრამ რუსთაველი იცნობდა არა მარტო შაჰ-ნამეს. გავიხსენოთ ერთი გარემოება, რომელზედაც მიაქცევდა ყურადღებას ნ. ი. მარრი. თამარ მეფის სადიდებლად დაწერილ მე-V ოდაში, აგრეთვე თამარის მეფობის ისტორიის შესავალ ნაწილში ჩამოთვლილია ყველა მაშინდელი ცნობილი მიჯნურები.

ხსენებული ოდის (V, 23 და 25) ორ ხანაში ნათქვამია:

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ოსანოს რეტი
არს შენამჭვრეტი:
გმოს თავის ბედი,
თმო ნატანჯევად
უგავს შატბიერს,
გულად ლაყბიერს,
ალათისა რად
დაშვრა მოძევად.

თამარის ისტორიის შესავალში ჩვენ ვტყობილობთ, რომ ოსანოს მიჯნურია შაჰრიარი, პროტოტიპი ქართულ მწერლობითი შარიელ-ისა და ზეპირი — ტარიელ-ისა. ოსანო კი არაბული ჰუსსანათ ლამაზ ქალს, ხოლო ნესტ ანდარ -ჯაჰან-ის ეპიტეთით, რომელსაც შოთა სახელად ხმარობს — შეუდარებელს.

მიჯნურთა მეორე წყვილის — ავთანდილისა და თინათინის ორეულების — სახელთა შესახებ ქართლის ცხოვრება შეძლებას გვაძლევს გამოვარკვიოთ, რომ ეს სახელები უნდა ყოფილიყო — შადბეჰრ და აჲნ ოლ-ჰეჲათ. მაგრამ 1917 წელს, როცა ნ. მარრი სწერდა თავის გამოკვლევას ვეფხის ტყაოსნის შესახებ, სპარსული რომანი ასეთი სათაურით ან ასეთი გმირებით ცნობილი არ იყო. ერთი წლის წინათ მე და კ. ი. ჩაიკინმა შევძელით გამოგვერკვია, რომ ასეთი სახელი უნდა რქმეოდა ფირდოუსის უდიდეს თანამედროვეს ო ნ ს ო რ ი ს ერთ-ერთს იმ სამ რომანიდან, რომლებიც დაკარგულად ითვლება.

მას იცნობდა შოთა, თუ პროზაულ ვერსიას, რომელიც, როგორც ირკვევა, ონსორი-მდე დიდი ხნით ადრე მეტად პოპულარული ყოფილა სპარსეთში, ჩვენ ჯერჯერობით დანამდვილებით არ ვიცით, რადგანაც ამ დაკარგულ რომანიდან შენახულა მხოლოდ რამოდენიმე ათეული ლექსი, რაც ამჟამად მაგალითებად არის გაბნეული ძველს სპარსულ ლექსიკონებში. ჩვენ ვკრებთ ახლა ამ ლექსებს, რომ გამოვარკვიოთ მათი დამოკიდებულება შოთას პოემისადმი. ყოველ შემთხვევაში ნაპოვნია ძაფის ერთი თავი, ამ ძაფს უნდა მივყვეთ, რომ ნათელვყოთ მთელი საკითხი.

თუ აღმოჩნდა, რომ შოთა იცნობდა ონსორის, ამას განსაკუთრებული მნიშვნელობა მიეცემა, რადგანაც მის თანამედროვე სპარსულ ლიტერატურაში ონსორის რომანები უკვე აღარ ახსოვდათ.

რუსთაველის ერთ-ერთი თანამედროვეთაგანი იყო შირვანელი ხ ა კ ა ნ ი (დაახლ. 1120 — 1200 წ.), ეს იყო უმაღლესად განათლებული და კლასიკურ სპარსულ და არაბულ ლიტერატურაში ნაკითხი პოეტი. მასაც აქვს ლექსი, სადაც ის, ადიდებს და აქებს რა ონსორის, მწუხარებას გამოთქვამს, რომ ოდების და ღაზელების გარდა ონსორის არაფერი უწერია და არ უსინჯავს თავის ნიჭი დიდი ფორმების შექმნაში.

შემთხვევითი არ არის ის მოვლენა, რომ საქართველო იცნობს ამ სპარსულ ძეგლებს, რომლებიც თვით სპარსეთში უკვალოდაა დაკარგული. გავიხსენოთ, მაგალითად, „ვისორამინის“ მშვენიერი [illegible] ერთადერთ ალრიცხოვანი ხელნაწერები. იცის თუ არა მკითხველმა, [illegible] ბოლო დროამდე ცნობილი იყო მხოლოდ ერთი სპარსული ხელნაწერი „ტრისტან და ისოლდას“ ამ სპარსული ექვივალენტისა? ეს ხელნაწერი შესრულებული იყო ინდოეთში, მაშასადამე სპარსეთის გარეთ. ახლა ჩვენ ვიცნობთ კიდევ რამოდენიმე ნუსხას ამ რომანისას, მაგრამ ისინიც ყველა შესრულებულია და ინახება არა სპარსეთში, არამედ მის გარეთ: ინდოეთში, ოსმალეთში და ზოგიერთი ცნობების მიხედვით თურქესტანშიც.

რით აიხსნება ეს? იმით, რომ რეაქცია, რომელიც როგორც ჩანს ქართული ლიტერატურის ძეგლებსაც ემუქრებოდა, საეკლესიო რეაქცია, სპარსეთში მუსულმანური მართლმორწმუნეობის გაძლიერებულ დანერგვაში გამოხატული, როგორღაც აცდა საქართველოს, ყოველ შემთხვევაში აქ მას არ ჰქონია ისეთი ძალა. ამის წყალობით ქართულმა ლიტერატურამ შემოგვინახა ჩვენ მთელი რიგი სპარსული ლიტერატურის უდიდეს ძეგლებისა. არ უნდა დავივიწყოთ ისიც, რომ ჩვენ გვაქვს აგრეთვე სარაინდო რომანების ქართულ თარგმანთა მთელი რიგი, როგორიც არის ყარამანიანი, დილარიანი და სეილანიანი. ამ უკანასკნელი რომანის ორიგინალი სპარსულში დაკარგულია, მაგრამ რომ ის არსებობდა და მას სეჰელანნამე ერქვა — ეს ჩვენ ვიცით, რადგანაც ის მოხსენებულია ფრანგ დ'ერბელო-ს მე-XVII ს. თხზულებაში „Bibliothèque Orientale“ („აღმოსავლეთის ბიბლიოთეკა“). ეს ცნობაც ჩაიკინის მიერ არის მოპოებული.

მაგრამ დავუბრუნდეთ რუსთაველს. ონსორის მაგალითიდან ჩვენ შეგვიძლია დავასკვნათ, რომ შოთას დროს მოწინავე საქართველო უკეთ იცნობდა სპარსელ კლასიკოსებს, ვიდრე ჩვენი ცნობების მიხედვით, მათ იცნობდენ თვით იმ დროის სპარსელები. მაგრამ როგორ იცნობდენ ქართველები თავის თანამედროვე მწერლებს და იყო კი საერთოდ ასეთი „ცნობა?“ წარმოიდგინეთ თქვენ რომ იყო.

თუ სპარსელ ხაკანის ერთი ოდათაგანი, რომელიც მიმართულია ანდრონიკე კომნენისადმი, შეიცავს ქართულ სახელებს და სიტყვებს და ამტკიცებს, რომ მისი ავტორი კარგად იცნობდა მაშინდელი საქართველოს რელიგიური ხასიათის საჭირბოროტო საკითხებს, თუ სპარსელ ნეზამის აქვს ერთი ნაწყვეტი, სადაც თამარის ქება უნდა იყოს — მაშინ ჩვენ ხომ შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ ეს პოეტები იცნობდენ თანამედროვე ქართულ საზოგადოებრივობას საერთოდ.

ქართულ ლიტერატურაშიც შეგვიძლია მივუთითოთ ერთ ფაქტზე, რომელიც გვიმტკიცებს თანამედროვე ლიტერატურის ცოდნას სპარსულ ენაზე, ცოდნას იმ თემისა, რომელიც აღელვებდა მაშინდელ სპარსელ მწერლებს. იგივე ფაქტი გვაიძულებს გადავსინჯოთ ხელახლად სპეციალისტე-

ბისათვის ცნობილი ერთი ქართული პოეტური ნაწარმოების დათარიღების საკითხიც.

აქ შევაჩერებ ცოტა ხნით მკითხველის ყურადღებას, რომ გადმოგცეთ საქმის ვითარება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მე-XII საუკუნის ბოლო ხანებში ცხოვრობდა პოეტი ენვერი. ის ასტროლოგიც იყო. მას მიაწერენ წინასწარმეტყველებას, რომ 1186 წელს ამა და ამ დღესა და საათს მოხდება შეხვედრა შვიდივე მნათობისა — 5 პლანეტისა, მზისა და მთვარისა სასწორის ნიშანში. ამას მოჰყვება კატასტროფა. ატყდება გრიგალი, რომელიც დედამიწის დასახლებულ ნაწილში აგლეჯს მიწის ზედაფენს 1 მეტრის სიღრმეზე. სად უნდა შეაფაროს კაცმა თავი? უნდა გაიქცეს, და ყველაზე უკეთესია თუ მექას მიაშურებს. ან უნდა დაიმალოს ღრმა სარდაფებში. დანიშნულ დროს, შემოდგომაზე ისეთი უქარო დარი დადგა, რომ ხორასანში და მის მიმდგომ ადგილებში ხორბლის ნაწილი გაუნიავებელი დარჩა. განსაკუთრებით წყნარი დარი იყო თვით კატასტროფის დღეს, რომელიც მხოლოდ ენვერის კარიერასთვის შეიქნა საბედისწერო.

მაგრამ ჩვენთვის საინტერესოა სხვა გარემოება, სახელდობრ ის, რომ წრე, რომელშიაც და რომლისთვისაც წერდა ხაკანი, როგორც ჩანს, ძალიან იყო აღელვებული ამ წინასწარმეტყველებით, რადგანაც მას, ხაკანის, აქვს რამოდენიმე ოდა, მოსალოდნელ უბედურებაზე გაცილებით ადრე დაწერილი. ყოველ მათგანში ის ამბობს თუ კატასტროფამდე რამდენი წლით ადრე აქვს მას ოდა დაწერილი. პირველი ოდა დაუწერია ჯერ კიდევ 32 წლით წინ მოსალოდნელ ამბავამდე, უკანასკნელი კი ორი წლით ადრე ნაწინასწარმეტყველ კატასტროფამდე *).

ახლა გავიხსენოთ ქართული ელეგია ანონიმ-პოეტისა თავის მეგობარ-პოეტზე ოდების კრებულში, რომელიც ჩახრუხაძეს მიეწერება. ნ. მარრი ამ ელეგიას ათარიღებდა არა უადრეს მე-XIII საუკუნის მეორე ნახევრისა და არა უგვიანეს 1338 წლისა.

ამ ოდის ლექსის კომენტარიებში იმ ხანის პირდაპირ, სადაც ლაპარაკია პოეტის მიერ იემენის მოვლის შესახებ, ნათქვამია:

---

*) ეს წინასწარმეტყველება აინტერესებდა აგრეთვე მეორე თანამედროვე მწერალს, ოდების ავტორს აბდოლ ვასე ჯებელის და არაერთხელ არის მოხსენებული მის ოდებში. თანამედროვე მეცნიერთაგან ამ საკითხს ეხებიან ამხ. ჩაიკინი და ბედიოზ ზემანი ხორასანი. თარიღები შეამოწმა ამხ. ჩაიკინმა და მისი გამოკვლევა ამ საკითხზე იბეჭდება კავკასიის მცოდნეობის ინსტიტუტის გამოცემაში. სხვადასხვა ავტორი სხვადასხვა თარიღს იძლეოდა ამ ფაქტისათვის, უფრო სწორი აღმოჩნდა იბნალასირის თარიღი — 1186 წ. ამ თარიღის სისწორე მტკიცდება აგრეთვე ამხ. პ. პ. დობრონრავინის (აბასთუმნის ობსერვატორია) ასტრონომიული გამოანგარიშებით, რომელიც კავკასიის მცოდნეობის ინსტიტუტის იმავე გამოცემაში იბეჭდება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქაბასა მფლობი
დიდი ემირი
მას შიგან მთხრებლსა
თვისად ისობდის
მაჰმადის ხმობად,
მიზგითსა შესვლად
თაყვანის ცემად
მას შინა გცადის.

ძალიან ძნელია წარმოვიდგინოთ, რომ აქ სხვა რამ სარდაფზე („მთხრებლი") არის ლაპარაკი და არა ისეთზე, რომელიც საჭირო იყო კატასტროფისაგან თავის გადასარჩენად.

ჩვენ შეგვეძლო გაცილებით მეტი რაოდენობით მოგვეტანა აქ მაგალითები, მაგრამ ესეც საკმარისი უნდა იყოს იმისათვის, რომ ამ ორი მწერლობის შორის მტკიცე და ცხოველი კავშირის არსებობა ჩვენთვის ცხადი გახდეს.

ქართულ-სპარსულ ურთიერთობათა სფეროში კვლევა-ძიებას უთუოდ დიდი მომავალი აქვს. მართალია, ქართული ლიტერატურის შესწავლის დროს ჩვენ ანგარიშს ვუწევთ და მხედველობაში გვაქვს სპარსული ლიტერატურა, სპარსულის შესასწავლად ახლა უკვე ქართულ ლიტერატურასაც გაეწევა ანგარიში, მაგრამ მარტო ეს საკმარისი არ არის. ჩვენ მხოლოდ მაშინ შევძლებთ ორივე ამ ლიტერატურის შესწავლის სათანადო სიმაღლეზე დაყენებას, როცა განვიხილავთ მათ არა როგორც სრულიად იზოლირებულ კუნძულებს, არამედ როგორც მართლა მსოფლიო ლიტერატურებს, რომელთაც განსაზღვრული ადგილი უკავიათ მთელი კაცობრიობის, ყველა ლიტერატურების განვითარების პროცესში, და ემორჩილებიან იმავე კანონებს, რომელნიც მიმართავენ მსოფლიოს სხვა ლიტერატურებსაც.

მწერალთა საკავშირო ფრთილება

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნ. ბუხარინი

პოეზია, პოეტიკა და პოეტური შემოქმედების ამოცანები სსრკ-ში

ჩვენი ქვეყანა ამჟამად თავისი განვითარების სრულიად ახალ ფაზას განიცდის: საწარმოო ძალთა უზარმაზარი ზრდისა და ტექნიკური რეკონსტრუქციის საფუძველზე, რომელიც ბუმბერაზული ნაბიჯით მიიმართება წინ; ეკონომიურ ურთიერთობათა მძაფრი და წარმატებული გარდაქმნის საფუძველზე, აგრეთვე მასების საყოველთაო შრომითი აქტიობის ფრიადი ამაღლების საფუძველზე — წარმოებს საზოგადოდ კულტურის უზარმაზარი ზრდა. ეს პროცესები თავის გამოხატულებას ჰპოებენ სხვადასხვა მიმართულებით: თავაღებულად იზრდება და ფეხზე დგება ყველა სპეციალობის, დაწყებული ინჟენრით და გათავებული ფილოსოფოსებით, — ახალი, პროლეტარული ინტელიგენცია; დგება პროლეტარული აქტივის ძლიერი ბირთვი; ყალიბდებიან კულტურის მატარებელთა მოწინავე ჯგუფები სოფლად; მშრომელთა მთელი მასა ებმება ახალი იდეების, ამოცანების, ნორმების გაუგონრად ინტენსიურ ორომტრიალში; თავს იჩენენ ულეველი მოთხოვნები და საჭიროებანი. ჰორიზონტები სწრაფად ფართოვდება, მოძრაობის ამოცანები ბევრად უფრო რთული და დიფერენცირებული ხდება. ხდება რაღაც ზღაპრულად სწრაფი პროცესი ახალი, სოციალისტური ადამიანის მომწიფებისა და სოციალიზმის მშენებლობის ყველა პრობლემა — მათ შორის მისი კულტურული პრობლემებიც — ახალ-ახალ, ბევრად უფრო მაღალ დონეზე ავარდა. ამავე დროს კაპიტალისტური მსოფლიო, თავის წინააღმდეგობათა განვითარებით იძულებული, აღსავსეა საოცარი კატასტროფების მოლოდინით და ყოველგვარი სოციალური ბარომეტრი ქარიშხალსა და ჭექაქუხილს გვიქადის. სწორედ ამიტომ ლიტერატურის დარგშიაც დაგვიდგა დრო გენერალური გამორჩევისა, გამოცდილების შეჯამებისა, დრო ორიენტაციის დასაზუსტებლად, იმ ახალი ამოცანების დასაყენებლად, რომლებიც ადეკვატური იქნება ძლევამოსილი პროლეტარიატის დიადი მსოფლიო-ისტორიული პოზიციისა და კაცობრიობის ისტორიაში ყველაზე საინტერესო ეპოქის მთელი რიტმისადმი.

I. პ ო ე ზ ი ა

წინამდებარე მოხსენების საბოლოო საგანს წარმოადგენს პ ო ე ტ ურ ი შ ე მ ო ქ მ ე დ ებ ი ს პ რ ო ბ ლ ე მ ა ტ ი კ ა ს ს რ ულ ად. მაგრამ ვიდრე ამ პრობლემების ანალიზზე გადავიდოდეთ, საჭიროა კრიტიკულად განვიხილოთ მთელი რიგი ზოგადი საკითხები, რომლებიც პოეტურ შემოქმედებას შეეხება. ეს მით უმეტეს, რომ ამ დარგში ჯერ კიდევ ბევრია ბუნდოვანი და ეს ბუნდოვანობა, უწინარეს ყოვლისა, თავს იჩენს ჩვენებურ სალიტერატურო კრიტიკაში, რომელიც დიდ როლს თამაშობს, მაგრამ არც თუ ყოველთვის დადებითია ეს მისი როლი.

პირველ საკითხად ჩვენ ვაყენებთ პ ო ე ზ ი ი ს, როგორც ა ს ე თ ი ს, ს ა კ ი თ ხ ს. „Encyclopaedia Britannica" ამ კითხვაზე ასეთ პასუხს იძლევა: „Absolute poetry is the concrete and artistic expession of the human mind in emotion and rhithmical language" („აბსოლუტური პოეზია — ეს არის ადამიანის სულის კონკრეტული და მხატვრული გამოსახვა ემოციურ და რიტმულ ენაზე").

ადვილად დასანახია, რომ ამ განმარტებას ერთი ძირითადი ნაკლი ახლავს: იგი პოეზიას, ესე იგი ხელოვნების კონკრეტულ სახეობას, განმარტებს მ ხ ა ტ ვ რ უ ლ ი საქმიანობის შემწეობით, რომელიც თითონ უნდა განიმარტოს ხელოვნების სპეციფიკურობის თვალსაზრისით. მაშასადამე, ეს განმარტება ტავტოლოგიურია. ნამდვილად კი სრულიად ცხადია, რომ აუცილებლად საჭიროა პ ო ე ტ უ რ ი ს ი ტ ყ ვ ი ს, პ ო ე ტ უ რ ი ე ნ ი ს ა და შ ე ს ა ტ ყ ვ ი ს ი პ ო ე ტ უ რ ი ა ზ რ ო ვ ნ ებ ი ს გ ა ნ ს ა კ უ თ რ ებ უ ლ ი თ ვ ი ს ებ ებ ი ს რამენაირად გამოყოფა, ვინაიდან აზროვნება მტკიცედ და განუყოფელად არის დაკავშირებული ენასთან. უკვე ძველებურ ინდიურ პოეტიკაში მოიპოებოდა ა ნ ა ნ დ ა ვ ა რ დ ხ ა ნ ი ს (ქ. შ-მდის X ს.) განვითარებული მოძღვრება პოეტური სიტყვის ორმაგ. „საიდუმლო" აზრ-მნიშვნელობაზე. ამ მოძღვრების მიხედვით, შეუძლებელია პოეტური ვუწოდოთ იმნაირ თქმას, რომლის სიტყვები ნახმარია მხოლოდ და მხოლოდ პირდაპირი, „ჩეულებრივი" მნიშვნელობით. რასაც უნდა გვიხატავდეს ამნაირი სიტყვა, იგი პროზული იქნება. მხოლოდ მაშინ, როდესაც თქმული მთელი რიგი ასოციაციების გზით იწვევს სხვა „სურათებსაც, სახეებსა და გრძნობებს", როდესაც „პოეტური აზრი მოჰქრის, თითქოს გამოსჭვივის პოეტის სიტყვებიდან და არა პირდაპირ გამოითქმის" — ჩვენ საქმე გვაქვს ჭეშმარიტ პოეზიასთან. ასეთია მოძღვრება „დხვანიზე", პოეტურ გადაკვრით ნათქვამზე, პოეტური სიტყვის ფარულ მნიშვნელობაზე *). ამნაირი თეორიები ხშირად გადახლართული იყო ხოლმე პოეტური შემოქმედებისა და პოეტური გან-

*) А к. Ф. Щ е р б а т с к о й. „Теория поэзии в Индии". Журн. мин. нар. просв., 1902, май, СПБ.

ცდის ინტერპრეტაციასთან. როგორც „იმა ქვეყანათა ხელშეხებასთან“. ᲫᲕᲔᲚ ᲩᲘᲜᲔᲗᲨᲘ ჩვენ გვაქვს, სხვა მრავალთა შორის, მთელი ბრწყინვალე პოეტური ტრაქტატი, სიკუნ ტუს პოემა — „ლექსთა ალეგორიები“; იგი დაწერილია ღვთაებრივი პოეტური შთაგონების ... ᲒᲘᲠᲒᲘᲢᲝᲕᲜᲘᲡᲐᲖᲔ, რომელშიაც „ჭეშმარიტი უფალი“, „დასაბამითი წინაპარი“, „გარდაქმნათა შემომქმედი“, „სულსახიერი გარდამქმნელი“, „ცისიერი დაზგა“, „სასწაულებრივი მექანიზმი“, „უმაღლესი ჰარმონია“ და სხვა და, ბოლოს, „შავი არყოფნა“ — დიდი დაო — განუყრელად ცოცხლობს პოეტურ ზეგარდმოცხებაში“ *). ამგვარ წარმოდგენას ფესვები აქვს ᲡᲘᲢᲧᲕᲘᲡ ᲛᲐᲒᲘᲐᲨᲘ და მას ხშირად მივყავდით სიტყვის აშკარა გალმერთებამდის, მისტიკურ არსად გადაქცევამდის. მაგალითად, ერთი არაბი ფილოსოფოსი „ᲡᲘᲢᲧᲕᲐᲡ“, ბერძნულ „Λόγος“-ს გვიწერს დიდ ასოთი და განმარტებს მას არა როგორც მსოფლიო დემიურგის ხარისხამდის აყვანილ გონებას, არამედ როგორც მსოფლიოს შემოქმედი ნების გამოხატულებას **). ჩვენს დროში ეს პოეტური ფორმით გამოხატა ნ. ᲒᲣᲛᲘᲚᲘᲝᲕᲛᲐ:

В оный день, когда над миром новым
Бог склонял лицо свое, тогда
Солнце останавливали словом,
Словом разрушали города.
. . . . . .
Но забыли мы, что осиянно
Только слово средь земных тревог,
И в Евангелии от Иоанна
Сказано, что слово это бог ***).

თავის დროზე კ. ᲑᲐᲚᲛᲝᲜᲢᲛᲐ, სიტყვის უცილობელმა ოსტატმა, სიტყვის რეფლექსების ეს ფეტიშიზაცია „თეორიულად“ დაასაბუთა თავის ნაშრომში: „Поэзия как волшебство“, რომლის სათაურიც კი აშკარად გვიჩვენებს იდეათა შესატყვის წყობას: „ქვეყნიერებას სჭირია ხატების შექმნა, — ამტკიცებს ბალმონტი, — ქვეყნად არიან ჯადოსნები, რომელნიც თავისი მაგიური ნებისყოფით სამღერი სიტყვით აფართოებენ და აუხვევენ არსებობის წრეს“ ****). ეს პოეტი მთელი თავისი სტრუქტურით მოკლებულია ლოგიკური აზროვნების უნარს და ამიტომ თავისი

*) М. Б. Алексеев. „Китайская поэма о поэте“. Стансы Сыкун Ту (837 — 908). Перевод и исследование (с приложением китайских текстов). Петроград. 1916.

**) იხ. ᲑᲝᲠᲘᲡᲝᲕᲘᲡ სტატია „Известия Академии наук СССР“-ში.

***) Н. Гумилев. „Огненный столп“. Петербург — Берлин. 1927. გვ. 16—17.

****) К. Бальмонт. „Поэзия как волшебство“. Изд-ство „Скорпион“. М. 1916. გვ. 21.

თეზისების „დასამტკიცებლად“ მოყავს მხოლოდ მთელი გორგა ემნაირი შთაბეჭდილებიანი სახეებისა, რომლებმაც აზრის მაგივრობა უნდა გასწიონ. სამაგიეროდ ა. ბ ე ლ ი ო ოდესღაც სცადა [illegible] ფილოსოფიურად გაელრმავებინა და მის ხელში ს ი ტ ყ ვ ი ს [illegible] ზ ა ც ი ა მ ჭეშმარიტად ჰიმალაის მწვერვალებს მიაღწია. „სიტყვები რომ არ არსებობდენ, არც ქვეყნიერება იქნებოდა, — წერდა ა. ბელი. ჩემი „მე“, ყველაფერს გარეშემოს მოწყვეტილი, სრულიად არ არსებობს. არც ჩემგან მოწყვეტილი ქვეყნიერება არსებობს; „მე“ და „ქვეყნიერება“ წარმოითქმის მხოლოდ ბგერად მათი შეერთების პროცესში“ *). ამნაირად, სხვადასხვაგვარი თეორიების ავტორები, ცდილობდენ რა პოეტური სიტყვის პრობლემატიკისადმი მისვლას, წმინდა წყლის მისტიციზმში ცვივოდენ. რასაკვირველია, ამას თავისი მიზეზები, დიდი სოციალურ-ისტორიული ხასიათის მიზეზები აქვს და ამ მიზეზების შემჩნევა და გამომჟღავნება საკმარისად ადვილია. მაგრამ ამჟამად ჩვენ ეს როდი გვეინტერესება. ჩვენ მხოლოდ გვსურდა აღგვენიშნა, რომ ა რ ს ე ბ ო ბ დ ა საკითხის ამნაირად დაყენება და ისიც სხვადასხვა ეპოქებსა და სხვადასხვა ქვეყნებში.

რასაკვირველია, ამნაირი თვალსაზრისი, რამდენადაც იგი იდეალისტური და მისტიკურია, სრულიად და ვერავითარ შემთხვევაში ჩვენთვის მისაღები ვერაა. ეს თეორიები რაღაც რაფინირებული ბარბაროსობაა, რომელიც მთელ მეცნიერულ ცდას ეწინააღმდეგება. მაგრამ მათი არსებობა ხაზს უსვამს პ ო ე ტ უ რ ი ა ზ რ ო ვ ნ ე ბ ი ს ა და პ ო ე ტ უ რ ი ს ი ტ ყ ვ ი ს ს პ ე ც ი ფ ი კ უ რ ო ბ ი ს პრობლემას, „საიდუმლოებას“, მის „ჯადოსნურობას“, „გრძნეულობას“. ამ საბურავს ახვევენ თავზე მისტიკოსები თავის მკითხველებს და რაციონალური შეცნობის კარს ცხრაკლიტულს ადებენ.

ნამდვილად კი თითონ მ ო ვ ლ ე ნ ე ბ შ ი არავითარი მისტიკა არაა. ცხოვრების პროცესს, აღებულს, როგორც „განცდები“, გააჩნია თავისი ინტელექტუალური, ემოციური და ნებისყოფითი მხარეები. ლ ო გ ი კ უ რ აზროვნებას, ც ნ ე ბ ე ბ ი თ აზროვნებას ჩვენ პირობითად გამოვყოფთ „სახეთა აზროვნებისაგან“, ეგრეთწოდებულ „ ე მ ო ც ი ა თ ა სამეფოსაგან“. მართალია, რეალურად განცდათა ნაკადი მთლიანი და განუწყვეტელია; მაგრამ ამ მთლიანობაში ჩვენ გვაქვს ინტელექტუალური პოლუსიცა და ემოციური პოლუსიც, თუმცა არა „წმინდა სახით“, თუმცა ერთიერთმანეთში გადასვლით. სრულიად უმართებულო იქნება, ჩვენ რომ „სულიერი ცხოვრების“ აბსოლუტური მექანიკური განკვეთა მოვახდინოთ გრძნობისა და ინტელექტის კარჩაკეტილ სფეროებად, ან ცნობიერი

*) А. Б е л ы й. „Символизм“, სტატია „Магия Слов“. გვ. 429—30. Книгоиздательство „Мусагет“. 1910.

და უცნობიერო, ან უშუალოდ გრძნობად და ლოგიკურ სფეროებად. ეს აბსტრაქტული კატეგორიების ცალკეული დომენები როდია. ეს — დიალექტიკური სიდიდეებია, რომლებიც მთლიანობას შეადგენენ. ამასთანავე არ გვაქვს განსხვავება და პირისპირობა, თუმცა ეს პირისპირობანი ურთიერთში გადადიან. აქედან გამომდინარეობს აზროვნების ტიპების განსაზღვრული განსხვავება. ლოგიკურ აზროვნებას საქმე აქვს ცნებებთან, რომლებიც მთელ კიბედ აისხმება, აქვს აბსტრაქციის სხვადასხვა საფეხური. თუგინდ ჩვენს წინაშე ლოგიკური აზროვნების უმაღლესი ტიპი — დიალექტიკური ლოგიკა იყოს, — რომელშიაც აბსტრაქტული ცნება კონკრეტულ განსაზღვრებებს შეიცავს, უკვე ცნებაში, როგორც ასეთში, ფერმკრთალდება გრძნობადი ფერები, ბგერები და ტონები. კიდევ უფრო მეტი: შეცნობითი მოქმედება სცილდება შეგრძნობათა ფარგლებს, თუმცა მათგან მომდინარეობს. იგი, აზოგადებს რა ადამიანთა გამოცდილებას, შეიცნობს, მაგალითად, ფერის სუბიექტივიზმს; იგი უახლოვდება მსოფლიოს, მისი ობიექტური ბუნების, სუბიექტზე დამოკიდებული ბუნების შეცნობას, ფერს „სცვლის" განსაზღვრული სიგრძის სინათლის ტალღით. მეცნიერებაში მთელი თვისებრივი სხვადასხვაობა და მსოფლიოს მრავალფეროვნება სხვანაირ ფორმას ღებულობს, რომელნიც განსხვავდებიან უშუალო შეგრძნობათაგან, მაგრამ სამაგიეროდ სინამდვილისადმი უფრო ადეკვატური, ესე იგი უფრო ჭეშმარიტნი არიან. მეორე მხრით, ემოციების მთელ სამყაროს — სიყვარულის, სიხარულის, შიშისა, სევდის, გაჯავრების ემოციების და ასე უსასრულობამდის, — სურვილთა და ვნებათა მთელ ამ სამყაროს, არა როგორც კვლევის ობიექტს, არამედ როგორც განცდას, აგრეთვე უშუალო გრძნობათა მთელ სამყაროს აქვს შედეგების პუნქტები — აზროვნება სახეებად. აქ ადგილი არა აქვს ამ უშუალოდ-განცდისაგან განყენებას. აქ განზოგადოების პროცესს არ მივყევართ მის ფარგლებს იქით (როგორც ამას ადგილი აქვს ლოგიკურ აზროვნებაში და მის უმაღლეს პროდუქტ — მეცნიერულ აზროვნებაში). აქ კონდენსირდება თითონ ეს გრძნობადი, უკიდურესად კონკრეტული, უკიდურესად „ცოცხალი" რამ. აქ ვღებულობთ არა ნამდვილი ყოფობის მეცნიერულ გამოხატულებას, არამედ ფენომენოლოგიური რიგის გრძნობად — განზოგადებულ სურათს, არამედ „არსობის", არამედ „მოვლენის" სურათს. ეს სრულიად იმას არ ნიშნავს, რომ აქ ილუზია ან სიზმარია. სრულიადაც არა! მოვლენაში გვეელინება ეს არსობა. არსობა გადადის მოვლენაში. გრძნობები როდი გვმიჯნავენ ქვეყნიერებისაგან, მაგრამ ობიექტური რეალობა აქ სხვანაირად „გამოისახება". მეცნიერებაში იგი გამოისახება, როგორც მატერიის თვისებრივად სხვადასხვანაირ სახეობათა სამყარო, ხოლო ხელოვნებაში — როგორც გრძნობადი სახეების სამყარო; მეცნიერებაში — ელექტრონები, ატომები, გენები, ღირე-

ბულება და სხვა; ხელოვნებაში — ფერები, სურნელოვნებანი, ფერადები, ბგერები, სახეები; აქ აზროვნების ტიპი სხვანაირია, ვიდრე ლოგიკურ აზროვნებაში. აქ განზოგადება ხდება არა გრძნობადის მილევის გზით, არამედ მრავალ სხვა კომპლექსის გრძნობად ნიშნეულობაში ერთი კომპლექტით შეცვლის გზით. ეს „შემცვლელი" იქცევა „სიმბოლოდ", „სახედ", ტიპად, ემოციური მთლიანობით შეფერადებულად, რის ზურგს უკან და ტანისამოსის ნაოჭებშიაც მიმალულა ათასგვარი სხვა გრძნობადი მომენტი. ყოველგვარი ასეთი მთლიანობა გრძნობადკონკრეტიულია. რამდენადაც ხდება ამ მთლიანობათა შერჩევა და მათი ფიქსაცია, ე. ი. ამ განცდათა კონსტრუქციული შემოქმედებითი რეპროდუქცია, იმდენად ჩვენ საქმე გვაქვს ხელოვნებასთან. სიტყვა თითონ ძალიან რთული სიდიდეა: იგი მრავალ ათასწლოვანი განვითარების პროდუქტია და როგორც „სულიერი ორგანიზმის" უჯრედი, შეიცავს აზროვნების მთელ პრობლემატიკას, აზროვნების ორივე საწყისითურთ: ცნებითა და სახეებითურთ. მეცნიერულ ტერმინოლოგიაში იგი იზრდება, როგორც „წმინდა ცნების" ნიშანი. პოეტურ სიტყვაში — იგი უწინარეს ყოვლისა ხატოვანია. ამიტომ როგორც სიტყვათა შერჩევის, ისე მათი შეხამების კანონშეზომილობა სხვადასხვანაირი იქნება, ე. ი. სხვანაირად რომ ვთქვათ: პოეტურ სიტყვას აუცილებლად ექნება თავისი სპეციფიკური თავისებურებანი. ამ საკითხების შესანიშნავი მკვლევარი ა. პოტებნია, რომელიც ძირითადად ვ. ჰუმბოლდტის თეორიას ავითარებდა, მაგრამ რომელმაც საკითხის მთელი რიგი ფრიად ორიგინალური გადაწყვეტანი მოგვცა, მეცნიერებისა და ხელოვნების პოლარულობას შემდეგნაირად აფორმულირებს:

„ფართო და სასტიკად გარკვეული მნიშვნელობით — აზროვნების მთელი სამყარო სუბიექტურია, ე. ი. იგი თუმცა შეპირობადებულია გარემო სამყაროთი, მაგრამ პირადი შემოქმედების ნაწარმოებია; მაგრამ ამ ყოვლისშემცველ სუბიექტიობაში შესაძლებელია გამოვყოთ ობიექტური და სუბიექტური და პირველს მივაკუთვნოთ მეცნიერება, მეორეს კი — ხელოვნება. ამის საბუთი შემდეგია: ხელოვნებაში საყოველთაო კუთვნილებას წარმოადგენს მხოლოდ სახე, რომლის გაგებაც თითოეულში სხვადასხვანაირად ხდება და შესაძლებელია წარმოადგენდეს მხოლოდ დაუშლელ (ნამდვილსა და სავსებით პირად) გრძნობას, რომელსაც სახე იწვევს; მეცნიერებაში კი არ არის სახე და გრძნობას შეიძლება ადგილი დაეთმოს მხოლოდ როგორც კვლევის საგანს; მეცნიერების ერთადერთ საშენ მასალას წარმოადგენს ცნება, შედგენილი უკვე სიტყვაში ობიექტივირებული სახის ნიშნეულობათაგან. თუ ხელოვნება სულიერი ცხოვრების ობიექტივირებული თავდაპირველადი მონაცემების პროცესია, მეცნიერება — ეს არის ხელოვნების ობიექტივირების პროცესი. აზროვნე-

ბის ობიექტივობის ხარისხთა სხვაობა ეიგივება მისი განყენებულობის ხარისხთა სხვაობას; მეცნიერებათა შორის ყველაზე განყენებული მეცნიერება — მათემატიკა, იმავე დროს ყველაზე უდავო და ... თავის დებულებებით და ყველაზე ნაკლებად იწყნარებს ... შესაძლებლობას" *).

ძნელი როდია ამ ფორმულირებებში მთელი რიგი შეცდომების დანახვა: აქ არ არის შემეცნების ჭეშმარიტების, ობიექტიობის შესახებ ნათელი აზრი და დატოვებულია საძრომი იდეალიზმისაკენ; აქ არის ენის ზოგადი ხასიათის აშკარა შეუფასებლობა, შეუფასებლობა მთელი შემოქმედებითი პროცესისა და ა. შ. აქ ნამეტნავად მძაფრია ის მიჯნა, რომელიც მეტაფიზიკურად ჰყოფს აზროვნების სხვადასხვა მხარეს; მაშასადამე, აქ ნაკლებადაა დიალექტიკა. მაგრამ იმავე დროს აქ ბევრი რამ მართალი, სწორი და უეჭველად ყურადღების ღირსია. თუ ჩვენი მსჯელობის მიტოვებულ ძაფს გავყვებით, უნდა ითქვას, რომ ცნებათა სისტემა მეცნიერების გზით გარეთ იყურება: გამოვდივართ რა შეგრძნობათაგან, ჩვენ სულ უფრო მეტად და მეტად ვსცილდებით მის საზღვრებს; ჩვენ აქ შევიცნობთ სამყაროს ობიექტურ საგნობრივობას, გამუდმებით გადავამუშავებთ ახალსა და ახალ ფაქტებს და ვაუმჯობესებთ მეცნიერებას, მივიმართებით რელატივური ჭეშმარიტებისაგან აბსოლუტურ ჭეშმარიტებად ქცევის უსასრულო გზაზე და ამავე დროს გზაგზა ვამსხვრევთ მეცნიერების მოძველებულ სისტემებს. ხელოვნების დარგში ჩვენ არ გამოვდივართ ფენომენოლოგიური რიგის საზღვრებიდან; აქ, როგორც ზემოთ ვთქვით, ობიექტური მსოფლიო სხვანაირად აღისახება; აქ ემოციებს ვიღებთ, არა როგორც მეცნიერული კვლევის ობიექტს. აქ ბუნებაც კი „განკაცდება" ხოლმე. ამიტომ აქ „მხურვალე", ემოციური, ხატოვანი და მეტაფორული საწყისი რელატივურად უპირისპირდება „ცივსა", ინტელექტუალურსა, ლოგიკურ საწყისს:

Вода и камень,
Стихи и проза,
Лед и камень.

პოეზია შეიძლება გავიგოთ ამ სიტყვის ფართო და ვიწრო მნიშვნელობით. ყოველი ხატოვანი სიტყვა — პოეტური სიტყვაა. ამ თვალსაზრისით „Мертвые души", ან „Капитанская дочка" პოეტური ნაწარმოებებია, ხოლო პოეზიად ამ სიტყვის ვიწრო მნიშვნელობით იგულისხმება არა მარტო სიტყვაში გრძნობადი სახეების უბრალო ფიქსაცია, არა მარტო რიტმული სიტყვა, არამედ რითმიანი სიტყვაც. მაგრამ ნუ-

*) А. А. Потебня. Полное собрание соч., т. I. „Мысль и язык". Изд. 4. Госиздат Укр. Одесса. 1922. გვ. 166.

რავინ იფიქრებს, თითქოს აქ რაიმე აბსოლუტური მიჯნები არსებობდეს: ინდოეთში მათემატიკის რითმულსა და რითმიან წესებს მხოლოდ ბგერითი სახე აქვთ და იმდენადვე ისინი პოეზიის ელემენტს წარმოადგენენ, მაგრამ ეს ჯერ კიდევ არ არის პოეზია. ლუკრეციუს კარის ფილოსოფიურ ტრაქტატში „De rerum natura" („საგანთა ბუნებისათვის") უკვე მრავალი სახეა და არა მარტო ბგერითი სახეები — ეს უკვე პოეზიაა. აქ, მაშასადამე, ერთი მეორეში გადადის.

პოეტური შემოქმედება და მისი პროდუქტი — პოეზია — საზოგადოებრივი ცხოვრება-საქმიანობის განსაზღვრული სახეობაა და თავის განითარებაში, მიუხედავად პოეტური განვითარების სპეციფიკური ბუნებისა, საზოგადოებრივი განვითარების კანონშეზომილობას ემორჩილება. როგორც ქვემოთ დავინახავთ, როდესაც საკითხს უფრო დაწვრილებით გავარჩევთ, პოეტური შემოქმედების „სიტყვიერი" ხასიათი არ წარმოადგენს რაიმე არგუმენტს პოეზიის სოციოლოგიური განმარტების წინააღმდეგ. პირიქით: პოეზიის მხოლოდ მარქსისტული ანალიზის დროს შევიცნობთ მას მთელი მისი მასშტაბით, მთელი მისი განმარტებების ერთიანობით. მართალია მარქსისტები ძალიან ნაკლებად მუშაობდენ ენის სპეციფიკურ პრობლემებზე, მაგრამ მისი (ენის) მოვლენების უფრო ღრმა ანალიზს აუცილებლად მივყევართ თითონ სიტყვის სოციოლოგიურ განმარტებამდის. სხვანაირად არც შეიძლება იყოს: თითოეული სიტყვის იქით ხომ ენის პალეონტოლოგია მჟღავნდება. მასში ხომ დალექილია იმ კაცობრიობის მთელი წინანდელი ცხოვრება, რომელმაც განვლო სხვადასხვა საზოგადოებრივ-ეკონომიური სტრუქტურები, სადაც სხვადასხვა კლასებით, ჯგუფებით, შრომის, სოციალური ბრძოლის, კულტურის გამოცდილების სხვადასხვანაირი არით. ის, რასაც პოტებნია „სიტყვის მემკვიდრეობითობას" უწოდებს და რაც შესაძლებელია გავშალოთ ენის (ან ენათა) ევოლუციად — ეს არის რეალური საზოგადოებრივ-ისტორიული ცხოვრების ანარეკლი, სიტყვის მიკროკოსმში ისტორიის მიკროკოსმია ჩამარხული. სიტყვა, როგორადაც ცნება, შემოკლებული ისტორიაა, „Abbreviatur"-აა (შემოკლებული ნაძერწია) საზოგადოებრივ-ისტორიული ცხოვრებისა. იგი მისი პროდუქტია და არა ისტორიის დემიურგი ან Λόγος, რომელიც ქვეყნიერებას ქმნის არარაობისაგან. პოეზია, როგორც სიტყვაში გრძნობადი სახეების ფიქსაცია, როგორც დავინახეთ, თავისებურად აზოგადებს ემოციათა სამყაროს. მაგრამ ეს ემოციები, ეს გამოცდები თითონ წარმოადგენენ საზოგადოებრივ-ისტორიული ადამიანისა, ხოლო კლასობრივ საზოგადოებაში, კლასობრივი ადამიანის განცდებს. ისეთი ემოციებიც კი, რომელთაც ფესვები აქვთ ადამიანის ფრიად ღრმა ბიოლოგიურ უფსკრულებში, როგორიცაა ეროტიული რიგის ემოცია, ცვალებადობას განიცდიან ისტორიული პრო-

ცესის მსვლელობაში. ფიქსირებული, შემორჩეული სახეები ამიტომ არ შეიძლება სოციოლოგიური ანალიზის სფეროში არ შედიოდეს: ისინი საზოგადოებრივი მოვლენანი არიან, საზოგადოებრივი ცხოვრების მოვლენანი. გარდა ამისა, სახეებით აზროვნება მაინც აზროვნებაა. აქ ემოციური გადადის თავის პირისპირობაში. მეორე მხრით უამრავი იდეა, ცნებები, ნორმები, იდეოლოგები, მსოფლმხედველობის სისტემები პირდაპირ შედის პოეტურ მთლიანობაში, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი. აქ ინტელექტუალური გადადის ემოციურში, ე. ი. თავის პირისპირობაში. ამიტომ პოეტური სახე, როგორც მთლიანი ერთიანობა, „წმინდა“ ემოციური როდია და მიუხედავად ამისა წმინდა ემოციურია სახეების სისტემის მთლიანობა. მაგრამ აქედან გამომდინარეობს, რომ თუ საკითხს ამ მხრითაც შევხედავთ — პოეზია საზოგადოებრივი პროდუქტია, კონკრეტული ისტორიული საზოგადოების ერთერთი ფუნქციაა. იგი გამოსახავს და გამოხატავს სპეციფიკური ფორმით თავისი დროისა და — რამდენადაც ლაპარაკი გვაქვს კლასობრივ საზოგადოებაზე — თავისი კლასის სპეციფიკურ თვისებებს.

პოეზიის საზოგადოებრივი ფუნქციის ობიექტური და ამასთანავე აქტიური მნიშვნელობა — თუ მას ფრიად ზოგადად დავაფორმულირებთ — ესაა დაუფლება და გადმოცემა გამოცდილებისა და ხასიათთა აღზრდა, განსაზღვრულ ჯგუფობრივ ფსიქოლოგიათა რეპროდუქცია. ეს მისი თავისებური შემეცნებითი, თავისებური აღმზრდელობითი და თავისებური მომქმედი როლი ჭეშმარიტად უზარმაზარია და ხანდახან იგი გადადის არაჩვეულებრივი აქტიური საბრძოლო ძალის როლში. მართალია უდიდესი ბურჟუაზიული ფილოსოფოსები ხელოვნების ძირითად ნიშნეულობად აყენებდენ სწორედ მის თავისუფლებას ყოველგვარი ინტერესისგან. ასე, მაგალითად, კანტი თავის „Kritik der Urteilskraft“-ში („მსჯელობის უნარის კრიტიკაში“) მთელი თავისი ძალღონით ამტკიცებდა ამ დებულებას: შოპენგაუერი უპირისპირებს „უანგარო“ მხატვრულ ჭვრეტას მეცნიერების მსახურეულ ხასიათს *). ჰეგელის აზრით, ხელოვნების საგანი „უნდა იჭვრიტებოდეს თავისშივე, თავის დამოუკიდებელ საგნობრივობაში, რომელიც თუმცა არსებობს სუბიექტისთვის, მაგრამ არსებობს წმინდა თეორიულად, ჭვრეტაში და არა პრაქტიკულად, ამასთანავე სრულიად სურვილისა და ნებისყოფისადმი დამოუკიდებლად“ **). აქ აუცილებლად კიდევ საჭიროა ხაზი გაესვას იმას, რომ „წმინდა მეცნიერული“ მუშაკის სუბიექტური განცდაც შეიძლება სავსებით უანგარო იყოს ყოველ-

*) Шопенгауэр: „Мир, как воля и представление“. რუს. ტ. I. მოსკ. 1900 წ. გვ. 183, 184, 191—192.

**) Hegels Werke. B. 10. §§ 253, 254.

გვარი პრაქტიკისგან დაშორებულობის მხრით, როგორც განცალკევებულ შემომქმედ-მხატვრისა: ვარსკვლავიანი ცის ასტრონომიული რუკის „ჭვრეტა“ შეიძლება სუბიექტურად მოკლებული იყოს დაინტერესებულობისა და პრაქტიკის რაიმე მომენტებს. მაგრამ ობიექტურად, საზოგადოებრივი ურთიერთობის მთლიანობაში, ე. ი. საზოგადოებრივ-ფუნქციონალურად, როგორც მეცნიერება, ისე ხელოვნება ზოგადად, და პოეზია კერძოდ და განსაკუთრებით, როგორც ვთქვით, უზარმაზარ როლს, მათ შორის, პრაქტიკულ როლს თამაშობს. ძველი ინდოეთის კოსმოგონიები, ბაბილონელთა „გილგამეში“, მებრძნული „ილიადა“ და „ოდისეა“, ჩინეთის ზღაპრები, ვირგილიუსის „ენეიდა“, დიდი ბერძენი ტრაგიკოსების ნაწარმოებნი, „როლანდის სიმღერა“, რუსული ბილინები და ა. შ. — განა ყველაფერი ეს მძლავრი ბერკეტები არ იყო თავისებური საზოგადოებრივი პედაგოგიკისა, რომელიც აყალიბებდა ადამიანებს თანახმად თავისი მცნებებისა და კანონებისა? ძველი კოსმოგონიები ნამდვილი პოეტური ენციკლოპედიები იყო. ჰომეროსი ეგრეთწოდებული „სასკოლო“ სწავლების ძირითად საგანს წარმოადგენდა. რომში თხზავდენ და იზეპირებდენ მარონის ლექსებს სრულიადაც არა იმიტომ, რომ ეს უბრალო გართობა ყოფილიყოს. შესატყვისი საზოგადოება და მისი სოციალური ზედაფენები იდეოლოგიურად, იდეალიზირებული სახით არეპროდუქტირებდენ თავიანთ თავს, უნერგავდენ დანარჩენებს თავის აზრებს, ფიქრებს, კონცეპციებს, გრძნობებს, ხასიათებს, მისწრაფებებს, იდეალებს, სიქველეს. თითონ არისტოტელის „განწმენდაც“ („Katharsis“) ხომ თავისებური მორალურ-გონებრივი ჰიგიენის საშუალებაა (იხ. ლესინგის მსჯელობა „ჰამბურგულ ტრაგედიაში“ ტრაგედიის მორალური საბოლოო მიზნის შესახებ). ჰორაციუსი ტყუილად კი არ უსახავდა პოეზიას მიზნად — საამური სასარგებლოსთან შეეზავებინა, „miscere utile dulci“-ო. ცნობილი არაბი ფილოსოფოსი ავეროესი ტყუილად კი არ ლაპარაკობდა ტრაგედიაზე, როგორც „შესხმის“ ხელოვნებაზე, ხოლო კომედიაზე, როგორც „გმობის ხელოვნებაზე“ *) და ა. შ. წინააღმდეგ იდეალისტური ფილოსოფიისა, ჩვენში ნ. გ. ჩერნიშევსკიმ თავის ცნობილ დისერტაციაში წამოაყენა დებულება: „ცხოვრების ზოგადსაინტერესო — აი ხელოვნების შინაარსი“ **). და ეს ოდნავ უხეში ფორმულა მაინც განუზომლად უფრო ახლოა სინამდვილესთან, ვიდრე იდეალისტურ „უანგარო“ განმარტებათა ფერმკრთალი აჩრდილები, რომელთა მეტაფიზიკასაც თითქმის უჰაერო სოციალურ „სტრატოსფეროში“ გადავყევართ.

---

*) იხ. Ign. Kratschkovsky: „Die arabische Poetik im IX jahrhundert“, „Le Monde Oriental“ ში, XXIII, 1929. Uppsal'a.

**) Н. Г. Чернышевский Диссертация. გვ. 95.

II. პოეტიკა, როგორც პოეტური ოსტატობის ტექნოლოგია

ჩვენ აქ მოგვიხდება ერთხელ კიდევ თეორიულად გავუსწორდეთ ფორმალისტებს და იმავე დროს მათი დამსახურების მიხედვით სათანადო ადგილი მივუჩინოთ ხელოვანთმცოდნეობის მუშაკების კოოპერაციაში; აგრეთვე უნდა გავუსწორდეთ განმარტივებლებს ლიტერატურისმცოდნეობის სოციოლოგიურ ბანაკში (მათ შორის მარქსისტულშიაც). ჩვენ აქ ავიღებთ შედარებით ადრეულ ნაშრომებს, როდესაც ფორმალისტები ჯერ კიდევ ფორმალისტები იყვნენ ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით. ფორმალისტები ამნაირი რიგის მოსაზრებებიდან გამოდიოდენ: პოეზიის კონსტიტუვურ პრინციპს წარმოადგენს პოეტური ენა, ე. ი. საბოლოო ანგარიშით — სიტყვა; აუცილებელია გავარკვიოთ პოეტური სიტყვათშეხამების კანონები (სხვადასხვა მხრით). ვინაიდან „პოეზია — ეს არის ენა მის ესთეტიკურ ფუნქციაში", „ენობრივი ხერხები" — ეს ლიტერატურის შესახებ მეცნიერებაში ერთადერთი გმირიაო" *). სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ: პოეზიის სპეციფიკა მოითხოვს ამ ხერხების შესწავლას, რომლებიც ლიტერატურისმცოდნეობის ერთადერთ ობიექტს წარმოადგენენო. ამ თვალსაზრისით საკითხის მარქსისტული დაყენება უბრალო nonsens-ს წარმოადგენს, სხვაგვაროვანი პრობლემატიკისა და სრულიად არაადეკვატური მეთოდოლოგიის უადგილო შემოჭრაა. ბევრად უფრო მოხერხებულად აყენებდა საკითხს ვ. ჟირმუნსკი, მაგრამ საბოლოო ანგარიშში არც ის მიდიოდა ძალიან შორს თავის ამხანაგებთან შედარებით. „პოეტიკა არის მეცნიერება, რომელიც შეისწავლის პოეზიას, როგორც ხელოვნებას, — გვეუბნება ჟირმუნსკი, — ამჟამად ყველაზე გაცხოველებული მეცნიერული ინტერესის საგანს წარმოადგენენ არა ფილოსოფიური მსოფლმხედველობის ან „სიცოცხლის გრძნობის" ევოლუცია ლიტერატურული ძეგლების მიხედვით, არა საზოგადოებრივი ფსიქოლოგიის ისტორიული განვითარება და ცვლილება, მისი ურთიერთმოქმედება პოეტ-შემოქმედის ინდივიდუალურ ფსიქოლოგიასთან, არამედ პოეტური ხელოვნების შესწავლა, ისტორიული და თეორიული პოეტიკა" **).

ამ დასკვნის თეორიულ ქვესაფუძველს წარმოადგენს ავტორის თეზისი ხელოვნებაში „ფორმისა" და „შინაარსის" ეგრეთწოდებული რეალური შერწყმულობის შესახებ. „ნამდვილად ასეთი დაყოფა რა და როგორ — ხელოვნებაში მხოლოდ პირობითს განყენებას წარმოადგენს. სიყვარული, სევდა, ტრაგიკული სულიერი ბრძოლა, ფილოსოფიური იდეა

*) Р. Якобсон. „Новейшая русская поэзия". Прага. 1921 г. გვ. 11.

**) В. Жирмунский: „Вопросы теории литературы". ლენინგრადი, 1828 წ. გვ. 17. სტ. „Задачи поэтики".

და ა. შ. პოეზიაში არსებობენ არა თავისთავად, არამედ იმ კონკრეტული ფ ო რ მ ი თ, როგორადაც ისინი გამოხატული არიან „მოცემულ ნაწარმოებში“ *)... „შინაარსის“ ყველა ფაქტი ხდება „ფორმის მოვლენად“ **). ეს ასეც არის და არც თუ ასეა. არ არის ასე იმიტომ რომ ავტორი ამჩნევს მხოლოდ ე რ თ ი ა ნ ო ბ ა ს და ვერ ამჩნევს პ ი რ ი ს-პ ი რ ო ბ ა ს: იგი ღებულობს მთელ კომპლექსს, ღებულობს ფორმალურ-ლოგიკურად და არა დიალექტიკურად. ეს ერთი. მეორე მხრით — რაც ამ შემთხვევაში უფრო არსებითია — ავტორის არგუმენტაცია ძირშივე მანკიანია. მართლაც, ლაპარაკია მეცნიერებაზე, რომელმაც უნდა აგვიხსნას (ისტორიულად და თეორიულად. — ჩვენ აქ არ ვეხებით ამ დაპირდაპირების მთელ რელატივობას) პოეზია, როგორც ხ ე ლ ო ვ ნ ე ბ ა; ამ ცოცხალსა და განვითარებაში მყოფ თავისებურ ერთიანობაში მოიპოება „სიყვარულის, სევდის... ფილოსოფიური იდეის“ ელემენტებიც. ისინი განსაზღვრული (პოეტური) ხერხით გაფორმებული არიან, მაგრამ ტრანსფორმირებული სახით არიან შესული „მთელში“. როგორ მივხვდებით „მთელს“, თუ არ შევეხებით ყველა ამ მომენტის გენეზისს, წარმოშობვას, განვითარებასა და ა. შ.? ცხადია, საჭიროა სწორედ იმის ს ა წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ ო დასკვნა გამოვიტანოთ, რომელიც ვ. ჟირმუნსკის გამოაქვს. სახელდობრ: ვ ი ნ ა ი დ ა ნ ყველა ხსენებული მომენტი შევიდა ერთგვარ სინთეტიკურ მთელში — ხელოვნების ნაწარმოებში — ამ მთელის ყოველმხრივად გაგებისთვის საჭიროა გ ა ვ ს ც ი ლ დ ე თ მის საზღვრებს, გამოვამჟღავნოთ მთელი ფორმათშექმნის ყველა წყარო. შეუძლებელია სამართალს მივუხვდეთ, თუ უფლებრივი ფორმულირების ფარგლებს არ გავსცილდებით. შეუძლებელია მივუხვდეთ რელიგიას, თუ დოგმატიკური ღვთისმეტყველების ფარგლებს არ გავსცილდებით. შეუძლებელია ხელოვნებას მივუხვდეთ, თუ ანალიზი არ გავუკეთეთ მის კ ა ვ შ ი რ ს საზოგადოების მთელ ყოფა-საქმიანობასთან, რადგან არ შეიძლება ხელოვნება გადავაქციოთ მეტაფიზიკურ „საგნად თავისთავად“. კიდევ უფრო მეტიც, როგორც ზემოთ დავინახეთ, ს ი ტ ყ ვ ი ს თითონ „ფორმაც“ „შინაარსიანია“ არა მარტო როგორც ყოველი ახალი პოეტური ნაწარმოების ფორმათშემქმნელი მომენტი: იგი „შინაარსიანია“ სხვა აზრითაც, სახელდობრ: როგორც ისტორიულ-საზოგადოებრივი გამოცდილების კონდენსატორი; მეტაფორების შერჩევაც კი მათი კონკრეტულობით „მოცემულია“ არა სიტყვათა იმანენტური ლოგიკის შემწეობით: იგი ამოღებულია ცხოვრების გარემოდან, აგრეთვე ჟანრი, სტილი და ათასგარი სხვა რამ

*) Ibid. გვ. 20.
**) Ibid. გვ. 22.

„წმინდა ფორმალიზმის“ სივიწროვე და ცალმხრივობა იძულებულს ხდის ვ. ჟირმუნსკის ძალიან მართებულად გააკრიტიკოს ბ. ეიხენბაუმის თეორიული მოსაზრებანი. მეორე ადგილას ნაშრომში *) იგი ანალიზს უკეთებს „გარეშე მომენტებს“ ხელოვნებაში, იგი ასკვნის: „ყველა ეს მაგალითი აყენებს ისტორიული (და დავსძენთ ჩვენი მხრით: არა მარტო ისტორიული — ნ. ბ.) პოეტიკის მიჯნების საკითხს, არამედ აყენებს მისი ამოცანების განსაზღვრის საკითხს ლიტერატურის შესახებ უფრო ფართო მეცნიერების ფარგლებში“. ძალიან კარგი. მაგრამ მაშინ ვღებულობთ შემდეგს: ან ამ „უფრო ფართო მეცნიერებას“ საგნად აქვს ხელოვნება — მაშინ ინგრევა ავტორის ყველა ძირითადი ნაგებობა; ან იგი არის მეცნიერება, რომლის ობიექტიც ხელოვნებაზე ბევრად უფრო ფართოა — მაშინ ირღვევა ავტორის თეზისი ეგრეთწოდებული ფორმისა და ეგრეთწოდებული შინაარსის შერწყმულობის შესახებ, ე. ი. ავტორის კონცეპცია სხვა მხრიდან ინგრევა. ვ. ჟირმუნსკი ბოლოს დუალისტური ხასიათის თავზეხელაღებულ ცდას მიჰმართავს: იგი ხელოვნებებს ორ სახეობად ჰყოფს: 1) „წმინდა, ფორმალურ, უსაგნო, როგორც ორნამენტი, მუსიკა, ცეკვა“ ხელოვნებებად, „რომლებშიაც თითონ ის მასალა, რომლისაგანაც ისინი აღიგებიან, თავით ბოლომდის პირობითი, განყენებული, ესთეტიკურია, — აზრით, საგნობრივი მნიშვნელობით, პრაქტიკული ამოცანით არ არის დამძიმებული“ (!! — ნ. ბ.) და 2) ხელოვნებანი „საგნიანი ანუ თემატიკურნი“, როგორიცაა „ფერწერა, სკულპტურა, პოეზია, სათეატრო ხელოვნება“, „დამძიმებულნი მნიშვნელობით“, რომლებშიაც „თითონ მასალა ხელოვნებისა არ წარმოადგენს სპეციალურად ესთეტიკურ რასმე“... **) მაგრამ ეს ცდა ავტორს ორჯერ ჰკლავს. იგი მას ორჯერ ჰკლავს იმიტომ რომ ასეთი დაყოფა სრულიად არ შეეფერება სინამდვილეს: ორნამენტი არის უაღრესად სიმბოლიზირებული სახეები საგნებისა, ადამიანებისა, მცენარეებისა და ცხოველებისა, ან ფრიად დიდად და უშუალოდ არის დაკავშირებული „პრაქტიკულ ცხოვრებასთან“ სხვა გზით (ხვეულ-სურათები თიხის ჭურჭელზე). არც მუსიკაა „უსაგნო“ საზოგადოდ; საკმარისია დავასახელოთ ბეთჰოვენი, ვაგნერი, საეკლესიო მუსიკა; არსებობს „ფილოსოფიური მუსიკაც“ კი — მაგალითად, სკრიაბინისა; ცეკვას ძალიან დიდი სასიცოცხლო (და წმინდა პრაქტიკულიც კი) მნიშვნელობა აქვს: საბრძოლო ცეკვა, ცეკვის ეროტიკა და სხვა. ეს ცდა ავტორს ჰკლავს მეორეჯერ იმიტომ, რომ გადაჭრით ეწინააღმდეგება მის კონცეპციას, ვინაიდან ამ შემთხვევაში სრულიად უსამართლოდ, ესთეტიკური მთლიანობიდან ამოგლე-

*) „К вопросу о формальном методе“. ibid. გვ. 162.

**) ibid. გვ. 167.

ჯილია მთელი რიგი მომენტები, როგორც „დამამძიმებელნი“, და არამხატვრულნი.

ვ. ჟირმუნსკი ჩვენ ავიღეთ, როგორც ფორმალისტი ანუ „ფორმალისტური“ ბანაკის ახლოსმდგომი ერთერთი საუკეთესო ბელეტრისტ-მცოდნე. მისი საზღვარგარეთელი სულიერი თანამოძმე პროფ. O. Walzel ფართხალებს დაახლოებით ასეთივე წინააღმდეგობათა ხლართში, ფართხალებს „სინთეტიკური ლიტერატურისმცოდნეობის“ („Sinthetische Literaturforschung“) *) ძიებაში.

მოხსენებული წინა ანალიზიდან გამომდინარეობს პრობლემის დადებითი გადაწყვეტაც. მთლიანი ლიტერატურისმცოდნეობა უნდა შეიცავდეს საერთოდ ლიტერატურის, როგორც ცოცხალ-მომქმედი საზოგადოებრივი ფუნქციის, როგორც თავისებური „ზედნაშენის“ კანონშეზომილობათა გამორკვევას, გამორკვევას, პირობითად რომ ვთქვათ, აგრეთვე „ფორმალური მომენტებისასაც“.

ამ ლიტერატურისმცოდნეობის ქვესახეს შეიძლება წარმოადგენდეს, როგორც პირობითად სპეციალიზირებული დარგი, აგრეთვე მეცნიერება ფორმალური მომენტების შესახებ, რომელსაც აგრეთვე უნდა ჰქონდეს სოციოლოგიური ქვესაფუძველი, ყველაფერი ეს როდი გამორიცხავს სპეციალურ გამოკვლევებს კიდევ უფრო შეზღუდულ, პირობითად კიდევ უფრო ვიწრო ჩარჩოებში და ა. შ. მაშასადამე, სასარგებლოა აგრეთვე ისეთი ნაშრომიც, რომელიც სპეციალურად გვირკვევს, მაგალითად, ლექსთწყობის ტექნიკის კანონშეზომილობას, ან ნაშრომი, მიძღვნილი მხოლოდ სახეთა პრობლემისადმი, ან ნაშრომი, მიძღვნილი ბგერის პრობლემატიკისადმი, მის თანაფარდობისადმი სახესთან და ა. შ. ყველაფერი ეს იქნება კერძო „დისციპლინები“, რომლებიც მასალას გვაწვდიან მთლიანი ლიტერატურისმცოდნეობისთვის. ამიტომ უაღრესად უმართებულოა ჩვენებურ მარქსისტულ წრეებში ხშირად არსებული ორიენტაცია, სახელდობრ — წმინდა ნიჰილისტური დამოკიდებულება ფორმის პრობლემისადმი საზოგადოდ. ამ შემთხვევაში ლიტერატურისმცოდნეობა იქცევა პოეტური ნაწარმოების ეგრეთწოდებული იდეური შინაარსის ზერელე სოციალურ-კლასობრივ დახასიათებად, რომელიც შიშველი და გამარტივებული სახით გადაიტანება ხოლმე პოეტის, როგორც პოეტის დახასიათებაზედაც. ნამდვილად კი შინაარსი და ფორმა, როგორც ზემოთ დავინახეთ, თუმცა ერთიანობას წარმოადგენენ, მაგრამ ეს არის წინააღმდეგობრივი ერთიანობა. მეორე მხრით, ამნაირი ორიენტაციის დროს შინაარსად იგულისხმება, ნამდვილად რომ ითქვას, ში-

*) იხ. O. Walzel. „Das Wortkunstwerk. Mittel seiner Erforschung“. Verlag Quella u. Meyer, Leipzig. განსაკ. იხ. გვ. 21—21.

ნაარსის იდეური წყარო და მისი მხატვრული ტრანსფორმაცია. რასაკვირველია, ამას სრულიად უმართებულო დასკვნები მოსდევს.

სავსებით გარკვეულად უნდა შევიგნოთ, რომ უზარმაზარი განსხვავება არსებობს ფორმალიზმებს შორის. არის ფ ო რ მ ა ლ ი ზ მ ი ხ ე ლ ო ვ ნ ე ბ ა შ ი, რომელიც გადაჭრით უნდა იქნას უკუგდებული; მისგან განსხვავდება ფ ო რ მ ა ლ ი ზ მ ი ლიტერატურისმცოდნეობაში, რომელიც აგრეთვე მიუღებელია და არის ხელოვნების ფ ო რ მ ა ლ უ რ ი მ ო მ ე ნ ტ ე ბ ი ს ა ნ ა ლ ი ზ ი (რაც სრულიად არ ნიშნავს ფორმალიზმს), რომელიც ფრიად და ფრიად სასარგებლოა, ხოლო ახლა, როდესაც ყველგან საჭიროა „დავეუფლოთ ტექნიკას", — იგი აბსოლუტურად აუცილებელია.

ფ ო რ მ ა ლ ი ზ მ ი ხ ე ლ ო ვ ნ ე ბ ა შ ი ეს არის ხელოვნების თვითკასტრაცია, მისი კომპონენტების გალატაკება, დაკავშირებული იმ წრის განსაკუთრებულად შევიწროებასთან, რომელზედაც ამნაირი soi-disant ხელოვნება ზეგავლენას ახდენს. ეს არის ინდივიდუალიზმი, მომიჯნავეა სოლიპსიზმისა, სადაც ბგერა თ ი თ ქ მ ი ს აღარ წარმოადგენს „შ ი ნ ა ა რ ს ი ა ნ" ფორმას.

პოეზიაში ასეთი ფენომენი ჩვენ გვაქვს „ბგერითს ენაში". როდესაც ამბობენ

Лулла, лолла, лалла-гу
Лиза, лолла, лулла-ли,
Хвои шуят, шуят.
Ги-и, Ги-и-у-у.

წმინდა ბგერითი შინაარსი (ლექსის მუსიკალური მელოდია) პირდაპირ ეკონტრასტება ცალკეულ „ადამიანურ" სიტყვებს. აქ სიტყვა უკვე ველარ ს ი ტ ყ ვ ო ბ ს, რადგან დაკარგულია მისი შინაარსეული მნიშვნელობა. პოეზიის მთელი ცხოველი სიუხვე ქრება. ვ. შ კ ლ ო ვ ს კ ი თავის სტატიაში „О поэзии и заумном языке" *) სტატიას ამთავრებდა ი. ს ლ ო ვ ა ც კ ი ს შემდეგი „წინასწარმეტყველებით": „დადგება დრო, როდესაც პოეტებისთვის ლექსებში საინტერესო იქნება მხოლოდ ბგერებიო". ფორმალიზმის ერთერთი ყველაზე გამოჩენილი თეორეტიკოსის ეს იმედი გვირკვევს მთელ მის უარყოფითს როლს პოეზიის, როგორც ხელოვნების, მიმართ. პ ო ლ ვ ე რ დ ე ნ ი, ლექსის ბრწყინვალე ოსტატი, უფაქიზეს და უნაზეს განცდათა პოეტი, მოითხოვდა „de la musique avant toute chose" („მუსიკას უპირველეს ყოვლისა"); მაგრამ მას აზრად არ მოსვლია გადასულიყო à la კ რ უ ჩ ო ნ ი ხ ი ს ენაზე — „Дыр бул щыр — убещур"-ზე. ფორმალისტებს განვითარების თავისებური ლოგიკა აქვთ. თუ ეგრეთწოდებულ „შინაარსს" „გარემომენტებად" მივიჩნევთ, თუ ყოველგვარი „აზრი" არის მხოლოდ „დამამძიმებელი სი-

*) იხ. კრებული „Поэтика", Петроград. 1919.

დიდე“, თუ ეს აზრი „გზას უღობავს“ ესთეტიკურ ემოციას, მაშინ, რასაკვირველია, პოეზიის განვითარების ძირითადი მაგისტრალი შეიძლება გამოიხატოს ლოზუნგით: „ძირს ფაუსტი“, გაუმარჯოს „Дыр бул щыр“. ამნაირად, „აზრისაგან“ თეორიულ „ემანსიპაციას“ — პრაქტიკულად „ზაუმი“ (ჭკუამიღმურობა) მოსდევს. ამასთანავე ბოლოდროინდელობაში უნდა ვიქონიოთ, რომ აქ საქმე არ ეხება სიტყვათშექმნას“ და ჩვენ სრულიადაც არ ვდგევართ ცნობილი ადმირალი შიშკოვის თვალსაზრისზე. აქ საქმე ეხება სიტყვის, როგორც ასეთის ლიკვიდაციას, ყოველგვარ ცნებათა მოსპობას, სხვათა დეკვალიფიკაციას, ე. ი. პოეზიის, როგორც სიტყვიერი ხელოვნების მოსპობას. ასე ვითარდება ფორმალიზმის დიალექტიკა: იგი იწყებს იოანესეულ საკუთარ სახარებას თეზისის „პირველითგან იყო სიტყვა“ გამოცხადებით და განსაზღვრავს პოეზიის არსს სიტყვით და მხოლოდ სიტყვით, რათა საქმე გაათავოს ამ სიტყვის მოსპობით, ე. ი. თავისი უმთავრესი პრინციპის გადასანსვლით. ამ ნაგებობის უკიდურესი ინდივიდუალიზმი ცხადად მოწმობს მათს სოციალურ ფესვებს. ახალი „შინაარსის“ მოზღვავების უდიდესი შიში, იმ შინაარსისა, რომელიც რევოლუციას მოსდევს და მრავალ კამერულ ზიზილ-პიპილას უკუაგდებს; განდეგილობა „ამაყი“ ბურჟუაზიულ-ინტელიგენტური „ინდივიდუუმებისა“, რომელნიც მონოზნურ-პროფესიულ სოროში შეძრომით ცდილობენ დაიძვრინონ თავი („А мы, мудрецы и поэты“...) — აი ამ ნაგებობათა ბაზა.

ფორმალიზმი ლიტერატურისმცოდნეობაში მჭიდროდ არის დაკავშირებული, როგორც ვნახეთ, ფორმალიზმთან თითონ ხელოვნებაში. მისი აშკარად მღაღადებელი შეცდომა ისაა, რომ იგი ხელოვნებას პრინციპიალურად გამოსთიშავს მთელი ცხოველი საზოგადოებრივი კონსტექსტიდან. იგი ქმნის ილუზიას ანუ ფიქციას ხელოვნების მოვლენათა „რიგისაგან“ სრულიად დამოუკიდებლად. იგი ხელოვნების სპეციფიკას ურევს სრულ მის ავტონომიურობასთან. ხელოვნების განვითარების კანონშეზომილობად მას მიაჩნია მხოლოდ ფორმათშექმნის კანონები, საერთოდ საზოგადოებრივი ცხოვრების უმნიშვნელოვანეს მორფოლოგიურ პრობლემებთან რაიმე კავშირის გარეშე. ეს უსიცოცხლო, მშრალი და მკვდარი კონცეპცია სავსებით და გადაჭრით უნდა უკუვაგდოთ.

ყველაფერ ამისაგან უნდა განვასხვავოთ ხელოვნების ფორმალური მომენტების ანალიზი. იგი, როგორც უკვე დავინახეთ ზემოთ, აუცილებელი და ფრიად და ფრიად სასარგებლოა. ფორმალისტებს ეს ნაწილობრივი შრომა ყველაფრად მიაჩნდათ: ამ მასალიდან მათ საყოველთაო პრინციპები გამოყავდათ. ეს სწორი არაა და მავნებელია. მაგრამ ხელოვნების ფორმალური მომენტების ანალიზი, პოეტური სიტყვის სტრუქტურის ყველა საკითხის ღრმად შესწავლა — აუცი-

ლებელი ნაწილია სამუშაოთა უფრო ფართო წრისათვის. და აქაც შეიძლევა ზოგი რამ ვისწავლოთ ფორმალისტებისაგანაც კი, რომელნიც ამ პრობლემებზე მუშაობენ, ხოლო მარქსისტი ლიტერატურისმცოდნეები ამას სრული უყურადღებობით ეპყრობოდენ *).

ამ საკითხს განსაკუთრებული სიმწვავე და აქტუალობა ენიჭება სწორედ ამჟამად, როდესაც ხელახლა და სერიოზულად არის წამოყენებული კულტურული მემკვიდრეობის პრობლემა საზოგადოდ და კერძოდ პრობლემა ხელოვნების ტექნიკის დაუფლებისა. მაგრამ ვიდრე ამ საკითხზე გადავიდოდეთ, აუცილებლად საჭიროა რამდენიმე სიტყვა ვთქვათ ზოგად პრობლემებზე, სახელდობრ: უნდა ვუპასუხოთ საკითხს, საზოგადოდ რანაირად შეიძლება რომ ვისწავლოთ „ძველი ოსტატებისგან", „კლასიკოსებისგან", „წინამორბედებისაგან" და სხვა? ეს საკითხი სრულიადაც არაა ფუჭი და ამის გარკვევა ბევრ შეცდომას აგვაცილებს თავიდან. მისი არსი შეიძლება მოკლედ ასე ჩამოვაყალიბოთ: ყოველი პოეტური ნაწარმოები წარმოადგენს მთლიან ერთიანობას, რომელშიაც ბგერითი, აზროვნული, ხატოვანი და სხვა კომპონენტები სინთეტიკურად გაერთიანებული არიან. მეორე მხრით, წმინდა სოციოლოგიურადაც ეს არის ერთიანობა, ვინაიდან ყველა კომპონენტი და მთლად მათი სინთეზი განსაზღვრული ეპოქისა და განსაზღვრული კლასის „იდეოლოგიური რეფლექსებია". მაშ, ამნაირ პირობებში, როგორაა შესაძლებელი რისამე სწავლა? იქნებ საჭირო იყოს, პირიქით, პირწმინდად უკუვაგდოთ ყველა წინანდელი „შინაარსი", „ფორმები", „მეთოდები", „ხერხები" და ა. შ.? როგორც მოგეხსენებათ, ასეთი დასკვნები გამოყავდათ კიდეც, თუმცა ამისი ბრიყვულობა თვალში გეცემათ. ამ საკითხზე ზოგად პასუხს გვაძლევს მატერიალისტური დიალექტიკა, რომლის მიხედვითაც „უარყოფა" არ არის შიშველი მოსპობა, არამედ ახალი ფაზაა, სადაც „ძველი" არსებობს „ნაღებმოხდილის სახით", ჰეგელის ენით რომ ვთქვათ. ამნაირი ტიპის „მოძრაობაშია" სწორედ შესაძლებელი მომდევნოობა, რომელიც დიალექტიკურ შეთავსებას ახდენს ძველისგან გამოთიშვისა და მის თავისებურად განგრძობისას. საქმე ისაა, რომ მთელი რიგი მომენტები, გადატანილი სხვა შეხამებაში, სხვა კონტექსტში, იწყებს სხვა ცხოვრებას და ამნაირად ვღებულობთ ახალ „ერთიანობას". ყველაფრის წანამძღვარს წარმოადგენს ის გარემოება, რომ ერთიანობა არაა მიჯრითი სიდიდე, არამედ აქვს შინაგანი წი-

*) იხ. М. Штокмар: „Библиография работ по стихосложению". Гихл, 1934 წ. შესავალი წერილი ი. ტიმოფეევისა: „Состояние и задачи современного стихосложения".

ნაალმდეგობანი. მატერიალური ცხოვრების დარგშიაც ჩვენ გვაქვს ანალოგიური ამბები: როდესაც უცხოეთიდან ახალი მანქანა შემოგვაქვს, ჩვენ მას ვდგამთ ახალ ტექნიკურ-ეკონომიურად ორგანიზებულ კომპლექსში და ამით მანქანის „აზრი“ სხვანაირი ხდება. [illegible] ხდება იდეოლოგიურ დარგშიაც, რასაკვირველია mutatis mutandis.

ამ საკითხს სულ სხვა მხარეც აქვს. შეიძლება თუ არა საზოგადოდ პოეტობის სწავლა?

ჩვენი აზრით, ამ საკითხის სრულიად მართებული პასუხი მოგვცა თავის დროზე ვალერი ბრიუსოვმა. „მხატვრული შემოქმედების უნარი, — ამბობდა ის, — ეს არის თანდაყოლილი საუნჯე, როგორც სახის სილამაზე ან ძლიერი ხმა; ეს უნარი შეიძლება განვავითაროთ და უნდა ვავითარებდეთ კიდეც, მაგრამ მისი მოპოება არავითარი ცდით, არავითარი სწავლით არაა შესაძლებელი. Poetae nascuntur (პოეტები იბადებიან)“ *). პოეტური ნიჭის განვითარებას შეიძლება მივაღწიოთ შრომით. „ჟეშმარიტად დიდმა პოეტებმა, რომელნიც დაჯილდოებული იყვნენ შემოქმედების გენიალური ნიჭით, ტექნიკურ ოსტატობას ნელი გარჯითა და ხანგრძლივი, ბეჯითი მუშაობით მიაღწიეს“ **). ასე იჩენს თავს პოეტიკის, როგორც პოეტური შემოქმედების ტექნოლოგიის პრობლემა. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ: ეგრეთწოდებული ფორმალური მომენტების დარგის კანონშეზომილებათა გამორკვევა შეიძლება განსაზღვრული ნორმების სახით წარმოვიდგინოთ. ამ შემთხვევაში პოეტიკა წარმოგვიდგება არა მარტო როგორც ლიტერატურისმცოდნეობის ნაწილი, არამედ თუ სხვა ლოგიკურ ტონზე გადავიღებთ, მას წესთა სისტემის ხასიათი მიეცემა. ჩვენ აქ ვლაპარაკობთ, რასაკვირველია, საგნის არა სასკოლოდ მოთხრობაზე, თუმცა არც ეს გვაწყენს საერთო პოეტური კულტურის ამაღლების საქმეში, არამედ ვლაპარაკობთ აგრეთვე ამ მომენტის მთელი სიდიადის შეცნობილად გაგებაზე. პოეტური შემოქმედების ტექნოლოგიის შეუსწავლელად — ვერ ვისწავლით სპეციფიკურ „ოსტატობას“, „პოეტობის ხელობას“, როგორც არც თუ ისე მართებულად ამბობდა თავის „Опыты“-ში იგივე ბრიუსოვი. რასაკვირველია, — და ეს, ჩვენი აზრით, აქსიომური დებულებაა — „სწავლა“ მარტო ამნაირ „ტექნოლოგიას“ არ შეიძლება დასჯერდეს და არც უნდა დასჯერდეს. ამას ვერ დასჯერდება სწავლის ის ნაწილიც კი, რომელიც „კულტურული მემკვიდრეობის“ პრობლემას მიეკუთვნება. ვინაიდან რაც უფრო მეტად ფართოა აქ ჰორიზონტები ყველა მიმართულებით, მით უფრო ნაყოფიერია მემკვიდრეობის შეთვისება. მაგრამ ამ უელემენტარესი ამოცანის გადაუწყვეტლად ფონს გასვლა შე-

*) Валерий Брюсов. „Опыты“. Кн-во „Геликон“. М. 1918. გვ. 7.
**) ibid. გვ. 10.

უძლებელია და ამას ხაზი უნდა გაესვას განსაკუთრებული სიძლიერით სწორედ იმიტომ, რომ ეს ამოცანა არ მდგარა და არც დგას ჩვენი პოეტების მხედველობის არეში — და რაც ძალიან მნიშვნელოვანია — არ დგას ჩვენებური ნაფიცი კრიტიკოსების მხედველობის არეში. მეტრიკისა და რიტმიკის პრობლემები, სიტყვიერი ინსტრუმენტირების პრობლემები, სტროფიკისა და სხვათა პრობლემები — ყველა ეს პრობლემა უნდა შეადგენდეს გულმოდგინე შესწავლის საგანს და პოეტი, მართლაც არ უნდა ემსგავსებოდეს ი. დმიტრიევის პერსონაჟს, რომელიც გამოდის თეზისით:

„Он, не учась, учен, как придет в восхищенье".

ასე დგას ჩვენი აზრით პოეტიკის, პოეტური შემოქმედების ტექნოლოგიის საკითხი.

III. ბარდატეხა

ახლა გადავდივართ პოეტური შემოქმედების განხილვაზე ჩვენს ქვეყანაში. ყოველ ეჭვს გარეშეა, რომ გადატრიალების ბუმბერაზულ ხასიათს უნდა მოჰყოლოდა და მოჰყვა კიდეც ყველა წრის, კლასებისა და ჯგუფების ფსიქოლოგიისა და იდეური ბაგაჟის ძირეული ცვლილებანი, უზარმაზარი ემოციური ძვრანი და ხელახალი წარმონაქმნები. გამოჩენილ „ძველ" პოეტთაგან, რომელთაც ასე თუ ისე შეეხოთ რევოლუციის ფრთები, უნდა დავასახელოთ სამი, სრულიად არათანაბარი ფასის მქონე და სხვადასხვანაირი პოეტი: ესენი არიან — ბლოკი, ესენინი და ბრიუსოვი.

ალექსანდრ ბლოკის სახით, ჩვენ, რასაკვირველია, საქმე გვაქვს უზარმაზარი ძალის პოეტთან. მისი ლექსი აღწევს ნაჭედობის მონუმენტალობას და ადის „Возмездие"-ს მოელვარე სიმაღლეებამდის, რომელიც შეიცავს ბრწყინვალე სახეებად გარდატეხის მთელ ეპოქას, ზვავის მოვარნდის და მთელი მისი ტრაგედიის წინასწარგრძნობას. „Двенадцать" სამუდამოდ დარჩება ამბოხებული დუღილის პირველი წლების რევოლუციური ქაოსის ძეგლად, რომელშიაც ლექსის თითონ ფაქტურით, სხვადასხვა რიტმით გადმოცემულია ეს კალეიდესკოპი, გაერთიანებული შინაგანი უხილავი ლოგიკით. მისი „Скифы" დაწერილია საზღვრული ხატოვანებით და შეიცავს იდეათა და სახეთა უზარმაზარ წრეს. ბლოკი — რევოლუციის მხარეზეა და თავისი „ჰო"-თი, რომელიც მან საქვეყნოდ გამოაცხადა, იმის უფლება მოიპოვა, რომ ისტორიულ მწყობრში ბარიკადის ჩვენს მხარეზე იდგეს. და იმავე დროს ჩვენ სრულიად არ შეგვიძლია ვთქვათ, თითქოს იგი ახალი ქვეყნის მებაირაღტრე იყოს. ბლოკი კვალიფიციური პირმშო იყო ძველი კულტურისა და მოინდომა უცხო სიმბოლოები მიეკრა ახალი ეპოქის კარებთან. ეს არის პოეტი ღრმად ფილოსოფიური და იმავე დროს ღრმად ემოციური. მაგრამ მისი ფილოსოფია

მომდინარეობს ვლადიმერ სოლოვიოვისგან, რელიგიურ-ეროტიკული მისტიკისგან, განწმენდილი და კათოლიკურობის იერმიცემული მართლმადიდებლობისგან. აქ არის რაღაც ძველი სლავიანოფილობისაგანაც, რომელსაც შეჰზიზღებია მევახშე და ეს რაღაც შეზავებული ებრაელობასთან; უდიდესი გულისტკივილით ბლოკი საღამოს მზის სისხლისფერ დასავალზე და მრისხანე ატმოსფერის გამო წინასწარად გრძნობდა მომავალ კატასტროფას და იმედი ჰქონდა, რომ რევოლუციურ ნათლობას შესაძლებელია მოჰყოლოდა ახალი ძმური კრებითობა. ამიტომ იგი „აკურთხებდა“ რევოლუციასაც, „კატკასაც“, „თორმეტსაც“ და აიძულებდა „ქარიშხლის ზემოთა ნაბიჯით“ ევლო რევოლუციურ ნიაღვარს წასძღოლოდა ქრისტეს ნაზი ხატება. მაგრამ განა ეს პოეტიზირებული იდეოლოგია, რევოლუციის შინაგანი, მისტიკური აზრის ეს ძიება — მის (რევოლუციის) გეგმაში შედის? განა ბლოკის პოეტური სიტყვის „საიდუმლო აზრი“, „დხვანი“, ოდნავ მაინც ენათესავება პროლეტარიატს? განა ეს ახალი ქვეყნის პრელუდიაა? რასაკვირველია, არა: ეს უფრო გედის სიმღერაა ძველი ქვეყნის საუკეთესო ადამიანებისა, რომელნიც მოსცილდენ შავბნელ ნაპირებს, მაგრამ სრულიად არ ესმოდათ და ვერ ხედავდენ ახალ გზებს.

„Скифы“-ს ჰეროიკა, სადაც სახეთა კუნთოვანობა და ლექსის მუსიკა ისტორიის გარკვეულ თქარათქურად ერთმანეთს ერწყმის, ნამდვილად გამოხატას ფაქტიურ ისტორიას, იმ ისტორიას, რომელსაც ბლოკი მოელოდა: ეს არის ახალი რასის, აზიურობის, თავისებურობის, სკვითური მესიანობის შესხმა, რომელიც ძალიან ენათესავება ბლოკის ფილოსოფიურ პოზიციას. განა იგი ზოგიერთი თავისი ტონითა და სურნელებით ევრაზიის ყვავილებს არ მოგვაგონებს?

Мы любим плоть — и вкус ее. и цвет,
И душный, смертный плоти запах...
Виновны ль мы, коль хрустнет ваш скелет
В тяжелых, нежных наших лапах?

არ ვიცით, რარიგად განვითარდებოდა ბლოკის შემოქმედება შემდგომად: ცხადია, იგი რევოლუციას ტრაგიკულად აღიქვამდა, მაგრამ დიდად საკითხავია, ეს ტრაგედია მას ოპტიმისტურად ესახებოდა თუ არა. ბლოკი ფესვებით დაკავშირებული იყო არისტოკრატიულ-მემამულურ კარმიდამოსთან და ამ კულტურის ჩუქურთმიან ზედაფენებს, მათი ვარდ-ყვავილებითა და ჯვრებით — საკმაოდ მაგრად ჰყავდათ იგი შინაგნად შებოჭილი. სოციალისტური მაშინიზმი და ამ ნიადაგზე ახალი კულტურის აყვავება როდი ელანდებოდა მის გონებრივ მზერას: ქრისტეთი იგი ფიქრობდა დაელოცნა და იმავე დროს შეელოცა კიდეც მზარდი რევოლუციის სახისათვის და ამ ეტაპში ისე დაიღუპა, რომ თავისი უკანასკნელი სიტყვა არ უთქვამს.

უფრო ნიადაგობრივად, ბევრად ნაკლები კულტურულობით, მუჟიკურ-კულაკურ ბუნებით გაიარა რევოლუციის ველებზე სერგეი ესენინმა, წკრიალად მომღერალმა, ნიჭიერმა ლირიკულმა პოეტმა. მან სულ სხვანაირად „შეიწყნარა“ რევოლუცია. მან შეიწყნარა მისგან მხოლოდ პირველი ეტაპები, ან, უფრო სწორად რომ ითქვას, პირველი ეტაპი, როდესაც დაემხო მემამულური მიწათმფლობელობა. მისი პოეტური სიტყვის სასიმღერო წყობა, ხალხურ-სოფლურ რიტმიკაზე დაყრდნობა. დაყრდნობა სოფლურ სახეების ნაქარგებზე, მისი პოეტური ხმის ღრმად ლირიკული და იმავე დროს ლოთი-ფოთური ტემბრი შეხამებული იყო იდეოლოგიის ფრიად ჩამორჩენილ ელემენტებთან: ქალაქისადმი მტრობასთან, მისტიკასთან, გონებაშეზღუდულობის და ცემატყეპის კულტთან. პროლეტარიატისადმი მისი მისწრაფებანი, მეტწილად გარეგანი რეფლექსები იყო. მისი ნამდვილი პოეტური შინაგნობა აღსავსე იყო დიადი გადატრიალების ახალი ფაზისების წინაშე სასოწარკვეთილების შხამით. მაგრამ მასში ღრმად იყო ჩამალული იმის იმედიც, რომ ისტორია სხვა გზით წარიმართებოდა. მისი „აღსარება“, ნამდვილი credo პოეტური შემოქმედებისა — ჩვენ გვაქვს მის ერთგვარად შესანიშნავ ბროშურაში „Ключи Марии“. იქვე გვხვდება „სოციალიზმიც“. მაგრამ რანაირია ეს სოციალიზმი? ეს არის „სოციალიზმი ანუ სამოთხე, რადგან მუჟიკურ შემოქმედებაში სამოთხე სწორედ ისეთ რადმე წარმოგვიდგებოდა, სადაც არ არის გადასახადები სახნავებზე, სადაც „გლეხთა სახლები ახალია, კვიპაროსის ყავრით გადახურული“, სადაც „დაჩაჩანაკებული დროება, დაეხეტება რა მინდვრად, იწვევს მსოფლიო ტრაპეზზე ყველა ტომსა და ხალხს და მიართმევს მათ სათითაოდ ოქროს ფიალას, ტკბილი მაჭრით სავსეს“ *). ასეთი „სოციალიზმი“ აშკარად ეწინააღმდეგება პროლეტარულ სოციალიზმს. „ჩვენ გვეზიზღება ხელოვნების არსის იდეოლოგიაში მარქსისტული „ოპეკის“ მოღერებული მუშტი. იგი მუშათა ხელით ძეგლს უდგამს მარქსს, გლეხებს კი სურთ ძეგლი ძროხას დაუდგანონ“ **). ესენინი ნამდვილ ამბოხებას იწყებს „სული წმინდის — მისტიციზმის მდევნელების“ წინააღმდეგ და მომავალი კულტურის ბედის შესახებ ბიბლიური წინასწარმეტყველის პოეტური სიტყვით გვეუბნება: „იმას, რაც ამჟამად თვალწინ გვევლინება პროლეტარული კულტურის მშენებლობაში, ჩვენ ვუწოდებთ: „ნოე ყვავს გზავნის“ კიდობნიდან. ჩვენ ვიცით, რომ ყვავს ფრთები მძიმე აქვს, მისი გზა შორია; იგი დაეცემა არა თუ მატერიკამდის მიფრენამდის, არამედ ისე, რომ ვერც დაინახავს ამ მატერიკს. ჩვენ ვიცით, რომ ყვავი აღარ მობრუნდება, ვიცით, რომ ზეთის ხილის

*) С. Есенин: „Ключи Марии“. Изд. М. Труд. артели худ. слова. 1920—928.

**) ibid. გვ. 39—40

შტოს მოიტანს მხოლოდ მტრედი, რომლის ფრთები შემაგრებულია ადამიანის რწმენით არა კლასობრივი შეცნობისა, არამედ მარადისობის ტაძრის შეცნობის გზით" *). ეს წინასწარმეტყველება ყველა ბაბილონ შემადგენელი ნაწილით ყალბი აღმოჩნდა. ეს „მტრედი" გაიხლართა თავის გამოუვალ სულიერ კოლიზიებში. „ყვავი" კი მძლავრ არწივად იქცა და ფხიზლად იყურება თავის მსოფლიო-ისტორიული კოშკიდან...

ყველაზე ახლო, პროლეტარიატის რევოლუციასთან თითქმის პირისპირ მივიდა ვალერი ბრიუსოვი, „სიმბოლისტების" ეს ყოფილი „მეფე": სამრეწველო რადიკალური ბურჟუაზიის ზედაფენების იდეოლოგი, კულტურული ბურჟუაზიული არისტოკრატიის მეცენატურ სალონებში ყოველგვარი დაფნითა და ქრიზანტემებით შემოსილი, შეიძლება ითქვას, ერთადერთი ნამდვილი ადამიანი იყო ამ სალიტერატურო წრეში, თუ საკითხს განვსჯით ანდრეი ბელის სიკვდილის წინა ნაშრომების მიხედვით, სადაც ყოვლად მომაკვდინებელი დახასიათებებია. როგორ მოხდა ასეთი ისტორიული პარადოქსი, რომ ბურჟუაზიული ლიტერატურის სწორედ ეს კომანდარმი მოვიდა ჩვენთან და გადაიცვალა იმ პარტიის წევრად, რომლის წინააღმდეგ ძველი ქვეყნიერების ყველა ძალნი სისინგბდენ? რატომ სწორედ იგი იყო, რომ დამანგრეველი საზოგადოებრივი კრიზისის დროს მოსწყდა თავის კლასს და ძლევამოსილი „შავი ხალხის" მხარეს გადავიდა? ეს აიხსნება პოეტის ღრმა ინტელექტუალიზმით, ეპოქის ფაქიზი შეგრძნობით, კონტინენტების, საუკუნეთა და მილიონების კატეგორიებით აზროვნებით. თითონ იგი უზარმაზარი კულტურული მოვლენა იყო: მას ეინტერესებოდა კრიტოსის კულტურაც, საშუალო საუკუნეებიც, ატლანტიდაც, ნაგვიანევი რომაელი პოეტებიც; იგი ხარბად ყურს უგდებდა ისტორიის რკინის ნაბიჯებს; მას აფრთოვანებდა დიადი ამბების ჰეროიკა და კაცობრიობის მთათა მწვერვალების პათოსი ყოველთვის აღვივებდა მისი შესანიშნავად ხარბი გონების ცისფერ ალს. აი, რატომ იყო, რომ მას არ შეეძლო არ შეემჩნია ბურჟუაზიული სამყაროს გათიშულობა; უმღერდა რა მას და კიდევ სწამდა რა მისი მარადისობა, მისი გარდუვალი ძლიერება, იგი იმავე დროს წერდა მომავალ კომუნისტურ „ჰუნებზე", რომელთა „თუჯის თქარათქური" „ჯერ კიდევ აღმოუჩენელ პამირებზე" — უკვე ესმოდა მის მახვილ ყურს. ეს „მომავალი ჰუნები", რომლის ეპიგრაფად მან აირჩია სიტყვები: „გათელე მათი სამოთხე, ატილავ!" თავდებოდა პათეთიკური სტრიქონებით:

И вас, кто меня уничтожит,
Встречаю приветственным гимном!

არც ის არის შემთხვევითი, რომ სწორედ ბრიუსოვმა შემოიყვანა ჩვენს სალიტერატურო ყოფა-ცხოვრებაში მძლავრი რევოლუციური პო-

*) ibid. გვ. 41—42.

ეტი — ემილ ვერჰარნი მისი „აჯანყებით“, მისი „ქალაქ-გველეშაპებით“, მისი „მჭედლით“, „ტრიბუნით“, „ცისკრებით“, მისი რისხვითა და აზრით, რევოლუციური წყალდიდობის მრავალფერადი ნაირფერ-ნაირმეტყველური განჭვრეტით, მისი მეამბოხური მისწრაფებით მომავლისკენ, რომელიც ბრწყინვალე სახეებითა და რიტმების ძვირფასი ჩუქურთმებით არის შემკული. ბ რ ი უ ს ო ვ ს იზიდავდა ყველაფერი საზეიმო და დიადი, ისტორიულ-ბრწყინვალე, მსოფლიო-მნიშვნელოვანი. და როგორც კი შეტრიალდა ისტორიის საჭე და რევოლუციის ძლევამოსილი ტალღა აგორდა ყოფილი იმპერიის ყოველ ველ-მინდორზე, ბ რ ი უ ს ო ვ ი უცბად გამოეთიშა ძველსა და სიკვდილამდის ცხოვრობდა რევოლუციასთან; მან სტოიკურად გადიტანა ყველაზე მკაცრი, ყველაზე მტანჯველი წლები, როდესაც ყოველი მხრიდან ჰქროდა ინტერვენციის, შიმშილობის, შეთქმულებათა, სიცივის, სნეულებათა, მძიმე, ბარბაროსული, ჭეშმარიტად „ტროგლოდიტური“ სიღატაკის გაშმაგებული, მომაკვდინებელი ქარები. ჯერ კიდევ უფრო ადრე, როდესაც ინტელიგენციამ ზურგი შეაქცია ოქტომბერს, ბ რ ი უ ს ო ვ მ ა დაწერა მკაცრ-ირონიული „ინვექტივა“, მიმართული „ამხანაგ ინტელიგენტებისადმი“:

Вам были любы трализм и гибель
Иль ужас нового потопа,
И вы гадали: в огне ль, на дыбе ль
Погибнет старая Европа.
. . . . . .
То, что мелькало во сне далеком,
Воплощено в дыму и гуле...
Что ж вы коситесь неверным оком
В лесу испуганной косули? *)

მას ესმოდა ახალი წყობილების მთელი ი ს ტ ო რ ი უ ლ ი ა უ ც ი ლ ე ბ ლ ო ბ ა, მისი გამარჯვების გარდუვალობა:

Пусть гнал нас временный ущерб
В тьму, в стужу, в пораженья, в голод:
Нет, не случайно новый герб
Зажжен над миром — Серп и Молот **).

თავის ბასრი გონების დურბინდით იგი ხედავდა ამ გამარჯვებას და თავისი პირადი სიკვდილის წინათმგრძნობი, წერდა:

---

*) В а л е р и й В р ю с о в. Избр. произв. т. III, ГИЗ. 1927. გვ. 100. „Товарищам-интеллигентам“ (инвектива).

**) ibid. „Серп и Молот“, გვ. 101.

ეროვნული ბიბლიოთეკა

Дни просияют маем небывалым,
Жизнь будет песней; севом злато-алым
На всех могилах прорастут цветы.
Пусть пашни черны; веет ветер горный;
Поют, поют в земле святые корни,—
Но первой жатвы не увидишь ты *).

პოეტური ძაფი, რომელიც გავლებულია „მომავალი ჰუნებიდან“, მთელ გორგალად არის დახვეული „Светоч мысли“-ში, სადაც ბ რ ი უ ს ო ვ ი თავის შეკუმშულ სტრიქონებში ცდილობს მოგვცეს მსოფლიო ისტორიის ძირითადი ეტაპების სურათი.

პოეტის წმინდა სოციალისტური წინასწარ განჭვრეტანი გაბნეულია უხვი ხელით მისი ნაშრომების ფურცლებზე.

დიადია მისი „Дворец центромашин“:

Из тьмы, из бездны иных столетий,
Встает, как некий исполин,
Величествен в недвижном свете
Центро-дворец мото-машин **)

შესანიშნავია სოფლად მომავალი გადატრიალების სურათი, რომელიც განხორციელდა ამ დაუღალავად ცნობისმოყვარე პოეტური გონების პატრონი ადამიანის სიკვდილის მრავალი წლის შემდეგ. ბ რ ი უ ს ო ვ ი სწუხს ძველის გარდუვალი დაღუპვის გამო, მაგრამ სვამს მომავლის სადღეგრძელოს:

Так что ж! В грядущем прекрасней будет
Земли воскресшей живой убор.
Придут иные, те, кто могучи,
Кто плыть по воле заставят тучи,
Кто чрево пашни рождать принудят,
Кто дланью сдавят морской простор ***).

ბ რ ი უ ს ო ვ ი ენციკლოპედიური ცოდნის, უდიდესი კულტურის ადამიანი იყო. მას შესრულული ჰქონდა კულტურის ცხოველი წყაროების ყველა წვენი და ერთგვარი ეკლექტიკურობით იყო დაავადებული. მაგრამ ერთი ცენტრალური იდეა დაუფლებოდა მას: ეს იყო იდეა კანონშეზომილობისა, რომელსაც იგი ეძიებდა ყველგან, ყველა მიმართულებით და საამისოდ იყენებდა თავის საოცარ ერუდიციას. სოციალიზმის პოეტურ-აზროვნულ საერთო საგანძურში უცხო ნაპირებიდან ჩვენსკენ მოსულმა ამ ჩინებულმა მოყმემ — შერჩეული იდეებისა და სახეების უდიდესი მემკვიდრეობა შემოიტანა. კულტურის ეს შრომის მოყვარე ოსტატი

*) В. Брюсов: Неизд. стихи. ГИЗ. 1928. „Бунт“. გვ. 84.
**) ibid. გვ. 84.
***) ibid. გვ. 91.

ახლა უსამართლოდ მივიწყებულია და ჩვენს მოვალეობად მიგვაჩნდა მკვდრეთით აღგვედგინა მისი შესანიშნავი სახე.

სრულიად სხვა ასპექტში გვევლინება ორი სხვა პოეტი, რომელიც აგრეთვე სხვადასხვანაირი არიან და რომელთაც ერთნაირი გავლენა მოახდინეს ჩვენი ქვეყნის პოეტური კულტურის მთელ განვითარებაზე. ესენი არიან — დ ე მ ი ა ნ ბ ე დ ნ ი და ვ ლ ა დ ი მ ერ მ ა ი ა კ ო ვ ს კ ი.

დ ე მ ი ა ნ ბ ე დ ნ ი — ნამდვილი პროლეტარული პოეტია; მისი პოეტური შემოქმედების ძირითად პრინციპს წარმოადგენს მასობრიობა, ულრმესი ხ ა ლ ხ უ რ ო ბ ა, მ ი ლ ი ო ნ ე ბ ზ ე გავლენა. ამ მხრით საბჭოთა პოეზიის ისტორიაში მას სრულიად განსაკუთრებული პოზიცია უჭირავს. მისი ხალხურობა იდეოლოგიურად სრულიადაც არაა ნაროდნიკული „ხალხურობა“, რომელშიაც არსებითად კლასები ვერ დაინახებოდა და ეს კლასები იძირებოდენ „ხალხის“ ცნებაში. პოლიტიკის ტერმინით რომ ვთქვათ, შეიძლება ვილაპარაკოთ „პროლეტარიატის ჰეგემონიის ქვეშ გლეხობასთან მუშათა კლასის შეკავშირებაზე“. ეს არის მისი პოეზიის იდეური ღერძი, დომინანტი, რეგულატიური პრინციპი, ანუ „საზოგადოებრივი აზრი“. მაგრამ მასებზე უფართოეს ზეგავლენას განსაზღვრავს მისი შემოქმედების კომპონენტების მთელი მრავალსირთულე. აქ მ ა ს ა ლ ა ს წარმოადგენს „დღიური საჭირბოროტო ამბავი“. ჟ ა ნ რ ე ბ ი შეგუებულია მილიონების დონესთან: ესაა — სიმღერა, არაკი, მოკლე რეპლიკა, სატირა, პოემა. ს ა ხ ე ე ბ ს არ ეტყობათ ახირებულობა, მარტივი არიან; იმავე დროს ბასრნი, გასაგებნი, ცხოვრების სიღრმიდან ამოღებულნი არიან და მისით სუნთქავენ. მათთან განუყრელად დაკავშირებული ე ნ ა ც — მაგარი, ხალხური ენაა, ის ენა, რომლითაც ლაპარაკობენ მილიონები; ეს ენა მოხდენილი, მოსწრებული, ანდაზა-თქმულებათა ენაა, რომელსაც ფესვი აქვს ფოლკლორში და რომელიც მტერს გულში ისრად ხვდება. ეგრეწოდებულ სალიტერატურო ენასთან შედარებით, იგი, თუ გნებავთ, პრიმიტიულია. მაგრამ ეს არ არის საგანგებო და ხელოვნური პრიმიტივიზმი მოღლილი კულტურის გაფაქიზებული და გაუსულგულებული წარმომადგენლებისა; იმ კულტურისა, რომელიც ჰიპერტროფირებული ხელოვნურობის დამღალავი სირთულისა და ახირებულობისაგან მისწრაფვის კარიკატურულად რეპროდუქტირებულ ბუშმენურ ნახატებისკენ, ზანგურ ცეკვათაკენ და სხვა, რაიც ბავშვის წინაშე დიდი ადამიანის იდიოტურ ენამოჩლექილად საუბარს მოგვაგონებს. არა, ეს არის მასების ჯანსაღი, შედარებითი პრიმიტივიზმი, რომელიც თავის გამოხატულებას ჰპოებს დ ე მ ი ა ნ ბ ე დ ნ ი ს პოეტურ შემოქმედებაში. მისი რიტმიკა, მისი ლექსების კილოც ხალხურ სიმღერათა კილოა და ამიტომ მრავალი მისი ლექსთაგანი შესულია ხალხურ სიმღერებში, იმღერება ქალაქსა და სოფლებში, არმიასა და ფლოტში, ცენტრსა და ფრიად შორეულ კუთხეებში. მისი ოდნავ უხეში, მარტივი ი უ მ ო რ ი ოდნავივე

სიეშმაკითურთ — უნებურ ღიმილს იწვევს; ხოლო მისი შინაგანი, ძეხასავით მაგარი სიმხნევე, მერცხალივით ჩვენი ქვეყნის ყველა კუთხეში სწრაფად მფრინავ მის ნაწარმოებთ ანიჭებს რევოლუციის, სიმტკიცისა და უძლეველობის რწმენის ჩანერგვის და მტკიცე ჩაგონების [illegible] ნი ხანდახან პოეტური განზოგადების დიდ მწვერვალებზედაც ადის. შესანიშნავია და დაუვიწყარი მისი „მთავარი ქუჩა“, სადაც ნევის პროსპექტის მასალის მიხედვით მოცემულია სრულფასეული და აღმაფრთოვანებელი სახეებით — მუშათა კლასის ბრძოლისა და გამარჯვების ისტორია. მაგრამ აქაც კი არ არის არავითარი „ლიტერატურშჩინა“: საოცარი სიმარტივე თვალწინ წარმოგვიდგება, როგორც მომწიფებული და თავის თავის რწმენის მქონე ოსტატობის ნიმუში. დ. ბედნის შემოქმედება ცოცხალი უკურღვევაა ეგრეთწოდებული „ტენდენციური“ პოეზიის წინააღმდეგ არსებული ცრურწმენისა, რომელიც ოდესღაც ძალიან ფართოდ იყო გავრცელებული, მიუხედავად ფრეილიგრატისა და ჰეინესი, ბარბიესი და ბერანჟესი. და ამავე დროს, ცოტა წინწასწრებით, ჩვენ აქ უნდა გამოვთქვათ ერთი კრიტიკული შენიშვნა, რომელიც შეეხება არა წარსულს, არამედ აწმყოს. ჩვენ ხომ ცოცხალ პოეტზე ვლაპარაკობთ, რომლის წინაშე ათასფრად ლივლივებს ეს აწმყო და რომლისთვისაც მომავლის კარები ღიაა. ჩვენ გვგონია, რომ პოეტი ახლა ანგარიშს ვერ უწევს ყველა იმ უდიდეს ცვლილებას, კულტურის გაუგონარ ზრდას, ყოფა-ცხოვრების გართულებას, გაძლიერებულ ტონუსს, მთელი საზოგადოებრივი ცხოვრების სხვა განზომილებებს. იგი ხელს ჰკიდებს ახალ თემებს, ყველაფერი დანარჩენი კი უცვლელი რჩება და კიდევ უფრო მეტიც: იგი თითქოს უფრო და უფრო ღრმად იჭრება ფოლკლორში. ამიტომ იგი ძველდება და აქ იმალება მისთვის აშკარა საფრთხე.

ჩვენი პოეზიის მეორე უმსხვილეს და პოეტური მხრით აშკარა ნოვატორულ ფიგურას წარმოადგენს ვ. მაიაკოვსკი. ამ დაუდეგარმა და ხორკლიანმა ტალანტმა, ქუხილისებური ხმის პატრონმა, გზა გაიკაფა პროლეტარიატისაკენ ნახევრადმეშჩანური ლიტერატურული ბოჰემის წრეებიდან; მან ყოველგვარ მცნებათა და კანონთა, წარსულის ყველა მშრალი ანდერძის წინააღმდეგ ფუტურისტული ამბოხებებით, მძლავრი მუშტებით გაიკვლია გზა პროლეტარული პოეზიის ბანაკისაკენ და მასში ერთერთი უპირველესი ადგილი დაიჭირა. რევოლუციის მღელვარე სტიქიაში, როდესაც მასებმა ქალაქთა მოედნებს მიაშურეს, როდესაც ინგრეოდა ყველა ძველი ბურჯი, ჩვეულებრივი წარმოდგენანი და მილიონთა ყიჟინამ აღავსო მთელი ჩვენი ქვეყანა — მაიაკოვსკიმ წინ წამოიწია, როგორც ქუჩის მძლავრმა ხმამ. „თვითნებობა და დაუდეგრობა“, ნგრევის დაძაბული პათოსი, რევოლუციური პროცესის ნახევრადანარქიული პერიფერია, რომელიც ჯერ კიდევ ვერ აელაგმა პროლეტარული ავანგარდის ფოლადისებურ მადისციპლინირებელ ნებისყოფას, — ენათესავე-

ბოდა ამ შფოთიან ადამიანს, რომელიც მთელი თავისი ვნებიანობა-ენერგიანობით გამოვარდა ბურჟუაზიული საზოგადოების საბურობიდან, გალიიდან. ოდნავ მოუხეშავმა და თითქოს გაუთლელმა, სამოქალაქო ომის ტყვიამფრქვევთა კაკანს ქვეშ, რევოლუციის ამ მუდამ ... ლომმა — იწყო თავისი სტრიქონების ჩამოსხმა, რომლებიც თითონ ისევე გაისმოდენ, როგორადაც ტყვიამფრქვევთა კაკანი. მათი მოკლე დარტყმა თავს ხვდებოდა, როგორც ნამდვილი დარტყმა. მთელი მისი მღელვარე, მთრთოლვარე, მოკლესიტყვიანი რიტმიკა, გაბედული და დაჯერებული, კლასიკური მუსიკალური პოეზიის თაყვანისმცემელ ქალებსა და ვაჟებს ურცხვ, თითქმის ხულიგნურ უხეშობად მიაჩნდათ. ნამდვილად კი ეს იყო ჭუჩის და მოედნის რიტმის ადეკვატური ანარეკლი, ანარეკლი რევოლუციური ნახევრად ქაოსის თავნება დინამიკისა, იმ ქაოსისა, რომლის წიაღშიაც სულ უფრო და უფრო მწიფდებოდა ახლად დაბადებული ახალი საზოგადოების ნაქედი, ორგანიზებული ძალა. მისი სახეები და მეტაფორები გვაკვირვებდა თავისი მოულოდნელობით და უჩვეულობით. იგი თავის გრძელ, დიდ, ბანჯგვლიან მკლავს ჩაყოფდა ხოლმე აფორიაქებული ყოფაცხოვრების ფსკერში და ამოჰქონდა პარადოქსული აფორიზმები, რომლებიც უცბად პოეტურად ცხოველდებოდენ მის გაბედულ ლექსებში. მას არ ეშინოდა მაღლა აეტაცნა და ხოტბა შეესხა იმისათვის, რაც ფეხიზელგონებიანებს „მეორეთ მოსვლად“ ეჩვენებოდათ. მისი „სამოედნო“ მუზა სჭექდა „მემარცხენე მარშით“, რომელიც სამუდამოდ დარჩება ამ გმირული ეპოქის შესანიშნავ პოეტურ ძეგლად; იგი ყველამ იცის და ყველა გრძნობს რევოლუციის მრისხანე მაჯისცემას:

Разворачивайтесь в марше!
Словесной не место кляузе...
Тише ораторы!
Ваше
Слово,
Товарищ маузер!
Довольно жить законом,
Данным Адамом и Евой.
Клячу истории загоним.
Левой!
Левой!
Левой!

მ ა ი ა კ ო ვ ს კ ი ს პოეზია ღრმად მომქმედია. იგი ყველაზე ნაკლებად „უანგარო“ და „ჰვრეტითია“ იდეალისტი ფილოსოფოსების ესთეტიკის აზრით: ეს წვეტიანი ისრების სეტყვაა, მიმართული მტრის წინააღმდეგ. ეს — ცეცხლმფრქვევი, ნაცრადმქცევი ლავაა, ეს საბრძოლო ბუკის ხმაა, რომელიც ბრძოლისთვის გვიხმობს. ინტერვენციის ხანებში მ ა ი ა კ ო ვ ს კ ი მ სახელი გაითქვა „სააგიტაციო“ ლექსებით, ხოლო იმის-

დამიხედვით, რამდენადაც საამშენებლო მუშაობა ჩაღდებოდა, მის მძლავრ ხმას საამშენებლო კილოც დაეტყო; შ რ ო მ ი ს პოეზიის ხელმძღვანელია მისი შემოქმედების ძირითადი შინაარსი. მ ა ი ა კ ო ვ ს კ ი დაუღალავად მუშაობდა სიტყვისთვის („бесценных слов транжир и лют") და თავისი აღშფოთების მთელი პათოსით თავს ესხმოდა მეშჩანურ ყოფაცხოვრებას, „კანარეიკას", რომელიც ყოფაცხოვრებითი სიყვითლის ნამდვილ სიმბოლოდ იქცა; იგი თავს ესხმოდა ბიუროკრატების დამყაყებულობასა და სილრჩუვეს, შეშჩანების იდეურ სიბლუვეს. ყირაყირა მიცვიოდენ მისგან მტრები, ხოლო იგი მრისხანედ წინ მიიწევდა; მისი პოეზია დასცინოდა, ყიჟინას სცემდა და იზრდებოდა ამ ძლიერი, დამაყრუებელი პოეტის, პროლეტარული რევოლუციის ნამდვილი მედოლის შემოქმედებითი მუშაობის პირამიდი. მ ა ი ა კ ო ვ ს კ ი მ იმდენად ბევრი რამ მისცა საბჭოთა პოეზიას, რომ იგი საბჭოთა „კლასიკოსი" გახდა. ასეთია ისტორიული „ბედისწერის" ბრძანება. მაიაკოვსკი ცოცხლობს თითქმის ყოველ ახალგაზრდა პოეტში და ლიტერატურაში სამუდამოდაა შესული მისი პოეტური შემოქმედების ხერხები

(დასასრული შემდეგ ნომერში)

ბიბლიოგრაფია

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მიხეილ ჯავახიშვილი

„ვეფხის ტყაოსანი“—კ. ჭიჭინაძის რედაქციით

(ფაბულა, სუჟეტი, კომპოზიცია) *).

ორიოდე თვის წინათ საქართველოს საბჭოთა მთავრობამ დაადგინა ორი წლის შემდეგ ძეგლი დაუდგას ქართული სიტყვის უდიდეს გენიოსს შოთა რუსთაველს, დაარსდეს მისი სახელობის სათანადო პრემიები, კათედრა და დადგენილ იქნეს „ვეფხის ტყაოსანის“ საბოლოო ტექსტი. დიდი ხანია რაც ასეთ ღირსეულ ზეიმს რუსთაველის სახელიც და ქართველი ხალხიც ელოდებიან, მაგრამ მისი მოწყობა მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დროს გახდა შესაძლებელი.

რამდენიმე წლის წინათ კულტურულმა კაცობრიობამ ბეთჰოვენის და გოეთეს ხსოვნას უდიდესი პატივი სცა და ამ ზეიმში საბჭოთა კავშირმაც მხურვალე მონაწილეობა მიიღო. ეს-ეს არის ასეთივე ზეიმი სპარსელ გენიოსს ფირდოუსს გადაუხადეს და საბჭოთა ხელისუფლებამ და საზოგადოებრიობამ უფრო მეტი პატივი დასდო მას, ვიდრე სხვებმა. ამას თვით სპარსული პრესა აღიარებს.

ეს გარემოება ერთხელ კიდევ ცხადჰყოფს იმას, თუ რა რიგად აფასებს ჩვენი ეპოქა უწინდელ კულტურას, და ამავე დროს მოვალედ გვხდის ეს კულტურა სავსებით გამოვიყენოთ, მისი წყალობით ჩვენი შემოქმედება გავანაყოფიეროთ და, თუ რუსთაველს არა, მის მომდევნო მგოსნებს მაინც ვაჯობოთ. ჯობნა კი მხოლოდ მაშინ შეგვიძლიან, როცა საერთოდ კულტურის უმაღლეს საფეხურს მივაღწევთ და ამავე დროს ჩვენს წინაპარ კლასიკოსებსაც საფუძვლიანად შევისწავლით. მათ შორის ყველაზე მეტად და ყველაზე ადრე რუსთაველია შესასწავლებელი.

ოდესღაც საგურამოში იშვიათ პაექრობას წავაწყდი: ახალგაზრდა მეცხვარე და წერაკითხვის უცოდინარი ხნიერი მჭედელი ერთმანეთს „ვეფხის ტყაოსნის“ ცოდნაში ეჯიბრებოდნენ და მთელ თავებს ზეპირად ამბობდნენ. ბოლოს მჭედელმა აჯობა. რამდენმა განათლებულმა ქართველმა იცის ამ ჟამად თუნდაც ორი თავი? ათმა თუ არც ერთმა?

---

*) იბეჭდება განხილვის წესით.

მწერალსაც და მის ნამოქმედარსაც საკუთარი ბედი აქვთ. ზოგისა (გოეთე, შილერი, პუშკინი, ტოლსტოი, ჰუგო, ბალზაკი და სხვა) ყველაფერი ვიცით: მისი ცხოვრება, ვინაობა, თარიღები და ... ყოველი წვრილმანი, ზოგისა კი (ჰომიროსის, შექსპირის, „ნიბელუნგების", „კალევალასი", „ვისრამიანისა" და სხვა ავტორებისა) თითქმის არაფერი. ზოგის საფლავიც კი დაკარგულია, ზოგისა ნამდვილი სახელი და გვარიც კი წაიშალა.

რუსთაველი უკანასკნელთა რიგს ეკუთვნის. მე გვერდს ავუქცევ მის ვინაობას, თარიღებს, და მხოლოდ „ვეფხის ტყაოსნის" ტექსტზე შევჩერდები. უბედურება ის არის, რომ არც ამ პოემის უდავო ტექსტი მოგვეპოვება. მისმა ავტორმა მრავალი სხვა გენიოსის ბედი გაიზიარა. მათ თავიანთი სათქმელი სთქვეს, მემკვიდრეებმა კი იგი უმწიკვლოდ ვერ შეინახეს, შემდეგ უნომრო დაფანტული ფურცლებივით მოაგროვეს, მათს დალაგებას საუკუნოები მოანდომეს და დიდ შედეგსაც მიაღწიეს.

თავისთავადაც ცხადია, რომ „ვეფხის ტყაოსანი" ჩვენს უცნობ წინაპრებსაც უთვალავჯერ უქექიათ, უწვალებიათ და მისი ნამდვილი სახის აღდგენა უცდიათ. შედეგად რამდენიმე ათეული ხელნაწერი და ე. წ. ვახტანგისეული ვარიანტი შეგვრჩა, რომელიც ამ ხელნაწერებისგან საკმაოდ განსხვავდება. მას შემდეგ მარი ბროსემ, ჩუბინიშვილმა, ქართველიშვილის გამოცემის რედაქტორებმა, ი. აბულაძემ და ს. კაკაბაძემაც შეიმუშავეს და დაბეჭდეს თავთავიანთი ვარიანტები, ხოლო ორიოდე თვის წინათ კ. ჭიჭინაძემაც მოგვაწოდა საკუთარი ვარიანტი.

მე ყველა ვარიანტების გარჩევას არ ვაპირობ, ვინაიდან ყველანი, გარდა ს. კაკაბაძისა, მეტნაკლებად ვახტანგის ვარიანტს ემყარებიან. მე მხოლოდ ორ დაბეჭდილ ვარიანტზე შევჩერდები და დანარჩენებს გვერდს ავუხვევ. ერთი მათგანი (ვახტანგისეული) ყველაზე უფრო გავრცელებულია, უფრო მოკლეც და მოძველებულიც, ხოლო მეორე (ჭიჭინაძისა) ყველაზე უფრო სავსეა და ახალგაზრდა.

მე სხვა მხრივაც უნდა შევზღუდო ჩემი თემა და უმთავრესი ყურადღება პოემის ფაბულას, სუჟეტსა და კომპოზიციას მოვანდომო.

ჩემთვისაც ცხადია, რომ „ვეფხის ტყაოსანს" ვიღაც უცნობმა მწვალებლებმა ნებსით და უნებურად მრავალი კორძი დაურთეს. ზოგმა რაღაც ტაეპი დაუმატა, ზოგს გადაწერის დროს რამდენიმე ტაეპი გამორჩა, ზოგმა გაუგებარი სიტყვა შეასწორა, ზოგსაც შემოქმედების საღერღელი აეშალა და ახალახალი ამბები წაუმატა. ერთ დროს ჭიჭინაძეს ეგონა, ეს დანამატი ყალბისმქნელთა ნაცოდვილევი კი არ არის, არამედ რუსთაველის ვარიანტებიაო. მან ბევრი საბუთი დაასახელა, რომელიც მისი გონების სიმახვილეს ააშკარავებს, და ისიც კი დაუმატა, რომ რუსთაველს იმიტომ ვერ გაუბედავდნენ შესწორებას და დამატებას, რომ მისი პოემა სახარებასავით შეუვალი იყოო.

თვითონ ამ საბუთს შეუვალობის ძალა არ აღმოაჩნდა, ვინაიდან თვითონ სახარებაც მრავალჯერ გადაუკეთებიათ და, რა თქმა უნდა, ცნობი მჯღაბნელი „ვეფ. ტყ.“-საც ადვილად შეჰკადრებდა. [illegible] ისტორიაში უამრავი ამგვარი შემთხვევა მოიპოვება. მაგალითად, 1614 წელს „დონ კიხოტის“ პირველ ნაწილს ვიღაც ანონიმმა მეორე ნაწილი დაადევნა და კიდეც გამოსცა.

კიდევ კარგი, რომ სერვანტესი ჯერ ცოცხალი იყო და ერთი წლის შემდეგ „დონ კიხოტის“ ნამდვილი მეორე ნაწილი გამოუშვა, თორემ შესაძლებელი იყო ავტორი ადრე მომკვდარიყო და ყალბი მეორე ნაწილი დავას გამოიწვევდა, რომელიც იქნება დღესაც არ დასრულებულიყო. თუ ცოცხალ ავტორს ასე უდიერად მოექცნენ, დიდი ხნის მიცვალებულ რუსთაველს რაღად მოერიდებოდნენ.

მაგრამ ამას თავს ვანებებ, ვინაიდან ჭიჭინაძემაც აღიარა უკანასკნელი შვიდი თავის სიყალბე, ვახტანგისეულ ვარიანტს ინდო-ხატაველთა ამბავი ჩაურთო და პრობლემა ახალნაირად დაგვიყენა. მიუხედავად ამისა, მისი თეორია ვარიანტებისა მაინც ცოცხალია. სიტყვას თვითონ ჭიჭინაძეს ვაძლევ. სწერს: „საკვირველი ის იქნებოდა, რომ „ვეფ. ტყ-ნი“ მის ავტორს უვარიანტოდ დაეწერა. მსოფლიო ლიტერატურა აუარებელ მაგალითს იძლევა იმისას, თუ როგორ ახდენდენ მწერლები თავიანთი ნაწარმოების გადაკეთებას. მაგალითად ვოლტერი თავის უკვე დადგმულ პიესებს სწერდა ხელახლა; ვარიანტები აქვს ჰამლეტს და ფაუსტს; გოგოლის „რევიზორს“ აქვს ხუთი ძირითადი ვარიანტი; ლერმონტოვის „მასკარადი“ და განსაკუთრებით „დემონი“ ყველასათვის ცნობილია თავიანთი ვარიანტებით; ტოლსტოის ჯერ მოფიქრებული ჰქონდა შედარებით პატარა მოთხრობა „დეკაბრისტები“, ხოლო მასალების ძებნის დროს მოთხრობის პირველი ქარგა გააფართოვა და აქედან „ომი და ზავი“ გამოვიდა.

ქართულ მწერლობაში ცნობილია ამ მხრით ილია ჭავჭავაძე („აჩრდილი“). მიხ. ჯავახიშვილი ჩვენს თვალწინ ასწორებს თავის მოთხრობებს. შეიძლება ითქვას, რომ ლექსის არც ერთი ტაეპი უვარიანტოდ არ ყალიბდება, მხოლოდ ზოგიერთი პოეტი ინახავს ამ ვარიანტს, ზოგი კი არა“.

მე ამ სიას „კალმასობას“, „ვისრამიანს“, საბა სულხან ორბელიანს და თითქმის იმდენ მწერალს დაუმატებდი, რამდენიც, მთელ კაცობრიობას მოეპოვება. ამ სიის გაგრძელებას ყველა შესძლებს, პირუკუღმა სიის შედგენა კი ძალიან გაძნელდება.

მართლა ყოვლად დაუჯერებელია, რომ რუსთაველს მრავალჯერ არ შეესწორებინოს თავის უძვირფასესი პოემა და რამდენიმე ვარიანტი არ გაევრცელებინოს. საოცარი მხოლოდ ის არის, რომ ჩვენმა მკვლევარებმა ეს ჭეშმარიტება ჭიჭინაძემდის არ აღნიშნეს, ყოველ შემთხვევა-

ში ვარიანტების არსებობას ანგარიში არ გაუწიეს და უკლებლივ ყველა სადავო ალაგი ყალბისმქნელებსა და გადამწერთა შეცდომას მიაწერეს.

ზოგნი იმასაც ამბობენ, საერთოდ ვარიანტები მასშემლეგ გავრცელდა, რაც წიგნის ბეჭდვა დაიწყო, უწინდელი პოეტი კი უკვე დამთავრებულსა და გავრცელებულ ტექსტს ხელახლა აღარ დაუბრუნდებოდაო.

არც ეს არის მართალი. ხელნაწერების ვარიანტები უწინაც ვრცელდებოდა. მნიშვნელობა სტამბას კი არა აქვს, არამედ შემოქმედების ფსიქოლოგიის კანონს, რომელიც ამ მხრივ დღესაც უცვლელი დარჩა. გენიალური ნაწარმოების გენიალობას სხვებზე უკეთ თვითონ ავტორი გრძნობს და ერთ ხანს იმის მონობაშია. მას არ შეუძლია უკანასკნელი სტრიქონის დაწერის შემდეგ სამუდამოდ მიანებოს მას თავი. მისი უძვირფასესი ნახელავი მრავალი წლობით აწვალებს თავის შემომქმედს, რომელიც პირვანდელ ტექსტს კვლავ ასწორებს, უმატებს და აკლებს. აქედან იბადება მეორე და მეხუთე ვარიანტიც. სანამ პოეტი უკანასკნელ ვარიანტს დასწერდა, პირველი თუ მეორე ვარიანტი უკვე ვრცელდებოდა. შემოქმედებას საკუთარი ლოლიკა აქვს და ვინც მას შეედავება, ის მალე გაამჟღავნებს თავის ულოლიკობას.

მაშ მტკიცედ უნდა ვაღიაროთ, რომ 1) „ვეფ. ტყ-ნი“ უცნობ-ნაცნობ ავტორებს თავიანთი დანამატებით და ჩანართებით შეურყვნიათ, რომ 2) არსებობს რუსთაველის მიერ დაწერილი ვარიანტები, და 3) გადამწერებსაც ნებსით და უნებურად მრავალი შეცდომა შეუტანიათ.

ზოგის აზრით ვახტანგის მიერ დაარსებულ კომისიას მეტად გრძელი მაკრატელი სჭერია. მიუხედავად ამისა ის უცნობი რედაქტორები ავად მოსახსენებელნი არ არიან, ვინაიდან, ვინ იცის, იქნება მაკრატლის მაგიერ წინ დაბეჭდილი „ვეფ. ტყ-ნის“ იდენტური ტექსტი ედოთ და იგი გამოიყენეს. ხომ არსებობს „ვეფ. ტყ-ნის“ უნიკუმი ვარიანტები. შესაძლოა ისიც უნიკუმი იყო, შესაძლოა თვითონ ვახტანგმა ან სხვა ვინმე ლტოლვილმა გაიყოლა რუსეთში და ისიც გადასახლებულთა დანარჩენ წიგნებთან ერთად დაიკარგა.

უფრო მეტს მოგახსენებთ: მე შესაძლებლად მიმაჩნია, რომ ვახტანგისეული ვარიანტი სხვა ვარიანტებზე უფრო ნაკლებ იყოს დამახინჯებული. მაგრამ თუ ამას დავიჯერებ, მაშინ ისიც უეჭველად უნდა დავიჯერო, რომ იგი შოთას პირველი შეუსწორებელი ვარიანტია, ვინაიდან სიმწიფეში შესული პოეტი დედანს არ შეამოკლებდა, პირიქით, უფრო შეავსებდა, ე. ი. პოემის სუჟეტურ ხერხემალს უფრო გაამაგრებდა. ჩვენ ქვემოდ დავინახავთ, რომ ჭიჭინაძის ვრცელ ვარიანტს გაცილებით უფრო ჭკვრივი, უფრო უკეთ შეკრული კარკასი აქვს, ვიდრე ვახტანგისეულს,

ამიტომ რუსთაველის გენიას ის ვარიანტი უფრო შეჰშვენის, რომელიც უკეთესია.

ნამდვილი დაბოლოების მძებნელმა თავდაპირველად პოემის მკვრივი ფაბულა, სუჟეტის გახსნის ხერხები, კომპოზიციის [illegible] პროპორციის ალნაგობა უნდა ალადგინოს. მაშ ჯერ ვასტანგისეული „ვეფ. ტყ-ნის“ შინაარსი გავიხსენოთ და ზოგი მისი რგოლი და ტოტი ზედმიწევნით დავიხსომოთ.

არაბეთის მეფეს როსტევანს თავის ერთა თინათინი ტახტზე აჰყავს. ამ ზეიმის დროს ნადირობაც იმართება. ნადირობის დროს ვინმე უცხო ვეფხის ტყაოსან კაცს შეჰხვდებიან. როსტევანს მისი ნახვა სწადიან, მაგრამ ტარიელი არ დაემორჩილება, მონებს დაუხოცავს და უგზო-უკვლოდ დაიკარგება. თინათინი იმ უცხო ყმის პოვნას თავის მიჯნურს ავთანდილს ავალებს. ბევრი ძებნის შემდეგ ავთანდილმა ტარიელი იპოვა.

ტარიელი ავთანდილს მეტად დაწვრილებით უამბობს თავის ვინაობას და თავგადასავალს. ის ინდოეთის ამირბარია. მისი მამა სარიდანი ინდოეთის ერთ მეშვიდედს ჰფლობდა. იგი ბოლოს ფარსადანს დაულოცა, რომელსაც დანარჩენი ინდოეთი ეკუთვნოდა. ფარსადანმა სამაგიეროდ სარიდანის ერთა ტარიელი ამირბარად დანიშნა, იშვილა და მ ე მ კ ვ ი დ რ ე დ გ ა ზ ა რ დ ა.

ფარსადანმა თავის ერთა ქალის ნესტან დარეჯანისთვის ხვარაზმშას ვაჟი სთხოვა სასიძოდ და ინდოეთში გასამეფებლად. ტარიელი აფორიაქებულია: მას მიჯნურს და ტახტს ართმევენ. ის ეუბნება ნესტანს, შენს თავსა და ი ნ დ ო ე თ ი ს ტ ა ხ ტ ს ა რ ა ვ ი ს დ ა ვ უ თ მ ო ბ ო, და მუქარაც მაშინვე მოჰყავს სისრულეში — მეტოქეს თავით ბოძს მიაწყვეტს და მოჰკლავს. მეფის დამ დავარმა ნესტან დარეჯანი უგზო-უკლოდ გადაჰკარგა და თვითონ თავი მოიკლა.

მეფემ ტარიელს შეუთვლა, თუ ჩემი ქალი გიყვარდა, რატომ ადრევე არ მითხარიო. ტარიელმა უპასუხა: მე შენი ქალი ცოლად არ მინდა, ვისაც გინდა მიეცი, ხოლო ი ნ დ ო ე თ ი ს ტ ა ხ ტ ს მ ე ა რ ა ვ ი ს ა რ დ ა ვ უ თ მ ო ბ, ი გ ი ჩ ე მ ი ა, ხოლო ხვარაზმშაჰის შვილი იმიტომ მოვკალი, რომ ი ნ დ ო ე თ ი ს მ ი ც ე მ ა ს უ პ ი რ ე ბ დ ი ო. ამის შემდეგ ტარიელი ნესტან დარეჯანის ძებნას შეუდგა. მას მრავალი თავგადასავალი გადაჰხდა და ბოლოს ავთანდილს შეჰხვდა, რომელმაც ის გამოქვაბულში იპოვა. ნესტან დარეჯანსაც ბევრი ამბავი გარდაჰხდა და ბოლოს ქაჯეთის ციხეში აღმოჩნდა. ბოლოს ავთანდილი, ტარიელი და ფრიდონი ამ ციხეს თავს დაესხნენ, აიღეს და ნესტან დარეჯანი გაანთავისუფლეს.

ჯერ აქ შევჩერდეთ. თვალის ერთი გადავლებით პოემა აქ უნდა დასრულებულიყო. „მათ ერთმანეთსა აკოცეს, სდგანან ყელ-გარდაჭდობილნი“. სუჟეტური რკალი შეკრულია. მიზანი მიღწეულია. ავტორს ესოდენი

თავგადასავალი და დაახლოვებით 1500 ტაეპი იმისთვის დასჭირდა, რომ ტარიელსა და ნესტანს ყელი ყელსა გარდაეჭდოთ. დანარჩენი თვისთავადაც იგულსხმება: რაინდები შინ დაბრუნდებიან, ავთანდილი ფატმანს შეირთავს, ტარიელი — ნესტანს (და ტახტსაც დაიბრუნებს). ბოლოს ავტორი თავისივე აფორიზმით გაიმართლებდა თავს: გრძელი სიტყვა მოკლედ ითქმისო. მაგრამ „სიტყვა სხვაა, საქმე სხვა, შუა უზის დიდი ზღვარი“.

მკვლევარს და მკითხველს მუდამ უნდა ახსოვდეს, რომ „ვეფხის ტყაოსანი“ სანიმუშო რომანია, რომელიც რამდენიმე პარალელურ მოთხრობას, რამდენიმე თემას და რამდენიმე კომპოზიციურ მეთოდს შეიცავს, და ყოველ მათგანს საკუთარი სათავე, საკუთარი გეზი და საკუთარი ბოლო აქვს. ამ უდავო ჭეშმარიტებას ქვემოთაც გაგახსენებთ, ახლა კი რუსთაველის თხრობის ხერხი უნდა გაგახსენოთ. ავტორი ყოველ ამბავს — მსხვილსაც და წვრილსაც — გრძლად აგვიწერს და ამიტომ ჩემ მიერ ნახმარი სიტყვები „რკალი შეკრულია“ და „დანარჩენი თავისთავადაც იგულისხმებაო“ — რუსთაველის მიერ სუჟეტის გახსნის მანერას და კომპოზიციის სტილს სულაც არ შეეფერება. პოეტი არსად არ ენდობა მკითხველს. ის დაწვრილებით აგვიწერს ყველაფერს და მცირე ხვრელებსაც კი გულმოდგინედ ავსებს, რათა მკითხველს ულოლიკობის ეჭვიც კი არ დაებადოს და სუჟეტში ოდნავი ბზარიც არ გამოჩნდეს. ახლა ისიც გაიხსენეთ, რომ რუსთაველი მეორე რიგის გმირებსაც (ასმათს, ფატმანს და სხვ.) მეტად სათუთი ყურადღებით ეპყრობა, და ამიტომ მოთხრობის გრძელ ჯაჭვს შუა გზაზე ამ რგოლებს არ გამოაცლიდა. გარდა ამისა პოეტს ყველგან საოცრად უყვარს და გენიალურად ეხერხება აწერა ზეიმის, სიხარულის, ბედნიერებისა, და ამიტომ სწორედ მაშინ არ გაათავებდა პოემას, როცა უდიდესი საამისო საბაბი მიეცა. უმთავრესი კი ის არის, რომ პოემა თავიდანვე ორი რკალისაგან შესდგება. ერთი დიდი რკალია, მეორე კი მცირე, და მცირე რკალის ზოგი რგოლი დიდ რკალშია ჩახლართული.

ისევ მოთხრობას გავყვეთ. ნესტანის განთავისუფლების შემდეგ პოემის გმირები ჯერ ფრიდონთან წამოვიდნენ, შემდეგ ტარიელის ქვაბში მივიდნენ, იქიდან საჭურჭლე წამოიღეს და მერმე როსტევანს ესტუმრნენ. აქ ავთანდილმა და თინათინმა იქორწინეს. აქედან გმირები ინდოეთს მიდიან. ტარიელი ტახტზე ავიდა. „ერთგან სამთავე ძმობილთა დაჰყვეს ცოტაი დღენია“, „სმა, პურობა, გახარება ჰქმნეს, ჯალაბი გაადიდეს, ვითარიცა ქორწინობა ჰხამს, ეგეთსა გარდიხდიდეს“. ფრიდონი და ავთანდილი ერთმანეთს გამოეთხოვნენ და ერთგან

„გზამან გაჰყარნა, წავიდეს თავისთავ ანატირენი“.
„მათ სამთავე ხელმწიფეთა ერთმანეთი არა სძულდეს“
„ყოვლთა სწორად წყალობათა ვითა თოვლსა მოათოვდეს“...
„შიგან მათთა საბრძანისთა თხა და მგელი ერთად სძოვდეს“.

ვახტანგისეულ და ჭიჭინაძისეულ „ვეფ. ტყ-ნში“ აქ თავდება რომანი, იქ იკვრის მეორე და საბოლოო სუქეტური რკალი. პოემა აქ თავდება და სადავოც ახლა იწყება. მტკიცედ შეკრული სუქეტური ამბავი ადრევე გათავდა და დაიწყო მგზავრობა, ზეიმი, ქორწილები, წყალობის გაცემა და საერთო სიხარული. ეს ერთფეროვანი უღერძო შინაარსი მეორე რკალისა უფრო ელვარე გვირგვინია პოემისა, ვიდრე სუქეტური რკალი. მას ვახტანგისეული ვარიანტის რედაქტორებმა ის სუსტი ღერძიც კი გამოაცალეს, რომელიც მეორე რკალის ფაბულას სიმკვრივეს აძლევდა. სად არის ეს ღერძი? დაეყრდნო რა ყველა ხელნაწერს, ჭიჭინაძემ იგი იმ ალაგას შეუდგა, ოდეს ინდოეთისკენ მიმავალმა გმირებმა სამ თვეს ვლეს და

„მინდორსა შინა სადილად გარდახდეს უდილადოსა,
ვითა მართებდა, პურობდეს, ღვინოსა სვემდეს არ დოსა“.

და უცებ სულ მოულოდნელად (ვახტანგისეული რედაქციით)

„ტარიელსა და ცოლსა მისსა მიჰხვდა მათი საწადელი“

. . . . . .

„ბუკსა ჰკრეს და მეფედ დასვეს, ქოსნი ხმათა დაატკბობდეს“.

პოეტმა მინდორში სადილად დამჯდარი ტარიელი ელვის სისწრაფით გადააფრინა ინდოეთს და სამეფო ტახტზე დააბრძანა. დაუჯერებელია! არა, ეს რუსთაველი არ არის. ამგვარს უცაბედს ნახტომს ის არა სჩვევია. მის მხატვრულ ხერხებში ასეთი სალტო-მორტალე არა სწერია. ვიღაც უცნობმა რუსთაველის მკაფიოდ გამოკვეთილი სისტემა სუქეტის გაშლისა უხეშად დაარღვია. აქამდის რუსთაველს პოემა ურმით მიჰყავდა, ახლა კი ჰაეროპლანზე გადაჯდა. არა თვითონ კი არ გადაჯდა, ვიღაც უცნობმა გადასვა და ერთი სტრიქონის წყალობით ტარიელი მინდვრიდან ტახტზე ააყვანინა, ხოლო ტახტსა და მინდორს შორის, სადაც პოემის გმირები არხეინად „ღვინოს სვემდეს არ დოსა“, უგანიერესი და უღრმესი ხრამი დარჩა. არა მეთქი, ამგვარი ქანცგამოლეული ხერხი რუსთაველს აზრადაც არ მოუვიდოდა, ვინაიდან იგი ჯერ არსად არ უხმარია და რაღა იქ უნდა ეხმარა, სადაც მეორე რკალის ღერძი იწყება!?

ამ ღერძის მოსაძებნად ჭიჭინაძემ სწორი გზა აირჩია: ურემს ხელი არ გაუშვა და იკითხა, რად შეაჩერა მინდორში პოეტმა ძმადნაფიცები და მათი ლაშქარი? რად აჭმევს მათ „მინდორსა შინა სადილს?“ ისევ ჭიჭინაძეს ვაძლევ სიტყვას:

„ინდოეთისაკენ დიდი ლაშქრის თანხლებით მიმავალ რაინდებს წინ შემოეყრება შავებით შემოსილი ვაჭართა ქარავანი. ისინი გამოელაპარაკებიან ამ ვაჭრებს. ეს ვაჭრები ინდოეთში სავაჭროდ წასული ეგვიპტელები ყოფილან და ახლა შინ ბრუნდებიან. არაბულ ენაზე უამბობენ

ტარიელსა და მის მხლებლებს, რომ მათ შავები აცვიათ იმ წესის გამო, რომელიც ახლა შემოღებულია ინდოეთში, ვინაიდან ამ ქვეყანას უდიდესი უბედურება დასტეხია თავს. ვაჭრები სქემატურად უამბობენ ტარიელსა და ნესტან დარეჯანს მათსავე ამბავს: ინდოეთის [illegible] მეფეს ფარსადანს ჰყავდა ქალი „მნათობი მზისაცა უფრო მზიანი". ამ ქალსა და ინდოეთის ამილბარს ერთმანეთი შეუყვარდათ. „ამილბარმა სიძე მოკლა" და მას მოჰყვა მთელი უბედურება. ქალი გადაჰკარგა გრძნეულმა მამიდამ და თვითონ თავი მოიკლა. „ცნა ამილბარმან, წავიდა ლომი მის მზისა მძებნელად". ორივენი დაიკარგენ უკვალოდ, რამაც უდიდეს მწუხარეობაში ჩააგდო მეფე ფარსადანი. მეფე დარდისაგან გარდაცვლილიყო. ამ სიტყვების გაგონებაზე ნესტან დარეჯანმა და ტარიელმა მოთქმა დაიწყეს. ვაჭრები შედგნენ და დაიბნენ. მაგრამ მათ აცნობეს თუ რაში იყო საქმე, და სთხოვეს ეამბნათ ინდოეთის დანარჩენი ამბავი. ვაჭრებმა უპასუხეს, რომ ინდოეთში ამჟამად დიდი ომია ატეხილი. ინდოეთს თავს დასხმიან ხატაელები, სწორედ ის რამაზ მეფე, რომელიც ისე სასტიკად დაამარცხა ოდესღაც ტარიელმა. ინდოეთი განადგურების პირზე ყოფილა მისული. რაინდები თავიანთი ლაშქარით სწრაფად გაეშურებიან წინ — „ეჯა სამ დღე წასავალი ერთსა დღესა წაიარა". ტარიელი ზურგიდან მოულოდნელი თავდასხმით დაამარცხებს ხატაელებს და ძლევამოსილი მიუახლოვდება სასახლეს, საიდანაც მის შესახვედრად გამოდიან სიხარულით და მწუხარებით ატირებული ქვრივი დედოფალი — დედა ნესტან დარეჯანისა — და დიდებულები. დედოფალი გასცემს ბრძანებას შავების ახდის შესახებ და გაიმართება დიდი ზეიმი და ქორწილი. აი ეს არის „ვეფ. ტყ-ნის" ამბავის ბუნებრივი დასრულება. აქ ყველაფერი ახსნილია, ყველაფერი ნათლად სჩანს, მოთხრობის რკალი ბოლომდეა მიყვანილი და მტკიცედ შეკრული".

აი მართლა სად გამოჩნდა მცირე რკალის მკვრივი სუჟეტური ღერძი! აი სად გამოჰყო თავი რომანის კომპოზიციის კანონმა! პირმორღვეული ამბავი ხელახლა გამთელდა. ხრამი ამოივსო. ბილიკზე გადასული თხრობა კვლავ შარაზე გადმოვიდა. მკაფიოდ გამოკვეთილი სისტემა სუჟეტის გაშლისა ისევ თავის კალაპოტშია ჩამდგარი. ამ სამი თავის გამდევნელთ იგი ყურმოთრეულ ამბავად მოეჩვენათ. ისინი მთელ პოემას მეორე ღერძს აცლიან, რაშს სამ ფეხზე სტოვებენ და ჰგონიათ, ეს რაში ოთხფეხიანზე უკეთ გაიქცევაო. მაგრამ რაში ჯაგლაგად იქცა და თავჩაქინდრული გაჩერდა. ქაჯეთის ციხის აღების შემდეგ ზედი-ზედ გაბმული ზეიმების და ქორწინების მეოხებით დინამიურობა შესწყდა. მოქმედება შენელდა და პოემის ბოლო ნაწილს მოსაწყენი ერთნაირობა დაეტყო, ხოლო ინდოხატაველთა ამბავმა ჯაგლაგი ისევ რაშად აქცია, მეოთხე ფეხი გაუმთელდა და მინელებული ძარღვი გაუცოცხლა

ეს ამბავი ორგანიული განუყოფელი ნაწილია პოემის. დააკვირდით ამ რომანის ფაბულას. რკალები რომ დავაწვრილოთ, ორის მაგიერ შესაძლოა ოთხი რკალი აღმოჩნდეს: 1) თავგადასავალი ავთანდილისა, რომელიც ტარიელს დაეძებს; 2) [illegible] ტარიელისა, რომელიც ნესტან დარეჯანს დაეძებს; 3) თავგადასავალი ნესტან დარეჯანისა, რომელიც განთავისუფლებას და მიჯნურის პოვნას ელოდება; 4) როცა ნესტან დარეჯანს დაიხსნიან, პირველი სამი რკალი შეიკვრება და სამაგივროდ ორი ახალი რკალი გაჩნდება: 1) ნაყოფი მიღწეულის მიზნისა (ზეიმი, ქორწილი), რომელიც ჭარბად აგვიწერა პოეტმა, და 2) ტარიელის მიერ ტახტის ძიება, რომელსაც ვახტანგის ვარიანტი საქრონიკო შენიშვნასავით ორიოდე სტრიქონში გვატყობინებს — რა მოხდაო, ჭიჭინაძის ვარიანტი კი იმავე ამბავს მხატვრულად ართულებს, ასაბუთებს და ასურათებს იმას, რა მოხდა და როგორ მოხდაო. ვახტანგის ვარიანტს აი ეს „რა და როგორ“ აკლია, და უმთავრესიც სწორედ ეს არის, ვინაიდან მხატვარს მემატიანისგან ამ სუჟეტური ქსოვილის მოქარგვა და „ჩვენების“ ოსტატობა ანსხვავებს.

მთელი პოემა აღნაგობით გუმბათიან ტაძარს ჰგავს. გუმბათის როლს ტარიელის მიერ ინდო-ხატაველთა ამბავი ასრულებს. ვახტანგმა კი ეს გუმბათი მოსჭრა, მის მაგიერ ხახვის ოდენა ბოლქვი დაადგა („ბუკსა ჰკრეს და მეფედ დასვეს“) და ყველაფერი დაარღვია — საერთო სტილიც, მხატვრული ალღოც, კომპოზიციის მთლიანობაც, პროპორციის გრძნობაც და რომანის ელემენტარული წესიც.

ჭიჭინაძემ ხაზგასმით გაგვახსენა, რომ უმთავრესი გმირი რომანისა ავთანდილი კი არ არის, არამედ ტარიელია. აგრეა, უდავოა, და ისიც უდავოა, რომ პოემის დედა-ღერძიც ტარიელის თავგადასავალია, რომელიც ვახტანგმა ან სხვა რედაქტორმა უალაგო ალაგას გასწყვიტა და ჯაჭვივით მონადენი თხრობა წვრილი ძეწკვით დაასრულა. არაფერს არ ნიშნავს ის გარემოება, რომ მოთხრობა ავთანდილის ამბავით იწყება. ეს მხოლოდ კომპოზიციური ხერხია და მეტი არაფერი.

მართალია „ვეფ. ტყ-ნი“ უმთავრესად რაიდობისა და მიჯნურობის კულტზეა აშენებული, მაგრამ პოემაში მესამე ხაზიც მოსჩანს. დავარქვათ მას ილია ჭავჭავაძის ტერმინი „მამულიშვილობა“ ამ სიტყვის ვიწრო ეგოისტური მნიშვნელობით. პოემა უაღრესად ლეგიტიმისტურია. „ვინცა მოკვდეს მეფეთათვის, სულნი მათნი ზეცას რბიან“. მაგრამ იმავე დროს მარტო მეფეთათვის კი არა, მეფობისთვისაც იხოცებოდნენ. ტარიელი ტახტის მემკვიდრეა, გარემოებამ კი ტახტის მაძიებლად აქცია. სანამ ნესტან დარეჯანის საძებრად წავიდოდა, ფარსადან მეფეს შეუთვალა:

ერთიღა მე ვარ მემკვიდრე წინაშე თქვენსა მდგომი,
სამართლად ტახტი უჩემოდ არვისად მისახდომია.
ვერ გათნევ, თქვენმან კეთილმან, ან ეგე არ მართალია:
ღმერთმან არ მოგცა ყმა-შვილი, გიზის ერთაი ქალია,
ხვარაზმშა დაჰსვა ხელმწიფედ, „დამრჩების რა ნაცვალია?
სხვა მეფე დაჯდეს ინდოეთს, მერტყას მე ჩემი ხრმალია?!
შენი ქალი არად მინდა, გაათხოვე, გამარიდე,
ინდოეთი ჩემი არის, არვის მივსცემ ჩემგან კიდე.
ვინცა ჩემსა დამეცილოს, მისით მასცა აღმოვფხვრიდე.
სხვად მეშველსა გარეგანსა მომკალ ვისცა ვინატრიდე.

ნათლად და მტკიცედ არის განცხადებული, ინდოეთი ჩემიაო. მაგრამ ტარიელს ჯერ არ სცალია. სიყვარულმა ათი წლით დაჩრდილა ტახტი და როცა ტარიელმა მიჯნური იპოვა, რა თქმა უნდა, ტახტი უწინდელზე უფრო მეტად მოენატრებოდა. ვახტანგმა არ დაიშურა იგი და ჩალის ფასად მიაჩეჩა, თითქოს იმ ათ წელიწადში არაფერიც არ მომხდარიყოს და მთელი ინდოეთი სულ ტარიელის მოლოდინში ყოფილიყოს, რათა ის ტახტზე აეყვანათ.

ამ ვარიანტის რედაქტორებს დაავიწყდათ, რომ ინდოეთში ისიც კი არავინ იცოდა, ცოცხალი იყო ტარიელი თუ მკვდარი, მაშასადამე არც მის მოლოდინში იქნებოდნენ და არც ტახტს შეუნახავდნენ. გარდა ამისა, მეფე ვახტანგსა და მის მწიგნობრებსაც ჩვენზე უკეთ უნდა სცოდნოდათ, რომ ყოველ ტახტს სისხლით გაჟღენთილი ლოღიკა აქვს და რომ ტარიელი მხოლოდ მახვილით და გმირობით უნდა ასულიყო ტახტზე. რატომ? რისთვის? თუნდაც მხოლოდ იმისთვის, რათა ტარიელს ახალი „მამულიშვილური“ საგმირო საქმე ჩაედინა: მტერი დაემარცხებინა, დაპყრობილი სამშობლო გაენთავისუფლებინა, უწინდელზე უფრო მეტად განდიდებულიყო, ხალხის სიყვარული დაემსახურებინა, განყენებული სამემკვიდრო უფლებებისათვის ასჯერ უფრო მეტად ღირებული რეალური „საქმენი საგმირონი“ დაემატებინა და ტახტის ღირსთა-ღირსი გამხდარიყო.

საოცარია: რა ადვილი გასაგებია, რა ნათლად მოსჩანს ეს რკინის ღერძი პოემის უკანასკნელი რკალისა (ან მესამე „მამულიშვილური“ ხაზისა) და რა ადვილად გაეპარათ იგი ვახტანგის რედაქტორებს, რომელთაც, რა თქმა უნდა უნებურად, ტარიელის გმირობა დააქვეითეს, გაანახევრეს.

მეტყვიან, მარტო სუჟეტურ-კომპოზიციური ანალიზი არა კმარაო. მე კი ვფიქრობ, რომ იგი მანამდის მაინც კმარა, სანამ მის ულმობელ ლოღიკას ვინმე არ დაარღვევდეს. მაგრამ ნურც ამას ვიკმარებთ და ისევ ჭიჭინაძეს გავყვეთ. სწერს: „პოემის ძირითად ტექსტში რამდენიმე ადგილიდან აშკარად სჩანს, რომ ინდოეთი დიდ განსაცდელში იმყოფება. მას მტერი დასხმია თავს და, ვიდრე ეს მტერი დამარცხებული არ იქნება, ზემეტია ლაპარაკი ტარიელის გამეფებაზე“.

მე უკვე აღვნიშნე, რომ ტარიელი ტახტის მემკვიდრეა და ტახტს ეჭიდება, ისიც აღვნიშნე რა ხერხს მიმართავს რუსთაველი, რათა ტარიელი ერთხელ კიდევ განადიდოს და ტახტის ღირსი გახადოს. ჭიჭინაძე უდავო ტექსტში პოულობს იმის საბუთებს, რომ ინდოეთი დაჭორწილებულია და ტარიელი მის დასახსნელად უნდა წავიდეს. ნესტან დარეჯანი ქაჯეთის ციხიდან სწერს ტარიელს:

წადი ინდოეთს, მიმართე, არგე რა ჩემსა მშობელსა,
მტერთაგან შეიწრებულსა, ყოვლგნით ხელაღუპყრობელსა.

გარდა ამისა, ავთანდილი მოითხოვს, რომ ყველანი ინდოეთს წავიდენ:

ვარ მუცლითგანვე დედისა თქვენად სამონოდ შობილი,
ღმერთმან მუნამდის მიწა მყოს, ვირ მეფე იყო ცნობილი.
. . . . . .
გვერცავე გეჯდეს მნათობი, პირი ელვათა მკრთომარე,
მებრძოლნი თქვენნი მოგესრნეს, არვინ ჩნდეს მუნ მეომარე.

ავთანდილისა და თინათინის დაქორწინების შემდეგ ტარიელმა ავთანდილი როსტევანს მიუგზავნა და

შესთვალა: „შენი სიახლე კმა ჩემად ლხინად ყოველად,
მტერთა აქვს ჩემი სამეფო, ვიცი მუნ შიგან მძოველად.
. . . . . .
წავიდე, ავი არ მიყოს მე აქა დაყოვნებამან“.

როსტევანმა უპასუხა:

ავთანდილ თანა წამოგყვეს, წადით ლაშქრითა დიდითა.
თქვენთა მტერთა და ორგულთა დაჰფრეწდით, დაცასჭრიდითა.

ამის შემდეგ ავთანდილმა

შეჰყარნა სპანი, არაბეთს აღარა ხანდაზნულია,
კაცი ოთხმოცი ათასი ყველაი დაკაზმულია.

მაშ ასე: რომანის ყველა გმირებმა იციან, რომ ინდოეთი „მტერთაგან შეიწრებულია“; ტარიელიც ამბობს, უნდა წავიდე, რადგან „მტერთა აქვს ჩემი სამეფო“; ავთანდილი მოითხოვს, ჯერ ინდოეთს წავიდეთ, დავიხსნათ იგი და მერმე ვიქორწინებო; როსტევანიც ურჩევს: „წადით ლაშქრითა დიდითა, თქვენთა მტერთა და ორგულთა დაჰფრეწდით, დაცასჭრიდითა“. ბოლოს ოთხმოცი ათასი მეომარი შეჰყარეს და სალაშქროდ წავიდნენ — დიაღ, სალაშქროდ, და არა სასეირნოდ და სალხინოდ.

კმარა. ყოველივე ცხადზე უცხადესია.

ჩეხოვი ამბობს, თუ მოთხრობის დასაწყისში ნათქვამია, კედელზე დამბაჩა ჰკიდიაო, მოთხრობის დასასრულს ეს დამბაჩა უცილობლივ უ-ნდა გავარდეს. ეს ანბანური ჭეშმარიტება რუსთაველმაც კარგად

იცოდა და პოემის კედლებზე დამბაჩები კი არა, ზარბაზნები ჩამოჰკიდა, მაგრამ ვიღაც უცნობი რედაქტორის მეოხებით არც ერთი არ გადარდა. ხელნაწერებში კი ამ ზარბაზნებმა თავის დროზე და თავის ალაგას დაიქუხეს, იმისთვის დაიქუხეს, რომ ტარიელს ხატაველნი დამბარცხებინა, ინდოეთი ეხსნა და ამ გზით ასულიყო ტახტზე.

1712 წელს დაბეჭდილი „ვეფ. ტყაოსანი“ კლდესავით დააწვა შემდგომ მკვლევარებს და შემოქმედების თაოსნობა შეეხუთა. ტრადიცია სასარგებლო რამ არის, მაგრამ არა მუდამ და არც ყველაფერში. დროა ვიკითხოთ, ნუთუ 222 წელიწადში (1712 — 1934) ვახტანგისეული რედაქციის ხუნდებს თავი ვერ დავაღწიეთ? (მე ინდო-ხატაველთა ამბავს ვგულისხმობ, თორემ სხვა მხრივ რუსთაველოლოგიაში ყველამ მეტნაკლები წვლილი შეიტანა).

კონ. ჭიჭინაძემ გაბედა და ეს ხუნდები გაარღვია. მან ინდო-ხატაველთა ამბავი თავის ალაგას ჩაურთო და გარღვეული რკალი შეჰკრა. უმთავრესი ეს იყო და ეს საქმე მან ოსტატურად შეასრულა.

აქეთ-იქიდან ხმა ისმის, ეს სამი თავი პოეტიკის და სტილის მხრივ წინა თავებზე უფრო სუსტია და ამიტომ რუსთაველს არ ეკუთვნისო.

„უფრო სუსტია“ საბუთად არ გამოდგება, ჭიჭინაძე დაწვრილებით იხილავს ამ თავების ლექსიკას, მეტაფორებს, ბგერათა წყობას, რითმებს (იხ. მისი „რუსთაველის გარშემო“), რუსთაველის დამახასიათებელ პასტიჩიოს და თვალნათლივ გვიტკიცებს, რომ ყოველივე ეს „უაღრესად რუსთაველურია“. სადავო სამი თავის ალიტერაცია სავსებით ეგუება უდავო ტექსტის ალიტერაციას და ზოგჯერ მეტიც გამოდის. დაყრდნობილი რითმაც ამჟღავნებს რუსთაველის კალამს. ჭიჭინაძე ასახელებს ოთხს ერთიმეორის მიმდევნო ტაეპს და გადაჭრით აცხადებს, რომ „მთელ ქართულ პოეზიაში არ მოინახება მეორე ისეთი ადგილი, სადაც ოთხი შაირით დაწერილი ტაეპიდან სამში დაყრდნობილი რითმა იქნება მოცემული“. გარდა ამისა ამ ოთხ ტაეპში „ჩვენ გვხვდება ექვსი სიტყვის განმეორება, რომლის მეორე მაგალითს რუსთაველის გარდა ვერც ერთ ქართველ პოეტს ვერ მოუნახავთ“. აი რამდენიმე პასტიჩიო იმავე სამი თავიდან ამოკრეფილი:

> გიშრისა ტევრსა მოფოცხდა ბროლისა საფოცხელია.
>
> . . . . . .
>
> სრულად ნათლითა აივსო ზღუდე და ბანის ბანია.
>
> . . . . . .
>
> მათ ჰკადრეს: „ზეცით მოსრულა ინდოეთს რისხვა ზეცისა.
>
> . . . . . .
>
> ჰგავს თუ ტყუბნი მარგალიტნი სხენ ბროლისა ხარხაჩოსა.

ეს სახეცვლილი განმეორებაა ასეთივე გამოთქმისა, რომელიც უდავო ალაგებში მოიპოვება.

არისტოტელე სწერს: „განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს მეტაფორებში დახელოვნებას, ვინაიდან მხოლოდ ამის გადმოღება არ შეიძლება სხვისგან, და ეს ნიჭი მაჩვენებელია ტალანტისა; ცხადია, მეტაფორების შექმნა ხომ მსგავსების შენიშვნის ნაყოფია“. მეტაფორა კი ინდოხატაველთა ამბავში საკმაოდ მოიპოვება და დანარჩენ მეტაფორებს არც ლირსების მხრივ ჩამოუვარდება. მოისმინე რამდენიმე ტაეპი:

თვით მათვე მათსა ამბავსა უამბობს, არის წყლიანი:
„ფარსადან, მეფე ინდოთა, იყო ხელმწიფე სვიანი.
მას ესვა ქალი მნათობი, მზისაცა უფრო მზიანი,
კბილ-მარგალიტი, ტან-ალვა, ლაწვ-ბალახშ, ყორან-თმიანი“.

. . . . . .

„ამა ლაშქართა უნახავს კვლა ჩემი ხრმალთა კვეთანი,
ერთხელ შემებნეს, დავხოცენ, შევქმენ აბჯართა ფეთანი“.
ავთანდილ უთხრა: „რად უნდა თქმანი სიტყვისა მძლეთანი,
მათ ვითა მტვერთა წავახვამთ, მიხვდეს ფერხითა ცვეთანი“.

. . . . . .

დია დიდთა დამაჯნება უშმაგომან ვით გააგო!
ინდოეთსა ვით მოადგა, შმაგთაგანცა უფრო შმაგო!
აჰა მოველ იგი ცეცხლი, რომე სრულად ამოგდაგო,
ხრმალი ჩემი გალესილი შენს ტანზედა დავაბლაგო!

. . . . . .

აწ დაემზადე, მოპარვა მე შენი არა მწადიან,
შემები, რაზმი დააწყევ, პირველვე გამიცხადიან;
პირ-ბოზო, ჩემი მორევნა რა დია დაგიქადიან,
მე ჩაბალახად გახმარებ, რაცა გიმუზარადიან.

ამ ტაეპებსა და მრავალ ამგვარში მკაფიოდ ისმის რუსთაველის ლექსის რეკვა, მისი ომახიანი კილო და მკვრივი ნაჭედობა. (ყურადღება მიაქციეთ: თვით მათვე მათსა ამბავსა უამბობსო. იმ დროს ასეთი მხატვრული ხერხი მეტად იშვიათი იყო და პოეტის უდიდეს ოსტატობას ამჟღავნებს).

ესეც კმარა. ჭიჭინაძე ამბობს, თუ ინდო-ხატაველთა ამბავი სხვა ვინმეს დაუწერია, მაშინ უნდა ვირწმუნოთ, რომ შოთას ტოლი ვილაც უცნობი პოეტი გვყოლიაო. არა გვყავს. ვერ დაასახელებენ. თუმცა, როგორ არა, გვყოლია. მას ყველა იცნობს: ეს იგივე შოთა რუსთაველია და არა სხვა ვინმე.

ვთქვათ მე გულუხვობა გამოვიჩინე და დავადასტურე, რომ ინდოხატაველთა ამბავის ზოგი ტაეპი ოდნავ მოისუსტებს, სამაგივროდ მეც უნდა დამიდასტურონ, რომ სუსტი ტაეპები და სურათები „ვეფ. ტყ-ის“ უდავო ტექსტშიც მოიპოვება. მეორე: შესაძლოა პოეტი რომანის ბოლოში ოდნავ დაღლილიყო. ხოლო მესამე და უმთავრესი ის არის, რომ დიდი მოცულობის მხატვრული ნაწარმოები ლირსების მხრივ გ ა ნ უ წ ყ ვ ე ტ ე დ ი ა ღ მ ა ვ ა ლ ი ხ ა ზ ი ა რ ა რ ი ს. სინამდვილეში იმგვარი

ნაწარმოები არ არსებობს, რომ ყოველი ფურცელი, თავი ან სტრიქონი თავის წინამორბედს სჯობდეს. იგი მუდამ მთაგრეხილივით ვითარდება, სადაც უმთავრესი ღერძიც მოსჩანს, პარალელურიც და ამაღლებიც ერთიმეორეზე უმაღლესი მწვერვალიც. აღმართს და მწვერვალზე ასვლას დაღმართი და დაბლობი მოსდევს. იგი მეორე მწვერვალზე ასვლას ამზადებს, მაგრამ დაღმართი მაინც დაღმართია, და ეს დაღმართები რომ ამოვშალოთ მხოლოდ იმიტომ, რომ იგი მწვერვალებზე უფრო დაბალიაო, ლიტერატურის მწვალებლები თითის სიგრძე ლექსების გარდა არც ერთ მოზრდილ პოემას და არც ერთ რომანს არ დაგვიტოვებდნენ გამოუშიგნავს.

ზოგნი ამტკიცებენ, ყალბისმქნელნი მხოლოდ მე-16 — 17 ს. ამუშავდნენო. მართალია, მეცა მჯერა. მაგრამ ამ დებულებას ულმობელი ლოლიკური დასკვნა მოსდევს. ოთხ საუკუნეში (12 — 16) ქართული ენა ლექსიკურადაც და გრამატიკულადაც შესამჩნევად შეიცვალა, და ყოვლად შეუძლებელია, რომ პოემის ყალბ ალაგებში ახალ ქართულს არ გამოეჟონა. ნიჭიერი სტილიზატორი მუდამ იპოვება, მაგრამ დაუჯერებელია, რომ მან არსად არ წაიფორხილოს. სკეპტიკოსებს კარგ შემთხვევას ვაძლევ შემარცხვინონ: კარჩაკეტილ ოთახში დასხდნენ და მიცემული თემა მე-16 ს-ის ქართულით დაგვიწერონ. რა თქმა უნდა ჩაიჭრებიან. ეს იმათაც იციან და ამიტომ ამგვარ ცდას ყოველი საბაბით და უსაბაბოდაც მოერიდებიან.

ინდო-ხატაველთა ამბავში ერთადერთი საეჭვო „კათალიკოს-მაწყვერელად“ იპოვეს. ჭიჭინაძე სამართლიანად ამბობს, რომ კათალიკოსის და მაწყვერელის ერთად გახსენება მათს თანასწორობას არ ნიშნავსო (მღვდელ-დიაკვანი, გურია-სამეგრელო; და-ძმა, მთა-ბარი). ვთქვათ ეს სიტყვა, ეს სტრიქონი ან მთელი ტაეპი ყალბისმქნელმა ჩაურთო. განა ამის გამო დანარჩენი 60 ტაეპიც ყალბია? ასე რომ გავყვეთ, „ვეფ. ტყ“-დან ერთი ტაეპიც აღარ შეგვჩება.

„ვეფ. ტყ-ნის“ გამოსვლამდის ჭიჭინაძემ ორი წიგნი გამოსცა — „ალიტერაცია ქართულ ლექსში“ (1924 წ.) და „რასთაველის გარშემო“ (1929 წ.). ამ წიგნებში მან უამრავი თეორეტიული საკითხი აღძრა და რუსთაველოლოგიაში დიდი წვლილი შეიტანა. არა მგონია, რომ რუსთაველის პოეტიკა ჭიჭინაძეზე უკეთ ვინმეს სცოდნოდეს. მის ნაშრომში მჭიდროდ შედუღდა გულთამხილავი პოეტი და საფუძვლიანი რუსთაველოლოგი. მრავალი წლის ბეჯითმა შრომამ სათანადო ნაყოფი გამოიღო. მაგრამ საკვირველი ის არის, რომ დანარჩენმა მკვლევარებმა პირში წყალი ჩაიყენეს და აქამდის თავიანთი სათქმელი ვერა სთქვეს. დუმილი ძალიან მჭრელი იარაღია, მაგრამ განა მუდამ. ზოგჯერ იგი მდუმარეს მიუბრუნდება და მწარედ უკბენს. ამ 5 — 10 წელიწადში ბევრი რამე გამოირკვევოდა, მათ შორის უმთავრესი სადავო საკითხიც — ინდო-ხატაველთა ამბავიც.

ეს წერილი აქ უნდა გამეთავებინა, რადგან უმთავრესი თემა — ინდო-ხატაველთა ამბავი — უკვე ამოვწურე. მაგრამ ავტორმა ამ გამოცემაში იმდენი პრობლემა მოგვაწოდა, რომ შეუძლებელია [illegible] ერქვასრა.

ინდო-ხატაველთა ამბავის გარდა ჭიჭინაძეს შიგადაშიგ ასიოდე ტაეპი შეუტანია და 50 დამახინჯება შეუსწორებია — ზოგი რითმებში და ზოგიც შიგნით ტექსტში. ზოგჯერ ავტორის, გადამწერის ან კორექტორის შეცდომა ლიტერატორებს საუკუნოებით და ათეული წლობით ალაპარაკებს ხოლმე. მაგალითად: „აგერ მერცხალი ჭყივის“ გამო ილია ჭავჭავაძეს უამრავი საყვედური უთხრეს. ეს სიტყვა (ჭყივის) დღესაც უცვლელად იბეჭდება. არავინ არ გაახსენა ჭავჭავაძეს, და არც მერმე გაჰხსენებიათ რედაქტორებს, რომ „ჭყივის“ ნაცვლად „ჭივის“ უნდა ყოფილიყო. ერთი ასოს (ყ) ამოგდება ლაპსუსს ასწორებს (გოჭი ჭყივის, მერცხალი და მისი მსგავსი სირი კი ჭივის).

ასეთი მცირე და მომსხო შეცდომა მრავლად მოიპოვება „ვეფ. ტყ-ნში“ და ვისაც კი შეუძლია ამ მხრივ მართებული შესწორება მოგვაწოდოს, ის დიდი მადლობის ღირსია. ჭიჭინაძე სწერს: „დამახინჯებული ადგილების გასწორება საძნელოა და მეტად პასუხსაგები საქმეა... ამიტომ ათ შემცდარ (გასწორებას მ. ჯ.) ერთი საფუძვლიანი გასწორება გამოისყიდის“. აგრეა, მართალია, მე არ მინდა საბაბი მივცე ვინმეს ამ წერილის უმთავრესი საკითხი (ინდო-ხატაველთა ამბავი) ამ გასწორებებზე გადმოიტანოს და ამიტომ კონკრეტულ მაგალითებზე აღარ შევჩერდები. ისიც საკმარისია, რომ თვითონ ავტორი აღიარებს, შესაძლებელია აქაიქ შევცდიო. მე მაინც ვიტყვი, რომ ჭიჭინაძემ ბევრი ბნელი ალაგი გააშუქა და ბევრი დაკეტილი სიტყვის, სტრიქონისა და სტროფის გასაღები მოგვცა.

პოეტის ტექსტი 17 ფორმას შეიცავს, ხოლო ჭიჭინაძის ნაშრომი 45 ფორმას აღემატება. ის ყოველ მხრივ დასწვდა ამ უზარმაზარ საქმეს (მისი წინანდელი ორი წიგნიც გაიხსენეთ): ვეფხის ტყაოსნის დაბოლოება და შინაგანი მოცულობა; დამახინჯებული ადგილების გასწორება, პროლოგი და ეპილოგი, მეტაფორები, აფორიზმები, მეტრი და რითმი, მაჯამები, ოთმები, რითმების ინდექსი, სიმფონია (ვეფხის ტყაოსნის ლექსიკა), ლექსიკონი, სახელების საძიებელი, ბიბლიოგრაფია. ამოდენა მასალის დამუშავებას თვითონ პოემის ტექსტების შესწავლაც რომ დაემატოს, მრავალი წლის მუშაობის ნაყოფი გამოვა. ჭიჭინაძემ ეს დიდი დრო და ძალონე გაიმეტა და რუსთაველოლოგიის სალაროში მოზრდილი განძი შეიტანა. ამ განძს ზედმეტი შეფასების ხიფათი კი არა, არამედ მიფუჩეჩების ხიფათი მოელის, რომელსაც რუსთაველის თაყვანის მცემლები, იმედია, ააცდენენ ამ მკვლევარს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლეო ქიაჩელი: „ნოველები“.

სახელგამი. 1934.

„ადამიანი მისთვისაა შექმნილი, რომ მასზე ლეგენდა შეთხზან“ — ამბობდა ო. სტინდბერგი. ეს სიტყვები უნებლიეთ გაგონდებათ ლეო ქიაჩელის ზოგიერთი ნოველის გაცნობისას. ახლდველობაში გვაქვს მოთხრობების ის ციკლი, რომელსაც ამთავრებს „დახურული წარმოდგენა“. ლეო ქიაჩელი სწერს: „დახურულ წარმოდგენაში მე მივაგენი იმ განწყობილებათა სინტეზს, რომლებიც მიზიდავდენ თ ა ვ ი ს ი უ ც ნ ა ურ ო ბ ი თ და დიდი ხნის განმავლობაში თავს არ მანებებდენო“ (წინასიტყვაობა, გვ. 4). ამ ციკლის ნოველებში მოქმედებენ ახირებული ადამიანები და ავტორიც არ იშურებს მუქ საღებავებს იმ გარემოს საჩვენებლად, რომელიც მწერლის წარმოდგენამ უცნაური პერსონაჟებით დაასახლა. ეს პერსონაჟები მართლაც მოგვაგონებენ ადამიანებს, რომელთა შესახებ ლეგენდები ითხზვება. („სტეფანე“, „პატარა ისტორია“, „ჯადოსანი“, „ცოდვის შვილები“).

ამ ციკლის ნოველებს ნაწილობრივ მიეკუთვნება შემდეგი პატარა მოთხრობები: „ბერი და ყორანი“, „Escalade“, „შეურაცყოფილი“, „მე და ჩემი ორი მე“ და სხვ. ეპიზოდი, ამბავი ან ფაბულური ქარგა ამ ნოველებში მოცემულია, როგორც პ რ ობ ლ ე მ ი ს მ ა ს ა ლ ა: ავტორის მიერ ნაჩვენები ხასიათი ან აღწერილი შემთხვევა წარმოადგენს რაიმე საკითხის დასმის ან მისი გადაჭრის ცდას მხატვრული საშვალებებით. ამ ნოველებში ჩანს დეკადენტური და სიმბოლისტური პროზის ზეგავლენა, რომელიც ასე საგრძნობი იყო ლიტერატურაში ანდრეევისა, ჰიუსმანსისა, როდენბახისა და სხვათა მოდე-ნოველის კანონიზაციის პერიოდში. ეს გზა არა მარტო ლეო ქიაჩელმა, არამედ თვითონ ლიტერატურამაც განელო და არაა გასაკვირი, თუ ჩვენი ბელეტრისტის მოთხრობები (აღნიშნული პერიოდისა) ამჟამად სიახლეს არ შეიცავენ.

ლეო ქიაჩელის ნოველების წიგნში განსაკუთრებით ძლიერია ოთხი უკანასკნელი მოთხრობა: „ალმასგირ კიბულან“, „თავადის ქალი მაია“, „ჯიუტი“ და „ჰაკი აძბა“. ამ მოთხრობებსა და მათ წინ მოთავსებულ ნოველებს შორის გარკვეული მიჯნა არსებობს.

თუ ლეო ქიაჩელის ნახევრად მისტიურ ნოველებში ავტორის თავისებურმა მხატვრულმა კულტურამ მოქმედი პირები ჩრდილებსა და სისხლნაკლულ ადამიანებს დაამსგავსა, უკანასკნელ ოთხს ნოველაში ლ. ქიაჩელი იძლევა რელიეფურ და ცხოველ პორტრეტებს. ეს მიღწეულია არა მარტო მსოფლმხედველობის გამოცვლით, არამედ მხატვრული კულტურის ახალი გზების ძიების შედეგადაც.

ჯერ თხრობის შესახებ:

პირველი პერიოდის ნოველებში ხშირად თხრობა პირველი პირით მიმდინარეობს. ავტორი ზოგჯერ ცდილობს ფრაზის ბუნებრივობა შესცვალოს ორიგინალური დიქციით. ამის მაგალითებს ვხვდებით ნოველა „კრიმანჭულში“ (განსაზღვრის წინადადების ბოლოში მოქცევა და სხვ.); „ალმასგირ კიბულან“, „თავადის ქალი მაია“ და „ჰაკი აძბა“ დაწერილია წყნარი თხრობით და დეკლამაციური ტონი ამ მოთხრობებიდან სავსებით განდევნილია.

მაგრამ რაც მთავარია, ამ მოთხრობებში ლეო ქიაჩელი აღწევს მოქმედ პერსონაჟთა პლასტიურ ფორმებში ჩვენებას. მკითხველს ამახსოვრდება მოხუცი თავადის ქალის, მაიას გარეგნობა, გადაგვარებულ არისტოკრატი-ოფიცრის, უჯუშ ემხასა და მისი ძიძიშვილის ჰაკი აძბას პორტრეტული დეტალები.

მოქმედ პირთა პლასტიურად გადმოცემის ერთერთ მომენტად უნდა ჩაითვალოს პოზების გამოსახვა. კლასიკურ ლიტერატურაში ამ ხერხს განსაკუთრებით მიმართავდენ — სტერნი, გოგოლი, ტოლსტოი. ახალ რუსულ პროზაში ის უკიდურესობამდე განავითარა ანდრეა ბელიმ. ლეო ქიაჩელი მას ზომიერების დაცვით [illegible]. კუზმას გამოჩენა გემის ბაქანზე, უჯუშ ემხას ძილი სასტუმროში და [illegible] შეძახილზე, ჰაკი აძბას მიხვრა-მოხვრის აღწერები იძლევიან პორტრეტულად დასრულებულ სახეებს აღნიშნულ პერსონაჟებისას. ამ მხრით ლეო ქიაჩელი ახალი ქართული ბელეტრისტიკისათვის უცნობ ოსტატობას იჩენს. ჩვენ აქ გვერდს ვუხვევთ საერთოდ მიღებულ წესს — ფაბულის ან „მთავარი იდეის“ გადმოცემას რეცენზიაში.

ალაგ-ალაგ ლეო ქიაჩელი მიმართავს ტრადიციულ სახეებს, ტრადიციულია ზოგჯერ მისი პეიზაჟი. ლ. ქიაჩელი თანამედროვე ბელეტრისტული კულტურის მატარებელი მწერალია და ტრადიციისათვის ხარკის გაღება უპირველეს ყოვლისა მას არ სჭირდება.

ა. ბ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კ. გამსახურდია — „გოეტეს ცხოვრების რომანი"

სახელგამი — 1934 წ.

გოეტეს ბიოგრაფიის იმ სახით გადმოცემა, როგორც ეს სარეცენზიო წიგნის ავტორს დაუსახავს მიზნად, თავისებური და ძნელად დასაძლევი ამოცანაა. ავტორი სწორია, როდესაც ბიოგრაფიული მასალების დალაგების ეს ხერხი არჩია, როცა მან მიზნად დაისახა ბიოგრაფიული რომანის მოცემა. მასალების იმნაირი დალაგება, როგორც ეს გოეტეს ბურჟუაზიულ ბიოგრაფებს ჩვეიათ, დღეს — უკვე ნახული ფაქტების განმეორება იქნებოდა.

ბიოგრაფიული რომანი იმ მხრივადაც არის შესანიშნავი, რომ იგი საშუალებას აძლევს ავტორს არ დარჩეს ემპირიული მასალის მონად; ამიტომ კ. გამსახურდიას მიერ არჩეული ხერხი გოეტეს ბიოგრაფიის გადმოსაცემად გამართლებულად უნდა მივიჩნიოთ.

ავტორი იძლევა საკმაოდ ბევრ მასალას, რომელიც საჭიროა ამ შესანიშნავი მწერლის ცხოვრების გასაგებად. წიგნის დადებით მხარედ ის უნდა ჩაითვალოს, რომ მასალები, მიუხედავად მათი ქრონიკული დალაგებისა, ცოცხლად და საინტერესოდაა დაწერილი. რომანი, მიუხედავად იმისა რომ აქა-იქ ხარვეზებს შეიცავს და ბიოგრაფიული ფაქტები უმეტეს შემთხვევაში ერთმანეთთან არაა დაკავშირებული, მაინც ინტერესით იკითხება.

წიგნის დადებით მხარედ უნდა მივიჩნიოთ ისიც, რომ მასში ბიოგრაფიული მოვლენების ახლებურად ახსნის ცდაა მოცემული. ავტორი ცდილობს მაგალითად, გოეტეს მიერ ფრიდერიკეს და ლილის ცოლად შერთვაზე უარის თქმა წოდებრივი მოსაზრებებით ახსნას. თუმცა ამ აზრს კ. გამსახურდიამდე იმეორებდა გოეტეს ბევრი მკვლევარი, მაგრამ მნიშვნელობა აქვს იმას, რომ სარეცენზიო წიგნის ავტორი შეეცადა ამ თვალსაზრისით მიდგომოდა გოეტეს ცხოვრების აღწერას.

მაგრამ უნდა ითქვას, რომ ავტორის ეს ცდა უმრავლეს შემთხვევაში მხოლოდ ცდათ და სურვილად რჩება; სინამდვილეში კი, როგორც წინასიტყვაობის ავტორი შენიშნავს, კ. გამსახურდიას მთელი რიგი ბიოგრაფიული ფაქტები ფსიქოლოგიური მეთოდით აქვს ახსნილი და ეს მაშინ, როდესაც გოეტეს ცხოვრების და შემოქმედების შესახებ ჩვენ გვაქვს მეცნიერული სოციალიზმის ფუძემდებელთა გენიალური მითითებები. გოეტეს მკვლევარმა როგორ შეიძლება, რომ გვერდი აუაროს ამ მითითებებს? „გოეტეს ცხოვრების რომანი"-ს ავტორი თავისი გზით მიდის და ანგარიშში არ აგდებს ამ საკითხზე მარქსის და ენგელსის შეხედულებებს.

შეიძლება არც იყოს მთლად მართალი წინასიტყვაობის ავტორი, როდესაც იგი ბრალს დებს კ. გამსახურდიას იმაში, რომ ეს უკანასკნელი იძლევა მხოლოდ ბიოგრაფიულ ფაქტებს და არა მათ ახსნას. მართლაც და ავტორი ფაქტებს ასახელებს, თუმცა წიგნში ცოტა ადგილი არა აქვს დათმობილი ამ ფაქტების ანალიზს, ავტორის განსჯას, მაგრამ საქმე იმაშია, რომ ავტორი უმრავლეს შემთხვევაში ამ ანალიზის დროს ცდება.

გოეტეს ვაიმარში გამგზავრებას კ. გამსახურდია თვლის ბედნიერ ნაბიჯად მწერლის ცხოვრებაში. იგი წერს: „იმ წუთში მას წარმოდგენილიც არა ჰქონდა, რომ სწორედ ეს ეტლი თუ წაიყვანდა მას ისეთ ადგილას, სადაც დიდების გვირგვინს უთხზიდ-

და ბედი" (გვ. 221); ან და — „1775 წლის 8 ნოემბერი ბედნიერი თარიღია გოეტეს ცხოვრებაში. ამ დღეს ჩამოიყვანა იგი პოსტალიონმა ჰაიდელბერგიდან ვაიმარში" (გვ. 222).

ჯერ პატარა შესწორება: გოეტე **7 ნოემბერს** მივიდა ვაიმარში, ფაქტია ეს, როგორც კ. გამსახურდია ფიქრობს, მაგრამ მთავარი, რაშიდაც ავტორს ვერავითარ შემთხვევაში ვერ დავეთანხმებით, მდგომარეობს გოეტესათვის ვაიმარული პერიოდის ბედნიერ პერიოდად გამოცხადებაში. ცნობილია, თუ რა მოსაზრებები ამოძრავებდა კარლ აუგუსტს, როცა იგი მწერალს ვაიმარში ეპატიჟებოდა. ვილანდის და ჰერდერის გვერდით გოეტეს ყოლა უდიდესი მნიშვნელობის ფაქტი იქნებოდა ამ პატარა სამთავროს ჰერცოგისათვის, მაგრამ გოეტეს ვაიმარში გადასახლება **საბედისწერო** უნდა ყოფილიყო შტრასბურგის და ვეპცლარის ხანის დაუდგრომელ ჭაბუკისათვის, რომლის ძარღვებშიაც ძალუმად ჩქეფდა პრომეთეს და გოეტეს სისხლი.

ეს საშიშროება ნათლად ქონდა წარმოდგენილი პოეტის მამას, როდესაც იგი შვილის ვაიმარში წასვლის კატეგორიული წინააღმდეგი იყო. მას კარგად ახსოვდა ვოლტერის ბედი ფრიდრიხის სასახლის კარზე, რაც მრისხანე გაფრთხილება უნდა ყოფილიყო შტურმუნდდრანგელ გოეტესათვისაც. ამიტომ იყო, რომ იგი ყოველ ღონეს ხმარობდა, შვილი ვაიმარში არ გამგზავრებულიყო; ამიტომ მან გადაწყვიტა სასწრაფოდ გაემგზავრებია გოეტე იტალიაში, რომ ეგებ ახალგაზრდა პოეტს გულიდან **ამოეგდო ვაიმარში წასვლის განზრახვა.**

კ. გამსახურდია კი სწორად არ არკვევს გოეტეს მამის პოზიციას შვილის ვაიმარში გამგზავრების საკითხში. იგი ფიქრობს, რომ მამა ჰერცოგის მიერ შვილისადმი უდიერად მოპყრობამ გააჯავრა, რადგან ჰერცოგმა დაპირებისამებრ არ გამოუგზავნა გოეტეს ეტლი, რომელსაც იგი ვაიმარში უნდა წაეყვანა. ნამდვილი მიზეზი მამის გაცხარებისა კი ის იყო, რომ ფრანკფურტელი ბიურგერი **საზიანოდ თვლიდა** პოეტის სასახლესთან დაკავშირებას. ამ ნამდვილ მიზეზის შესახებ „გოეტეს ცხოვრების რომანი" არაფერს ამბობს.

ჩვენ ვიცით, თუ მართლაც როგორი საბედისწერო შეიქნა გოეტესათვის ვაიმარში გადასახლება. შინაგანი წინააღმდეგობა, რომელსაც განიცდიდა მწერალი, ახლა უფრო აშკარად გამოვლინდა. გოეტეს შემოქმედებაში მძლავრად იჩინა თავი **ფილისტერობის და კონსერვატიზმის მომენტებმა.** „პრომეთეს" და „ფაუსტის" ავტორს გვერდით ამოუდგა „იფიგენიას", „ჰერმან და დოროთეას", „ეპიგრამების", „დიდი კოფტას" და „მოქალაქე გენერალის" ავტორი. კ. გამსახურდიაც იძულებულია აღიაროს, რომ ვაიმარულ პერიოდში შტურმუნდდრანგელ გოეტეს ცვლის გოეტე ოლიმპიელი, ანუ დიონისურ სათავეს გოეტეს შემოქმედებაში — აპოლონური სათავე, მაგრამ თუ აპოლონურმა სათავემ შეცვალა დიონისური, ე. ი. კონსერვატიულმა რევოლუციური, მაშინ რატომაა რომ კ. გამსახურდია ბედნიერ ნაბიჯად თვლის გოეტეს ვაიმარში გამგზავრებას? ხომ არ შეიყვანა ავტორი შეცდომაში თვით გოეტეს სიტყვებმა, როდესაც ის კარლ აუგუსტს თავის მეცენატს უწოდებდა. შეიძლება თუ არა ამ **„კმაყოფილ"** გოეტეს უკან არ დავინახოთ ვაიმარელი ლომი, რომელსაც სულს უხუთავდა სასახლის ცხოვრება? შეიძლება კი არ დავინახოთ ის შინაგანი გაორება და ბრძოლა, რასაც განიცდიდა გოეტე და რომლის შესახებაც გენიალურ შენიშვნას იძლევოდა ენგელსი?

კ. გამსახურდია არაა მართალი, როცა წერს, რომ „აქ კი იუპიტერის კაპარჭის მტვირთველი გოეტე ერთბაშად ზავს ჩამოაგდებს ამ საზოგადოებასთან, ვერტერისებური რევოლუციონერობა ახალგაზრდობის სიზმრებს თან გააყოლა" (გვ. 241). ჯერ ერთი, რომ გოეტეს ერთბაშად არ ჩამოუგდია ზავი ფეოდალურ საზოგადოებასთან, მეორე, გოეტეს მთლიანად „ვერტერისებური რევოლუციონერობა ახალგაზრდობის

სიზმრებისათვის არ გაუყოლებია“. მიუხედავად იმისა, რომ გოეტეს ამ პერიოდის შემოქმედებაში მძლავრად არის წარმოდგენილი კონსერვატიზმის მომენტები, მიუხედავად იმისა, რომ გოეტე წერს სატირებს რევოლუციის წინააღმდეგ, — მან მაინც შეინარჩუნა საღი, პროგრესული, ადამიანური მხარეები. გოეტე, მართალია აშმორახებს რევოლუციონერებს, მაგრამ არა ნაკლებ ამათრახებს იგი ხალხის მტრებს, ექსპლოატატორებს. გოეტე არ გადასულა რეაქციის ბანაკში; ეს უნდა ქონოდა მხედველობაში სარეცენზიო წიგნის ავტორს, როცა ზემოხსენებულ აზრს გამოთქვამდა.

კ. გამსახურდიას მოყავს ზოგიერთი ადგილი, საიდანაც გოეტეს რევოლუციასთან დამოკიდებულება უნდა გაირკვეს. მართალია ეს ადგილები არ არის სრულად მოყვანილი; შეიძლებოდა სხვა ნაწარმოებებიდან მრავალი ამონაწერების მოყვანა, საიდანაც უფრო ნათლად დავინახავდით პოეტის აზრს რევოლუციაზე, მაგრამ ის, რაც კ. გამსახურდიას მოყავს თავის წიგნში, სავსებით საკმარისია, რომ სწორი დასკვნები იქნას გამოტანილი.

კ. გამსახურდია სწორად შენიშნავს, რომ გოეტე შიშობდა რევოლუციის წინაშე, რომ მის მიერ რევოლუციის შესახებ დაწერილი კომედიები ხელოვნების თვალსაზრისით დაბლა დგას. მაგრამ ისმება კითხვა: რატომ არ ღებულობდა გოეტე რევოლუციას.

აქ კი. კ. გამსახურდია იძლევა გოეტეს რევოლუციისაგან განდგომის **ყოვლად გაუმართლებელ** ახსნას. „ცხადია, უკეთესად ვერ დასწერდა თვით უდიდესი პოეტიც, რადგანაც ჯერაც დისტანცია არ არსებობდა რევოლუციასა და რევოლუციის მეგრეტელს შორის“ წერს იგი (გვ. 306). კ. გამსახურდია მართალია, როცა წერს დიდ ისტორიულ ფენომენს ათეული წლების სამზადისი წინ უძღვის. მაგრამ აბსოლუტურად შემცდარია, როცა წერს, რომ „სანამ ტიპები მკვეთრად არ ჩამოყალიბდებიან თავად სინამდვილეში, მწერალი ვერ შესძლებს მათ ფიქსაციას“ (გვ. 307).

„სწორედ ამიტომაც, წერს კ. გამსახურდია, თვით უდიდეს ოსტატს (იგულისხმება გოეტე — გ. ხ.) თავის საუკუნისას ხელი მოეცარა იმ ნაწერებში, სადაც იგი რევოლუციის ეპოქას შეეხო“ (გვ. 307).

მკითხველი დაინახავს თუ რა ზღვარია კ. გამსახურდიას აქ მოცემულ განმარტებასა და **ფ. გუნდოლფის** განმარტებას შორის, იმ გუნდოლფის, რომელიც აშკარად ცდილობს გოეტეს ბურჟუაზიულ ყაიდაზე გადამუშავებას. გუნდოლფიც წერს, რომ გოეტეს რევოლუციის შესახებ დაწერილი სატირები ხელოვნების თვალსაზრისით სუსტი ნაწარმოებებია, მაგრამ ამის მიზეზია გუნდოლფის აზრით ის, რომ გოეტე არ იყო პოეტი, რომელსაც გარეგანი მოვლენების აღწერა შეეძლებოდა. „იგი არ იყო გარეგანი აქტუალიტეტის, პოლიტიკის და ისტორიის მწერალი, არამედ მწერალი სულის და ბუნების მუდმივი შინაგანი კანონებისა და ძალებისა“ (F. Gundolf — Goethe — გვ. 475).

გოეტეს საერთოდ არ უნდა ეწერა რევოლუციაზე, პოლიტიკაზე, რადგან ეს არ იყო მისი მოწოდება, რადგან გოეტე არ იყო გარეგანი მოვლენების აღმწერი პოეტი, — ამბობს გუნდოლფი. გოეტეს რევოლუციაზე დაბალი ხარისხის ნაწარმოებები გამოუვიდა „რადგან ჯერაც დისტანცია არ არსებობდა რევოლუციასა და რევოლუციის მეგრეტელს შორის“, ამბობს კ. გამსახურდია. მკითხველმა განსაჯოს თუ როგორი დისტანციაა ამ საკითხში გუნდოლფსა და კ. გამსახურდიას შორის.

რევოლუციის და მწერლის დამოკიდებულების ამ ყალბი გაგებიდან კ. გამსახურდიას გამოაქვს **სასიკვდილო განაჩენი** შილერის „ყაჩაღებისათვის“, რადგან დისტანცია ალბათ აქაც არ არსებობდა.

„კაცმა რომ სთქვას, — წერს კ. გამსახურდია, — **„ყაჩაღები“ მართლაც საუკეთესო ნიმუშია იმ გარემოებისა, რომ გენიის კალამი დიდ სისულელეებს გვახვევს ხანდახან თავზე.**

ან როგორ შეიძლება საერთოდ სერიოზულმა პოეტმა ამდენი მელანი დახარჯოს უაჩალობის იდეის აპოლოგიისათვის? როცა ერთი რეჟიმის პრიზმიდან მეორე რეჟიმის ფონზე წარმოშობილ უაჩალობას ვუმზერთ, ეს სიმპატიურია, მაგრამ ოვეთ ძველ რეჟიმში წარმოშობილი უაჩალობის რომანტიზმი ახალი რეჟიმისადმი ოპოზიციურად განწყობილ ახალ თაობაშიაც თანაგრძნობას იწვევს და საერთოდ ანტისახელმწიფოებრივ ინსტინქტებს აღვიძებს ერში.

„გოეტე არ ყოფილა ბაირონსავით ანარქისტი და ამიტომაც სავსებით გასაგებია, რომ მას შილლერის უაჩალები არ მოსწონდა“ (გვ. 316; ხაზი ჩვენია).

დასკვნა ერთია: დღეს, როგორც ჩვენში, ისე კაპიტალისტურ ქვეყნებში „უაჩალები“ ანტისახელმწიფოებრივ ინსტინქტებს აღვიძებს. ამიტომ იგი „სისულელის“ ნაყოფია; მაგრამ რატომ არ უფიქრდება ავტორი, რომ „უაჩალების“ სცენაზე დადგმას აღტაცებით ეგებება ჩვენში სწორედ ისინი, ვინც არაა „ანტისახელმწიფოებრივი“ (ე. ი. ანტიპროლეტარული) ინსტინქტების მატარებელნი? **ნუთუ არ იცის ავტორმა, რომ შილლერს ამ ნაწარმოებში ყოველგვარი უაჩალობის აპოლოგია კი არ მოუცია, არამედ უაჩალობის, რომელიც ექსპლოატატორების წინააღმდეგაა მიმართული?** განა შეიძლება მის შემდეგ რაიმე ფასი ქონდეს კ. გამსახურდიას მიერ ბოლოსიტყვაობაში დაწერილ სტრიქონებს: **„ჩვენში არავითარი ლიტერატურა არ არსებობდა ჩემამდის გოეტესა და საერთოდ დასავლეთ ევროპის XVIII საუკუნის შესახებ.**

ასე რომ ამ წიგნის წერისას სავსებით მოუმზადებელ მკითხველთა მასებს უნდა გამოვლაპარაკებოდი“ (გვ. 357; ხაზი ჩვენია).

წიგნში, მიუხედავად იმისა, რომ არის ცდა მოინახოს ბიოგრაფიული ფაქტების კლასობრივი ექვივალენტი, მაინც იშვიათი არ არის ისეთი ადგილები, სადაც ავტორი ზეკლასობრივ თეორიას ანვითარებს, მაგ. ერთ ადგილას ავტორი წერს: „თავის კონსერვატიზმის მიუხედავად გოეტეს არ შეეძლო ამ საზოგადოების **სისხლი სისხლთაგანი** და ხორცი ხორცთაგანი ყოფილიყო, რადგანაც ეს „სოსიეტე“ XVIII საუკუნისა ქონებრივ და წოდებრივ იერარქიას ემყარებოდა, **ხოლო ტალანტი ყოველივე ამის გარეშე მდგარა მუდამჟამს“** (გვ. 253. ხ. ჩ.).

წიგნი ზუსტად არ გადმოგვცემს გოეტეს ისტორიულ სიტყვებს, ვალმისთან დამარცხების დროს წარმოთქმულს „მსოფლიო ისტორიის ახალი ეპოქა ვალმის კანონადიდან იწყებაო“, წერია სარეცენზიო წიგნში (გვ. 308). უნდა იყოს კი ასე: „დღეიდან იწყება მსოფლიო ისტორიის ახალი ეპოქა და თქვენ შეგიძლიათ თქვათ, რომ იყავით ამ დროს იქ“ (Goethes Sämmtliche Werke; B. 20; გვ. 44; J. G. Gotta'scher Verlag).

არა სწორადაა აგრეთვე გადმოცემული გლაიმის და ვილანდის საუბარი. წერია: „ეს ან გოეტეა, ან დემონი, წამოიძახა ვილანდმა, რომელიც ჩემს გასწვრივ უჯდა მაგიდას“.

„ორიგენი“ (გვ. 227).

დედანში კი წერია: „ეს ან გოეტეა, ან ეშმაკი, მივაძახე მე (ე. ი. გლაიმმა — გ. ხ.) ვილანდს, რომელიც ჩემს პირდაპირ უჯდა მაგიდას“ — „ორიგენ“, მიპასუხა მან (ე. ი. ვილანდმა — გ. ხ.).

კარგი იქნებოდა, რომ სარეცენზიო წიგნში მოცემული ყოფილიყო გოეტეს ბიოგრაფიის ყველა მნიშვნელოვანი მომენტები. წიგნში მაგალითად სრულებით არაა ლაპარაკი გოეტეს დამოკიდებულებაზე კანტთან, სპინოზასთან, ჰიუგოსთან, ბერანჟესთან, ჟუკოვსკისთან, ტურგენევთან და სხვ.

საერთოდ შეიძლება ითქვას, რომ მიუხედავად მთელი რიგი **არსებითი** შეცდომებისა, რომელიც „გოეტეს ცხოვრების რომანს“ ახასიათებს, ამ წიგნის გამოსვლა ქართულ ენაზე მნიშვნელოვან საქმედ უნდა ჩაითვალოს.

ბ. ხავთასი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შინაარსი

მხატვრული ლიტერატურა

	გვ.
ი. გრიშაშვილი — პეტერგოფის შადრევნები (ლექსი)	3
კ. გამსახურდია — მთვარის მოტაცება (გაგრძელება)	5
ვ. გაფრინდაშვილი — მკვლელობა თეატრის შესახვევში (ლექსი)	35
კოტე ხიმშიაშვილი — ღამე	37
ილო მოსაშვილი — პირველი ქუხილი (ლექსი)	43
ირაკლი აბაშიძე — დაბრუნება (ლექსი)	45
შალვა სოსლანი — ცია და ცივა	47
ერიხ მიუზამი — საპატიმროში დაღუპულს (ლექსი) თარგმანი ვალერიან გაფრინდაშვილისა	60
ლევ. მეტრეველი — როცა ახმაურდენ ზარბაზნები	61
ი. ვ. გიოტე — ტყის ხელმწიფე (ლექსი) თარგმანი ი. მჭედლიშვილისა	78
გიორგი შატბერაშვილი — დასაწყისი განთიადისა (ლექსი)	80
გრიგოლ აბაშიძე — ორი ლექსი	83
ე. პოლუმორდვინოვი — იღვიძებენ მთები (დასასრული)	85

ფირდოუსის 1000 წლისთავი

ალ. ბარამიძე — ფირდოუსის „შაჰ-ნამე“ ქართულ მწერლობაში	132
ფირდოუსი — თავები „შაჰ-ნამე“-დან	136
იური მარრი — ქართულ-სპარსულ ლიტერატურულ ურთიერთობიდან	144

მწერალთა საკავშირო ურილოგა

83.

ნ. ბუხარინი — პოეზია, პოეტიკა და პოეტური შემოქმედების ამოცანები სსრ კ-ში 149

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბიბლიოგრაფია

მიხეილ ჯავახიშვილი — „ვეფხის ტყაოსანი“ კონ. ჭიჭინაძის რედაქციით 177

ა. გ. — ლეო ქიაჩელი — „ნოველები“ 192

გ. ხავთასი — კ. გამსახურდია — „გოეტეს ცხოვრების რომანი“ . 194

ბიბლიოთეკა
BIBLIOTEKA